


გეჟან აბაშიძე

# გითოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური  
სამინისტროს მიერ დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანე-  
ლოდ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

რედაქტორი ფილოლოგ. მეცნ. კანდიდატი ჯ. ბარდაველიძე



8Г1+8ГФ1

899.962.1.09+3982 (47.922)

ა 135

ნაშრომი წარმოადგენს ცდას ახალი კუთხით წარმოგვიჩინოს ქართული წარმართული პანთეონის ღვთაებები და გაარკვიოს ზოგი საკულტო ტერმინი.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტი ფილოლოგებისა, ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებითა და მითოლოგიით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი: ფილოლოგ. მეცნ. კანდიდატები: ზ. კიკნაძე, ბ. ხორნაშული

70202 — 009

A ————— 214—84

M-602(08)-84

© გამომცემლობა „განათლება“, 1984

## შესავალი

ქართული მითოლოგია ჯერ კიდევ სრულყოფილად შესწავლილი არ არის. ყოველი ერის პრეისტორიის მეცნიერული კვლევა დაკავშირებულია მითოლოგიასთან. მითოლოგიისა და უძველესი პერიოდის შეუსწავლელად ქართული კულტურის ვერც ერთი დარგის იმდროინდელ ისტორიას სრულად ვერ წარმოვადგენთ.

მითოლოგიის საშუალებით ვეცნობით ადამიანების მაშინდელ ყოფას, საზოგადოებრივ-ეკონომიურ საფუძვლებს.

ჩვენი გამოკვლევა ძირითადად ცნობილ ღვთაებათა ფუნქციური შესწავლისა და ზოგიერთი ახალი ღვთაების გამოვლენის მოკრძალებული ცდაა.

ნაშრომში შევჩვენებთ ცნობილ ქალ-ღვთაებას — დალს და მის ევოლუციურ სახეობებს.

კვლევის პროცესში წამოიჭრა საინტერესო საკითხები კლდესთან და ბროლთან დაკავშირებით. საქართველოში დალის იცნობენ როგორც კლდის ქალს. გადმოცემით იგი კლდეში, მღვიმეში ცხოვრობს, კლდეს გარედან კარის ფორმა აქვს.

მასალები კლდისა და მითურ გამირთა დამოკიდებულების შესახებ თითქმის მსოფლიოს ყოველი მხარის მითოლოგიაში გვხვდება. ბერძენთა მითური გამირი ჰერაკლემ ცხენების ძებნაში გადაეყარა კლდის გამოქვაბულში მყოფ ქალბუკს, რომელთანაც სამი შვილი შეეძინა.

კლდე სიმტკიცისა და ძლიერების გამომხატველია. კლდის უმაღლესი ხარისხი ბროლად უნდა წარმოვიდგინოთ — „ბროლი კლდეზე იზრდება“. ბროლი ნათელია, სპეტაკია.

ბროლში, კლდისა და ქვის უმაღლეს სახეში, სულიერი ძალები იგულისხმება, მათში გაიგივებულია ცეცხლური ენერგია და სინათლე.

სულიერი ძალების (ღვთაებები, ანგელოზები, ღმერთები) ცეცხლურსა და ნათების ენერგიაზე მსოფლიო ლიტერატურაში საკმაო მასალა მოიპოვება.

ჩვენ ვაანალიზებთ მათ და ერთგვარ პარალელებს ვძებნით ქართულ მითოლოგიასთან.

წმინდა გიორგის ცხოვრებაში უცხოურ მეცნიერთა მიერ აღწერილ ზოგ სასწაულს ვაძარებთ ქართულ ხალხურ წყაროებს. წმინდა გიორგის სასწაულებს ქართულ ზეპირსიტყვიერებაშიც ვხვდებით, რაც საშუალებას გვაძლევს დასკვნისათვის, რომ კავკასია აღნიშნული სახის გმირთა დამოუკიდებლად შექმნა-წარმოსახვის ადგილია.

ქართულ მითოლოგიურ მასალებში ბლომად მოიპოვება ხალხის გმირობის, გამძლეობის, ნებისყოფის, მაღალი მორალური თვისებების გამომხატველი ნიშნები.

კავკასიაში ფრინველთა ძლიერი კულტი იყო გავრცელებული. ამის შესახებ, გარდა ზეპირსიტყვიერებისა, არქეოლოგიური გათხრების შედეგადაც მრავალი მასალაა მოპოვებული. განსაკუთრებით შევჩერდით მითური ფრინველებისა და ძვირფასი ქვის ურთიერთობის საკითხებზე. დავინტერესდით მითური ორბისა და მისი ლეკვის გენეზისით. ამის საფუძველზე დავიწყეთ პარალელის ძებნა ბიბლიურ-ქრისტიანულ და ქართულ ხალხურ მასალათა შორის. შევეცადეთ გვეჩვენებინა ტოტემურ ფრინველთა ძლიერი გავლენა ქართულ კულტურასა და ყოფაზე როგორც წარმართულ, ისე ქრისტიანულ ხანაში.

ზეპირსიტყვიერებიდან მომდინარე მითური ცნობები აუცილებელი მასალაა ენათმეცნიერებისათვისაც.

ჩვენი კვლევის მეთოდი ძირითადად ისტორიულ-შედარებითია. მოგვყავს მასალები, მათ ერთმანეთს ვუფარდებთ, ვაანალიზებთ და ვცდილობთ ქართული მითოლოგიის კვლევა წარვმართოთ ენათმეცნიერებასთან (მორფოლოგია) უშუალო კავშირში. ეს საშუალებას მოგვცემს თავისებურ სისტემაში მოვაქციოთ, საკვლევ „კვალში“ ჩავაყენოთ ყოველი სიტყვა, თუნდაც მას ფუნქციური საკულტო ნიშნები არ ჰქონდეს.

კვლევის ობიექტის ამ კუთხით განხილვამ საშუალება მოგვცა ბევრი ახალი საკულტო სიტყვა გვექცია მითოლოგიის კვლევის საგნად.

საკულტო სახელის შერქმევისას გამოხატავდნენ სურვილს — ჰქონოდათ ისეთივე უნარი, როგორიც მათ მფარველ ღვთაებას (ან მითურ გმირს) ჰქონდა. აღნიშნულმა მიზეზმა განაპირობა ამირანის სახელის პოპულარიზაცია. ამავე მიზეზით არქმევდნენ ქართველ ბავშვებს „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახელებს.

მეცნიერთა აზრით, ქართველი ერი მცირე აზიის უდიდესი კულტურის მქონე ერების ნათესავია. ამიტომ ეს ურთიერთობა ენაშიც უნდა გამოვლინდეს. საერთოდ საკულტო სიტყვათა „მოგზაურობა“, უშუალო ნათესაობისა და მეზობლობის გარეშეც შეიძლება.

მცირე აზიის უძველესი პერიოდების კულტურა მოძრავი და გარდამავალი იყო, ასევე მოძრავი იყო სახელმწიფოთა ტერიტორი-



ებიც და ეთნიკური შემადგენლობაც. ასეთი „მოძრაობის“ გარეშე ვერ დარჩებოდა კავკასიაც. ამიტომ ქართული სახელმწიფოებრივი კულტურაცა და ეთნიკური ბუნებაც ერთგვაროვანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. პირველ „დარტყმას“ სწორედ მითოლოგია განიცდიდა. ამას შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა ეთნიკურ-ტერიტორიული ცვლილების გარეშეც. ამიტომ უცხოური კულტურულ-მითოლოგიური გავლენები გარდუვლად უნდა მივიჩნიოთ. ქართველ ტომებს მცირე აზიის, მესოპოტამიისა თუ ახლო აღმოსავლეთის ექსპანსიური სახელმწიფოების მოქმედების გარეთ ვერ დავეტოვებთ.


საერთოდ, მონოლითური მითოლოგიები თუ რელიგიები ინტერნაციონალურია, რაც საშუალებას გვაძლევს ქართულ ყოფაშიც გავითვალისწინოთ უძველესი, ე. წ. „მეზობელი“ ქვეყნების გავლენა ქართულ მითოლოგიასა და ყოფაზე. ისტორიული პროცესი მიმდინარეობდა მრავალმხრივი ურთიერთგავლენის, ზემოქმედებისა და კულტურულ მონაპოვართა სწრაფი გავრცელების ვითარებაში. მეტად მოძრავი იყო კულტურულ-ეთნიკური საზღვრებიც.

ამის უარყოფა და ყველაფრის ადგილობრივ განვითარებით ახსნა ისტორიული განვითარების პერსპექტივის დამახინჯების სერიოზულ საფრთხეს შეიცავს.<sup>1</sup> ამ კუთხით უნდა მივუდგეთ ქართული მითოლოგიის შესწავლას. იგი არ შეიძლება მხოლოდ ადგილობრივი წარმოშობისა იყოს. არ შეიძლება, პირუტყვც არ ყოფილიყო — ქართული მითოლოგია უნდა შექრილიყო მეზობელი ქვეყნების ყოფაშიც.

ამიტომ, როცა ქართულ მითოლოგიას ვიკვლევთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ მეზობელი ქვეყნების მითოლოგიაც.

---

<sup>1</sup> გ. მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის შესწავლა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთაზე (საისტორიო წერილები, ნაკვეთი პირველი, 1968, გვ. 15. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია).



## ღვთაება დალი და ღვთაება დილა

ღვთაება დალის ასტრალურობის გასაშუქებლად (რომ ის დალის ვარსკვლავია, ცისკარი) საჭიროდ მიგვაჩნია კლდის ქალ-ღვთაება დალთან დაკავშირებული მასალების მიმოხილვა.<sup>1</sup>

კოლხეთის უძველესი მოსახლენი ცის მნათობებს: მთიებს, შზეს, მთვარეს, ვარსკვლავთ გუნდს, ცის ბურჯებს, აგრეთვე დილას, განთიადს და სხვ. ლოცვის დროს უგალობდნენ: „მზეშინას“, „თინას“, „ოდილას“, „შავდილას“ და სხვ.<sup>1</sup>

წარმართულ ხანაში ქართულ ღვთაებად მიჩნეული ყოფილა დილა, რომელიც ვენუსის, აფროდიტეს და დილბატის მნათობ ღვთაებათა აღმნიშვნელი იყო.<sup>2</sup>

ივ. ჭავჭავაძის აზრით, დილა მარტო დილის აღმნიშვნელი სიტყვა კი არ არის, არამედ დილის გარკვეული მონაკვეთის ღვთაებაა, რომელიც იგივეა, რაც ბაბილონური „დილიბატი“.<sup>3</sup> დილა, ცისკარი კი, იგივე გამოქვამულის ღვთაება, შემდგომში ნადირთ მთარველად შემორჩენილი, კლდის ქალის — დალის ასტრალური სახეა.

დალი უბრალო ქალი როდია, ის ნადირობის ღვთაებაა. აკად. ნ. მარის ცნობით, ზოგჯერ მას „აფსად“-იც ეწოდება. პროფ. მ. ჩიქოვანი უარყოფს აკად. ნ. მარის აზრს აფსადისა და დალის იგივეობის შესახებ. მისი აზრით, დალი თეთრ კლდეში ცხოვრობს, ჰყავს ჩვილი ყრმა და ინტიმურ კავშირშია მონადირესთან. ნადირთა მშვენიერი უფლის მონადირეებთან დამოკიდებულება ორგვარია. პირველი: მას, ვინც დალის პირობას უსრულებს და მისი საყვარელია, იგი მთარველობს და განსაცდელისგან იცავს; მეორე: ვინც პირობას ვერ უსრულებს, მასზე გულს ადვილად იყრის და სასიკვდილოდაც იმეტებს. მონადირე ჩორლას სიტყვებიდან ირკვევა, რომ დალის „ბევრი გაცივებული გაუთბია, ბევრი მშვიერი გაუძლია“. მაშასადამე, ის არა მარტო ნადირობის ბარაქას ანიჭებს სევან მონადირეებს, არა-

<sup>1</sup> აკ. წერეთელი, თხზ. სრული კრებული, 1965, ტ. VI, გვ. 405.

<sup>2</sup> ივ. ჭავჭავაძის ილი, ქართული ერის ისტორია, 1960, ტ. 1, გვ. 150.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 149.

მედ გაცივებულს ათბობს, მშიერს აპურებს და განსაცდელში მყოფს ეხმარება. დალი კეთილი ღვთაებაა. იგი თეთრ კლდეში ცხოვრობს, ოქროს ნაწნავები და ხელსაქმის ოქროს იარაღები აქვს.<sup>1</sup>

ცნობილი პუბლიცისტი, სვანური ყოფისა და ეთნოგრაფიის საუცხოო მცოდნე ბესარიონ ნიქარაძეც ასხვავებს დალისა და აფსადს ერთმანეთისაგან. გარდა მამა ღმერთისა, წმ. გიორგის შემდეგ ნადირობის მფარველები არიან „დალ“-ი, „აფსად“-ი, „სგიმ-ბერ-მოდღვარ“-ი და „ელ“-ი. წმ. გიორგი თუ მოისურვებს, ჭიხვ-არჩვას მისცემს მონადირეს. მისი მახლობელი თანაშემწეა „კლდის დალ“-ი (ხოჯა დალ): დალი დედათა სქესის მუდამ კლდეებში მცხოვრები არსებაა. საკმარისია, რომ იგი დაენახვოს მონადირეს, საქმე კარგად წაუყვას; მხოლოდ მნახველმა დალის ხილვის ამბავი არ უნდა გაამჟღავნოს, თორემ იგი კლდიდან გადააგდებს. წმ. გიორგისაგან დალის ჩაბარებული ჰყავს ჭიხვები, არჩვები და მათი რიცხვი, როგორც ცოცხალის, ისე მოკლულისა, ყოველთვის უნდა იცოდეს. დალი თავის საყვარელ ჭიხვსა და არჩვს მონადირეს არ მოაკვლევინებს. ხალხურ სიმღერაში დალის შესახებ ნათქვამია, რომ იგი ხანდახან მონადირესთან წვება.<sup>2</sup>

სიტყვა „დალი“, „ალი“, „ჰალი“, „ჰალლუუ“; ქალ-ღვთაების, უფალის, პატრონის მატრიაჩქალური პერიოდიდან მომდინარეა იბერიულ-კავკასიურ პანთეონში... ეს ის ღვთაებაა, რომლის საგალობლები „დელიას“ ან „დივლი დალაღეს“, „დილიღმეს“, „არიო დილას“ თუ „ნანა დილას“ სახით შემორჩა ჩვენს ხალხურ სიმღერებს. ნადირთ მწყემსს — დალის საქართველოში უკვე ღვთაების ნიშნები გამოაჩნდება. ამის დამამტკიცებელია მიწის ასტრალიზაცია და სახელწოდებანი: „ტყაში მათა“ და „დიოფალი დალ“.<sup>3</sup> სისხამ დილით, ბინდის გაყრისას, შესრულებული რიტუალი კვერით, პროფ. ვ. ბარდაველიძის აზრით, მთიების კულტის ამსახველია.

დალის ასტრალური სახე დილის ვარსკვლავია. ამის დასამტკიცებლად ელ. ვირსალაძე წერს: „ბეთქილი ყოველთვის გათენებაზე, სინათლისა და ბინდის გაყრის ეამს იღუპება“.

„საბრლო ბეთქილ, საწყალი ბეთქილ...  
სინათლე და სიბნელე იყოფა.  
ბეთქილი კლდეებში ვარდება...“

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა პოეზიაში კლდეზე ბანდულით დაკიდებული მონადირე დილის ცისკრის ვარსკვლავს ელო-

1 მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, 1959 წ. 1, გვ. 155.

2 ბ. ნიქარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, 1964, ტ. II, გვ. 35.

3 ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 112.

ღება და თან ეშინია გათენების, როგორც სიკვდილის მოახლოვებდა:

„თენდები, ნუმც რას თენდები,  
დიდო ღამეო, ზთვლისაო.  
ამოხვალ, ნუმც რას ამოხვალ,  
ცსკარო, თენებისაო...“<sup>1</sup>

დასაღუპად განწირულ მონადირეს დალისთან ერთად ცისკრის ვარსკვლავიც პირს არიღებს:

„დილის ცისკრის ვარსკვლავი ამოდის,  
მონადირე კაცს თვალი არ მოჰკრა“.<sup>2</sup>

დილა ცისკრის ვარსკვლავითურთ მზის ამოსვლის კომპლექსს ეკუთვნის; მასში ვენერა-აფროდიტე იგულისხმება. ვენერას, აფროდიტეს, ცისკრის ვარსკვლავს შუმერული და ძველი აღმოსავლური ღვთაება დილბატ შეესატყვისება.<sup>3</sup>

საყურადღებო აზრს გამოთქვამს მწერალი-აკადემიკოსი დ. შენგელაია: „ცნობილია, რომ იშთარი იგივე ეთერია, ხოლო ეთერი კი — მზეთუნახავი. გამოდის, რომ იშთარიც მზეთუნახავი ღვთაებაა. კი მაგრამ, რად უნდა ყოფილიყო ეს ასტრალური ქალ-ღმერთი მზის უნახავი? — იმიტომ, რომ იშთარი ძველად ცისკრის ვარსკვლავც (ჩვენს ასტრონომიულ ვენუსს ანუ ვენერას) ეწოდებოდა, ხოლო ეს ვარსკვლავი, როგორც ვიცით, მზეს ვერასოდეს ვერ ხედავს... ეს ვარსკვლავ-ღვთაება ძველ ბაბილონში ორ სახეს ატარებდა. დილის ცისკარს იშთარ-ეთერი ეწოდებოდა, ხოლო მწუხრისას — ბელიტა, რითაც ცისკარი ზესკნელ-ქვესკნელის მთლიანობას გამოხატავდა“.<sup>4</sup> მწერალი შემდეგ იშთარს დალის ადარებს და მას იშთარის ქართულ შესატყვისად მიიჩნევს.

ფინიკიელთა ნაყოფიერების ღვთაება ასტარტაც მთვარის ღვთაებად ითვლებოდა. იგი სიყვარულისა და ქორწინების ღვთაებაა, რომელიც ბერძნულ-რომაულ პერიოდში აფროდიტედ გარდაიქმნა. ასტარტას კულტი მომდინარეობდა ასირიიდან, სადაც ის იშთარად იწოდებოდა.<sup>5</sup>

როგორც ვხედავთ, მსოფლიო მითოლოგიაში დალის ჰყავს ჭეშმარიტი შესატყვისები: იშთარი, ასტარტა, დილბატი, აფროდიტე და სხვა, რომლებიც ცნობილი არიან, როგორც ცისკრის ვარსკვლავები.

<sup>1</sup> ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 112—113.

<sup>2</sup> სვანური პოეზია, 1939, წ. 1, გვ. 285.

<sup>3</sup> გ. ჩიტაია, აქარული დათვა-ბოყვა, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. X—XIII, გვ. 325.

<sup>4</sup> დ. შენგელაია, თხზ., 1960, ტ. II, გვ. 444.

<sup>5</sup> Мифологический словарь, М., 1965.

საქიროდ მიგვაჩნია დ. წერედნიანის სადისერტაციო შრომიდან მოვიტანოთ ამონაწერი:

„მართლაც, მეტად მახვილი თვალია საქირო, რომ არ გამოგვეპაროს ღვთაების ასტრალიზაციის მომენტი. ამ დაკვირვების სიმართლეს ადასტურებს „ბეთქილის“ ყველაზე ადრინდელი ჩანაწერები, შესრულებული რადდეს მიერ, გამოქვეყნებული ჯერ გერმანულად, ხოლო შემდეგ ფრანგულად. მასში შესაბამის ადგილას ასეთი სტრიქონია: „არ დამინდო ცისკრის ვარსკვლავმა“. თარგმანის ყველა ადგილი უკიდურესად ზუსტია. უეჭველია, რომ ზუსტი იქნება ეს ადგილიც. ავტორი ვარაუდობს, რომ ეს ადგილი ხალხში შესაძლოა დღესაც არსებობდესო. ზოგიერთ ვარიანტში „ცისკრის ვარსკვლავს“ ახსენებენ, მაგრამ უფრო ყოფით მიმართებაში“.<sup>1</sup>

ცისკრის ვარსკვლავი რომ დალის ასტრალური სახეა, ეს დასტურდება იმ მასალებით, რომლებიც 1969 წელს გამოაქვეყნა ვ. ონიანმა. „გივარგილში“ ვკითხულობთ, რომ მონადირე წავიდა სანადიროდ:

„დალთა ლაცხატან სანთელი აანთო,  
დაუწყო ცისკრის ვარსკვლავს ლოდინი.  
ვარსკვლავი ამოვიდა, დუღარუყვ, ლოცულობს:  
— დიდება შენდა, დალ ბედნიერო!  
ნება მიბოძე, შენს საუფლოში  
წმინდა ადგილზე ფეხი დაუდგა.  
მიკმარო ჩემი წილი ნადირო,  
თავსა მისას მზეს შევწირავ —  
დედა არის შენი,  
ბექსა მთვარეს შემოვავლებ —  
მამა არის შენი,  
რქებს შევწირავ ვარსკვლავებს, —  
ისინი დაა შენი“.

აქაც დალის ცისკრის ვარსკვლავობაზეა მითითებული. მზე დედა ყოფილა დალის, მამა — მთვარე, ხოლო ვარსკვლავები — დები. დალის საბრძანებელი ადგილები დედამიწაზე მიჩნეულია ცისკრის ვარსკვლავის საკუთრებად:

„ნება მიბოძე, შენს საუფლოში  
წმინდა ადგილზე ფეხი დაუდგა“-ო.

მონადირე თხოვს ცისკრის ვარსკვლავს, შევიდეს მის ადგილებში და ჯიხვზე ინადიროს.

დალის, კლდის ქალის სახის უკეთ წარმოსახვისათვის საჭიროდ

<sup>1</sup> დ. წერედნიანი, სვანური ხალხური პოეზიის ძირითადი ქანრები, დისერტაცია, 1971, გვ. 31.

მიგვაჩნია გავიცნოთ კლდისა და კლდის გამოქვაბულის შესახებ უხსოვარ დროიდან არსებული ზოგიერთი მასალა.

თხემს, მთის თავსა და კლდეში გამოქვაბულს, როგორც წმინდა ბერთა სამყოფელ ადგილებს. ძველ ქართულ ლიტერატურაში იხსენიებს ეფრემ მცირე: „მოაქამდე უცვალებლად დაცული ნათესავი ჩვენი, რომელთა წილ კეთილ ხუდეს რჩეულთა შორის საწამებლად მართლმადიდებლობასა შინა განთქმულებისა წმინდანი ტაძარნი წმიდათა შინა ადგილთა, ადგილი თხემისა და ქუაბი ბეთლემის, ქვაბითურთ საბა წმიდისაით და თორნით სვიმონ წმიდისაით. იყვენენ ესენი მათდა კიბე და წინდ საუკუნოსა ზეცის სავანეთა მკვიდრობისა...“.<sup>1</sup>

ივ. ჭავჭავაძის ადნიშნავს, რომ ძველი ქართველები თურმე თაყვანს სცემდნენ სხვასთან ერთად აგრეთვე „კლდის პირთა“.<sup>2</sup> ეს მტკიცდება თუშეთში დღევანდლამდის შემონახული ჩვეულებით, რის შესახებაც ვახუშტი მოგვითხრობს: თუშებს „აქეთ კლდე დიდი და მაღალი და... მივლენ და შესწირვენ მას კლდესა ცხოვარსა და ძროხასა და თაყვანს სცემენ კლდესა მას“-ო.<sup>3</sup> „თბილისშიც, ძალის უბანში, მტკვართან, კლდის პირას ერთი სალოცავი იყო. სადაც „ჯოჯობა დღეს“ ხალხი გამოქვაბულში შემავალი და მლოცველი, შაქარს უტოვებს ჯოჯობასა“.<sup>4</sup> თუშეთსა და ზევსურეთში კლდისადმი თაყვანისცემას დღესაც შეხვდებით, გუდანის ღვთისმშობლის ხატის შესასვლელში ორ ადგილას კლდეა, სადაც ხატის დობილების სახელზე ლოცულობენ.

ქრისტიანულმა საქართველომ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა წარმართულ ჩვეულებებსა და სალოცავებს. სასულიერო მოღვაწეთა მიერ ჩატარებულმა იდეოლოგიურმა და პრაქტიკულმა ღონისძიებებმა გადაგვარების გზაზე დააყენა და თანდათან მოსპო ადრინდელ საუკუნეებში შექმნილი მუსიკალური თუ სიტყვიერი ფოლკლორი,<sup>5</sup> რადგან ებრძოდნენ „სალოცავთა მათ ადგილთა ქუაბ ავაზაკთა“.

გამოქვაბულის ძველი მნიშვნელობა ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, მოვიტანოთ აკად. გ. მელიქიშვილის ნაშრომიდან ამონაწერი:

„ურარტუს ტერიტორია მოფენილი იყო ღვთაებათა (განსაკუთრებით უზენაესი ღვთაება ხალდის) ტაძრებით, საკულტო ნაგებო-

1 ეფრემ მცირე, უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების, 1959, გვ. 11.

2 ივ. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, 1960, ტ. I, გვ. 88.

3 ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, 1941, გვ. 105.

4 ივ. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, 1960, ტ. I, გვ. 88.

5 მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 91.

ბებით. საკულტო ადგილების ერთ-ერთი მეტად გავრცელებული სახე იყო კლდეში გამოკვეთილი ნიშები.

ურარტუს ხანის ზოგ ასეთ ნიშზე მრავალი ლეგენდაა გავრცელებული. ეს ლეგენდა ითქმის, მაგალითად, ქალაქ ვანის მახლობლად კლდეში გამოკვეთილ დიდ ნიშზე, რომლის სიმაღლე ხუთ მეტრს აღემატება; ნიში კარის ფორმისაა და მის ერთ კედელზე ამოკვეთილია ურარტუს მეფეების — იშფუინისა და მენუას საკულტო შინაარსის ვრცელი წარწერა. ამ ნიშს ვანის მცხოვრებლები ჩვეულებრივ „მხერ-კაპუსის“ ეძახიან, რაც „მხერის კარს“ ნიშნავს. ადგილობრივი მცხოვრებლები მის შესახებ ევროპელ მოგზაურებს სხვადასხვა ლეგენდებს მოუთხრობდნენ.

სახელწოდება „მხერის კარი“ (მხერ-კაპუსი) ურარტუს დროინდელი ამ საკულტო ძეგლისათვის შეურქმევიათ ლეგენდარული დეეკაცის — მხერის — სახელის მიხედვით. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ერთხელ, როდესაც მხერი თავისი მშობლების სასაფლაოზე მისულა, მას მამის სამარიდან ხმა გაუგონია: გეყოფა, მხერ, სიარული ამ ქვეყანაზე, შენი ადგილი აკრურეს ქვაა. როდესაც ქვეყნიერება დაინგრევა და კვლავ აღსდგება, თუ მიწა შესძლებს შენი ცხენის ზიდვას, ქვეყნიერება შენი იქნებაო. მხერი გაემართა ქალაქ ვანისაკენ. გზაზე მან ისარი სტყორცნა ყვავს, მაგრამ ვერ მოკლა. მხოლოდ დასკრა. დაჭრილი ყვავის ღვეზისას მხერმა უცბად იგრძნო, რომ ხდება საოცარი რამ: მიწას ველარ უჭირავს გოლიათი მხერი. შემდეგ მხერი მივიდა ერთი მთის ძირას ვანის ახლოს და იქ შავი კლდე შენიშნა. მაშინ თქვა მხერმა: „მოდი, დაეკრავ მახვილს ამ კლდეს, თუ გაიპობა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ უცოდვილო ვარ, ხოლო თუ არ გაიპობა, ეს იმის ნიშანია, რომ ცოდვილი ვყოფილვარ. როგორც კი დაჰკრა მან მახვილი კლდეს, კლდე მაშინვე გაიპო ორად. მხერი თავისი ცხენით შევიდა კლდეში და მის უკან კლდე კვლავ შეიკრა. აქედან დაერქვა ამ ადგილს „მხერის კარი“.<sup>1</sup>

გოლიათური სიძლიერის კაცი — მხერი კლდეში შესულა და შიგ დარჩენილა, რადგან ღედამიწამ ვერ შეძლო მისი ტარება. საჭიროთა ყურადღება მიექცეს, რომ კლდის ნიში, სადაც მხერი შესულა, გარედან კარის ფორმისაა. ასეთ ნიშთან მიდიოდნენ ურარტუელები მსხვერპლის შესაწირავად.

შეგვიძლია დავუმატოთ: საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული თამარ მეფე მთაშიც ღვთაებრივ ძალად იქცა, თამარ მეფის სახე გაერთიანდა სხვა მითურ გმირებთან და ღვთის შვილებთან. გადმოცემაში თამარ მეფის შესახებ ვკითხულობთ: „შემერ-

<sup>1</sup> გ. მელიქიშვილი, ურარტუ, 1951, გვ. 120—121.

თან კლდეა, ქვა გახეთქილას ვეტყვით. იქ ლოცულობდა თამარ დედოფალს უშვილო ქალი.

იქ კლდე ყოფილა გახეთქილი და იქ შესულა თამარ მეფე.<sup>1</sup>

მთიანი საქართველოს მცხოვრებლებმა თავისი ძველი სალოცავი დაუკავშირეს ქრისტიანი მეფის სახელს, რითაც ძველ წარმართულ სალოცავს შეუნარჩუნეს ქრისტიანულ სახელმწიფოში არსებობის უფლება.

ეს მაგალითი სხვა მხრივაც საინტერესოა: ქრისტიანი მეფე შევიდა კლდეში, — ჩანს, რომ რომელიღაც ძველი კეთილი და ძლიერი ღვთაება, რომელიც ქრისტიან მეფით შეცვალეს, შესულა კლდეში და შიგ დარჩენილა ისევე, როგორც სხვა ძლიერი ღვთაებები.

ს. მაკალათია, ეხება რა წმ. გიორგის მითრასა და კულტს, წერს: „გარდა ამისა, წმ. გიორგისთანაა აგრეთვე დაკავშირებული გამოქვაბულთა თაყვანისცემა. ამ გამოქვაბულებს მითრელებიც თაყვანსა სცემდნენ...“

მითრა იყო კლდიდან შობილი ღვთაება და მისი სამლოცველოები გამართული იყო გამოქვაბულში, სადაც იმართებოდა მისი მისტერიები“...<sup>2</sup>

ქვემოთ ერთმანეთს ვადარებთ სხვადასხვა მითების გმირთა ყოფის ზოგ ამბავს. შედარებებში ყურადღებას ვამახვილებთ კლდესა და ციხე-კოშკებზე, რომელთაც ბროლის ქვად ან მათ სახესხვაობად ვგულისხმობთ.

სომხური ეპოსის გმირი სანასარი მზეთუნახავის კოშკის წვერიდან ხსნის ოქროს ვაშლს, ჩამოაგდებს დაკიდებულ ლახტს, ზღვის ფსკერზე მყდფ. დრაკონს ართმევს კენჭ-თილისმას და მზეთუნახავი აღებს კოშკის ფანჯრებს, რის შემდეგაც:

„ქალი ისროდა ნათელს დიდებულს  
და გზებს ეფინა სხივი ახალი“.<sup>3</sup>

მზეთუნახავის მამა კვლავ მოსთხოვს გმირს:

„ტუვე მყავს სამოცი,  
გმირი სამოცი კლდეში ჩასმული,  
მათ შეგაბრძოლებ, თუ გაიმარჯვებ,  
მზად ვარ შეირთო ჩემი ასული“.<sup>4</sup>

1 ფ. არქივი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივი, 104, გვ. 172.

2 ს. მაკალათია, „ჩვევ-მისარონის კულტი ძველ საქართველოში“, გვ. 25.

3 დ ა ვ ი თ ს ა ს უ ნ ც ი, სომხური ეპოსი, მთარგმ. ალიო მაშაშვილი, სანდრო ეული და სხვ. შესავალი წერილი პავლე ინგოროყვასი, 1939, გვ. 30.

4 იქვე, გვ. 31.



ოსური ეპოსის „ნართების“ ერთ თავში მოთხრობილია ნართ ვაზის შვილის აცმაზასის და შავი მთის ბატონის მოხუც საინავის ტურფა ავუნდას სიყვარულის ამბავი. ნართები იძულებული არიან მოიტაცონ ქალი. ნართ-ანგელოზებმა სჯა დაიწყეს:

„შავი მთის კლდენი მაღალი არი და მიუვალი,  
შიგ ვინ შევიდეს, ვინ მოიტაცოს  
შავი მთის ბატონის ლაშაი ქალი?  
თეთრწვერა საფა ნიშნის მოგებით  
მიმართავს მაშინ ღრუბლის ღვთაებას:  
„მომეცი ერთი ღრუბლის ფანტელი,  
რომ მისი ელეა შავ კლდეს ჩაებას  
და მაშინ ენახოთ — ვინ გადასძალავს:  
იმ კლდის პიტალო, თუ ჩემი ძალა!  
შენ დაარღვიე შავი მთის ბუნეი  
და მე და ვასთირკს მოგვენდოს ისა,  
თუ როგორ უნდა, რომ მოვიტაცოთ  
ტურფა მემკვიდრე მკაცრ ბატონისა!“

ნართები აპირებენ კლდის გატეხვას და მზეთუნახავის მოტაცებას. ამბის ბოლოს შავი კლდის ბატონი თმობს ქალს:

„ჩემი ნათელი სტუმრების ხათრით,  
ჩემს ერთად-ერთ ქალს ვაღირსებ ცოლად  
ღირსეულ ნართის ღირსეულ შვილსა,  
რომელთ მოდგმასაც ვთელი მე ჩემს ტოლად“.

აცმაზიც ხომ კლდის კაყის სინათლეა, ძალაა. ის:

„...შავი მთის წვერზე  
ავა, დაქდება კაყოვან კლდეზე“...<sup>1</sup>

და ზარნაშოვან ოქროს სალამურს ჯადოსნურ ხმებს გამოაცემინებს.

მითური გმირები კლდისა და კლდის გამოქვაბულის მკვიდრებად გვევლინებიან. მთიულეთში, მღვთის მახლობლად, კლდეში დიდი გამოქვაბულია, რომელსაც „ამირანის გამოქვაბულს“ ეძახიან.<sup>2</sup> ქალღვთაება დალიც გაიგივებულია კლდესთან:

„დალი კლდეში მოსთქვამს, უფრო (კი) კლდეები მოსთქვამენ“.<sup>3</sup>

„მისი (დალის) კივილი მთელ ტყვიბრს ედება, უფრო კლდეები მშობიარობენ“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ნართები (ოსური ხალხური ეპოსი) თარგმ.: გ. ლეონიძე, ვ. გორგაძე, ს. ფაშალიშვილი, სტალინირი, 1947, გვ. 304.

<sup>2</sup> მ. ჩოქოვანი, ქართული ეპოსი, 1959, I, გვ. 38.

<sup>3</sup> სეანური პოეზია, 1932, I, გვ. 269.

<sup>4</sup> ვ. თნიანი, „გვიარგილის“ შესავალი წერილი, 1969.

ბერძენთა მითური გმირი ჰერაკლე ცხენების ძებნაში გადაეყარა კლდის გამოქვაბულში მყოფ ქალთევზს, რომელთანაც სამი შვილი შეეძინა<sup>1</sup>. ოსური ნართების ერთ-ერთ თავში — „სოსლანის დაბადება“ — გვხვდება შემდეგი ამბავი: ნართი ურიზმაგი კლდის გამოქვაბულში შედის ღამის გასათევად, გამოქვაბულის ულამაზესი ღვთაება სთხოვს საწოლის გაყოფას. ურიზმაგი უარს ეუბნება, მაშინ მას დასწყევლის გამოქვაბულის ღამაში ღვთაება: „აწ მამრობითი უნარი შენი ცივ ქვას შეეხოსო“.<sup>2</sup> ვნებამორეული ურიზმაგი იმ ღამეს ეუღლება კლდეს:

„ცივი კლდე იმას იზიდავს თვისკენ,  
და ურიზმაგიც მიიწევს კლდისკენ,  
მიიწევს, ეკრის ვნებით დამტკბარი  
და ეუღლება, როგორც ცოლს ქმარი“.<sup>3</sup>

მაგიაში განსწავლული ქალი სათანა, ურიზმაგის ცოლი, ცხრა თვის შემდეგ მიდის კლდესთან ურიზმაგის შვილის წამოსაყვანად:

„მათ თვალწინ მოხდა საკვირველება:  
შუა გადიბო უცბათ კლდე სალი,  
უფსკრულმა ცეცხლი ამოაფრქვია  
ზეცაში ლურჯად ავარდა ალი და  
ელვასავით ქვის წიაღიდან  
გადმოხტა ბალღი-ნართი სოსლანი.  
ის იყო როგორც ელვის ნატეხი,  
მის მხურვალეობით დნებოდნენ მთანი“.<sup>4</sup>

სომხური ეპოსის გმირი ქალი, წყურვილისაგან შეწუხებული მეთვის ნაზი ქალწული ნატრობს წყალს:

„მართლაც გაიხსნა ზღვა უცაბედად,  
ტალღაც დაწყნარდა აღარა ცხარობს,  
გამოჩნდა ლოდი და მის გულიდან  
ამოიხუხჩუნდა ანკარა წყარო“...<sup>5</sup>

---

ცნობილია სამონადირეო ლექსი:

„კლდემ გადასძახა კლდესაო,  
მონადირეა ჩვესაო,  
ვაჩუქეთ მსუქანი ჭიხვი  
თვარა მოგვიკლავს მკლესაო“.

აქ გამოთქმა „კლდემ გადასძახა კლდესაო“ უბრალო პოეტურ შედარებად არ უნდა ვიგულისხმოთ.

1 მ. ჩოქოვანი, ქართული ეპოსი, 1959, 1, გვ. 100.

2 ნართები (ოსური ხალხური ეპოსი), 1947, გვ. 246.

3 იქვე, გვ. 246.

4 ნართები (ოსური ხალხური ეპოსი), 1947, გვ. 246.

5 დავით სასუნცი, 1947, გვ. 6.

ამ წყაროს წყლის შესმის შემდეგ:

„გავიდა ხანი, ერთ მშენიერ დღეს,  
წოინარ ხანუმ ფეხშიშველ გახდა  
და გაიფიქრა: ზღვისგან თუ არი,  
აღბათ განგების სურვილი ახდა“.<sup>1</sup>

აპოლონ როდოსელი არგონავტიკაში მოგვითხრობს, თუ როგორ დაჰკრა კლდეს ფეხი მოწყურებულმა ჰერაკლემ და წყარო გამოადინა.<sup>2</sup>

საპიროდ მივვანნია მივეთითოთ მითურ გმირთა ყოფის ზოგ ადგილზე: ნართი სოსლანი კლდიდან ცეცხლის ალად რომ გამოვარდა, წყალში ჩავარდა, ბოროტმა ძალებმა მოაჯადოვეს და ველარ შესძლო ზღვიდან გამოსვლა, სანამ ნართების მფარველმა დედამ — სათანამ, არ დაარიგა ნართი ქაბუკები, თუ როგორ მოეხერხებინათ სოსლანის დაბრუნება ნართ ძმებთან.<sup>3</sup>

იახსარი ლახტის დაკვრით კლდეს გახეთქს, დევს თვალს გამოსთხრის; დევი ტბაში შევარდება. იახსარიც შეჰყვება შიგ, ჰკლავს დევს, სისხლი მხრებს უკრავს, უკან ველარ გამოდის.<sup>4</sup>

სომხური ეპოსის გმირი სანასარი კლდიდან გამოსულ გმირებთან ომის დროს კინალამ დაიღუპა:

„ირგვიც ცხედრების დაღა გორები,  
შუაში სისხლის ტბა შორიკალა,  
ტბაში მოექცა გმირი სანასარ,  
ველარ ამოდის ტბიდან ვაჟაკი,  
სისხლით ავსილან ცეცხლის თვლები“.

ძმა გაიგებს, დაეხმარება — მისი ძმა ძმას ამოიყვანს სისხლიდან.<sup>5</sup> ამირანიც კინალამ დაიხრჩო დევების სისხლში.<sup>6</sup>

აფხაზი აბრსკილი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია ამირანის ორეულად, ზეგარდმო ძალით ჩაისახა:

ძველ დროში აფხაზეთში ცხოვრობდა სახელოვანი და მდიდარი ოჯახის მშენიერი ასული, რომელმაც პატარაობიდანვე აღუთქვა ღმერთს, რომ ქალწული დარჩებოდა. მშობლებს ძლიერ გაუხარდათ, რომ ქალიშვილმა ღვთისმსახურებას და ვედრებას შესწირა თავი.

1 დავით სასუნცი, 1947, გვ. 6.

2 აპოლონ როდოსელი, არგონავტიკა, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და განმარტება დაურთო აკაკი ურუშაძემ, 1948, გვ. 195.

3 ნართები, ოსური ხალხური ეპოსი, 1947, გვ. 250.

4 თ. ო ჩ ი ა უ რ ი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967 წ., გვ. 141.

5 დავით სასუნცი, სომხური ეპოსი, 1947, გვ. 32.

6 ხალხური სიბრძნე, VII, 1964, გვ. 18.

რამდენიმე წლის შემდეგ ქალწული დაორსულდა. მშობლებს არ წყენიათ ეს, რადგანაც დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი ქალი ზეგარდმო ძალით იყო ორსულად. ქალმა შვა ვაჟი. ვაჟი ძალიან ჩქარა იზრდებოდა. ათი წლის რომ გახდა, ნამდვილი ვაჟკაცი იყო სახითაც, ღონითაც და გულადობითაც. ვაჟს სახელად აბრსკილი დაარქვეს. აბრსკილმა მალე გაითქვა სახელი მთელს აფხაზეთში თავის ვაჟკაცობით, ქვრივ-ობოლთა და ჩაგრულთა მფარველობით<sup>1</sup>.

ამირანის უმანკოდ ჩასახვის რამდენიმე ვარიანტი ქართულ ამირანიანის ციკლში მოგვეპოვება. ერთ-ერთია მ. ჩიქოვანის „მიჯაქვეულ ამირანში“ — მოცემული 30-ე ნომრის მასალა 1947 წ. კახეთის ექსპედიციის დროს მოპოვებული; ამ მასალის მიხედვით მითური გმირი — ამირანი — კლდეში მცხოვრებ ქალწულს უმანკოდ ჩაესანა.

კლდე სიმაგრისა და ძლიერების სიმბოლოა, მისი უმაღლესი სახეობა ბროლია — ნათელი, გამჭვირვალე, სპეტაკი; კაჟი კი (ბროლის სახეობა) ნაპერწყლის ბუდე და ენერგიაა.

ნართი ვაზის შვილიც კაჟის ქვაზე იჯდა და ისე აჯადოებდა შავი კლდის ბატონის მზეთუნახავ ქალს<sup>2</sup>.

ბროლის, როგორც ქვისა და კლდის უმაღლესი სახის მნიშვნელობა ცეცხლურ ენერგიაში მელავნდება. სულიერი ძალებიც ცეცხლური ენერგითა და ნათების უნარით გამოირჩევიან. რელიგიები ძირითადად „ცეცხლის კულტით“ საზრდოობდნენ. ა. დრევსის აზრით, ბუდიზმსა და ქრისტიანობას „ცეცხლთაყვანისცემა, ცეცხლის კულტი“ უსწრებდა, რომელიც მზის, ე. ი. დღის სიმციროსა და დღელამის სწორების დროს რიტუალური პროცესით აღინიშნებოდა. ხოლო ბუდა და ქრისტე, როგორც გამგრძელებლები „მზის დაბადებისა და სახეცვლილებისა, უშუალოდ ცეცხლთაყვანისცემის გაგრძელებად ითვლებიან. თვით ბუდა და ქრისტე კი კოსმიური ცეცხლის მატარებლებად.<sup>3</sup>

როგორც ირკვევა, ცეცხლი „ღმერთების ღმერთია“, მისი მშობელი კი — ცის ნათელი. იესო ქრისტეს დედა „სინათლის დედაა“. ბიბლიაშიც ცეცხლი, როგორც ღვთაებრიობის სიმბოლო, ხშირად გვხვდება, მაგ.: ეგვიპტელებს, რომლებიც ებრაელებს გამოედევნებინ, უდაბნოში ცეცხლის სვეტად დასტრიალებდათ თავზე ანგელოზი.<sup>4</sup> აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ „ღმერთი გადმოითარგმნების

1 მ. ჩიქოვანი, „მიჯაქვეული ამირანი“, 1947, გვ. 386. აფხაზეთი.

2 ნართები (ოსური ხალხური ეპოსი), 1947, გვ. 298.

3 А. Дрeвc, Мнѳ о Христe, 1925, გვ. 77, 82.

4 ბიბლია, ნაწილი პირველი, წიგნი მოსესი, გამოსვლია, 1884, გვ. 136, კლ.

ხედვად და წვად“.<sup>1</sup> წმინდა გიორგი, როგორც ღვთაებრივი ცეცხლური ძალა, კარგად გამოიკვლია ლ. კვირიკაშვილმა.<sup>2</sup> ქართულ ზეპირსიტყვიერებაში დიდძალი მასალა მოიპოვება ღვთაებისა და ცეცხლის ერთიანობის საკითხზე. ავი ძალისაგან, დვეისაგან, შეშინებული კაცი წმინდა გიორგის შესთხოვს დახმარებას. — „მიშველება და დაუწვავს წმინდა გიორგის ის წყეული“.<sup>3</sup> მთიულეთის სალოცავი — პირიმზე ფუძის ანგელოზიც ცეცხლური ენერგიით ეხმარება გაჭირვებაში მყოფ ყმას:

„გწყალობდეს ყველა ხატები მთლად საქართველოს მხრისაო, მცხეთაში სვეტიცხოველი, მღეთაში ლომისისაო, ხეშია წმინდა სამება, მალლით მყურები ყმისაო, პირიმზე ფუძის ანგელოზ, მშველელი უყმო ყმისაო, ეამ და უეამოს მავალი თავზარდამცემი მტრისაო, უპირაეს ცეცხლის მათრახი გამნათებელი გზისაო“.<sup>4</sup>

მკვლევარი თ. ოჩიაურიც მიუთითებს მთიულთა სალოცავის ფუძის ანგელოზის ცეცხლურ ენერგიაზე. შეშინებული კაცი რომ გაიფიქრებს — „გამიჭირდა და მიშველეო! — იმ წუთში იქ დაიბადება, ცეცხლის სახით ნახავს“.<sup>5</sup>

თუმცესაც „ლაშარის ჯვრის“ ძალა წარმოდგენილი აქვთ ცეცხლური ენერგიითა და ნათებით.

ხევსურთ ხატს „პირქუშ ცეცხლისალიანს“ უწოდებენ. „დღესაც ის აშინებს სხეებს — ანგელოზებს, ცეცხლიანი ას ისი; ცეცხლიანი მათრახი აქვის“.<sup>6</sup>

ხევსური მლოცველნი ღვთისშვილთ შუქითა სცნობდნენ: „ღამითავ შექთ უშობდისაჲ“. ან „...ისეთ შუქს უტევდისაჲ, რო კაცივ თვალთ ვერ შაყრიდაჲ.“<sup>7</sup> ხევსურთ საამაყო მითური გმირი კოპალა საბრძოლო იარაღად ლახტთან ერთად ცეცხლსაც ხმარობს. კოპალა მთელ ტყე-ქალას ბუგავს ქაჯიან-კბილსავარცხლიანად“.<sup>8</sup> დევების ბინას ლახტი ესროლა და ცეცხლი წაუკიდა.<sup>9</sup> მლოცველნი ნაცეცხლურით ან ნაცრით სცნობენ კოპალას ნახელავს. კოპალას ყანაში დაუწყვეტია დევები „ცეცხლი აშჩინდაჲ იქაურობისაჲ“—ო ან და დი-

1 ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, 1966, თხზ., IV, გვ. 253.

2 მაენე, 1969, გვ. 99.

3 ე ლ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, ქართულ მთიულთა ზეპირსიტყვიერება, მთიულეთ-გუდამაყარი.

4 იქვე, გვ. 232.

5 თ. ო ჩ ი ა უ რ ი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967, გვ. 168, 180.

6 იქვე, გვ. 164.

7 იქვე, გვ. 191, 192.

8 იქვე, გვ. 187.

9 იქვე, გვ. 158—159.

ლას ნახულობს კოპალას ღამით ნაბრძოლს და ამბობს: „კაცის ოდენა ნაცარ იყავ ჩაშლილივ“.<sup>1</sup> ცეცხლს ღვთაება კვირიას ლახტიც აჩენს, გადმოცემით კვირიას „...მიუცავ კარატიონისად საგმრო ლახტი, ცეცხლია რალაცა ას გაკეთებული; ცეცხლს გააჩნდ, როდესაც დახ-კრევედ“.<sup>2</sup> იახსრის ხატს ნათელი ვარსკვლავის სახით ხედავენ ხოლმე.<sup>3</sup>

ერთმა ხევსურმა გვიამბო ბიძის მონაყოლი, თუ როგორ შეხვდა ავი სული; სანამ ბოროტი ძალა მიუახლოვდებოდა, მყრალი სული ეცა და ბრუვდებოდა...“ ვახსენე ჩვენი სალოცავი ხატი, უცბათ რალაც ცეცხლივით შემოეხვია ავ სულს, მე გონი დავკარგე, რომ გამოეფხიზლდი, არავინ იყო“.<sup>4</sup>

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით თვით წმინდანის ხატის შესახებ ნათქვამია:

„ხატი ღომისკარელი“ გამოიყოლა ტრაპიზონიდან მოსულმა ორმა ძმამ. ხატის მოსამსახურედ წამოიყოლეს ერთი ოჯახი. გადმოსახლებულ ხატს აუშენეს პატარა სადგომი და დარაჯი მიუჩინეს, მაგრამ ხატს ხშირად ნახულობდნენ ტრაპიზონიდან გადმოსახლებულის ჩამომავალ დათია ტრაპაიძის ოჯახში. ეგონათ იპარავდნენ, მაგრამ ერთხელ დაინახეს, რომ რალაც ნათელი მოდიოდა დათია ტრაპაიძის სახლიდან ეკლესიისაკენ. ერთი კაცი დაინტერესდა, აილო ვედროთი წყალი. წავიდა ჩასაქრობად. მიუახლოვდა თუ არა ბუღრი-ალას, კაცს ხელები გაუშეშდა. მანათობელმა გადაუარა თავზე და თავის სადგომში (ეკლესიაში) დაბრუნდა“.<sup>5</sup>

კაჟი, როგორც ცეცხლის წარმომშობი, გვხვდება ზღაპრებშიც. ზღაპარ „მონადირის შვილის“ ერთ-ერთ პერსონაჟს დევკაჟიანი ერქვა. დევკაჟიანი ცხრა ძმა ღვეს შვიდკაცი ჭაჭვით ჰყავდა დაბმული ოთახში. დევკაჟიანმა, როგორც კი მზის სხივი იხილა, ჭაჭვები დაწყვიტა, გაიტაცა ცხრა ძმა ღვეის და და გაუჩინარდა. დევკაჟიანს ძლიერი ძალა ჰქონდა და ამოსუნთქვის დროს ცეცხლს აფრქვევდა.<sup>6</sup> ანალოგიური გადმოცემები გვხვდება სვანურ ზღაპრებშიც.<sup>7</sup>

ძველი სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი გადმოგვცემს უალ-

1 თ. ო ჩ ი ა უ რ ი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967, გვ. 171.

2 იქვე, გვ. 176.

3 თსუფა, № 8795.

4 თსუფა, № 8796.

5 თსუფა, № 9822—5.

6 ხალხური სიბრძნე, 1, 1963, გვ. 156.

7 О. С. Он и а н и, виды Сванских волшебных сказок, Автореферат, диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Т. 1971, гв. 14.

რესად საინტერესო ცნობას ვართრავნის ეპოსზე, რომელიც წარმართულ ხანაში გავრცელებული ყოფილა ამიერკავკასიაში. ხორენელი წერს: „მშობიარობის ტკივილებს განიცდიდა ზეცა და დედამიწა. მშობიარობის ტკივილებით შეპყრობილი იწვა ძოწით მოსილი ზღვა:

ზღვამ შვა წიჟელი ლერწამი,  
ლერწმის ყელიდან ამოდიოდა კვამლი,  
ლერწმის ყელიდან ამოდიოდა ალი,  
ალიდან ამოდიოდა ვაჟი,  
მას ჰქონდა თმები ცეცხლისა,  
მას ჰქონდა წვერი ალისებრი,  
ხოლო თვალები — მზე, —

ჩვენ თვით გაგვიგონია, — განაგრძობს მოსე ხორენელი, — თუ როგორ მღეროდნენ ამას ქნარის აყოლებით. შემდეგ სიმღერაში უმღეროდნენ ვაჰაგნის (ვართრავნის) ბრძოლას ვეშაპებთან და ვაჰაგნის მათზე გამარჯვებას. ყოველივე, რასაც მღეროდნენ მგოსნები (ვაჰაგნი — ვართავნის შესახებ), დიდად ემსგავსებოდა პერაკლეს გმირობათა მოთხრობას.<sup>1</sup>

მაგალითებიდან ჩანს, რომ ქართულებს ზებუნებრივი ძალების სახედ — ცეცხლური მოვლენა ჰქონდათ წარმოსახული, რომელიც, სინათლის გარდა, სიძლიერესაც აცლენს, რითაც ბოროტ ძალებს სპობს.

მზის ღვთაება მითრაც არ იყო მარტო მზის შვილი; იგი ცეცხლის, კოსმიური ნათების შვილია.

ედ. ტეილორი ცეცხლურ ენერჯიას ადამიანის მაცოცხლებელ ძალებად მიიჩნევს: ადამიანის სუნთქვითი პროცესი წვა არის, ... ორგანიზმის ცხოველმყოფელობა სხეულში მყოფ ცეცხლურ ენერჯიაზე დამოკიდებული.<sup>2</sup> ისლამის თეოლოგები ჯინებს ფაქიზ არსებებად სახავენ. მუჰამედ ყაზვინის აზრით, ანგელოზები შექმნილი არიან ცეცხლის სინათლისაგან, ჯინები ცეცხლის ალისაგან, ხოლო შაითნები კვამლისაგან.<sup>3</sup> რაფაელი თავის ნახატში „განთავისუფლება

1 პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, ეურნ. „მნათობი“, 1939, № 11, გვ. 180.

2 Тэнлор, Антропология, 1924, გვ. 259.

3 А. Веселовский, Этнографическое обозрение, 1890, У. К. вопросам дуалистических космогоний. Н. Марр, Иран, 1919 г. Н. Марр-Термин «скиф» яфет. сборник, 1, 1922, გვ. 132.

ციტირებულია მკვლევარ მ. ჩაჩავას ნაშრომიდან „დემონური პერსონაჟები ქართულ ფოლკლორში“, დისერტაცია, 1971, გვ. 71.

პეტრე მოციქულისა“ ანგელოზს მანათობელ არსებად წარმოგვიდგენს.

ძველი თუ ახალი ღვთაებების უშუალოდ ცეცხლურ ენერგიასთან დაკავშირება კარგად აქვს გაშუქებული ა. დრეცს, რომელსაც ცეცხლი ყველა რელიგიის საფუძვლად მიაჩნია. იხილავს რა ჯვრის წარმოშობის ისტორიას, ავტორი ამართლებს მკვლევარებს ბიურნუფსა და შლიმანს, რომლებიც მსოფლიო რელიგიების სიმბოლოს— ჯვარს — „ცეცხლის აკვანად“ სთვლიან. მითრას ცეცხლის თაყვანისმცემლებიც უზბლზე ჯვარს იკეთებდნენ.<sup>1</sup>

კლდეში სულიერი ძალების ყოფნის შესახებ საკმაოდ ბევრი მაგალითი მოიპოვება: მზეთუნახავის მაძებარი გმირი უამრავ დაბრკოლებებს გადალახავს, შემდეგ ალებს აღმასის კლდეს, გამოჰყავს ქალი და ცოლად ირთავს.<sup>2</sup> ბევრ შემთხვევაში ასეთ ქალებად ავი სულებიც გვევლინებიან. მაგ.: მთიულური თქმულებით აღქაჯს წითელ კლდესთან ამჩნევენ თმებ გაშლილსა და აკივლებულს. მისი ხმა მსმენელს ჰკუიდან შლის.<sup>3</sup> ქართული ხალხური შელოცვების ტექსტების მიხედვით კი კლდიდან ხან კეთილი და ხან ავი ძალები გამოდიან.

\* კლდე და ქვა უძველესი დროიდანვე სულიერი ძალების სამყოფელადაა ჩაგულისხმები. ბიბლიური იაკობი ქვას „ღვთის სახლს“ უწოდებს. მისი ლოცვა ქვის წინ და ზეთის ცხება მიგვითითებს ქვასა თუ კლდესთან მსხვერპლშეწირვის პირველადობაზე.<sup>4</sup> ჯ. ფრეზერი ფიქრობს, რომ ადრეული ხანის ხალხის წარმოდგენით ღმერთები ქვაშიც ცხოვრობდნენ. ასეთი შეხედულება ბევრს აქვს. ჯ. ფრეზერს მოჰყავს მაგალითები ცენტრალური აფრიკის, საფრანგეთის სუდანის, სამხრეთ ნიგერიისა და სხვა ქვეყნებიდან, რომელთა მცხოვრებთ წარმოდგენიათ, რომ ქვასა და კლდეში კეთილი ან ავი სული ცხოვრობს და მას მსხვერპლს სწირავენ.<sup>5</sup> ახალ გვინეაში ღვთსაც გვხვდება „სულის ქვები“ — „კურუკუ“. თანამედროვე მოგზაურეთნოგრაფი იენს ბიერი წერს: გვინეელები ქვებს წინაპართა წმინდა და საწესო ჭოხში ინახავენო. წმინდა ქვებთან ერთად ბელადების თავებსაც მარხავენ, ზოგან კი ფრინველის მსგავსი ქვის ფიგურებიც იპოვენო. მსხვერპლშეწირვის ცერემონიალის დროს ახალ გვინეის ღვთაებათა პანთეონის მთავარ ღვთაებას — ებინს ე. წ. ქალის ქვაზე

<sup>1</sup> А. Древи, Миф о Христе, 1925, гл. 94, 97, 102, 104.

<sup>2</sup> ხალხური სიბრძნე, 1, 1963, გვ. 354.

<sup>3</sup> ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება (მთიულეთ-გუდამაყარი), 1958, გვ. 295.

<sup>4</sup> დაბადება (ბობლია), ნაწ. 1, 1884, გვ. 71.

<sup>5</sup> Д. Ж. Фрезер, Фольклор в восточном завете, перевод с английского, 1931, гл. 222.



აწვენენ. აქვთ, აგრეთვე, უცნაური ფორმის ქვები, რომელთაც „ეშ-მაკის ქვებს“ ეძახიან და სპეციალურ ადგილებში ინახავენ. მათი შეხება არ შეიძლება, რადგან ავადმყოფობას იწვევს. აქვე აქვთ სფეროსებური ქვები, რომელთაც მზიურ კვერცხებს ეძახიან. მათ ნახვა-შეხებას კი სარგებლობა მოაქვს.<sup>1</sup>

სვანეთის ყოფაშიც არსებობდა კეთილისმყოფელი მარმარილოს სფეროსებური ქვა, „ბურთი“ (ქუთი ყუაბ-ი). სპეციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი პიროვნება იღებდა თეთრ, ქათქათა ბურთს ხელში და მლოცველისაკენ გააშვერდა. მავედრებელნი თვალს ვერ უსწორებდნენ და დანახვისთანავე მუხლებზე ტყემოდნენ. პროფ. ვ. ბარდაველიძის აზრით სფერული მარმარილოს ქვა მზის სიმბოლო უნდა ყოფილიყო.<sup>2</sup>

ქვისადმი თაყვანისცემა ქართველებს ადრეულ საუკუნეებიდანვე სცოდნიათ: თეიმურაზ ბატონიშვილი წერს, რომ ქართველები ღმერთებს ბოჩსა და სხვათა ქვების გროვაში გულისხმობდნენ და ბომონებიც ქვისა ჰქონიათ.<sup>3</sup> ქიზიყში, წმ. ნინოს მონასტრის ეზოში მდებარე „ქალქვაც“ უძველეს სალოცავთა რიცხვს ეკუთვნის. თუმცა შემორჩენილი გადმოცემით წმ. ნინოს მოწაფედ არის ნაგულისხმები.<sup>4</sup> მსგავსი გადმოცემები უამრავია, ნიშებით კი („ქალქვა“, „კაცქვა“, „ძუბუქვა“ და სხვა) მოფენილია საქართველოს ტერიტორია. მსოფლიო მასშტაბით ქვათა თაყვანისცემის შესახებ შესანიშნავ ცნობებს გვაწვდის ვახტანგ კოტეტიშვილი: „...უძველეს ღროს და ღღესაც, უკულტურო მოდგმათა შორის, ღვთაებათა ჩვეულებრივი სიმბოლოები ქვები იყვნენ. ზოგი — ციდან ჩამოცვენილი აეროლითები, რომელთაც ციდან გამოგზავნილად სთვლიდნენ და თაყვანსაც სცემდნენ. პავსანიუსს (II ს. ქრ. შ.) ბევრგან უნახავს ქვები ტაძრებში, როგორც თლილი, ისე გაუთლელი, რომელთაც თაყვანსაც სცემდნენ. ეს ქვათა თაყვანისცემა გავრცელებული ყოფილა ყველგან—აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ამ თაყვანისცემის ნიშნები ჩვენში ღღემდე შემონახულია, თუნდაც იმავე ჭაეახეთში, ფარაენის ტბის არემარეში. იქ ღღესაც გვიჩვენებენ გაქვავებულ ცხვრის ფარას თავისი მწყემსებით, ნეფე-ღედოფალს და სხვ..., რასთანაც მრავალი

1 ი ე ნ ს ბ ი ე რ ი, შეხვედრა ქვის ხანასთან, 1970 წ., გვ. 29, 36, 92; ტეილორი ქვისადმი თაყვანისცემის მიზეზს წინაპართა კულტში ხედავს, რადგან პირველყოფილ ადამიანთა აზრით, ადამიანი სიკვდილის შემდეგ გამოქვაბულებსა და კლდეებში იბუდებს.

2 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1941, გვ. 62.

3 თ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ისტორია დაწყებითან ივერიის, ესე იგი, გეორგიისა რომელი არს სრულიად საქართველოსა, 1848 წ., გვ. 75.

4 გაზ. „ივერია“, 1888, № 9.

თქმულება არის დაკავშირებული და საკულტო ნიშნებიც ჩანს. ასეთივე ხასიათის ძეგლია მანგლისის მთაში, სოფ. ახოტილას თავზე, ე. წ. „მამიდაის ქვა“, რომელიც დაკავშირებულია ამინდთან. გვალვისა თუ წვიმების დროს, დღესაც ამ ქვისაკენ მიემართება პროცესია და ლოცვა-ვედრებით ან მხარს უბრუნებენ ქვას, ან ასწევენ თუ დასწევენ. თითონ ქვას კი ადამიანის ფიგურების კონტურები აქვს. მსგავსი კულტის ნაშთები სხვა ადგილებშიც გვხვდება, როგორც მაგალითად, კობალას ქვა ფშავში, სალოცავი ქვა დღემდე შემონახული არაგვის ხეობაში ეჩნვალის ზემოთ, ქსნის სათავეში, მეჯუდის ხეობაში და სხვ.<sup>1</sup>

პროფ. მელიქსეთ-ბეგის ცნობით სოფ. განძაში არის ქვა, რომელსაც ადგილობრივი სომხები არა მარტო „რძის ქვას“, არამედ წმ. სარგისსაც უწოდებენ. წმინდა სარგისი იგივეა სომხებისათვის, — აღნიშნავს განსვენებული პროფესორი, — რაც ქართველებისა და ბერძენებისათვის წმინდა გიორგი, კაპადოკიაში დიგენეს აკრიტისი, სამხრეთ სლავთა შორის მარკო კრალევიჩი, ხოლო რუსთა შორის ეგირ ზმეებორცი და სხვ. მკვლევარი განაგრძობს, რომ წალკის რაიონის სოფ. ბურნაშეთის ეკლესიის გალავანში მდებარე მენჭირს (აყუდებული ქვა) ადგილობრივი სომხები წმინდა გიორგის უწოდებენო.<sup>2</sup> დაუუმატებთ. ინგილოური გადმოცემით: ქურმუხის (საინგილო) წმინდა გიორგი კახის აღმოსავლეთით მდებარე მთაში, ლოდში ცხოვრობს.<sup>3</sup> კახეთის „თეთრი გიორგის“ ეკლესიამ ეს სახელი იმიტომ დაიმკვიდრა, რომ ამ ადგილას ტყე ყოფილა და შიგ თეთრი ქვა დებულა წმინდა გიორგის გამოსახულებით.<sup>4</sup> სპეროზას (მთა კახეთში) წმინდა გიორგის სალოცავის წინ ერთი დიდი ქვა დევს, რომელიც ზემოდან დაღრმავებულია, გადმოცემით წმინდა გიორგის მერანს დაუდგამს ფეხი და იმიტომ არის ასეო.<sup>5</sup>

კლდე დევების საცხოვრებელი ადგილია. სვანური ზღაპრის მიხედვით დევს კლდეში ცხვარი ჰყავს. და თვითონაც შიგ ცხოვრობს.<sup>6</sup>

1 ვახტანგ კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961, გვ. 335.

2 ლეონ მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, 1938, გვ. 11, 20.

3 ეურნ. „მნათობი“, 1876, № 11, გვ. 100—101.

4 იქვე, გვ. 101.

5 ეურნ. „მოამბე“, 1897, ტ. VIII, გვ. 38.

ამირანის ეპოსის სვანურ ვარიანტში ხშირად გვხვდება „თეთრი კლდე“, როგორც წმიდა ადგილი. მიგვაჩნია, რომ სვანი წმიდა ადგილად გულისხმობს „თეთრ კლდეს: „დალი კლდეში მშობიარობს, მშობიარობს „თეთრ კლდეში“! (სვანური პოეზია. 1939, წ. 1, გვ. 269).

6 თსუთა № 8049.

ასევეა ქართული ხალხური შელოცვების მიხედვითაც; კლდეში, როგორც კეთილი, ისევე ბოროტი ძალები ცხოვრობენ. მაგ., „გადმე-  
ირღვა წითელი კლდე, მას გადმოჰყვა წითელი გველი“.<sup>1</sup> კიდევ „გას-  
ქდა პირველი კლდე, გამოვიდა წყალი შავი, მივიდა მიქელ გაბრიე-  
ლი, ჩაყო დანა ტარი შავი, ამოიღო გველი შავიო, გარდაჰკიდა ღობე  
შავსაო“.<sup>2</sup> ზოგან „პირველი კლდე“ „უპირული კლდით“ არის შეც-  
ვლილი. მაგ., „გასქდა უპირული კლდე, გამოვიდა შავი წყალი, თან  
გამოჰყვა გველი შავი...“ ბევრ შელოცვაში კლდიდან გამოსული კა-  
ცი ჰკლავს ავ სულს. მაგ.; „გასკდა წითელი კლდე, გამოვიდა წითე-  
ლი კაცი, გამოჰყვა წითელი ცხენი, წითელი ლაგამ-უნაგირი დაადგა  
წითელს ცხენს, ჩავიდა წითელ წყალს. ჩაჰკრა ფუჩხი, ამოიღო წი-  
თელი გველი... გადააკრა ლიპის ქვაზედ, ისიცა დნება, ისეცა ჰკნება  
თქვენი ავი თვალთ შემომხედავი“.<sup>3</sup>

ერთი ქართული ზღაპრის მიხედვით ამირანის მამა წლების გან-  
მავლობაში დევს ჰყავდა კლდეში დატყვევებულთ.<sup>4</sup>

ქართული ლეგენდის „სამყაროს შექმნის“ მიხედვით, ღმერთი  
სამყაროს კლდეზე იჭდა, კლდესთან გარეშემო წყალია. ღმერთი გად-  
მოდის კლდიდან და წყალში ჩადის, შესტეოდება და დანადვლიანდე-  
ბა. თვალებიდან ორი ცრემლი გადმოვარდება, ერთი იქცევა მთავარ-  
ანგელოზ მიქაელად, მეორე — მთავარანგელოზ გაბრიელად. ღმერ-  
თი აშრობს წყალს და ნახავს ნაფეხურებს. გაჰყვებიან ნაფეხურებს,  
შიადგებიან ლურჯ ქვას. ღმერთი იღებს ქვას, ქვიდან სამოელი (ეშ-  
მაკი) გამოვარდება და ღმერთს ყელში სტაცებს ხელს, არ გაუშვებს,  
სანამ დაამობილების ფიცს არ ჩამოართმევს.<sup>5</sup>

„დალი კლდეში მოსთქვამს,

უფრო (ი) კლდეები მოსთქვამენ:

მონადირე მეფისა შემოსულა,

შემოსულა თეთრი კლდის ძირში“.<sup>2</sup> — იქვე, გვ. 270.

იახსარის ლექსის მთიულურ ვარიანტში ბროლის ქვის მაგიერ თეთრი ქვა  
გვხვდება:

„ჩამოვქე თეთრსა ქვაზედა, შემოვიბრუნე მხარია,

მტრედვით შემოვლულუნე: — შენა ვარ, იახსარია“...

(ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, 1958, გვ. 232).

1 პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, ტ. VI, 1964, გვ. 155.

სამხრეთ ინდოეთის სოფლებში ღვთაებად მიჩნეულ მაღალ ქვებს დღესაც  
შამალს უკლავენ (Эд. Б. Тейлор, Антропология, 1882, გვ. 346—347).

2 პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, ტ. VI, 1964, გვ. 152.

3 იქვე, გვ. 150.

4 თსუფა № 8099.

5 Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа  
вып. X, Тф., 1890, отд. I, т. XXV.

საყურადღებოა მეორე ლეგენდაც „სამყაროს შექმნაზე“. აქაც ღმერთი კლდიდან გადმოდის, მოეწყინება, ჩამოსცივია ორი ცრემლი. ერთიდან მთავარანგელოზი მიქაელი წარმოიშობა, მეორედან — მთავარანგელოზი გაბრიელი. მიდიან ერთად, შორს დაინახვენ თეთრ ქვას, ღმერთს ქვასთან მისვლა უნდა. მაგრამ მთავარანგელოზები გზას უხვევენ. ღმერთი გაუწყრება მთავარანგელოზებს და მივა თეთრ ქვასთან; გადაარტყამს მათრახს, ქვიდან ეშმაკი გამოვარდება და ღმერთის ცხენს აღვირში სტაცებს ხელს. მთავარანგელოზები სთხოვენ გაუშვას ხელი, ეშმაკი ღმერთს ეუბნება: „მე და შენ ორივე თეთრ ქვაში ვისხედით, ორივე ერთი წარმოშობისანი ვართ. მე ვარ ქვის გული, როგორც — შენ. ამიტომ გამომიყავი მე რაიმე სამყაროდანო“.<sup>1</sup>

ლეგენდაში ბოროტი ძალა გარკვევით ამბობს, რომ ისა და კეთილი ძალა ერთი და იმავე ქვიდან გამოსულან, ე. ი. კლდე და ქვა სულიერ ძალთა სამყოფელია, რომ ერთი და იმავე ქვიდან გამოდის ზოგჯერ ავი, ზოგჯერ კეთილი ძალა.

ეკლესიის მესვეურები, ქვა-კლდისადმი თაყვანისცემა, რომ ქრისტიანულ საწყისამდე დაეყვანათ, ზოგ ფაქტს თავისთვის სასარგებლო ლეგენდას უქმნიდნენ. ასეთი ლეგენდა შემოგვრჩა საშვილდის ერთ-ერთი ეკლესიის შუაგულში არსებულ ქვაზე: ...ეკლესიის შუაში ამართულია ქვა სიმაღლით ერთ საყენზე მეტი, სიგანით ერთ არშინზე მეტი. ქვაზე ამოჭრილია ჭვარი, ჭვრის ფრთებს ზევიდან და ქვეშ არის ნაწერი, მაგრამ ვერ გავარჩიე, რა ენაზე. ქვა შემოსილია ალაბანიით და ნაქსოვი ფარჩით. ამ ქვას ხალხი აწერს სასწაულთმოქმედების ძალას და შეუთხზავთ მასზე შემდეგი ლეგენდა:

„ყოფილა დრო, როდესაც ქართველთაგან სჯულის გადამავლობას მიუღწევია იმ ზომამდინ, რომ ძლიერ განურჩხებია საქართველოს ღმობიერი მფარველი ღვთისმშობელი მარიამი, განრისხებული ქალწული სჩვენებია სიზმრად სამშვილდის მღვდელს და უბრძანებია: ვიწყებ ამოსვლას ღვთისმშობიდან ქვის სახით და უკეთუ ერი არ მოიქცევა, აღვიზრდები ზეცამდი და დავაქცევ საქართველოს. მართლაც, მეორე დღეს მიწიდან დაუწყია აღმოზრდა ქვას... განცვიფრებულ ხალხს, გაუგია რა მღვდლისაგან, თუ რას ნიშნავს ეს მოვლენა, მოუნანია და ნიშნად სინანულისა გარდაუშენებია ამომავალ ქვაზე ეკლესია, ქვის ზრდა შეჩერებულა, საქართველო გადარჩენილა...“<sup>2</sup>

მითური ქვიდან გმირის გამოსვლა ან ქვაბში შესვლა და ქვა-კლდეთ ქცევა არც ევროპული მითოლოგიისათვის არის უცხო.<sup>3</sup> აფა-

<sup>1</sup> Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа вып. X, Тф., 1890, отд. I, т. XXV, გვ. 245.

<sup>2</sup> გაზ. „ღარიება“, 1889, № 26.

<sup>3</sup> Г. Ф. Буслаяв, Русская народная словесность, 1861, С/П, გვ. 27.

ნასიევს, გერმანული თქმულებებიდან მოჰყავს მაგალითები ახლად დაბადებულ ბავშვთა სულების მთა-კლდის გულებიდან გამოსვლის შესახებ.<sup>1</sup> უძველეს ხალხთა ასეთი შეხედულება იდიომურ თქმაშიც გვხვდება. მაგალითად, ჰომეროსის „ოდისეაში“. ოდისეისს მეუღლე პენელოპა, როცა ვერ იცნობს მის მეუღლეს, ეუბნება — შენ ქვიდან ხომ არ ხარ გამოსულიო.

ამრიგად, ირაკვევა, რომ ქართველები, ისევე როგორც ბიბლიური იაკობი და სხვა ქვეყნების ხალხები, ქვებსა და კლდეებში ზებუნებრივ ძალებს ჰხედავდნენ. ამ ქვებს ქართველებიც საკმეველს უკმევედნენ და ზეთსა და ქონს ცხებდნენ.<sup>2</sup> ამ დროის ქართველებმა სულიერი ძალის არსებობა ქალით წარმოიდგინეს და იგი ქანდაკებად კლდის მღვიმეში გამოკვეთეს (მანგლისთან — სამხრეთ საქართველო).<sup>3</sup>

ძველი ხალხები მკვდრებს ქვის ყუთებში აწვენდნენ და ქვებს ადგამდნენ სასაფლაოზე, — წერს ედ. ტეილორი. შოტლანდიის მთიულეთში მიღებულია წესი, რომ მიცვალებულის გამცილებელთა პროცესია გზაში სადაც შეჩერდება, იმ ადგილს ქვის ყორეთი აღნიშნავენ.<sup>4</sup> ახლახანს გათხრილ დიდმის სამარხებში, რომელიც VIII—V საუკუნეებით თარიღდება ჩვ. ერამდე, სადაც ტომის ბელადის სამარხია ნაეარაუდევი, ბროლის ქვის სახეობაა დაყრილი.

თბილისის საეპისკოპოსო ტაძარ სიონზე შემდეგი მოხევეური გადმოცემა აქვს ჩაწერილი ს. მაკალათიას:

— სიონელები — იგულისხმება ხევის სიონი — ღვთაების ჯვარს ტაძრიდან არასოდეს არ გამოასვენებენ, რადგანაც ხალხს მისი გაფრენისა ეშინია. ხალხური თქმულებით ღვთაება ერთხელ თურმე გაფრენილა და ანგელოზის სახით სისაურსა და ცოფურს მოჩვენებია. ორივე გვარი დასდევნებია, ღვთაება მარტყოფის კლდეში დაფრენილა და ისინიც აქვე დაბინავებულან. როცა ეს ბერებს გაუგიათ, მარტყოფში მისულან და მოხევეებისათვის უკითხავთ მათი გადმოსვლის მიზეზი. მოხევეებს უპასუხნიათ, რომ აქ ჩვენი ხატის

<sup>1</sup> А. Афанасьев, Поэтическое воззрение славян на природу, 1865, Т. III, გვ. 255.

<sup>2</sup> ეურბ. „მოგზაური“, 1901, № 1, გვ. 32.

„მოგზაურის“ კორესპონდენტი ცხიმის წასმის მიზეზს ქვა-სვეტის დაციის აუცილებლობაში ხედავს, რაც სწორ განმარტებად არ მიგვაჩნია. ქართული იდიომური გამოთქმა „სიამისაგან თავს მოგიქონავენო“. ქვისადმი თაყვანისცემის პერიოდიდან უნდა შემორჩენილიყო.

<sup>3</sup> Г. Цукундзе, Геологическое исследование в области речных долин Алгети и Храма, 1—Материалы для геологии Кавказа, I, кн. I, Тф., 1887, გვ. 31 — 32.

<sup>4</sup> Эд. Б. Тэйлор, Антропология, 1882, გვ. 346 — 347.

საბრძანისიაო. ბერები გამოქვაბულში შესულან და ღვთაებისათვის თაყვანი უციათ. შემდეგ მალულად ოქროს ძეწკვი შეუბამთ და ღვთაება თბილისში წაუბრძანებიათ. აქ მის საბრძანისად სიონის ტაძარი აუგიათო. მაგრამ ხატი აქაც არ დამდგარა და ისევ მარტყოფის კლდეში დაბრუნებულაო. ამიტომ ხალხის რწმენით მისი მთავარი საბრძანისი მარტყოფია, შემდეგ კი ხევისა და თბილისის სიონიო,<sup>1</sup> — მიხ. ჩიქოვანი მითური გმირების (ღმერთაკცების) შობის აუცილებელ ადგილად კლდეში გამოკვეთილ მღვიმეებს თვლის. იგი წერს: „ამირანის დედის საცხოვრებელი ადგილი რომ გამოქვაბულია, ეს მარტო სვანურმა სიტყვიერებამ არ იცის. მესხეთ-ჭავჭავთშიც არსებობს თქმულება, რომ ჭაბუკის დედა მაღაროში, მღვიმეში ცხოვრობდა. დალის საცხოვრებლის ასეთი დახასიათება ანალოგიურია ჰეროდოტეს მიერ ისტორიზებული ერთი სკვითური ლეგენდისა, რომლის მიხედვით ჰერაკლეს შემთხვევითი თანამეცხედრეც გამოქვაბულში ბინადრობდა. ქართული მითოლოგია ამ საკითხში ეთანხმება წინა აზიისა და ანტიკური ქვეყნების მითოლოგიას. ზევსი გამოქვაბულში იშვა. ასევე ბნელ მღვიმეში დაიბადნენ: მითრა, დიონისე, ჰერმესი. ქრისტეც ბეთლემის ერთ ბნელ „ბოსელში“ დაიბადა. ადრინდელი ქრისტიანობის პერიოდის მწერლებს იესო სწორედ მღვიმეში ნაშობად ჰყავთ მიჩნეული. იერონიმი თავის წერილში მოგვითხრობს, რომ მის დროს თამუზის დაბადებას იმ მღვიმეში დღესასწაულობდნენ, სადაც ქრისტე დაიბადაო.“<sup>2</sup> შეგვიძლია დავუმატოთ. გამოქვაბულში ამწყვდევს ახალზელანდიელების ღმერთი შაუ ქართა ღვთაებას. ოკეანის ქვეშ გამოქვაბულში ეძინა ტაიტელეზის ზღვის ღმერთს გიროსს, როცა ქარიშხლის ღვთაებამ ზღვა ააღელვა, იგი მენავეების ლოცვამ გააღვიძა, ამოვიდა ზევით და ზღვა დააწყნარა.

ასეთსავე გამოქვაბულში ცხოვრობს ძვ. ბერძნული ზღვის ღმერთი პოსეიდონი.<sup>3</sup> ზოგი ვერსიით მითრა უდედოდ პირდაპირ კლდიდან იშვა. აქედან არის მისი ერთ-ერთი სახელი — „კლდიდან შობილი“.<sup>4</sup> ბალდასარი და სანასარი კლდიდან ამოვარდნილი წყარო-

<sup>1</sup> ს. მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, 1934 წ. გვ. 217.

ბიბლიის მიხედვით, სიონი „ღმერთის სამყოფელს“ ნიშნავს. სიონი იერუსალიმის ის ნაწილია (მთა), სადაც რეზიდენცია ჰქონდა ბიბლიურ მეფე დავითს, აქვე იყო იაკვეს ტაძარი, სადაც ღმერთი ცხოვრობდა (Краткий научно-атеистический словарь): ასეთ ადგილად თბილისის საეპისკოპოსო ტაძარს — სიონს, მარტყოფის კლდე ჰქონია.

<sup>2</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, 1959, წ. 1, გვ. 155.

<sup>3</sup> Э. Д. Б. Тэйлор, Антропология, 1882, გვ. 389.

<sup>4</sup> А. Древис, Миф о деве Марии, М., 1923 г., გვ. 31.

თი ჩაისახნენ. ბიბლიური აბრამი და ნართი სოსლანი კლდეში იშენენ და სხე.

ბოლოს ამირანს კლდეში აბამენ.<sup>1</sup> ურარტუელი მპერი კლდეში შედის, მითრა კლდეში ცხოვრობს, სომეხი მპერი კლდეში ჩასახლდა. იესო ქრისტეს კლდეში კრძალავენ.<sup>2</sup>

ამირანს, ურარტუელი მპერის და მითრას მსგავსად, კარი იშვიათად ეხსნება და მწყემსები ნახულობენ: „ამირანს კარები (გორა) სამ წელიწადში ერთხელ ეღება, ისიც აღდგომა დღეს“...<sup>3</sup>

კიდევ:

„ერთხელ პატარა მწყემსს ცხვარი ჰყოლოდა შეფენილი იმ გორაზე, სადაც ამირანი არის დაბშული. დაენახა, რომ ამ გორის ფერდოს განვირად პირი დაელო. მწყემსს შიგ შეუხებდნია და დაუნახავს დიდი უზარმაზარი ვაჟკაცი, რომელსაც ცხრილის ოდენა თვალეები ჰქონდა თურმე. ეს იყო თვითონ ამირანი“.<sup>4</sup>

ქართლური: ვარიანტიცაა მეცხვარე კლდის გამოქვაბულში ნახულობს ამირანს.

სომხური მითური გმირის ტარება უჭირდა მიწას:

„ის ორმოცი დღე სულ ქვებზე დადის, თუ სადმე მიწას გაეკარება, ერთ ნაბიჯზედაც არ შეუძლია მპერის მიწაზე ფეხით ტარება“.<sup>5</sup>

ამირანის ტარებაც უჭირდა მიწას:

„ისეთი ღონიერი გახდა, რომ მიწას უძძიმდა მისი ტარება“.<sup>6</sup>

ურარტუელი მპერიც მითომ შედის კლდეში, რომ მიწამ ველარ შესძლო მისი ტარება.

„მიწას უძძიმს გმირის ტარება“, — ასეთ ქვესათაურში მ. ჩიქოვანს კირევესკის მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი გადმოცემიდან მოჰყავს შემდეგი ადგილი:

„იყო ერთი დევგმირი. მისი ზიდვა მიწას უჭირდა. მხოლოდ ერთი მთა იყო ისეთი, რომელიც უძლებდა ამ ბუმბერაზის სიმძიმეს და ძალას. ილია მურომეცმა მოინდომა უცხო დევგმირთან შებმა და ამნაირად თავის გამოცდა. მონახა მთა. აქ იხილა, რომ მთაზე მთასავით უზარმაზარი დევგმირი წევს. შემოჰკრა ილიამ, მაგრამ გოლიათმა არაფრად ჩააგდო. შემოჰკრა ილიამ კიდევ, რაც ძალი და ღონე

1 ერთი ევრსიით „ამირანი ღმერთმა ზალმა ლოღზე მიაქაქვა“, — მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, ტ. 11, გვ. 184.

2 ქრისტეს ერთმა აჯღობელმა პილატეს გამოსთხოვა ცხედარი: „და დადვა იგი ახალსა მისსა საფლავსა, რომელი გამოუკვეთა კლდისაგან, და მიაგორვა ლოდი დიდი კარსა მას საფლავისას და წაიღა“ (მათე, 27. 60).

3 მ. ჩიქოვანი. მიჯაქველი ამირანი, მესხეთ-ჭავჭავთვი, 1947, გვ. 338.

4 იქვე, გვ. 278, 294.

5 დავით სასუნცი, სომხური ეპოსი, 1947, გვ. 147.

6 მ. ჩიქოვანი, მიჯაქველი ამირანი, 1947, გვ. 278—294.

ქმონდა, მაშინ დევგმირმა ჩაილაპარაკა: ალბათ ქვას წამოკვარ ფეხი და ახლაც, როცა ილია მურომეცი დაინახა, გაიკვირვა: „შენ ხარ ილია, ადამიანთა შორის ყველაზე სახელოვანი?! ჩემთან თავის გამოცდა რა ხელს მოგცემს, ხომ ხედავ, როგორი ვარ, ჩემი ზიღვა მიწას არ შეუძლია, მოვნახე ერთადერთი მთა და მასზე ვწვევარ“.<sup>1</sup>

საეკლესიო ტერმინოლოგიაში იხმარება სიტყვა „სამკვეთლო“. „სამკვეთლო ნიშნავს ბეთლემის გამოქვაბულის კლდესაც, სადაც იშვა იესო ქრისტე და გოლგოთასაც, სადაც ჭვარს აცვეს იგი“<sup>2</sup> და სადაც ჭვრიდან მოხსნის შემდეგ შეასვენეს იესო ქრისტე.

ჩვენ ვეცადეთ, გაგვეჩვენა კლდის ადგილი მითური გმირების ყოფაში. კლდე სიმაგრის განსახიერებაა, თუ ნათელი და გამჭვირვალეცაა, ბროლს ვეძახით. კლდე მისი დაბალი სახეა სიმკვირვეში ნაგულისხმევი. ბროლი უნდა ვიგულისხმოთ სინათლის, სიმტკიცისა და ცეცხლის ბუდედ დედამიწაზე.

აი, როგორ გამოთქმებს ვხედებით ახალ აღთქმაში: „და ყოველთა იგივე სასუმელი სულიერი სუეს, რამეთუ სუმიდეს იგინი სულიერისა მისგან კლდისა, რომელიც შეუდგა. ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე“ (კორინთელთა მიმართვა 10, 4). როგორც ვხედავთ, მათ ის სულიერი სასმელი უსევამთ, რომელიც გამოდიოდა კლდიდან და რომელიც თვით ღმერთი ყოფილა. როცა ვკითხულობთ, რომ მითრამ ისარი ესროლა კლდეს და წყალი გამოადინა, ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ კლდე ნაგულისხმევია ღვთაებრიობის ბუდედ, საიდანაც მითრამ გამოადინა ღვთაებრივი ძალა. შემდეგ: „და მიჩვენა მდინარე ერთი წყლისა ცხოველისად ბრწყინვალე, ვითარცა ბროლი გამომავალი საყდრისაგან ღმერთისა და კრავისა“. (გამოცხად. 22. 1). ასეთი კლდიდან ამოვარდნილ წყლისაგან დაორსულდა სომხური მითური გმირი, უნაზესი ქალწული წოვათ-ხანუმი (მზის ღვთაება მითრას ჩასახვის ერთ-ერთი სახესხეობა).

მითური გმირების შობის ასეთი სახე, ადვილად შესაძლოა ყოველ ერს აღმოაჩნდეს, რადგან მზის, ცეცხლისა და სინათლის კულტის გავრცელების სფერო დიდი იყო მსოფლიოში.

ეხლა თვით ბროლს შევეხოთ, რომელიც ასე ხშირად გვხვდება მითურ გმირთა ყოფაში ხან კლდის და ხან ბროლის სახით. მათ სახეობას კი ჩვენ პატიოსან ქვებს ან თვლებს ვეძახით: „და წარმიყვანა მე სულითა მთასა მაღალსა და დიდსა და მიჩვენა ქალაქი წმინდა იერუსალიმი, გარდამავალი ზეცით ღმერთისაგან.“

და აქედან დიდებით ღმერთისა. მნათობი მისი მსგავსი იყო ქვა-

1 მ. ჩიკოვანი, ქართული ეპოსი, 1959, წ. 1, გვ. 204.

2 გიგაუროვი, მოკლე ახსნა, ქუთაისი, 1875, გვ. 8.



სა პატიოსანსა, ვითარცა ქვესა იასპსა ბროლის სახესა“ (გამოცხ. იოანესი 21.10.11). „იასპი“ ჩუბინაშვილს ლექსიკონში განმარტებული აქვს, როგორც თვალთა პატიოსანთა ზოგადი სახელი. შემდეგ: „და იყო მოსწორება ნაშენები ზღუდისა მისისა იასპი, და ქალაქი იგი ოქრო წმიდა მსგავსი ჭიქისა წმინდისა“ (გამოცხ. იოანესი 21.18).

ჭიქას კაჟთაგან გამოდნობილ ქურქველს ეძახის ნ. ჩუბინაშვილი „ქართულ ლექსიკონში“, ხოლო „კაჟი არს ქვა ცეცხლის მშობელი“ (ს. ს. ორბელიანი, 312, 1949 წ.), როგორც ვიცით, ძვირფასი ქვები ანუ თელები ძირითადად ბროლის ქვის ნაირსახეობაა. წინაპრები მის მრავალფეროვნებას ღვთის თვალთა მრავალფეროვნებაში გულისხმობდნენ. „მათ რამეთუ ვინ შეურაცხყო. დღეთა მცირეთა და მადლიერებდენ და იხილონ ქვა კასტირიონი ხელსა შორის ზორობაბელისასა, შვიდნი ესე თვალნი უფლისანი არიან, ზედ დამხედველნი ყოველისა ქვეყანისანი“ (დაბად. წინასწარმეტყველება ზაქარიასი, თავი 4.10). აქ სამყაროს შვიდი ძირითადი ფერი უნდა ვიგულისხმოთ. მეცნერთა აზრით:

მაზღეანიზმსა და ზოროასტრიზმში ღმერთი არის თეთრი, ნათელი, ბრწყინვალე.

ებრაელთა სარწმუნოებაში ღმერთი ნათელია, თეთრი და ბრწყინვალე.

მითრანიზმში ღმერთი ნათელი, თეთრი და ბრწყინვალეა.

მაჰმადიანობაში ღმერთი ნათელია, თეთრი და ბრწყინვალე.

„ალაჰ არს სინათლე ცისა და ხმელეთისა“.

ფიზიკურ ნივთიერებათაგან ბროლის ქვა სამყაროს შვიდ ფერთა და მის მრავალსახეობათა ყველაზე კარგი შემთვისებელი და შემკრებია.

თუ ჩვენ სამყაროს წარმოვიდგენთ ისე, როგორც გამოჩენილ ქართველ ლექსიკოგრაფს, ს. ს. ორბელიანს აქვს წარმოსახული ცის თალი: „მემრე მეორე მძურელი ცა; და მერამე პირველი მძურელი ცა, რომელი ყოველთა ცათა აღმოსავლეთი დასავლეთ გარდააბრუნებს და მსგავსი არს ბროლისა“.<sup>1</sup> ბროლი ანუ თეთრი: „ბროლი ბუნებით თეთრი ქვააო“ — ამბობს ს. ს. ორბელიანი.

ამ ბროლის კარის გახსნა გამოავლენს სამყაროს მაცოცხლებელ მზეს. ამ ბროლის კარის გახსნას კი ანიშნებდა მზის წინ მავალი ვარსკვლავი, რომელსაც ძველმა ქართველებმა ცის კარები შეარქვეს.

ამიტომ სკრიდნენ ადამიანები კლდეში მღვიმეს გარედან კარის ფორმით. უძველეს ურარტულ ღვთაების კლდის ნიშებს კარის ფორ-

<sup>1</sup> ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949, გვ. 428.

მა ჰქონდა. მებრძოლი ძალა, ცეცხლი ამ კარის მიღმაა. ცისკარი, რომელიც ცასა და მის კარზე გვანიშნებს, ზეციური ცეცხლის წინა სახეა. ცისკარი, წინა მოვლენაა მზისა, კოსმიური ენერჯისა: მითრანიზმის თავისებურება იყო მისი მისტერიების შესრულება მღვიმეში, განსაკუთრებით სპეციალური მისტერიებისა: თუ მისტერიების ჩასატარებელ ადგილზე არ იყო გამოქვაბული, იქ მას სპეციალურად აშენებდნენ. ზარათუსტრამ პირველმა მიუძღვნა სუფთა წყაროს წყალი მითრას. ამ გამოქვაბულში ზარათუსტრა სამყაროს გულისხმობდა. გამოქვაბულში მოთავსებული მითრასგან შექმნილი საგნები ზარათუსტრას აზრით, მიწიერი ელემენტებისა და კლიმატის სიმბოლო იყო.<sup>1</sup>

ცისკრის ვარსკვლავისა და მზის დამოკიდებულების ასეთი გააზრება დამახასიათებელია ძველი აღმოსავლეთის ხალხებისთვისაც და მარტო საქართველოს წარმართული კულტურის შედეგი არ არის.

„...ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრებზე, — წერს აკად. გ. ჩიტაია — მოცემული გამოსახულებანი წარმოდგენენ მნათობ-ღვთაების ამოსვლის სიუჟეტს. ბეჭედ-ცილინდრებზე ეს სიუჟეტი ტიპურად ასეა წარმოდგენილი: მთის ორ მწვერვალს შორის გაღებულ კარებთან დგას მნათობი — ღვთაება, რომელსაც მარჯვენა ხელში გასაღები უჭირავს. სურათის სიუჟეტი მთლიანად იმდენად მკაფიოდ და ნათლადაა მოცემული, რომ აშკარაა ჩვენს წინაშე მნათობი — ღვთაების მთის იქიდან განხმულ კარებში „გამობრძანების“ ამოსვლის მომენტია მოცემული. „ცისკრის განხმის“, „მზის ამოსვლის“ სურათია წარმოდგენილი. ამ სიუჟეტის მიხედვით, საეხებით გასაგებია, რომ მნათობ ღვთაებას ხელთ უპყრია „გასაღები“, რომლის შემწეობით ის დაკეტილ კარებს აღებს ხოლმე, ვიდრე ცის კაბადონზე გამოვიდოდეს. ეს ბუნებრივი და გასაგებია“.<sup>2</sup> კერძოდ, ცისკრის შესახებ აკად. გ. ჩიტაია წერს: „ქართული მონაცემებით აგრეთვე ცხადია, რომ მზის ამოსვლა „ცისკრის“ გაღებასთან (ცის-კარი) იყო დაკავშირებული. როგორც ცნობილია, კარებს საერთოდ, და ცის კარებს კერძოდ, ძველ აღმოსავლეთში, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა“.<sup>3</sup>

ძველი ქართველების რწმენით, ცა მკვრივად ედგა დედამიწას თავზე. მაგ.:

1 Религиозные верования древних времен до наших дней, Сборник лекций и статья иностранных ученых и публицистов, С.-Петербург, 1900, Дж. Робертсон — митраизм. გვ. 220.

2 გ. ჩიტაია, აქართული დათვა-ბოყვა, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1940, ტ. XI, 13, გვ. 323.

3 იქვე, გვ. 327.

„ბრძანებდა დამბადებელი, შე დავდგი მიწა მყარია,  
სუ თავის მართულობითა შემხდარი მთა და ბარიო,  
მურგვლით მოვაველე სამი ზღვა, თეთრი, წითელი, შავია.  
ზედ გადავხურე ზეცაი, სინა, ჳიქა და რეალიაო“.<sup>1</sup>

მნათობი მზე მკვრივი ცის მიღმა იყო. ხოლო ცის კარების გახს-  
ნა მზის მოახლოებას, ამოსვლას მოასწავებდა.

„ნადირობისკე წამავა, იანვარ იყო მცხრალიო,  
აწუნტის ლელეს შამახდა თვალ-შუალამის ხანიო,  
ჩამაეპარა ჳიხეებსა, ცას არ გაულავ კარიო“.<sup>2</sup>

დალის გამოქვაბულის შესასვლელი — კარის ფორმისაა.

„ადგა მონადირე და კლდისაკენ წავიდა... კლდის თავზე კარის  
მინაგვარი შესავალი ნახა: შევიდა შიგნით, გამოქვაბული იყო და ამ  
გამოქვაბულში დალი იწვა“.<sup>3</sup> ნართი სოსლანი კლდე-გამოქვაბულის  
შინაგანი იალაა (ცეცხლის სახით გამოვარდება გამოქვაბულიდან).  
ასევე შეგვიძლია ვიფიქროთ ამირანზეც.

დალი სვანურ მითოლოგიაში გაიგივებულია კლდეებთან:

„დალი კლდეში მოსთქვამს,  
უფრო (ვი) კლდეები მოსთქვამენ“.<sup>4</sup>

დალი კლდე — დედაა, მზექაბუჯის დედა.

სვანეთში დალის მარტო მონადირეთა მფარველ ღეთაებად კი  
არ იცნობენ, იგი მთელი წელიწადის მფარველი ღეთაებაა; დალის  
ვევდრებიან, როგორც საზოგადოდ ადამიანის კეთილმყოფელს,  
ახალწლის დამეს:

„ოო, დიდება მოგვლოდეს, მადლი მოგვლოდეს, დალ იეშხვა-  
მისას დიდება. დალო იეშხვამისაო, შენი ტაბლას აღების დრო  
გვაქვს, კარგ გულზე გვამყოფე ჩვენი საძმო, ლიეულ სადამოს კარგ  
გულზე შეგვყარე ერთმანეთს, ადამიანის სულის სამშვიდობოდ გი-  
ძღვნით ადამიანის ლოცვას, ახალწლის შეცვლა კარგ გულზე მოგ-  
ვეცი ჩვენ საძმოს“.<sup>5</sup>

როგორც ჩანს, დალი საერთოდ მფარველობს სიკეთეს, წელი-  
წადის კარგად გამტარებელი ღეთაებაა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ  
წარმართულ საქართველოში დალი არ იყო კერძო სახის ღეთაება.  
მისი ფუნქციები განუზომელია. შესთხოვენ კარგი წლის დადგომას,

1 ოსუფა, № 9483.

2 ფშავ-ხევსურული პოეზია, შეკრებილი ალ. ოჩიაურის მიერ, 1970, გვ. 86.

3 ხალხური სიბრძნე ამირანი (სვანური ვერსია), 1964, გვ. 51.

4 სვანური პოეზია, 1, 1939, გვ. 269.

5 ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1938,

წლის განმავლობაში ბედნიერად ყოფნას, ადამიანისა და საქონლის გამრავლებას, კარგ განწყობაზე ყოფნას, მუშაობის დროს კარგ დარებს და სხვა.

პროფ. ვ. ბარდაველიძე წერს, რომ „დალ ეშხვამისას“ ნადირთ პატრონ დალისაგან ასხევებდნენო,<sup>1</sup> ე. ი. დალი კეთილი ღვთაების საერთო სახელწოდებად არის მიჩნეული.

თრიალეთის ერთ-ერთ ნამარხში არქეოლოგების მიერ ნაპოვნ ვერცხლის თასზე გამოხატულია ქალღმერთი, რომელსაც მონადირეები მსხვერპლს სწირავენ.<sup>2</sup> ეს ნახატი გვიმტკიცებს, რომ ქალღმერთისათვის მონადირეთა თაყვანისცემა ადრეულ საქართველოს სხვა კუთხეებშიაც ყოფილა გავრცელებული.

როგორც ვხედავთ, კლდე და ბროლი საერთოდ ცნობილია, როგორც სულიერი ძალების მქონენი. კლდისა და მისი გამოქვაბულის პატრონად მთარველ დედად კავკასიის სინამდვილეში ქალღვთაება ითვლება, რომლის შვილსაც მძლავრი ენერჯია აქვს (ამირანი), ზოგჯერ ცეცხლის სახითაც გამოდის კლდიდან (ნართი სოსლანი). ხალხთა უდიდესი წინამძღვრები, როგორც ცნობილია (ბუდა, მითრა, ქრისტე), უდიდესი ცეცხლური ენერჯიის მქონეებად იგულისხმებოდნენ. ქრისტიანული ეკლესიის მესვეურებმა ღვთისმშობელ მარიამისა და მისი შვილის იესო ქრისტეს შორის დამოკიდებულება სიმბოლურად საცეცხლურში გააერთიანეს: „საცეცხლური არის ოქროს, ვერცხლის ან სპილენძის ჭურჭელი, რომელშიაც ჰყრიან ცეცხლს, საცეცხლური გვაგონებს ღვთისმშობელ მარიამ ქალწულის გვამს, ხოლო შიგ მოთავსებული ცეცხლი იესო ქრისტეს ყოფნას ქალწულ მარიამის გვამში“.<sup>3</sup>

მითრაც კოსმიური ნათელია, მზის სხივებით გაძლიერებული.<sup>4</sup>

კლდის მღვიმის მთარველი ქალი დალი, ნაგულისხმევია კლდის სულიერ არსად, რომლის შემდგომ სახედ მისი შვილი გვევლინება.

კოსმოსში ცისკრის ვარსკვლავს მოსდევს მზე. ასევე შეიძლება წარმოვიდგინოთ ენერჯია ბროლის სახეობებში, როგორც ნათების, სისპეტაკის, ციური ფერების შემკრები საკუთარ თავში, შემდგომ კი ცეცხლური ენერჯიის სახით გამოვლენილი.

ამრიგად, გამოქვაბულის ქალღვთაება დალი იგივეა დედამიწაზე, რაც სამყაროში ცისკარი, დილა.

1 ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ ღღობათა კალენდარი, 1938, გვ. 191.

2 В. Куфтин, Археологические раскопки в Триалести, I, ХСІ.

3 გიგაუროვი, მოკლე ახსნა, ქუთაისი, 1975, გვ. 14.

4 ციტირებულია: А. Кирпичников, св. Георгий и Егор Храбрый, С.-Петербург, 1879, გვ. 11, 74.

დილა, დღის დროის ერთ-ერთი პერიოდია „განთიადიდან ვიდრე მზის ამოსვლამდე“ (ს. ს. ორბელიანი). დილა კი ბაბილონურ ღვთაებათა პანთეონში დღის ზემოთ ნათქვამი პერიოდის მფარველი ქალი იყო. ქართველებიც დროის ამ პერიოდის მფარველად უმშვენიერეს ქალს, ცისკრის ვარსკვლავს გულისხმობდნენ.

ცისკრის ვარსკვლავსა და ღვთისმშობელს შორის უამრავ საერთოს პოულობს მრავალი მეცნიერი. მოგვეყავს ამონაწერი 1971 წელს დატული საკანდიდატო დისერტაციიდან. ავტორი დ. წერედიანი უკავშირებს ერთმანეთს იშთარს, აფროდიტეს და სხვა ცნობილ ქალღმერთებს, რომელთა ასტრალური სახე ყველგან ცისკრის ვარსკვლავია. იგი წერს: ...„ღვთისმშობელ მარიამის კულტშიც ყოფილა ზოგიერთი ისეთი მომენტი, რაც უეჭველად იმ მცირეაზიულ ღვთაებათა კულტიდან მომდინარეობს, რომელთა ასტრალურ განსახიერებას ცისკრის ვარსკვლავი წარმოადგენდა. ამას არ უარყოფენ ისეთი მეცნიერებიც კი, რომლებიც თავიანთი რწმენით ორთოდოქსი ქრისტიანები არიან და იზიარებენ ყველა ქრისტიანულ დოგმას“.<sup>1</sup>

ამრიგად, უმშვენიერესი ქალღვთაებები: ნადირთ მწყემსი და მონადირეთა მფარველი ოქროსთმიანი დალი, ბერძნული აფროდიტე. აღმოსავლური დილბატი და სხვა, რომელთა ასტრალური სახე ცისკრის ვარსკვლავია, ქრისტიანულ ეპოქაში სათნო ღვთისმშობლის სახემ შეცვალა. განსხვავება მხოლოდ საზოგადოებრივ ეთიკის ევოლუციაშია. ანტიკურ ხანაში ქალღვთაება აფროდიტეს კეთილშობილედს თუ პაეროვანი გარეგნობა განსაზღვრავს.<sup>2</sup> შემდგომი (ქრისტიანული) პერიოდის მორალურად განწყენილი გონი ქალღვთაების შინაგანი სათნოებით დაინტერესდა.<sup>3</sup> ასეთივე ევოლუცია განიცადა რელიგიურმა ეთიკამ ამირანიდან იესო ქრისტემდე. ბოროტებისთან ხმალ-შუბით მებრძოლ მითრას (წმინდა გიორგის უძველესი სახე, ამირანი და სხვ.) მაგიერ ბოროტთა შემწყნარებელი და ცოდვათა მიმტვევებელი იესო ქრისტე მოგვევლინა. ეს ღვთაებანი კი ზემოთ ნახსენებ ქალღვთაებათა შვილებად ითვლებიან.

---

1 დ. წერედიანი, სვანური ხალხური პოეზიის ძირითადი ეპიკები, დისერტაცია, 1971, გვ. 31—32.

2 К. Гильберт, Г. Кун, История эстетики, 1960, гв. 138.

3 В. Н. Лазарев, История византийской живописи, 1947, гв. 32, 35. Песня литературы, кн. I, гв. 204.

Гегель, Лекции по эстетике, соч., т. II, гв. 84—85.

Основы марксистско-ленинской эстетики, 1960, гв. 265.

Памятники мировой эстетической мысли, 1962, т. I, гв. 262, 276, 336.

მითური ქალწულები ქართული ზეპირსიტყვიერებისა და იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხებში მრავალმხრივ ღვთაებად გვევლინებიან. ისინი მფარველობენ მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას, საფეიქრო საქმეს და სხვ. ეს დარგები კი სხვადასხვა სფეროს განეკუთვნებიან.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში „ქალმარიამი“ ძირითადად მკურნალ ღვთაებადაა ცნობილი; მის მკურნალ ღვთაებად გააზრებისათვის უნდა შევჩერდეთ შელოცვებზე, რადგან მის ეზოტერულ ბუნებას ამ კუთხით უფრო საერთო აქვს ხალხურ წარმოსახვასთან.

„...იქდა ქალ მარიამი კარსა სამოთხისასა, ქსოვდა ქსელსა ძოწეულისასა. ჩამეიარა ურია ქეთელმა, შეთვალა, შეყვალა, შეაგირნოულა. წოუქცია ქსელი ძოწეულისანი, წოუქცია სკამი მისი ოქროსანი, დააყროვია თმანი გიშრისანი, დააყოვია ცრემლნი მარგალიტისანი. ჩამეიარა მიქელ გაბრიელ მთავარანგელოზმა, კითხა: რასტირი დედაო მარიამ, და ჯღიხარ კარსა სამოთხისასა?“<sup>1</sup> „წმინდ: დედა“ მოუთხრობს თავის გაჭირვებას და მთავარ ანგელოზიცი ასწავლის წამალს.

ხშირად ქალ-მარიამი ძაფისა და ძოწეულის გარეშეც გვხვდება ...ტირის და მოსტყვამს და შესთხოვს მთავარანგელოზს დაეხმაროს. ბოროტი ძალა ჩამოთვლის: ...ამას ვჭამ, ამას ვტეხ, ლამაზ ქალს ფერს ვართმევ, ულაყ ცხენს ღონეს ვართმევ და სხვ. დედა მარიამი ეხვეწება ხან წმ. გიორგის, ხანაც იესო ქრისტესა და მთავარ ანგელოზს დაეხმარონ. ისინიც ასწავლიან, როგორ მოიქცეს, რომ ავადმყოფობა განდევნოს.

მაგიური ტექსტების მიხედვით ქალი მარიამი მრავალი სახი! ავადმყოფობის მკურნალ ღვთაებად ჩანს; იგი, არა მარტო ფიზიკური ტკივილისაგან კურნავს ადამიანს, არამედ ეხმარება ბოროტი ძალის განდევნაში, იცავს შიშისაგან, ავი თვალისაგან და სხვ. მისი უნარი სამეურნეო დარგშიც იჩენს თავს. იცის, როგორ მოაცილოს პურის მარცვალს ჭია, ან სანოვავეს ჭია-ლუა, სპობს ათასგვარ შაქიებს, ჰკურნავს ავადმყოფსა და მაკე საქონელს და სხვ. ხშირად, შელოცვების კითხვის დროს, სახელი არ იხსენება, მაგრამ ვხედვით. რომ „ქალ მარიამი“ უნდა იყოს, რადგან ყველგან გულწრფელ თხოვნა მიმართვის პირველ წყაროდ ჩანს, ბევრ ტექსტში გაკვირთ არის შერჩენილი, ზოგშიც — მინიშნებული.

<sup>1</sup> პ. უ შ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, ტ. IV, 1964, გვ. 152; ძოწეული არ არის რომელიმე ცთომილის ფერად ცნობილი, იგი ფერთა კომბინაციაა. მიწიერი დიდების სიმბოლოდ ახსნილი.

„ურბებს სამხთო ჰქონდათ, ბურთაობდნენ, ნადირობდნენ, ბურთი თვალში ჩაუვარდათ. თვალი სისხლად გადაექცათ. ჩამოიარა წმინდა გიორგიმა, უთხრა დედა მარიამსა: გადი ჩემს ბაღში, მოგლიჯე სამკაული წაუსვი-წამოუსვი, ის არის მაგის წამალი“.

მთხოვნელი დედა მარიამს არ ახსენებს, მაგრამ, წმინდა გიორგი ჩამოვიღის და ასწავლის წამალს, არა მთხოვნელს, არამედ დედა მარიამს.

შელოცვების მიხედვით ქალი მარიამი მგრძნობიარე ღვთაებაა, იგი ტირის (მარგალიტის ცრემლებით), მოთქვამს, რომ ბოროტი ძალები აავადმყოფებენ ცოცხალ არსებებს, თვალს უვსებენ, ღონეს აცლიან; რძეს უშრობენ და სხვ. შელოცვების მიხედვით მისი განცდა იქამდე მიდის, რომ თვითონ ავადმყოფდება იმ ავადმყოფობით, რომლის განკურნებასაც მას შესთხოვენ. შემდეგ დედა მარიამი იკურნება, ე. ი. იკურნება თვით მთხოვნელი. შელოცვებში ხშირად გვხვდება ადგილები, როცა მთხოვნელი ქალი მარიამზე მიუთითებს, ის არის ავადო. მაგ., „ქალ დედა — მარიამია, მხართ ადგა ქვალია“<sup>1</sup> და სხვ.

ქალღვთაების გულწრფელი წუხილი დასახმარებლად იწვევს კეთილ ძალებს. ქალი მარიამი ღვთაებაა ადამიანის ნაზი და ალალი გრძნობისა. „იჭდა დედა მარიამი ოქროს ტახტზე და ტიროდა: მოდიოდა იესო ქრისტე. ჰკითხა, რას ზიხარ, დედა მარიამ, რას სტირი? მას ესტირი, მუნი მასხია, ქეცი მქამს, რა არის იმის წამალი?..“ აქაც დედა მარიამი თვით ხდება მუნით ავად. იესო ქრისტე ასწავლის წამალს. იგი რჩება. მორჩენილი ღვთისმშობელი მხიარულობს. იესო ქრისტე ეკითხება: „რას იცინი, რას თქანთქარებ? — მას ვიციანი, მას ეთქანთქარებ, მორჩა ღვთისა ძალითაო“.

„წყლისას შელოცვაში“ ავადმყოფი ზეცას, ქალ ღვთაების საზოგნელად მიდის „...ჭდა დედა მარიამი სკამსა ოქროსასა, ქსელსა ქსელამდა ძოწვეულისასა, მივიდა წამსნი ურვანი ყბათანი...“ და სხვ. მკურნალობენ, იესო ქრისტე, წმინდა გიორგი, მთავარ ანგელოზი და მიქელგაბრიელი, „...და განაქარვა ღვთისა სახელითა“. ასეთი ადგილები ხშირად გვხვდება შელოცვის ტექსტებში. გვაქვს შემთხვევები, როცა ქალმარიამი, იგივე ღვთისმშობელი, სხვა წმინდანების დაუხმარებლად კურნავს. მაგ., „...მაკე ძროხის შელოცვისას“ იგი თვითონ ჩანს მკურნალი. ასეთი ტექსტები პირდაპირ არ უნდა გავიგოთ, წადგან ღვთისმშობელი (იგივე უძველესი ქალ ღვთაებები — დალი, რუტარი და სხვ.) უნდა გავიზიაროთ, ისეთ ნივთად, რომელიც თხოვლობს მოქმედ ძალას, ენერგიას და კოსმოსიცი აძლევს მას.

<sup>1</sup> ბ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 18. IV, 1964, გვ. 165.

მაგიური ტექსტების მიხედვით ქალი მარიამი ხშირად ქსოვს (ძოწეულს) და ზის ოქროს სკამზე. როცა იგი „ძოწეულს“ ქსოვდა, ჩამოიარა ბოროტმა ძალამ და ძაფი დაუწყევლიტა. ბოროტი ძალის მოვლენა კეთილი ძალების არსებობა შესაწუხებლად შემლოცველის მიერ სიმბოლიზებული იყო, როგორც ზემოთ აღნიშნული ძვირფასი ძაფის დაწყევლიტა. მაგრამ გამოჩნდება დამხმარე კეთილი ძალა, რომელსაც „დედა მარიამი“ უყვება, როგორ მოექცა სატიკივარი, ან სხვა ბოროტი მოვლენების გამჩენი ძალა, აუწეწა ძაფი და დაუმალა ნაქსოვი. კეთილი ძალა ამშვიდებს დედა მარიამს და ასწავლის, როგორ აღადგინოს ყველაფერი, ე. ი. მოაჩინოს (მოიჩინოს) ავადმყოფი. ევროპულ მითოლოგიაში მითური ქალწული იგივე „დედა მარიამი“ ხშირად გვხვდება შვიდ ქვაზე, ან შვიდ მაგიდასთან მჭდარი და ოქროს ნემსით ან ოქროს ძაფით მქსოველი. შვიდი ქვა ან შვიდი მაგიდა მზის სისტემის შვიდ ცთომილად არის ნაგულისხმევი მკვლევართა მიერ.

ბოროტ ძალთაგან ძაფების დაწყევლიტა, სიმბოლიურ სახედ არის მიჩნეული, რომელიმე ორგანოს დაზიანებისა.<sup>1</sup>

ქალ მარიამი კეთილი შემოქმედი ღვთაებაა. შევადაროთ ქსოვა ძოწეულისა, რომლის დაშლასაც იგი ძლიერ განიცდის. ძაფის დაწყევლიტა ადამიანის ერთი ორგანოს დაზიანებადაც და ცხოვრებაში არსებული მრავალი შემადრწუნებელ შემთხვევადაც უნდა ვიგულისხმოთ.

ადამიანი სიტყვას, აზრს, განწყობილებებისა და შეგრძნებების ბაზაზე ქმნის, ე. ი. ადამიანიც განიცდის ღვთაებისათვის დამახასიათებელ პროცესს.

თუ შვიდინევეთ, რომ ქალ მარიამი შემოქმედი ღვთაებაა, ე. ი. ადამიანის სხეულსაც „ქსოვს“ და ახალ ნივთსაც ქმნის, მაშინ კოსმიურ სხივშუქთა მრავალფერ ძაფთა სიმბოლიზაციად წარმოსახვა შორეულ ასოციაციად არ უნდა მივიღოთ.

ქალღვთაება გააზრებულია ადამიანის სხეულად. შევადაროთ: დალი თვით კლდეებია, გამოქვამულის ადგილის დედა, რომელიც შობს მითურ გმირს.

„დალი კლდეში მშობიარობს, უფრო კი კლდეები მშობიარო-

---

<sup>1</sup> სხივი ან მზის სხივი, როგორც ოქროს ძაფი ან სართოდ ძაფი, ქართულად გარდა, ევროპულ მითოლოგიაშიც გვხვდება (A. Афанасьев. Поэтическое воззрение славян на природе, 1865 г., т. III, გვ. 414:

რუსულ მითოლოგიაში არის ჩვეულება, რომლის ანალიზით მკვლევარი ა. აფანასიევი ასკენის, რომ რუსებში მითურ ქსოვას და რთვის სიკვდილსა და დაბადებასთან აქვს კავშირი, რომ ქალღვთაებათა მიერ მითური ქსოვა კეთილ საქმის — ან სხეულის „ქსოვაა“ (A. A. Афанасьев, იქვე, გვ. 342).



ბენ“, ე. ი. ქალღვთაება თვით კლდეებია, თვით ჭკაა, ან სხვა ნივთი, ამიტომ ასოცირდება ავადმყოფი ადამიანისა თუ ცხოველის სხეულად, რომელიც ითხოვს მთავარი და შემოქმედი ღვთაებებიდან (სხივ-ფერ-ენერგია) ძაფებს და იკურნავს, ანუ იქსოვს საკუთარ სხეულს. ამიტომ ქალ-მარიამი ყველა ავადმყოფის მაგიერ ავადდება და ყველას მაგიერ შესთხოვს ღვთაებებს განკურნებას.

ქრისტიანული პერიოდის მითური ქალწულის ასტრალურ სახედ, შელოცვების მიხედვით, მზის სისტემის ცთომილთა ერთობლიობა უნდა ვიგულისხმოთ, რადგან ასტროლოგიაში ცნობილია, რომ ცთომილები მარტო სხვადასხვა ფერისა და ნივთიერების კი არაა, სხვადასხვა თვისებისანიც არიან.

მთვარე — სიყვარულის მომცემი და სიყვარულის მკურნალი მნათობია.

ვენუსი — სილამაზისა და სიყვარულის დედოფალი და მკურნალია.

იუპიტერი — მეფური სიმართლის, მართალი, კარგი ბედის მომცემია და ა. შ. „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილის ლოცვა მნათობები-სადმი ამის დამადასტურებელია.

აღნიშნული ცთომილები, როგორც ვთქვით, სხვადასხვა ფერისანი არიან. ქრისტიანული „მითური ქალწული“ ქალი მარიამი რადგან სხვადასხვა ფერის ძაფით ქსოვს („წითლითა, ყვითლითა, მწვანე აბრეშუმითა“), ყველა ცთომილის უნარის მატარებლად ჩანს; დალი მხოლოდ ოქროსფერი ძაფით ქსოვს, ამიტომ მისი შვილები (ამირანი და სხვ.) მხოლოდ მზის შვილები არიან — აქვთ ოქროს კბილი ან თმა, მზის სიმბოლო ოქროა.

„დედა მარიამი“ და მისი წინაპარი კეთილი ქალღვთაებებია, ამიტომ ხმარობენ შვიდი ცთომილის ძალას (ფერს). ქალღვთაებები არიან ყოველი ცოცხალი არსის შემადგენლობაში, უფრო სწორად სხეულები არიან, მოზარდი სხეული იხმარს რა კოსმიურ ძალებს, იზრდება, ავადმყოფი სხეული კი — იკურნება.

აღნიშნული შვიდი ცთომილი მზის კულტის პერიოდში გამოჩნდნენ ღვთაებებად, შედარებით ადრეულ ხანებში მსგავს დახმარებას (ენერგიას) ცა იძლეოდა. ადრეული პერიოდების მითური ქალწული ზოდიაქოებსა და გალაქტიკაში ეძებდა დამხმარე ძალებს, ხოლო ქრისტიანულ ეპოქაში ქრისტიანული ღვთაებები იკავებენ მათ ადგილს.

ამრიგად, ქრისტიანულ პერიოდამდე ქალღვთაებები მკურნალობას შესთხოვდნენ ცას, ცაც თავის უამრავი ფერ-ძაფებით ქსოვდა (უკურნავდა) სხეულს. მზის კულტის პერიოდში შვიდი ცთომილი

ეხმარებოდა ქალღვთაებებს, ხოლო ქრისტიანობის პერიოდში დამხმარე ძალები უფრო დაკონკრეტდა.

მსჯელობის მითური ფორმა საშუალებას გვაძლევს, ხალხური „ქალ-მარიამი“ მკურნალ ქალღვთაებათა ქრისტიანულ სახედ ვიგულისხმოთ, ხოლო ქრისტიანობის ეზოტერული გაგებითა და ადრეული მითოლოგიით — „მთხოვნელ“ ავადმყოფად.

შევეხეთ რა ქალ-მარიამის საყოფიერო ფუნქციებს, ვასკვნით, რომ ქალ-მარიამი არის ადამიანის შინაგანი ძალა, თვით სხეული, რომ ადამიანის სხეული, ე. ი. სხეულის შინაგანი ძალა, პოტენციური ენერგია, თვითონ იბრძვის საკუთარი ავადმყოფობის მოსასპობად.

### „წმ. გიორგის ცხოვრების“ ზოგი სასწაულის ქართული (კავკასიური) კარალელი

საკითხის გასარკვევად აუცილებლად მიგვაჩნია შევადაროთ წმინდა გიორგის ცხოვრებაში აღწერილი ზოგიერთი სასწაული ქართულ-კავკასიურ ზეპირსიტყვიერების მასალებს. ჩვენი მიზანი არ არის წმინდა გიორგის ცხოვრებაში მოყვანილი სასწაულებისა და მსოფლიო ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი მსგავსი სიუჟეტების ფართო ანალიზი. აღნიშნულ საკითხზე უამრავი ლიტერატურა მოიპოვება.

მეცნიერებისთვის უცხო არ არის აზრი, რომ კავკასიაში ვეშაბთმებრძოლი გმირის სახე კლასიკური ლიტერატურიდან არ დამკვიდრებულა, ცნობილია, რომ ბევრად უფრო ადრე, წმინდა გიორგიზე ლიტერატურის შექმნამდე, IV—VII საუკუნის ხელოვნების ნიმუშებზე, შემორჩენილი გვაქვს ვეშაბთან ბრძოლის მოტივი. გამორჩენილი რუსი მკვლევარი ა. ვესელოვსკი აღნიშნავს, რომ ვეშაბთმებრძოლი გმირის მოტივი კავკასიაში წინაქრისტიანულ ხანას ეკუთვნის.<sup>1</sup> ასეთივე შეხედულებაა შემუშავებული წმინდანის ცხოვრებაში გამოყენებულ ზოგიერთ სხვა სასწაულზეც.

შრომის მიზანია, წმ. გიორგის ცხოვრებაში აღწერილი სასწაულები შეუდაროს ქართულ-კავკასიურ ზეპირსიტყვიერებაში არსებულ მსგავს მითურ ეპიზოდებს და მიიყვანოს მკითხველი დასკვნამდე, რომ კავკასია აღნიშნული სახის გმირთა დამოუკიდებელი შექმნა-წარმოსახვათა ადგილია და წმინდა გიორგის უძველესი სახე ქართული (კავკასიური) უძველესი კულტურის ნაყოფიცაა. ასეთი

<sup>1</sup> А. Веселовский, Розыскания в области русских духовных стихов, 1880, гл. 74.

წინაპირობა საშუალებას მოგვცემს, წმინდა გიორგის უძველესი სახე ქართულ-კავკასიურ ზეპირსიტყვიერების დანარჩენ ენარებშიც ვეძიოთ.

მოვიყვანოთ მაგალითი ქრისტიანი წმინდანის ცხოვრებიდან.

ის მინეთ პირველი და დიდი სასწაული წმინდა გიორგისა, როდესაც იგი ბრწყინავდა ქვეყანაზე და ვიდრე ეწამებოდა.

პალესტინაში, ქალაქ ვირიტსა და ლიდას მახლობლად, სადაც დაასაფლავეს წმინდა გიორგი, იყო ქალაქი ვლასია: იქ ცხოვრობდა მეფე — სახელად სელინოსი. სელინოსი კერპთმსახური, ურჯულო იყო და შეუბრალებლად დევნიდა ქრისტიანებს. ქალაქ ვლასიას მახლობლად, ლივანის მთის ახლო, იყო დიდი ტბა; მასში მრავალი მდინარე იყრიდა თავს. ტბაში ბუდობდა დიდი ვეშაპი, რომელიც ყოველდღე გამოდიოდა ტბიდან, იტაცებდა ქალაქში მცხოვრებთაგან თითო ადამიანს, მიჰქონდა ტბაში და სჭამდა. მეფემ ბევრჯერ შეერბა ჯარი მის მოსაკლავად, მაგრამ ვერაფერს გახდა, რადგან ვეშაპი მეტად ძლიერი იყო და გამოსვლისთანავე საზარელ, მომაკვდინებელ სუნს აყენებდა, რის გამოც ბევრი ავად ხდებოდა და იხოცებოდა. ქალაქში გამუდმებული ტირილი გაისმოდა, ხალხი სასოწარკვეთილებას მისცემოდა, არ იცოდნენ რა ექნათ.

ერთხელ შეიკრიბნენ ქალაქის მცხოვრებნი, მიმართეს მეფეს: რა ექნათ, მეფე? ხომ ხედავ, როგორ ვიღუპებით ამ მშვენიერსა და კეთილ ქალაქში? რა ვიღონოთ? როგორ დავიხსნათ თავი ბოროტი ვეშაპისაგან?

მეფე შეწუხდა, თან შეშინდა კიდეც და უთხრა მათ: დავეკითხები ჩვენს ღმერთებს და რასაც გამომიცხადებენ გეტყვი.

მეფე დაეკითხა კერპებს და იმათში მყოფმა არაწმინდა სულებმა — ეშმაკებმა უთხრეს: მთლად დაღუპვა თუ არ სურთ, ყოველდღე ვეშაპს რიგ-რიგობით ოჯახმა თითო შვილი მისცეს შესაქმელად.

მეფემ გამოუცხადა ხალხს ეს და უთხრა: ჩამოსწერეთ სია, რომ რიგრიგობით თითო შვილი მივცეთ ყველამ და, როცა რიგი ჩემზე მოვა, ჩემს ერთად ერთ ასულს მივცემ ვეშაპს შესაქმელად. ამ ქალაქს კი ნუ გავშორდებითო.

ხალხმა მიიღო მეფის ნათქვამი და დაიწყეს ვეშაპისათვის შვილის მიცემა. ბოლოს რიგი მეფეზე მიდგა. მეფემ შემოსა თავისი ასული სამეფო პორფირით და შეამკო, ვითარც სწალი, ეამბორა და ცრემლითა და გოდებით გაისტუმრა დედისერთა უწყალო ვეშაპთან.

მიუტოვეს გველეშაპს მეფის ასული და წავიდნენ. ამ დროს გამო-  
ჩნდა წმ. გიორგი, მოჰკლა გველეშაპი და იხსნა ასული.<sup>1</sup>

წმინდა გიორგის ცხოვრების სასწაულთაგან, გველეშაპის მოკე-  
ლის ეპიზოდს ქართულ ფოლკლორში უამრავი პარალელი მოეპო-  
ვება. გველეშაპთან შებმა ქართული მითოლოგიის ერთ-ერთი ძი-  
რითადი შემადგენელი ნაწილია. ამირანიანში გმირი სამ გველეშაპს  
ებრძვის: თეთრს, წითელსა და შავს.

გველეშაპისა და მითური გმირის ბრძოლის სხვადასხვა ეპიზო-  
დი სრულყოფილად აქვს აღწერილი მიხ. ჩიქოვანს ნაშრომში: „ვე-  
შაპთმებრძოლი გმირი და წმინდა მხედარი“.

„ვეშაპთმებრძოლი გმირები ქართულ ფოლკლორში, — წერს  
მიხ. ჩიქოვანი, — გვხვდება სხვადასხვა ყანრის თხზულებებში. მაგა-  
ლითად, გმირულ ეპოსში, ზღაპრებსა და ლეგენდებში. სიუჟეტი,  
რომელიც ვეშაპის თუ გველეშაპის ძლევის აგვიწერს, საქართვე-  
ლოს ყველა კუთხეშია ცნობილი; იგი მოიპოვება არა მოთხრობის  
სახით, არამედ შესულია სხვადასხვა ყანრის ნაწარმოებებში ეპიზო-  
დის სახით“.<sup>2</sup>

ქართულ ხალხურ ზღაპრებში გველეშაპთან შებმა გვხვდება  
ძირითადად ქვესკნელში და ამავე დროს სხვადასხვა ფორმით.

მიხ. ჩიქოვანის მიერ გამოცემულ ქართულ ხალხურ ზღაპრებში  
„შავ-თეიმურაზი, მზე-თეიმურაზი და მთვარე-თეიმურაზის“ გველე-  
შაპის მკვლელი გმირი ფიზიკურად დიდია, სკამს „თორმეტ თონე  
პურს, თორმეტ ბულა კამეჩს“<sup>3</sup> და ასევე ყველა გველეშაპიც „იმო-  
დენი იყო... რო სისხლისაგან ზღვა გაკეთდა და ხორციდან დიდი  
მთები“.<sup>4</sup>

ძმებისგან ქვესკნელში მიტოვებული გმირი ვერ ახერხებს სა-  
ცოლის მიერ დანაბარებ თეთრი თხის დაქერას, რომ ზესკნელში  
ამოვიდეს; შავ თხას შეაჯდება და ქვედა ქვესკნელში ეშვება.

ხედავს წყალთან დაბმულია ხელმწიფის მზეთუნახავი ქალი. და  
მწარედ ტირის. ვაჟმა ჰკითხა:

„— რა გატირებსო? ქალმა მიუგო:

— როგორ რა მათირებს, გველეშაპი მოვა საცაა და შემქვამსო.

— ნუ გეშინია, — მიუგო ვაჟმა, — დაჯე და ერთი შენ კალ-  
თაში დამაძინეო. ჩაუდვა ქალს თავი კალთაში და ტკბილად ჩაიძინა.

1 ცხოვრება წმ. მთვარე-მოწამისა და ძლევა-შემოსილისა გიორგისა, 1904,  
გვ. 43.

2 პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები,  
1949, ტ. VII, გვ. 263.

3 მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, 1938, გვ. 96—97.

4 იქვე, გვ. 96—97.

იზხუილა ცაში გველეშაპმა და დაეშვა ძირს. ქალმა ცხარე ცრემლები გადმოუშვა თვალიდან. ერთი ცვარი ლოყაზე დაეცა მძინარე ყმაწვილს და გამოედვიძა, მწოლარემ მოსწია შვილდს, გასხლტა ისარი, ეცა ჰაერში გველეშაპს და შუაზე გააპო. იმოდენა იყო ის წყეული, რომ სისხლისაგან ზღვა გაკეთდა და ხორციდან დიდი მთები“.

ასეთივე ადგილი გვხვდება ზღაპარ „ასლანის გაზრდილში“.

ამხანაგები ლალატობენ გმირ ასლანის გაზრდილს და ორმოდან აღარ ამოჰყავთ. მზეთუნახავი დარიგების თანახმად უნდა შეხტომოდა თეთრ ერკემალს, რომ ზემოთ ამოეყვანა. „ეწეალა, მაგრამ ვერ შეახტა თეთრს. შეახტა შავს და ჩავარდა ქვესკნელში. ასლანის გაზრდილი მივიდა ერთ სახელმწიფოში.

მივიდა წყაროსთან, ნახა, ხელმწიფის ქალი ზის და ტირის.

— რად ტირიო? — ჰკითხა ასლანის გაზრდილმა.

— გველეშაპმა უნდა შემეკამოს და განა სატირალი არა მაქვსო! ასლანის გაზრდილმა თავი კალთაში ჩაუდო და დაიძინა: როცა გველეშაპი მოვიდეს, გამადვიებო.

მოდის გველეშაპი. ქალი ვერ აღვიძებს. ცრემლი ჩამოსდის, აეწვა თვალები. ასლანის გაზრდილს გაედვიძა, ესროლა და გველეშაპი იქვე მოკლა. ქალმა სისხლში ხელი ჩაყო და ზურგზე დაადო ასლანის გაზრდილს, თვითონ კი მამასთან გაიქცა. ასლანის გაზრდილმა მიუტანა ბებერს წყალი.

ხელმწიფე ქალს გაუჩავრდა: გველეშაპი ზომ ყველას დახოცავს, რად გამოიქეცი, ახლავე გაბრუნდიო!“

უნდა აღინიშნოს, რომ გმირი ჰაბუკები საზოგადოებრივ ყოფაში თავშეკაეებულნი, ზრდილნიც არიან, სიკეთის საზეიმოდ საკუთარ სიცოცხლეს არად აგდებენ და სიყვარულის დიდი უნარი აქვთ.

ჰაბუკები ადამიანთა მტერს — დევსაც ებრძვიან. ასეთია ზღაპარი „სამი ძმა და მათი და“ და სხვა.

ქართული ხალხის ფანტაზიამ გააერთიანა დევი და გველეშაპი, როგორც მანვე ძალა. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ მიხ. ჩიქოვანის მიერ გამოცემულ „ქართულ ხალხურ ზღაპრებში“ გამოქვეყნებული „ფაშგუნდი“. <sup>1</sup> ამ ზღაპრის მიხედვით, დედაბერის სტუმარი ჰაბუკი ჰკლავს დევს, ათავისუფლებს ხელმწიფის ქალს და წყაროც ხალხს რჩება.

შეორე ზღაპარში, — რომელიც იმავე გამოცემაში დაიბეჭდა „ყარაბ-ოღლის“ <sup>2</sup> სათაურით, — მითური გმირი დედაბერს ესტუმრა,

<sup>1</sup> მიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, 1938, გვ. 136.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 167.

მოხუცს წყალი არა აქვს, გმირი ამარცხებს არა დევს, არამედ გველუშაპს, გადაარჩენს ხელმწიფის ქალიშვილს და წყალიც სამუდამოდ რჩება ხალხს.

აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ამირანის ეპოსის ციკლშიც დევს გველუშაპი სცელის: შეგვხვდებათ ასეთი გამონათქვამი: „დევნი ამირანს მიუახლოვდა, დაალო პირი და გადაყლაპა“. იმავე ტექსტში შეცვალა დევმა გველუშაპი.

„ამირან ალამ ჩალამსა მუხლსა ჩაგედვა სანგარი:

ავს ალაგს დასძინებული (ხარ) დიდს მუცელს გველუშაპისა“.<sup>1</sup>

ბოროტ ძალებთან ბრძოლა (გველუშაპთან, დევთან და სხვ.) ქართულ ხალხურ შემოქმედებაში ფართოდაა გავრცელებული და მითურ ამირანს ბრძოლის წამყვან ეპიზოდად ითვლება. მითური გმირის გველუშაპთან ბრძოლის ეპიზოდთა მსგავსების შესახებ მიხ. ჩიქოვანი წერს: „სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირისაგან მოსმენილ და ჩაწერილ ორ მოთხრობაში გველუშაპთან ბრძოლის ეპიზოდი ერთნაირია: 19 მოტივიდან საერთოა თორმეტი (3, 4, 5, 8, 11, 12, 17, 14, 15, 16, 19). ჩვენ მიერ აღებული ტექსტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, მთქმელები არ იცნობენ ერთიმეორის შემოქმედებას და ამისდა მიუხედავად, მათ მიერ წარმოსახული სურათები ურთიერთშორის იდენტურია. ამნაირი მსგავსების მიზეზი საქართველოში ამ სიუჟეტის ფართო გავრცელებაა და არა მთქმელთა ურთიერთ გავლენა ან ჩანაწერთა კავშირი“.<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, ქართულ ხალხურ ზღაპრებში ხშირად გვხვდება გველუშაპის (დევის) მკვლელი ჭაბუკი. ვეცდებით დამოწმებული მასალით ძაფი გავაბათ ქართულ ზღაპრებში გველუშაპის ან დევის მკვლელ ჭაბუკსა და ამირანს შორის.

ვეშაპმებრძოლი გმირის თავგადასავალი, — წერს მიხ. ჩიქოვანი, — ამირანსაც ისე უკავშირდება, როგორც ზღაპრულ პერსონაჟებს. 1936 წელს ქვემო სვანეთში ჩაწერილ ვარიანტში ვკითხულობთ: „წავიდა ამირანი ერთ დედაბერთან და სთხოვა, რაიმე საკმელი მიეცა. კარგი, — უპასუხა დედაბერმა, დამაცადეო და გამოვაცხოზ პურსო... ჩვენს ქვეყანას ჰპატრონობს გველუშაპი, ის წყალს არავის ანებებს, თუ ერთი კაცი მსხვერპლად არ შეეწირაო. ამირანმა სთხოვა დედაბერს ჭურჭელი და უთხრა: მე წავალ, მოვიტან წყალსა

<sup>1</sup> მიხ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, სვანური ვარიანტი, 1947, გვ. 359—360.

<sup>2</sup> მ. ჩიქოვანი, ვეშაპმებრძოლი გმირი და წმინდა მხედარი, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1949, ტ. VII, გვ. 261.

და იმ გველეშაპსაც მოველაგო. წავიდა ამირანი წყაროსაკენ მართლაც, წყაროს უზარმაზარი გველეშაპი ჰპატრონობდა. ამირანმა მოკლა გველეშაპი და წყალი წამოიღო“.<sup>1</sup>

ამ ტექსტში ამირანის ეპოსი გვაგონებს ჯაღოსურ ზღაპარს: მზეკაბუჯი ჰკლავს გველეშაპს; ასევე ამირანიც კაბუჯის მსგავსად ებრძვის გველეშაპს.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ქართველი მითური გმირი ძირითადად ფიზიკური ძალით ამარცხებს ბოროტ ძალებს. ბევრ შემთხვევაში ფიზიკურ ძალასთან ერთად ისინი გონებამახვილნიც არიან. მითურ გმირთა მოხერხებულობის მაგალითი იმდენი გვხვდება, რომ ძნელი გადასაწყვეტია; რომელი სჭარბობს (ხერხი თუ ძალა). მაგალითად, სამოცთავიან დევთან ბრძოლაში ის ფარდაგის ორმოცდაცხრამეტ თავს იკეთებს.<sup>2</sup> მეორე შემთხვევაში გველეშაპს პირში ძვალს ჩაუღებს, გველეშაპს პირი ღია რჩება. გმირი ენას აჭრის, შემდეგ კი თავს.<sup>3</sup> მითურ კაბუჯს მოხერხებულობასა და მაღალ მორალურ თვისებებთან ერთად აქვს მაგიური ძალების უნარიც. მაგალითად, ამირანი შეილდისრის გასროლით საქონლის ნახირის ნახევარს წააქცევს, ნახევარს კი ფეხზე დააყენებს.<sup>4</sup> ცხელ ორმოში ჩაშვებისას თანმზღებელს დაუბარებს: თუ ვიყვირებ ვიწვი, უფრო ძირს ჩამიშვითო.<sup>5</sup> ქვესკნელში ჩავარდნის დროს, რბილად რომ დავარდეს, ყვირის „ბებრის ბანი ბამბიანი, ბებრის ბანი ბამბიანიო“<sup>6</sup> და სხვ.

ქართველი ხალხის წარმოსახვით მითური გმირი (კაბუჯი) ზეადამიანურია, როგორც ძალით, ისე მოხერხებით; აღამიანების დაზმარების სურვილითა და გონიერებით კი უახლოვდება ქრისტიანულ წმინდანებს, რომლის ჩამოყალიბების წინა სახედ ქართული მითური ამირანი (იგივე კაბუჯი) მიგვაჩნია.\*

1 მ. ჩიქოვანი, ეშაპმებრძოლი გმირი და წმინდა მხედარი, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1949, ტ. VII, გვ. 267.

2 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1964, გვ. 136.

3 იქვე, გვ. 155.

4 იქვე, გვ. 220.

5 მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, 1938, ტ. 1, გვ. 210.

6 იქვე, გვ. 222.

\* მ. ჩიქოვანი ამირანის ეპოსს საწესჩევულებო პოეზიასთან აკავშირებს. ამირანის ფერხისაის გარჩევის შემდეგ კითხულობს:

„არსებობდა თუ არა საქართველოში ამირანის კულტი, როგორც საბერძნეთში პრომეთესი, ირანში მითრასი ან ჩენში არმანის?“ ავტორი მრავალ საერთოს ჰხედავს ამირანსა და მსოფლიო მითურ გმირებს შორის და ამ საკითხს დადებითად სწყვეტს ლექსს ამირანზე როგორც კოპალასა, იახსარზე და სხვ. ქართულ წარმართულ პანთეონის ღმერთისშვილებზე, ფერხისაის ხატობაზე ასრულებდნენ.

წმინდა გიორგის მეორე სასწაულში მოთხრობილია, რომ: „მეფემ და ხალხმა წმინდა გიორგის პატივსაცემად ვლასიაში ააშენეს დიდი და მშვენიერი ეკლესია ყოვლად-წმინდა ღვთისმშობლის სახელობაზე. როცა ეკლესიის შენება დაამთავრეს, მოვიდა წმიდა გიორგი და სხვა სასწაულიც გამოიჩინა. იგი შევიდა ახლად აგებული ეკლესიის საკურთხეველში და აღმოაცენა წყარო კურნებისა და ეს წყარო არს ვიდრე აქომამდე საკურნებლად ქრისტეს მორწმუნეთა“.<sup>1</sup>

წმინდა გიორგის მიერ წყლის გამოყვანის მაგალითი სევანურ თქმულებაშიც გვხვდება. მოგვყავს ამონაწერი:

„დიდი ხნის წინ სევანეთში ჩუბახევიდან შემოვიდა ოსების ჯარი. დაეცნენ წმ. გიორგის ეკლესიას. კაცი და ქალი გაიქცნენ, დაიმალნენ. სოფელში ცხოვრობდა ერთი ქალი, რომელსაც არავენ ჰყავდა, არც ქმარშვილი და არც მოახლე.

ამ ქალმა არა იცოდარა ოსების შემოსევის შესახებ. როცა სოფელში ცეცხლი გაჩნდა, მხოლოდ მაშინ გაიგო, წამოავლო ცოცხს ხელი და გაიქცა, ოსებმა დაინახეს ქალი და გამოეკიდნენ. ქალი შევარდა წმ. გიორგის ეკლესიაში და ცოცხით მიენთო წმ. გიორგის ხატს:

„კეთილი არა ხარ, წმ. გიორგივ, ხედავ, შენ ხალხს მუსულმანები როგორ ხოცავენ! მიეხმარე!“ . თქვა თუ არა ეს, წმ. გიორგი გადმობტა ეკლესიიდან ხანჯლით, გაჰყვა ქალს, დაერია ოსებს და დახოცა. ნაწილი ბეჩოსკენ გაიქცა.

წმ. გიორგიმ უთხრა ქალს... შენ სოფელი გაასუფთავე მკვდრებისგანო. ქალმა მკვდრები ხევში გადაყარა. წმ. გიორგი სისხლის კვალს გაჰყვა და ყველა დახოცა.

წმ. გიორგის ცხენს მოსწყურდა და უთხრა: „წმ. გიორგი, მწყურიაო“. წმ. გიორგიმ ხანჯალი გაართყა ქვას (კლდეს), გადმოჩქეთა წყარომ, ცხენმა მოიკლა წყურვილი. როცა საქმეებს მორჩინენ, წმ. გიორგიმ გადაჰკრა ცხენს მათრახი და ავარდა ცაში. ამ ქვიდან (კლდიდან) ღღესაც მოსჩქეთს წყარო.<sup>2</sup>

---

ზემოთ ნახსენებ ღვთისშვილებს ეთაყვანებოან, ასევე ეთაყვანებოდნენ და პატივს სცემდნენ ამირანსაც. ამიტომ ამირანის კულტი და სალოცი ადგილი უნდა ექძოთ; ასეთ ადგილად ავტორი მთებს: გერგეტს, საყორნიეს, იალბუზს, ფასის, კილოუს და ამირან მთას მიიჩნევს. (მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 323, 331).

<sup>1</sup> ცხოვრება წმ. მთავარ-მოწამისა და ძლევა-შემოსილისა გიორგისა, ტფილისი, 1904, გვ. 44.

<sup>2</sup> Записки Кавказского отд. русск. геогр. общ-ва, кн.-х, Тифлис, 1876, Л. И. Стоянова.



ქართულ მითურ თქმულებებში წყლის გამოყენების სხვა შემთხვევაც გვხვდება. მაგალითად, კარატის ჯვრის კოპალაც ლახტის დაკვრით აჩენს წყალს უწყლო ადგილას. როცა ლაშქრობიდან მობრუნებულა, „ხახმატის ჯვარს კარატის ჯვრის კოპალასთვის „დაუძახავ“: მამეშველე, ჯარი წყურვილით მელევისო“. ისიც მიჰკვებებია: ერთ უწყლო ადგილს მდელოსად ლახტი დაუტყლაშნია, წყარო ამოუყვანია და მთელი მხედრობა დაუძღვია“.<sup>1</sup> კლდიდან წყლის გამოყენების მაგალითებს ხშირად ვხვდებით ქართულ-კავკასიურ მითოლოგიაში.

წმ. გიორგის ცხოვრების ერთ-ერთ გამოცემაში მოთხრობილ სასწაულებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა წმ. გიორგის სტუმრობა მიწის მოქმედ გლეხ თეოფისტესთან.

...თეოფისტე ჰქარგავს ხარებს, ყველა ცნობილ წმინდანს შესთხოვა დახმარება, მაგრამ ვერ მიეხმარნენ, ბოლოს წმინდა გიორგის მიმართავს...

იმ ღამეს თეოფისტოსს მოეჩვენა წმიდა გიორგი და უთხრა: „თეოფისტოს!“ მან მიუგო: „აქა ვარ, უფალო!“ წმინდანმან უთხრა: „წარვედ გზასა მას და ჰპოვო ხარნი შენნი. ხოლო რაიცა აღმოთქვი, მსწრაფლ აღასრულე, მომიწოდე მეცა და მოვალ შენთან“.

თეოფისტოსს გამოეღვიძა და ეს ხილვა ცოლს უამბო. ცოლმა უთხრა: წადი იქითკენ, როგორც წმინდა გიორგიმ გამოგიცხადა. თეოფისტოსი წავიდა და იპოვნა წმიდანისაგან ნაჩვენებ გზაზე ხარები. ხარები ბალახს სძოვდნენ. გახარებულმა თეოფისტოსმა მადლობა შესწირა წმ. გიორგის და ხარები შინ წამოასხა. ცოლმა გამოსაცდელად ჰკითხა: წინათაც თუ ეძიე იმ გზაზე ხარებიო. თეოფისტოსმა მიუგო: დამიჭერე, რომ ბევრი ვეძიე, მაგრამ ვერ ვიპოვეო. ვმადლობდეთ ღმერთსა და წმიდა გიორგის და რაც აღუთქვი, სწრაფლ აღუსრულეო, — უთხრა ცოლმა თეოფისტოსს.<sup>2</sup>

წმ. გიორგის ცხოვრება ისტორიული ფაქტია, მოყვანილი ეპიზოდი კი ბევრ სხვა სასწაულთან ერთად, ხალხურ გადმოცემად ითვლება. მსგავსი სიუჟეტები მრავალ ქვეყანას მოეპოვება. მეცხრამეტე საუკუნის რუსი მკვლევარი ა. კირპიჩნიკოვი, რომელსაც წმ. გიორგის ცხოვრების მეცნიერული შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის, თავის შრომაში აანალიზებს გერმანულ ნორმანულ-სკანდინავურ და რუსულ თქმულებებს, მათ ლიტერატურაში დამკვიდრებულად მიიჩნევს და ჩერდება საქართველოზე.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა, 1964, ტ. IX, გვ. 156.

<sup>2</sup> ცხოვრება წმ. მთავარ-მოწამისა და ძღვეა-შემოსილის გიორგისა, 1904, ტფილისი, გვ. 69.

<sup>3</sup> А. Кирпичников, Св. Георгии и Егор Храбрый, 1879 г., гв. 83.

ხარი რელიგიის ისტორიაში მითრიაზმის განუყრელი ნაწილია. ახლადდაბადებული მითრა ველზე გავარდნილ ხარს შეეჭიდება, შეიყვანს გამოქვაბულში და ჰკლავს. ხართან დაკავშირებულმა მისტერიათ, რომის იმპერიაშიც შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა, როგორც მითრიაზული რელიგიის ერთ-ერთმა დამახასიათებელმა ნიშანმა.

საქართველოში ქრისტიანობის აღიარებამდე მითრიაზმი სახელმწიფო რელიგია იყო. ამის საბუთებია სვეტიცხოველის გალავნის კარიბჭის თავზე ხარის თავის ბარელიეფები, იფარის ეკლესიაში (სვანეთი), ბოლნისში და სხვ. მამლის დაკელის ჩვეულებაც მითრას კულტის ნაშთია.<sup>1</sup>

„...წმინდა გიორგი-ვასთირჯის კულტში, — წერს ალ. ლლონტი, — ბევრია მითრიაზმისა და „ადგილობრივ წარმართულ წესჩვეულებათა გაქვევებული მოტივი...“<sup>2</sup>

მითრას კულტის არსებობაზე მიგვითითებს აგრეთვე ილორის წმ. გიორგის დღესასწაულებზე შემორჩენილი სასწაულებრივი ხასიათის თქმულება წმ. გიორგის სალოცავის დაკეტილ ჭიშკრის შიგნით წმ. გიორგის მიერ ხარის შეყვანის შესახებ.

ილორის წმ. გიორგის სასწაულის შესახებ მოვეუსმინოთ XVI საუკუნის ევროპელ მოგზაურს დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელს. იგი წერს:

ილორში (სამეგრელო) წმ. გიორგისადმი მიძღვნილ დღესასწაულს 21 ნოემბერს უქმობენ... „ილორი ზღვასთან ახლოს მდებარეობს, პატარა სოფელია, სადაც აქა-იქ გაფანტულია ოცდაათამდე სახლი. აქ არის წმ. გიორგის სახელობაზე აშენებული ვერცხლის კარებიანი ეკლესია. ეს ეკლესია დიდი თავყვანისცემის სიმბოლოდ არის გადაქცეული. ამ ეკლესიაზე ამბობენ, რომ წმინდა გიორგი ღამის თევისას, მის დღესასწაულს რომ უსწრებს, ერთ ხარს იჭერს და ღამით ეკლესიაში ამწყვდევსო. ღამის სათევად მთავარი დადიანი აქ მობრძანდება ხოლმე, რომ მის სასწაულს დაესწროს. საღამოს ეკლესიას მაგრად ჰკეტავენ და ვერცხლის გასაღებს მთავარს ჩააბარებენ. დილით დიდძალი ხალხი იყრის თავს, რომ მოწმე გახდეს ასეთი საოცრებისა. მთავარი გასაღებს გადასცემს მღვდელს, ალებენ კარებს, შედიან შიგნით და ხედავენ ხარს. გამოჰყავთ გარეთ და ჰკლავენ. როგორც ნაკურთხ ხორცს, დადიანი მას მეზობელ მთავრებს უგზავნის, რაც დარჩება მთავრის სუფრაზე დიდ თავადთა შორის ნაწილდება. ამ დღეს დადიანი და მასთან მყოფნი, წმინდა გიორგისა-

<sup>1</sup> ს. შაკალათია, ჯეგე-მისარიალის კულტი ძველ საქართველოში, 1938, გვ. 21.

<sup>2</sup> ალ. ლლონტი, ოსური ზღაპრები და ლეგენდები, 1957, გვ. 11.

დმი ერთგულების აღსანიშნავად, ამ ხარის ყანწით სვამენ ღვინოს“.<sup>1</sup> მითრაც, ავესტას მიხედვით, ადრეულ ხანებში ხარად იყო ცნობილი, რომელსაც ჰკლავდნენ.<sup>2</sup>

ამ სასწაულის შესახებ ა. კირპიჩნიკოვი შემდეგ შენიშვნას გამოთქვამს.

ზოგჯერ სასწაულების მთხრობლები ძველად არსებულ და მივიწყებულ წესებს უდებენ საფუძვლად თითოეულ ეპიზოდს. ასეთ ჩვევად ავტორს მიაჩნია მითრიანული რელიგიის პირობები, როცა მითრა ხარს იტაცებს, შეჰყავს თავის გამოქვაბულში და ჰკლავს. მითრას დღესასწაულზე ყოველ წელს მეორდებოდა ეს წესები, რადგან მითრა მუდმივად ახალგაზრდადებოდა და ყოველ წელს უწევდა ხარის გატაცება და დაკვლა. მითრიანული წესი შემორჩენილი გვაქვს ქრისტიანობის დროსაც ილორის სალოცავში. თუმცა, ეს საქციელი ქრისტიანული რელიგიისათვის შეურაცხმყოფელიაო.

ა. კირპიჩნიკოვი ასკვნის: „თეოფისტე (წმ. გიორგის ცხოვრებაში ხარების დამკარგავი გლეხი) დიდხანს ეძებდა დაკარგულ ხარებს იმ ადგილებში, სადაც იპოვა. სად იყვნენ? არავინ იცის. ის გაიტაცა გიორგი — მითრამ. ეს ასე ხდება: თქმულება, მითრა ხარის გამტაცებელი, გადადის წმ. გიორგიზე, როგორც სასწაული. მაგრამ ქრისტიანულმა რელიგიამ იგი არ მიიღო, რადგან ძირითად ქრისტიანულ მორალს არ ეთანხმება, ამიტომ ლიტერატურაში არ შევიდა. ასეთი სუფთა სახით შევიდა და შემოგვრჩა სამეგრელოში. პირველად, როგორც წესი, შემდეგ კი, როგორც სასწაული“.<sup>3</sup>

ა. კირპიჩნიკოვის დასკვნით, ხარის დაკვლის სასწაული საქართველოში მითრიანული რელიგიის გავლენით დამკვიდრდა.

ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ შენიშვნაზე, რომელსაც ილორის სალოცავის სასწაულის შესახებ მოგვითხრობს ევროპელი მოგზაური ღონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი: „იმისათვის, რომ მღვდლებს ხალხი მოეზიდათ..., ხმა გაავრცელეს, წმინდანს ყოველ წელს მოჰყავს ხარიო. ამბობენ წმინდანს ჯერ თურმე მოჰყავდა ირემი, მაგრამ ვინაიდან ირემი ძნელი დასაქერია, იგი ხარით შეცვალეს“,<sup>4</sup> — ირონიულად შენიშნავს ავტორი, როგორც ვიცით, ირმის შესახებ მითრიანული რელიგია არაფერს ამბობს. მაშ საიდან გაჩნდა ირმის შესახებ თქმულება? გვხვდება თუ არა ირმის დაკვ-

1 ღონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, 1964, გვ. 97.

2 Бринкер, Страдающий бог в религиях древнего мира, 1923, გვ. 33.

3 А. Кирпичников, Св. Георгий и Егор Храбрый, С.-Петербург, 1879, გვ. 84.

4 ღონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, 1964, გვ. 97.

ლი ან მიყვანის შემთხვევები ილორის წმ. გიორგის სალოცავს გარდა საქართველოს სხვა სალოცავებში? ასეთი თქმულებები გვხვდება.

სოფ. საქარაში (ზესტაფონის რაიონი) არის ეკლესია, რომელსაც ადგილობრივნი „ირმის საყდარს“ ეძახიან. გავეცნოთ გადმოცემას ამ საყდრის შესახებ:

„...ე საყდარი კაი დიდი ხნისი არი, მამაჩემმაც არ იცოდა, როდინდელი იყო. ბაბუაჩემიდან გამიგონია ამის ამბავი.

ძველათ, თურმე, ყოველ მთავარ ანგელოზობას, ნაშემოდგომებს მიდიოდა გაღმა ტყიდან თურმე ირემი საყდრის გაღავანში და დაწებოდა და დაიწყებდა ნაცობრობას. შევიდოდა ხალხი და დააციდოდა, სანამდი დეინაცობრობდა. მერე დაკლამდენ და შეწირამდენ. ყველას უნდა რგებოდა მისი ხორცი.

ერთ წელიწადს თურმე დააგვიანა ირემმა მოსვლა და დაღონდა ხალხი, მარა შევიდა მერე თურმე და ხალხმა იმის შიშით, რომ არ წევიდესო, დანაცობრებამდის დაკლა. ამაზე განრისხდა ღმერთი და იმის შემდეგ ირემი აღარ მოდიოდა. ამის მერე უძახიან ირმის საყდარს“.<sup>1</sup>

ასეთივე გადმოცემაა ხარაგოულის კახორის წმ. გიორგის სალოცავზე. აქაც მოდიოდა ირემი და თვითონვე ეწირებოდა, იკვლებოდა, აქაც აციდინენ ამოცოხენას, შემდეგ კი „რატომლაც აღარ მოვიდაო“.<sup>2</sup>

სავარაუდებელია, რომ წმინდანის დღეობაზე ხარის დაკვლის წინა სახე სწორედ ირმის დაკვლა იყო, რამაც ხარის დაკვლის სას-

1 თსუფა, № 2200.

2 ხევსურეთში ღვთისშვილი კობალა ირმის სახითაც ჰყავთ წარმოდგენილი, მაგალითად:

„ჩილოს გორ ჩამამავალი ირემ ვეგონე რქიანი,  
წამამყარეს ისარი, ფოცხ-მაყრატელი თმინი.  
სიმურჩი ამავიჩქვიფე, რქის წვერთ გაიღეს ძგრიალი“.

ჰყვება ფშავ-ხევსურეთის მითური გმირი კობალა.

(თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967, გვ. 56).

ღვთისშვილის წარმოდგენა ირმის სახით მხატვრული სახე არ შეიძლება იყოს, ირმის რქებითაა დამუშავებული ხევსურეთის ბევრი სალოცავი. ამიტომ თავისი ფეხით ირმის მისვლა სალოცავში, რაზედაც გადმოცემა დასავლეთ საქართველოში შემოგვრჩა, შემთხვევითად არ შეიძლება მივიჩნიოთ. იგი გავრცელებულია მთელ საქართველოში, მისი დაკვლა „ხეთის ნებით“ ხდებოდა, ხორცი წამლად იხმარებოდა. შემდგომ ირმის სანაცვლოდ ხარის დაკვლა დამკვიდრდა უკვე მთიარაინიზმის გავლენით.

წაულს კავკასიაში მითრიანული რელიგიის შემოსვლისას მყარი ნი-  
დაგი დაახვედრა\*.

სამონადირეო ყოფის შესწავლის შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ,  
რომ კავკასიურ ნატურ-მითურ სიუჟეტებში პირველ შესაწირ ცხო-  
ველებად ირემი, ჭიხვი, ხოლო შემდგომ ხარი ითვლებოდა.

ამავე სასწაულში ერთი საყურადღებო ეპიზოდია: წმ. გიორგი  
ესტუმრა თეოფისტოს; გაშლილ სუფრას მოყოლილი ორი ქაბუკი  
ემსახურებოდა. ამ ეპიზოდმა დაგვაინტერესა იმით, რომ მიუხედა-  
ვად დიდი ხნის ლხინისა, სუფრა ბოლომდე საესე დარჩა და არც  
თეოფისტოს სანოვაგეს დაკლებია რა. წმინდა გიორგიმ ქაბუკებს  
უბრძანა, რომ თავს დასდგომოდნენ სუფრას და ემსახურნათ ტაბ-  
ლისათვის. შემდეგ წმინდანმა უთხრა თეოფისტოსს:

— თეოფისტოს, თეოფისტოს!

— აქა ვარ, უფალო, — მიუგო მან.

წმინდანმა უბრძანა:

— უთხარ, რომ დასხდნენ შენი მეგობრები. დასხედით შენცა  
და შენი მეუღლეც და ტაბლას ეს ორი ქაბუკი მოემსახურება.

— თეოფისტოსმა უთხრა ქაბუკებს:

— აჰა, ეს ღვინის ჭურჭლები, როცა დაიცილება, ჭურს ახადეთ  
და იქიდან ამოიღეთ ღვინო.

ქაბუკებმა აიღეს ჭურჭელი და დაიწყეს ღვინის მიწოდება. მაგ-  
რამ ჭურს ამით არ აკლდებოდა და ისევ ივსებოდა. ტაბლაზე და-  
წყობილი საზრდოც უფრო და უფრო მატულობდა. ყველანი იშვებ-  
დნენ და იხარებდნენ.<sup>1</sup>

ეს ეპიზოდი ძალიან გვაგონებს „ნართების“ ერთ-ერთ თავს:  
„როგორ შეცდა სათანა“. ზეციურმა მქედელმა საფამ გააკეთა დანა,  
რომელიც როცა დასჭირდებოდა, იქცეოდა ახალგაზრდა ქალ-ვაჟად  
და ემსახურებოდა, როცა საფა ესტუმრა ნართ სათანას:

„მაშინ საფამაც მყის ამოიღო

ჭიბიდან ორი პატარა დანა:

დანები იქცნენ ქალად და ვაჟად.

---

\* საერთოდ ირმის დაკვლა ხატში პირველხარისხოვან შესაწირად ითვლებო-  
და საქართველოში. ცნობილია, რომ ალექსანდრე ყაზბეგის მამამ ალექსანდრეს  
დაბადებით ვახარებულმა ირემი შესწირა სპარსთანგელოზის ხატს.

ხატის დღესასწაულებზე ირმისა და ხარის სასწაულებრივ გამოჩენაზე და ხალ-  
ხის მიერ მათ დაკვლა-დანაწილებაზე (იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი) ვიმოწმებთ  
აგრეთვე ვ. ბარდაველიძის ნაშრომსაც (Главное божество древне-грузинского  
пантеона Гмертн, Вопросы этнографии Кавказа, 1952, გვ. 315).

<sup>1</sup> ცხოვრება წმინდა მთავარ-მოწამისა და ძლევა შემოსილისა გიორგისა,  
ტფილისი, 1904, გვ. 445.

და უმალ დაკლეს საკლავი განა!

ქალმა და ვაჟმა მონამზადები,  
შემოუტანეს სტუმარს მწვადები;  
საფას წინ დასდგეს თინგი სვიანად  
და მსახურობდნენ თავაზიანად.  
როცა სტუმარმა კარგად ივახშმა,  
ორმა მსახურმა — ქალმა და ვაჟმა  
შემოიტანეს ლოგინი სწრაფად  
და გაუმზადეს საწოლი საფას<sup>1</sup>!

წმინდა გიორგის ცხოვრებაში ნახსენები მსახურები და ზეციური მკედლის მიერ შექმნილი მსახურები ძალიან გვანან ერთმანეთს. ისინი ორივეგან უსიტყვოდ ემსახურებიან უფროსებს და დიდ სიამოვნებას ანიჭებენ მათ. ისინი წარმოშობით ორივე ზეციური ძალების შექმნილი არიან და მათ შორის მსგავსება მინიმუმამდეა დასული. აქ არაფერია ნათქვამი მხოლოდ საკმელად მიტანილი სანოვაგის გაუთავებლობაზე, მაგრამ ხალხურ გადმოცემათა ასეთი მსგავსება და პირველყოფილობა გვაფიქრებინებს, რომ წმ. გიორგის ცხოვრებაში მოთხრობილ ამ საოცრებას კავკასიური ხალხური თქმულება ამაგრებს და ასაზრდოებს კიდევ.

წმ. გიორგის ცხოვრებაში მოთხრობილ თეოფისტოს ხარების დაკარგვის სასწაულის ნაწილს შეადგენს აგრეთვე, დაკლული ხარების ძვლებისაგან ცოცხალი ცხოველის აღდგენა.

„წმინდანმა უთხრა თეოფისტოს: ხორცი რამდენიც გინდა სჭამეთ, ხოლო ძვლები კი შეინახეთ, ნურც ერთს ნუ დაჰკარგავთ, რომ უპატიოდ არ იქნასო.“

როცა პურის ჭამა გაათავეს და საზრდო ააღაგეს, წმინდა გიორგიმ ბრძანა, ეთქვათ მოწამის საგალობელი. იმათაც იგალობეს:

გალობის შემდეგ კიდევ დალიეს ღვინო სადიდებლად ღვთისა და წმინდა გიორგისა. დასასრულს თქვეს: „ყოვლად წმიდო, შეგვეწყვი“ და ყველანი აღგნენ. ხოლო წმიდანი შეჴდა თავის ცხენზე და სთქვა: დარჩენილი ძვლები მე მომართვითო. ხოლო იქ მყოფთ უთხრეს ერთმანეთს, ნეტავ რათ უნდა ძვლები? ხომ არ დაითრო ღვინითა, რომ რასაც იქმს, თვითონაც არ იცისო?

მოიტანეს ძვლები და წმიდანის წინ დააღაგეს. წმიდანმა აღიხილნა თვალნი ცისაკენ და წარმოსთქვა: „უფალო ქრისტე, რომელი ეგრე შეგიყვარე და ვიქმენ მონა შენდა, მოვედინ კურთხევა შენი მონისა თეოფისტოს ზედა და ვითარცა განამრავლენ ვარსკვლავნი ცისანი და მიწა ქვეყნისა, ეგრეთვე განამრავლე კეთილი შენი მონასა შენსა თეოფისტოს ზედა“.

<sup>1</sup> ნართები (ოსური ხალხური ეპოსი), 1947, გვ. 449.

ლოცვა რა გაათავა, იქმნა დუღილი და რყევა დედამიწისა ისე ძლიერ, რომ ყველანი მიწაზე დაეცნენ. ამ დროს აღსდგა და გაცოცხლდა ზამჭერ იმაზე მეტი საქონელი, რამდენიც თეოფისტოსმა დაჰხოცა.<sup>1</sup>

ორიენტალისტები იძულებული შეიქმნენ ზემომოყვანილი ეპიზოდი ვეგეტატიური მისტერიებისათვის, ბუნების კვდომა-აღდგენის შესახებ, შეედარებინათ. ევროპულ ზღაპრებს კი მკვლევარი ა. კირპიჩნიკოვი საფუძვლიანად თვლის აპოკრიფულ ლიტერატურულიდან შესულად.<sup>2</sup> აქაც ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ქართულ ზღაპარზე, რომელიც ეხება „ხის ბეჭიან ჯიხვს“. ამ ზღაპარში ცხოველის დაკვლას მოსდევს დაკარგული ძვლის მაგიერ ხის ბეჭის ჩასმა და კვლავ აღდგენა. ამ რიტუალს კლასიკური რელიგიების წმინდანები კი არა, ნადირთ მფარველი ღვთაებები ასრულებენ.

„ორ ძმან იყვნენ. ერთს ექვიენა გმირ და მეორეს გმირწერილი, რომელიც გმირი იყო, ის მძლე, ძან მძლე იყო. გმირ წერილი ისე შეძლებული ვერ იყო. და ერთ დროს წავიდა ნადირობად გმირი ჯიხვებზე და იარა, იარა და მივიდა, საცა ჯიხვებია და ესში დადგა, დადგა და დაიწერა ჯვარი, თურმე. ამ ადგილის ბატონ-პატრონო, შენ დამეხმარე. მესტუმრეო, შამინახეო. ასე შეეხვეწა, დაეძინა და „ჰეპეო“ — ისმის: გვერდით ვილაც იძახის. შაშინდა ეს გმირი თურმე. წევს დევი და ამბობს — ვერ წამოვალ, მე სტუმარი მყავსო. მას-პინძელმა დევმა უთხრა:

— ქორწილში მპატიეობენ, უნდა წავიდეთო.

— ვერ წამოვალ, ბნელა არის. გადავიჩეხები კლდეზეო. მადლობთო.

დევი არ მოეშვა.

— ჩემ ფეხის ხმას მოჰყეო და წამოხვალო.

რა მეტი გზა ჰქონდა, უნდა გაყეეს. ადგა და წავიდა. მიყვება ფეხის ხმას. სხვა არა ესმის. იდინეს, იდინეს და ერთ ადგილას მივიდნენ. გამოქვაბულია, შააღეს, შავიდან და სხედან დევები დამწვრილებული, ქორწილია. შეეგებეს, გამარჯვება უთხრეს და დასხეს.

გზაში დევმა უთხრა:

— რო დაგვსხავენ, ღვინოს ჩამოარიგებენ: არ აიღო, არ ჭამოო. ჩამოარიგეს ჭიქები. მოვიდა ჯერი და არ გამოართვა.

— ორ სამს მოჰკლავსო.

<sup>1</sup> ცხოვრება წმ. მთავარ-მოწამისა და ძლევა-შემოსილისა გიორგისა, 1904, გვ. 78.

<sup>2</sup> А. Кирпичников, Св. Георгий и Его Храбрыи, С.-Петербург, 1879, гв. 83.

ახლა მესამე, მეოთხე, მეხუთე... მეცხრე. არც მეცხრე გამოართვა — ცხრას მოჰკლავსო.

მეათე წყება რო ჩამორიგდა, გამოართვიო და გამოართვა. მერე გაშალეს სუფრა.

ცხრა ჯიხვი მორეკეს, დახოცეს, დაკაფეს, ჩაყარეს ქვაბში და მოხარშეს. დევმა უთხრა:

— ერთი ვალო შეინახეო. არ ნახონ ისეო.

ჰოდა შეინახა ის ძვალი, დამალა.

დაამთავრეს პური-ქამა, ჯოხი წამოჰკრეს, ძვლები მოკრიფეს, გამოდის ჯიხვები, დაცოცხლდა. მარა ერთი ძვალი დააკლდა (ჯიხვში რო უდევს) ჰოდა, გაუკეთეს ხისა.

„ადე, ადე ზეჰეჰაო,  
ხისა გიზის ბეჰეჰაო“.

რო დამთავრდა ქორწილი, წავიდნენ სტუმარ-მასპინძელი. მოვიდნენ გამოქვაბულში. მოვიდა თენების დრო. გათენდა, ადგა გმირი და წავიდა ჯიხვებზე სანადიროდ.

ერთ ადგილას გადახედა — ცხრა ჯიხვია. ესროლა და ცხრავე ჰოკლა. ცხრას ხო ვერ აიკიდებს და დაუბარა გმირ წვრილს — „დაშენმარეო“. სამი ჯიხვი უმცროს ძმამ მოიკიდა და ექვსი უფროსმა და წავიდნენ სახჩი, მოილეს სახჩი ეს ცხრა ჯიხვი, გაატყავეს, ერთს ხის ძვალი გამოაჩნდა. თურმე ისინი დაუხოცნია, დევებმა რო შეულოცეს...“<sup>1</sup>.

კიდევ:

„გამიგონია სიზმარივით ყოფილიყო ერთი თაზი ზონაშვილი. ის ყოფილიყო კაი განთქმული მონადირე. წასულა სანადიროს და დაეპატიჟა ყე ანგალოზებს. მოუკლავს ნადირი და ახლა შემოუყრია ყე თავი, გამოქვაბულში. ცეცხლი დაინთეს და ნადირი მოხარშეს. ჭამის დროს ერთი ბეჭი ძალს გადაუგლო მონადირემ. ძალმა შეჭამა. ანგელოზებმა ძვლებს მოუყარეს თავი. ბეჭი რო ვერა ნახეს, არყის ბეჭი გაუკეთეს, ხის ბეჭი. — თაზის ბედი გქონიაო, — ანგელოზებმა უთხრეს. გაცოცხლებულა ნადირი და წასულა“<sup>2</sup>.

მოხევეურ ზღაპარში ძროხას, რომელსაც ქალიშვილი პატრონობს, ჰკლავენ. ძროხა არიგებს ქალიშვილს, როგორ მოექცეს მის ძვლებს მისი დაკვლის შემდეგ. ქალიშვილიც ისევე იქცევა, როგორც ძროხა არიგებს: ჰყრის მის ძვლებს ორმოში. ძვლები ძვირფას ტანსაცმელად და რაშად — იქცევა.<sup>3</sup>

<sup>1</sup> თსუფა, № 1218. ასეთივე გადმოცემა გვხვდება ფ. არქივი 101, გვ. 160.

<sup>2</sup> ფ. არქივი, 104, გვ. 22.

<sup>3</sup> თსუფა, № 1802. მსგავსი გადმოცემით ისარგებლა ვაჟა-ფშაველამ პოემა „ხის ბეჭის“ შექმნისთვის.



ზღაპარში მოთხრობილი ძროხის ძვლების რაშად გადაქცევა იმაზე მიგვიითბებს, რომ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ძვლების გაცოცხლების მრავალსახეობაა გავრცელებული.

უნდა ვივარაუდოთ, რომ წმინდა გიორგის ცხოვრებაში მოყვანილი სასწაული ძვლებისაგან საქონლის აღდგენის შესახებ, ზემოთ ნახსენებ ზღაპარ-თქმულებათა სიუჟეტებიდან საზრდოობს.

ბოლოს შეგვიძლია მივუთითოთ წმინდანის ცხოვრების კიდევ ერთ ადგილზე, რომელსაც ისევ და ისევ შეგვიძლია საერთო მოვუწინაოთ კავკასიურ სიუჟეტებთან. ასეთ ადგილად მიგვაჩნია წმინდა გიორგის სამ დღეს საკირეში დამარხვა და იქიდან ცოცხლად გამოსვლა.

მოვიყვანოთ ამონაწერი წმინდა გიორგის ცხოვრებიდან.

„მან (დიოკლიტიანე მეფემ — ბ. ა.) ბრძანა, სამი დღე გახურებულს კირის ორმოში ჩაეფლათ გიორგი. თან მკველებიც განუმწესა, რომ ქრისტიანებმა არათფერი მზაკერობა იხმარონო. გიორგიმ წარმოსთქვა ლოცვა და ჩაეშვა. გიორგი, ორმოში შეკრული ჩაფლეს, ზემოდან გახურებული კირი წააყარეს და ისე დასტოვეს“ სამი დღე წმინდა გიორგი გახურებულ საკირეში. „მესამე დღეს მეფემ, დარწმუნებულმა, რომ გიორგი დამწვარი იქნებოა, ბრძანა ამოედოთ იმის დამწვარი ძვლები და ფარულად დაემარხათ, რომ ქრისტიანებს პოვნა არ შესძლებოდათ“.

მეფის მხედრებმა ხალხის თანდასწრებით გახსნეს საკირე: „გიორგი, კრულებისაგან გახსნილი და ანგელოზებისაგან სრულიად უვნებლად დაცული, მხურვალედ ხელ-განპყრობილი იდგა და ღმერთს მადლობას სწირავდა მისგან მოცემულის მადლისა და წყალობისათვის“.<sup>1</sup>

ნართულ ეპოსში მთელი თავია მიძღვნილი მითური გმირის ბათრახის ცეცხლში ყოფნისადმი.

ბათრახმა „...გასწია ცისკენ, —  
ელვის ქუხილის მძლე ღვთაებისაკენ:  
მისგან რა ელვას ღებულობს ცისას,  
ქარის ღვთაებას ქარსა სთხოვს ისა,  
ცეცხლის ღვთაებას სთხოვა ნახშირი,...“  
და ცის სამქედლოს ქურაში ჩაჭდა,  
ჩაჭდა ნაყარში, თან ფოლადური  
ხელით ეპირა თავის ფანდური“.

<sup>1</sup> ცხოვრება წმ. მთავარ-მოწამისა და ძლევა-შემოსილის გიორგისა, 1904, გვ. 16.

„ასე ცარგვალ ცეცხლში ჯდებოდა  
და ლურჯი ალი ზესენელს სწედებოდა!  
ბათრაძი ამ დროს ქურაში წყნარად  
ზის, ფანდურს უკრავს და მღერის მტკბარად“.<sup>1</sup>

კავკასიური გმირის ცეცხლში წრთობის ზემოთ აღწერილი სურათი გვაგონებს ქრისტიანული წმინდანის, წმ. გიორგის, საკირეში ჩასმის სურათს.

აქ ფანტაზიის მოშველიებაც დაგვეჭირდება, რომ წმინდანის საკირედან ამოსვლის დროს ნახსენები „მადლი და წყალობა“ იგივედ მივიჩნიოთ, რათაც ბათრაძის „ფანდურის ხელის ჩამოკერა“ და „სიმღერის დაწყება“.<sup>2</sup>

რელიგიის ისტორიაში ღმერთი უხილავ ცეცხლად ითვლება. ამ ცეცხლში ნაწრთობად იგულისხმება წმ. გიორგი, როცა მის საკირეში ყოფნაზე უთითებენ; სწორედ ამიტომ იყო იგი „ანგელოზისაგან დაცული“.

სამ დღეს წმინდანის ცეცხლში ყოფნა ნიშნავს სიბრძნის ნათელის ზიარებას. მიტომაც სწირავდა წმ. გიორგი „მხურვალედ ხელგანპყრობილი“ ...ღმერთს მადლობას... მოცემულის მადლისა და წყალობისათვის“.

მკვლევარმა ლ. კვირიკაშვილმა სპეციალურად შეისწავლა ნათლისა და ცეცხლის მეტაფორული მნიშვნელობა „ჰიმნოგრაფიაში“. იგი წერს: „ანონიმურ ქართულ საგალობელში, რომელსაც შეიცავს გიორგი მთაწმინდელის „თთუენი“, წმინდა გიორგის წამება საკირეში და უვნებლად გამოსვლა წარმოდგენილია „ქრისტეს დამარხვისა და აღდგომის სახედ“-ო.<sup>3</sup>

წმ. გიორგის საკირეში დამარხვა-აღდგენის გაიგივება იესო ქრისტეს კვდომა-აღდგენასთან ქართულ-კავკასიური მითების ზოგად საკაცობრიო მნიშვნელობაზეც მიუთითებს, რადგან ბათრაძის ზემოაღნიშნული წრთობა ქრისტიანობამდე არსებული მსოფლიოს წარმოსახვის ნაყოფია.

ჩვენ ნაშრომის წინა თავში ზეცადეთ გიორგის ცხოვრებიდან ამოწერილი სასწაულებისა და ქართულ ხალხურ გადმოცემათა შედარებით დაგვემტკიცებინა, რომ წმინდა გიორგის ცხოვრებაში მოთხრობილი სასწაულების ქართული ხალხური ვარიანტები საფუძველთა-საფუძველია ქართული მითოლოგიისა. შეიძლება ქართული მითები

1 ნართები, (ოსური ხალხური ეპოსი), 1947, გვ. 275.

2 იქვე, გვ. 279.

3 მაენე, 1969, გვ. 118.

არ ედევას საფუძვლად წმინდა გიორგის ცხოვრების სასწაულებს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ კავკასია მაინც მსგავსი მითების დამოუკიდებლად წარმოსახვის მხარეა.

მაგრამ ჩვენ კიდევ მოგვეპოვება შესაპირისპირებელი მასალები, როგორც ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებიდან, ისე წმინდა გიორგის ცხოვრებიდან.

წმინდა გიორგის ცხოვრებაში მოთხრობილია, როგორ გააკრეს წმინდა გიორგი ბორბალზე და ნაქერ-ნაქერ აკუწეს. ამ ადგილის უკეთ გასახსენებლად მოგვყავს ამონაწერი:

მეორე დღეს დიოკლიტიანმა მოაყვანინა გიორგი და ჰკითხა:  
— შეინანე თუ არა?

მიუხედავად იმისა, რომ ლაპარაკი უქირდა გიორგის, მაინც უპასუხა:

— ნუ თუ შენ გგონია, მეფევე, რომ ამ უბრალო წვალებით უარვპყო მე ჩემი სარწმუნოება? შენ უფრო მალე დაიღლები ჩემი წვალებით, ვიდრე მე შენგნით მოყენებულს ტანჯვით.

მეფემ უბრძანა ჯალათებს, მოეტანათ განსაკუთრებით მკაცრი სასჯელისათვის გაკეთებული დიდი ჩარხი, რომლის ქვეშაც ფიცარზე დაგებული იყო ძვალთა და სახსართა მკვეთელი თევზის საჭერის კაეების მსგავსი მჭრელი დანები.

გიორგი, შიშველ ჩაჩხზე დააკრეს, ბრუნება დაუწყეს და ნაკუწ-ნაკუწად აქციეს მისი წმინდა გვაში. ამ საშინელი ტანჯვის დროს მას ხმაც არ ამოუღია.

ყველას ეგონა, რომ გიორგი გარდაიცვალა...

მაგრამ როგორც კი მეფე მოშორდა გიორგის, უეცრად გამოჩნდა ღრუბელთა და მოისმა ქუხილი. ზეციურმა ახივმა გაანათა მთელი ის არე-მარე და ყველას გასაგონად უფლისაგან მოისმა ეს სიტყვები: „ნუ გეშინია გიორგი! მხნელ იყავ და განძლიერდი. მე შენთან ვარ, რამეთუ შენ მიერ მრავალთა რწმენის ჩემდა მომართ“. შემდეგ მოივლინა ანგელოზი, ხელი დაადო გიორგს, კრილობებისაგან განჰკურნა, ეამბორა და უთხრა: „გიხაროდენ, გიორგი! მშვილობა შენდა, განძლიერდი და გრწმენის განმამძლიერებელი შენი ქრისტიე, რომელმან სრულ პყო ღვაწლი შენი, რამეთუ ჩვენ ამა ეპერა ვდგევართ და ევლით მოცემად შენდა გვირგვინის სრულისა წამებისასა“.

ვერავინ გაბედა გიორგისთან მისვლა, სანამ ანგელოზი არ ამაღლდა; შემდეგ ანგელოზისაგან განკურნებული გიორგი თავისთავად გადმოვიდა ჩარხიდან, იხარებდა, გალობდა და იტყოდა: „აღგამაღლო შენ, ღმერთო ჩემო და მეუფეო ჩემო, და ვაკურთხო სახელი შე-“

ნი უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე. სვლანი ჩემნი წარმომარ-  
თენ“.<sup>1</sup>

ეს ამბავი შეედაროთ ხალხურ ზღაპარს, რომელსაც „წმინდა  
გიორგის ხატი“ ჰქვია. ზღაპარი მიგვაჩნია ლიტერატურული გავლენის  
მაგალითად. ამიტომ მოგვყავს მთლიანად: „წმინდა გიორგის  
ხატი“:

„ერთ სახელმწიფოში ცხოვრობდა ერთი საზიზლარი და მანე  
თათარი, ცუდის მოქმედი, ბოროტი და ასეთის საქციელისათვის იმ  
სახელმწიფოს მთავარს ძალიან ეჯავრებოდა.

ერთხელაც ხელმწიფემ ბრძანება გამოსცა: „ვინც იმ თათარს  
მკვდარს ან ცოცხალს მომიტანს, დიდ ჯილდოს მივცემო“.

ამავე სახელმწიფოში იყო ერთი უზარმაზარი გველეშაპი, რომელიც  
წყალთან არავის უშვებდა. ხალხი ძალიან შეწუხებული იყო  
მისგან. ბოლოს ხელმწიფემ გამოუცხადა ხალხს, ვინც იმ გველეშაპს  
მოკლავს, ჯილდოდ რასაც მთხოვს, მივცემო, ჩემს ქალიშვილს მივა-  
თხოვებ და ნახევარ სახელმწიფოსაც დაუთმობო.

ეს ამბავი რომ გაიგო იმ თათარმა, მოვიდა იმ ქალაქში, სადაც  
გველეშაპი ხალხს აწუხებდა და გაწამებული ყავდა ყველა. თათარი  
მივიდა ქალაქის ყველაზე კარგ მკედელთან და სთხოვა, გაეკეთებინა  
მისთვის შუბი: ძალიან გააღესინა. მერე ტყიდან მოიტანა არჩე-  
ული ჯონი და შუბი წამოაგო მაგარ ჯონზედა. ამ თათარმა გასწია  
გველეშაპისაკენ. თათარს თეთრი ცხენი ჰყავდა. ცხენი იყო ქარზე  
უსწრაფესი და თან ძალიან ლამაზი.

გველეშაპი, როცა რამეს შესჭამდა, ან ცხვარს, ან კაცსა, ძალა  
ეცლებოდა და შეიძლებოდა დამარცხებულიყო კიდევაც. თათარმა  
სწორედ ასეთი დრო შეარჩია, როცა გველეშაპი ნაქამი იყო, გამოა-  
ქანა თავისი ცხენი. გველეშაპმა იფიქრა, თავისი ფეხით მოვიდა ჩე-  
მი საქმელიო. თათარმა კი მოხერხებულად ესროლა გველეშაპს და-  
ღებულ ხახაში თავისი ბასრი ისარი, ისე მაგრად და ისე ძლიერად,  
რომ ქვედა ყბით მიაკრა მიწას. თათარი სწრაფად ჩამოხტა ცხენიდან  
და მიჰყო ნაჯახით ხელი გველეშაპს და სულ ნაკუწ-ნაკუწად აქცია.

სახელმწიფოში სწრაფად გავარდა ხმა, რომ იმ თათარმა, რომელიც  
ხელმწიფეს ძლიერ ეჯავრებოდა, გველეშაპი დაამარცხა. ამ  
ამბავმა ხელმწიფე ძალიან დააფიქრა. ჩემი ქალი თათარს როგორ მი-  
ვათხოვოო. ხელმწიფემ ბევრი იფიქრა, თუ როგორ მოქცეულიყო.  
ბოლოს იმ საზიზლარ თათარს შეუთვალა: „რადგან ხალხი გამითა-  
ვისუფლეს და სახელმწიფო განსაცდელს გადამიჩინეო, მეც ისევ

<sup>1</sup> ცხოვრება წმ. მთავარ-მოწამისა და ძლევა-შემოსილისა გიორგისა, 1904, გვ. 19.

ჩემს პირობაზე ვარ, მიპატიებია შენთვის ყველა დანაშაულიო, მოდი და დღესვე დავნიშნავ ქორწილსო, მოგათხოვებ ჩემს ასულსო, ნახევარ სახელმწიფოს დაგიტომბო და იცხოვრე ბედნიერადო“. მაგრამ თათარმა სასტიკი უარი შემოუთვალა მეფეს.

მეფე ძალიან განცვიფრდა. თათარმა სთხოვა მეფეს: „ყველა დანაშაული მაპატიე, ქრისტეს რჯული მიმალებინე და სადმე მთის წვერზე ეკლესია ამიშენეო.

ხელმწიფემ მოიწვია სახელმწიფოს დიდებულები და დიდი ნათლობა გადაუხადა, სახელად გიორგი დაარქვა და მალე კლდეზე ეკლესიასავით მონასტერი აუშენა, სადაც თათარი შევიდა და ბერად აღიკვეცა. თათარს, უკვე გიორგად წოდებულს, ხალხმა წმინდა გიორგი შეარქვა, ვინაიდან თათარს უკვე გველეშაპი ყავდა მოკლული.

ხალხი გიორგის, უკვე წმიდანად წოდებულს, დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. სანამ გიორგი მოხუცდებოდა, ბედნიერად ცხოვრობდა მონასტერში. ერთხელ, როცა უკვე ღრმად მოხუცი იყო, გიორგის უცბად მალე კლდიდან თეხი დაუცდა, გადმოვარდა და მთლად დაიმტვრა, სულ ნაწილ-ნაწილად დაიშალა, ეს ნაწილები 363 ნაწილისაგან შედგებოდა. ვისაც კი შეხვდა მისი ნაწილები, წაიღო და სხვადასხვა ადგილას დამარხა და ყველგან. სადაც კი დაიმარხა მისი ნაწილები, აღმართეს ნიში წმინდა გიორგისა. ხალხი ამ ადგილებში სალოცავად დადიოდა და გიორგის როგორც ღმერთს მიმართავდა, ევედრებოდნენ თავის გასაკირს. ხევში ყველა ხალხს თავისი დეკანოზი ჰყავდა, ისინი ამწყალოებდნენ ხალხსა. დეკანოზი გამოიტანდა წმ. გიორგის ხატსა და ევრე დაამწყალოებდა. დადგებოდა მალლობზე, ხალხს წყალობას გააყოლებდა და იტყოდა: შეგეწიოთ წმინდა გიორგის 363 ხატიო“.<sup>1</sup>

როგორც ჩანს, მეფეს ეჯავრებოდა თათარი (შემდეგ წმინდა გიორგი) და იგი ისე სძულდა, რომ მის მოსაკლავად მეფემ ჯილდოც კი დააწესა, როცა ზღაპრის ამ ადგილს ვკითხულობთ, ძალაუვნებლივ გვაგონდება წმინდა გიორგი ცხოვრებაში ნახსენებ მეფისა და წმ. გიორგის დამოკიდებულება. აქაც სძულს მეფეს წმინდანი და სჯის კიდევ.

აქვე არის წმ. გიორგის მიერ გველეშაპის მოკვლის მეორე ეპიზოდიც. თათარიც ჰკლავს გველეშაპს. მეფე იძულებულია, შეპირებისამებრ შესთავაზოს ქალიშვილი ცოლად. ზღაპარში მეფე და მისი ხალხი ქრისტიანდებიან და თათარს ეკლესიას უშენებენ მთის წვერზე (საქართველოში წმ. გიორგის სახელობის ეკლესიები ძირითადად მთის წვერებზეა).

<sup>1</sup> თსუფა, № 3407.

მთის წვერზე მყოფი თათარი უკვე წმინდანი, სიბერის დროს, კლდიდან ვარდება და ნაჭერ-ნაჭერ ცვივა მიწაზე. ზემოთ მოყვანილი ზღაპარი არა თვითმყოფადია და შემდგომ დროინდელ მითურ და ლიტერატურულ ნაწყვეტთა ერთობლიობას წარმოადგენს.

ერთი მთიულური თქმულების დასასრულს ვკითხულობთ: „...აიღებენ ურმის თოლს, დაიკერენ გიორგის და წაიყვანენ მაღალ მთაზე. წაიღებენ ურმის თოლს, დააკრავენ ზედა გიორგის და დაავორებენ მთიდან და 360 ნაწილად დაიშლება. გაპყვებიან ანგელოზები და აიღებენ, საცა რა სისხლი დაეარდის, ყველაფერს მის ნაწილს აუკრიფავენ“.<sup>1</sup> ამ საკითხის გარკვევისას ელ. ვირსალაძე უმატებს: „ზოგიერთი თქმულებით, გიორგის სხეული 363 ნაწილად დაიშალა და თითოეულს ადგილას აშენდა ეკლესია. თითქოს ამიტომ ახსენებენ ლოცვაში 363 გიორგის“.<sup>2</sup>

ბორბალზე გაკრული და მთიდან დაგორებული ადამიანი ქართული მითური წარმოსახვის ნაყოფად არ მიგვაჩნია. შესაძლოა შემოტანილი ან შემდგომდროინდელი საეკლესიო ლიტერატურის გავლენით იყოს შეკოწიწებული. სიტყვა „ბორბალოს“ სემანტიკა სხვა კუთხითაც შეიძლება გავიაზროთ.

ქართულ თქმულება-ზღაპართა შეპირისპირება წმ. გიორგის ცხოვრების მოთხრობილ სასწაულებთან მხოლოდ ნიადაგის შემზადებაა იმის დასამტკიცებლად, რომ კავკასიაში წმინდა გიორგის უძველესი სახე იყო ხალხის სათაყვანებელი მითური გმირი, რომელზეც ფიქრ-ლოცვა-სიმღერით ხალხი საკუთარ თავში კეთილ სურვილებსა და ბოროტთან ბრძოლის უნარს იღვიძებდა.

წმინდა გიორგის ცხოვრებიდან აღებული სასწაულებისა და კავკასიური ნატურ-მითური ეპიზოდების შეპირისპირების შედეგები გვაიძულებს ხალხურ ზეპირსიტყვიერების სხვა ქანრებშიაც ვეძებოთ მასალები წმინდა გიორგის უძველესი სახის შესახებ. კერძოდ, მივმართოთ ქართულ ხალხურ ფერხისაებს, რომლებიც ხალხური ზეპირსიტყვიერების უძველეს საკულტო ქანრს მიეკუთვნება. ფერხისაები დღესაც სრულდება ხალხურ დღესასწაულებში ძველი სახით (სიმღერით, ცეკვით).

ქართულ მითოლოგიაში ცნობილია მითურ მონადირეთა მთელი წყება, რომელთა ტრაგიკულ ბედს უმღერის და უმღეროდა საქართველო. ჩვენი მიზანია ქართულ მონადირეთა ტრაგიკული ხვედრი წმინდა გიორგის ცხოვრების ერთ-ერთ სასწაულს დავუკავშიროთ, კერძოდ — მის ნაწილ-ნაწილ დაჭრას.

<sup>1</sup> ელ. ვირსალაძე, ქართული მთიულური ზეპირსიტყვიერება, 1958, გვ. 303.

<sup>2</sup> ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 124.

მთიულური თქმულება, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ და-  
აკრეს წმინდა გიორგი ბორბალზე და მთიდან დააგორეს,<sup>1</sup> გვაფიქ-  
რებინებს: რომ რალაც საერთოა წმინდა გიორგის წამების ამ აღ-  
გისა და ქართულ მითურ მონადირეებს შორის?! ჩვენი კვლევის  
მიზანია წმინდა გიორგის ცხოვრების ზემოხსენებული მომენტი ქარ-  
თულ სიუჟეტებს დავეკავშიროთ.

საინტერესოა, რომ როგორც რაჭულ, ისე სვანურ მასალებში  
ხაზი აქვს გასმული ერთ გარემოებას. დაღუპული მონადირის სხეუ-  
ლი „ნაწილ-ნაწილ“ დაფლეთილი მთელს კლდეს მოედო — „ძვალი  
ცალკე და ხორცი ცალკე“, დაბლა მდგომი დედა და ახლობლები მის  
ძვლებს „კრეფენ“. ეს დაყინებითი გამეორებული მოტივი შემთხვე-  
ვითი არ არის.<sup>2</sup>

ელ. ვირსალაძე ამის გამო დაასკვნის: მოვიგონოთ კლდიდან  
გადმოვადებული ატტისის დაფლეთილი სხეული, რომელსაც ქვევით  
დედა ელოდებოდა, რომ შემდეგ ღვთაებრივი ქაბუკის გარდაცვალე-  
ბით გამოწვეული ცრემლები სიხარულით შეცვლილიყო. მისი სხე-  
ული განაყოფიერების სიმბოლო იყო, რომლის შედეგად ღვთაება  
მკვდრეთით აღსდგებოდა და მასთან, მთელი ბუნებაც. ეს საგაზა-  
ფხულო ღღესასწაულის მსხვერპლი იყო.<sup>3</sup>

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ელ. ვირსალაძე ეთანხმება ს. მა-  
კალათიას აზრს, რომ წმინდა გიორგის ვეგეტატურ ღვთაებებთან  
საერთო აქვს.<sup>4</sup>

აღრეულ საუკუნეებში ფერხისაის ტექსტებს ძირითადად მონა-  
დირული ყოფა ჰქვებავდა. ხოლო შემდგომ ზოგადი გმირთა სახე-  
ებიც გამოჩნდა. სამგლოვიარო ფერხისაიში მხოლოდ მითური გმი-  
რის დატირებაა ნაგულისხმევი. ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში  
გვხვდება ისტორიულ გმირთა დატირებაც. მაგრამ ისტორიული გმი-  
რის დატირებას არ შეიძლება მითური სახე ჰქონდეს და სამგლოვია-  
რო ფერხისაიში სრულდებოდეს. წინაპრის მითად ქცევა, მართლისა  
და მოგონილი წინაპრისა, — წერს ილ. ჰავეჭავაძე. — მთელს ქვე-  
ყანაზეა შემჩნეული. იქამდეც კი მიდიან, რომ მოგვიჯობებენ დი-  
დის წინაპრის, ანუ გმირის ან სხვა გამოჩენილი კაცის ღმერთად ვა-  
დაქცევაზე. ამ სახით ჩინგის-ყაენს მონგოლები ღმერთად ხდიან.<sup>5</sup>

1 ელ. ვირსალაძე, ქართული მთიულური ზღაპრისტიკვიერება, 1953, გვ. 303.

2 ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 124.

3 იქვე, გვ. 124.

4 იქვე, გვ. 124.

5 ილ. ჰავეჭავაძე, თხზ., ტ. II, 1941, გვ. 776.

ა. ვესელოვსკიც ადასტურებს იმ აზრს, რომ მითურ გმირებად, ნახევარღმერთებად ევროპაში მიწიერი ადამიანები გვევლინებიან.<sup>1</sup>

ჩინელები ამბობენ, რომ მათი ღვთაება ჰანგი — მშენებლობისა და ხელოსნობის მფარველი, — დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციაში. ომის ღმერთი — კვანგი კი — შესანიშნავი ჯარისკაცი იყო და გვიან დინასტიის დროს ცხოვრობდა. ბრაზილიელების ღმერთი პირველად ადამიანი იყო, რომელმაც მათ ასწავლათ მიწის დამუშავება.<sup>2</sup> ბრიტანეთის მუზეუმში დღესაც ინახება მონეტაზე ყოჩის რქებით გამოხატული ალექსანდრე მაკედონელი. ყოჩის რქები მის ღვთაებრიობაზე გვითითებს, ის ზომ აღიარებულია ზეცის ამონის შვილად.<sup>3</sup>

ქს. სიხარულიძე ისტორიულ გმირთა გამითიურების შესახებ შენიშნავს, რომ საფერხულო სიმღერებში ისინი მეტწილად ღვთაებათა და გაღმერთებულ გმირთა დიდებას წარმოადგენენო.<sup>4</sup>

განსაკუთრებით საინტერესოა უძველეს თქმულებაზე აგებული ფშავ-ხევსურული საფერხულო „იხსარი“. იგი ფშავ-ხევსურების ძველ წარმართულ სალოცავ იხსარის დევებთან ბრძოლაა. მის მრავალ ვარიანტში კოპალას, იახსარის, წმინდა გიორგისა და სხვა „ხთიშვილთა“ შორის იხსენება თამარ მეფეც: ეს საფერხულო ბოლო დრომდე სახატო რიტუალის ერთ-ერთი ელემენტი იყო. აკ. შანიძის შენიშვნით, „სიმღერა გავრცელებულია როგორც ხევსურეთში, ისე განსაკუთრებით, ფშავში, იახსრობა, რომელიც რამდენიმე დღეს გრძელდება, უმთავრესად შუაფხოში იცინა. (აკ. შანიძეს იახსრობის საინტერესო აღწერისას აღნიშნული აქვს მასში ფერხისაის როლი).

„შვიდი წლის ქალი თამარი  
მეფედ თქვეს დედოფალია,  
ზღვის პირზე შაიყარენით,  
შაგვექნა საომარია.  
ზღვასა გადაკრა ჩიქილა,  
გადაქანნა წყალნია.  
შუა ზღვას ჩადგა სამანი,  
არ გამოსცილდეს ცვარია.  
შიგ ააშენა სიონი,  
დაადგა ოქროს ჭვარია.  
სახელი თამარ მეფისა  
ზედ დააწერა გვარია.  
ურჩულოთა და თათართა  
ყველას სარწმუნოც არია“.

<sup>1</sup> А. Веселовский, Собр. соч., т. VIII, вып. 1, 1912, гл. 11.

<sup>2</sup> Э. Д. Тэйлор, Антропология, 1882 г., гл. 357.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 383.

<sup>4</sup> ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1949, გვ. 81.



ეს სასიძღვრო ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ისეთი ძველი საკულტო ფუნქციის ნაწარმოებისა, რომელშიაც სიმბოლურად ასახულია თამარის ძლევამოსილება, მის ეპოქაში საქართველოს საზღვრების გაფართოება და განმტკიცება. ამავე დროს იგი მაჩვენებელია საქართველოში ბოლო დრომდე შერჩენილი თამარ მეფის კულტისა. თამარ მეფე და სხვა გმირები და მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები არა მხოლოდ იხსენებიან საფერხულოში, არამედ, ხშირ შემთხვევაში მათი პირდაპირი საგნებიცაა.<sup>1</sup>

ველური ურდოების გამუდმებულმა შემოსევამ დააქვეითეს და გააპარტახეს ქვეყანა. ძლიერი მფარველის გარეშე დარჩენილი მშვიდობისმოყვარე მშრომელი ხალხი ერთიორად მტკივნეულად განიცდიდა მძლეთა მძლე პატრონის დაკარგვას. თამარ მეფის სახეში გააერთიანეს თავიანთი წარსული ძლიერება და მომავლის იმედი. ამიტომ აღიღებს ქართველი მთიელი თამარ მეფეს, იმიტომ ადარებს მას ღვთისშვილთა:

„ღვთისშვილთ ჰყავის წმინდანი თამარი ღვდოფალია,  
დიღებულ გამარჯვებული უფალთან წილნაყარია,  
შუა ზღვას ჩაღვა სამანი, სამანი რკინის სარია,  
ხმელეთ თავისკენ დაიგდო, თითონ ბრძანდება ქალია“.<sup>2</sup>

თამარ მეფის მითური სახე შემდეგი სტრიქონებიდანაც იკვეთება:

„ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა, გადაჰანნა წყალნია“.  
შუა ზღვას ჩაღვა სამანი არ გამოსცილდეს ცვალია.  
შიგ ააშენა სიონი, დააღვა ოქროს ჯვარია“<sup>3</sup> და სხვ.

თამარ მეფეზე შექმნილი სადიღებელი კონტამენაციია ჩვენ მიერ ხევესურეთში (შატილი) ჩაწერილ ღვთისშვილ იახსრის მითისა:

„ქალი ცხრის წლის, შამახელა, ამბობენ იახსარიო,  
შემადგნა ქიჩილის ტოტნი, შემააგუბნა ზღვანიო,  
შუაში ჩაღვა სამანი, არ სწვდება წვიმის ცვარიო“.<sup>4</sup>

ქართველი ხალხის შესანიშნავ მეფედ ითვლება დავით აღმაშენებელი. ხალხი ხედავს, რომ მას ბუნებრივი უნარი აქვს. მაგ.: „დავით აღმაშენებელმა ეშმაკი ჯორად აქცია და იმით დადიოდა. ერ-

1 ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვი-  
ერება, 1949, გვ. 69—70; იახსრის საფერხულოში თამარ მეფის ხსენება უფრო  
შემდგომი მოვლენაა, ვიდრე თვით ფერხული და მისი სასიძღვრო ტექსტი.

2 თსუფა, № 9489.

3 ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვი-  
ერება, 1949, გვ. 69—70.

4 თსუფა, № 9490.

თხელ ჯორი მომვლელმა წყალზე წაიყვანა. მომვლელს დავითის დარიგება დააეციწყა, ჯორს თხოვნა შეუხრულა, ჯორი ისევ ეშმაკად იქცა და გაიქცა“.<sup>1</sup>

ხევსურეთში ერთ-ერთ ღვთისშვილ, პირქუში ცეცხლის ალიანის შესახებ არსებობს გადმოცემა, რომ იგი იყო განთქმული ოქრომჭედელი და რომ მას დაუმზადებია შესანიშნავი სალუდე თასები, რომელსაც იქვე ინახავენ. არხოტში და სხვა თემებში დღესაც სვამენ გამოჩენილი წინაპრის სადღეგრძელოს, როგორც გვარის მფარველი სულისას. ასეთ გმირებს საკულტო ნიშნაც უგებენ. არხოტში ცნობილი გმირის მინდიას სახლი სახატედაა გადაქცეული.

„მეგრელებს რომ ჰყითხოთ, წმინდა გიორგი სამეგრელოს მკვიდრი იყო სამეგრელოშივე დაბადებულიო, — მეგრელები ამ წმინდანს წარმოგვიდგენენ, როგორც ფიზიკურად მშვენიერსა და ღონიერ ვაჟაკს, თავისსავე ლამაზსა და ღონიერ, თეთრ რაშზე მჯდომარეს და საგმირო საქმეთა მოქმედს. ხელთ თურმე მუდამ ეპყრა შუბი, რომლითაც განგმირადა უწმინდურსა, საცა მოასწრებდა. მისი მსხვერპლნი ყოფილან ვეშაპები და ავსულები, განსაკუთრებით ურჯულონი (იგულისხმება — ოსმალნი). ბრძოლაში წმინდა გიორგი სულ მუდამ თავში სდგომია მეგრელთა ჯარს. არ ყოფილა მაგალითი, მტერი არ გაქცეულიყო და მეგრელი შერცხვენილი დარჩენილიყო. ლხინში სუფრის თავში იჯდა და როგორც ღვინის სმასა, ისე სიმღერა-მოლხენაში, სწორი და ბადალი არ ჰყოლია. განსაკუთრებით საარაკო ყოფილა მისი მუცლის ტვეადობა: ერთ ჯერზე ერთი ხარი, ან ძროხა მხოლოდ მისთვის იკვლებოდა და სუფრაზე ძვლები თუ ღარჩებოდა, ახლა მისი ჯირითი და ჰიდაობა ბრძანეთ! ან რაში გნებავთ, პირველი და თითოთ საჩვენებელი არ ყოფილიყო“.<sup>2</sup>

ქართველი მონადირეები ბევრ შემთხვევაში სახალხო გმირებად გვევლინებიან. ისინი მარტო მითურ სფეროში არ ხდებიან საყოველთაო დატირების საგნად. მათი მოვალეობა ყოველდღიურ ყოფაშიც ვლინდება. ისინი, როგორც სახალხო გმირები ყოველდღი-

<sup>1</sup> ოსუფა, № 8794.

<sup>2</sup> თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1956. გვ. 58—60.

აღამიანის გაღვთაებებს ვერც ქრისტიანულმა მოძღვრებამ შეუშალა ხელი. მღვდლისა და საერთოდ სასულიერო პიროვნების მიმართ ცუდად მოქცევა ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით ღმერთის მიერაც ისჯება. აღდგომის წინა დღეების ერთ-ერთი საეკლესიო რიტუალის დროს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ფეხებს ბანს თორმეტ მღვდელს, რაც განმეორებად ითვლება იესო ქრისტეს მიერ თორმეტი მოწაფის ფეხის ბანვისა. ასეთი მოქმედება წირვის დროს მხოლოდ ხალხისათვის სათნოების შთაგონების მიზნით არ ხდება. ერის სულიერ მამად ნაგულისხმევ კათოლიკოსს აშკარად მიიჩნევენ ერის სალოცავად. იგი ანგელოზად ითვლება ოფიციალური საეკლესიო კანონით.

ურ ყოფაში იბრძვიან თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის.  
ბეთქანი ამბობს:

„საცოდავი ბეთქანი მაშინ ვიქნები, როცა  
მუჟალელები ბატონებად მეყოლებიანო“.<sup>1</sup>

სახალხო გმირი, მონადირე მზად არის დაიცვას ხალხი ყოფიერებაში ან მის მიღმა არსებულ ბოროტი ძალებისაგან. მონადირეზე შექმნილ ფერხისაის ერთ-ერთ ვარიანტში, სადაც შუნი, ჯიხვი ან შველი ბოროტ ძალად არის ნაგულისხმევი, ნათქვამია:

„ო, საბრალო მეთქი, საცოდავო!  
შესდგომია ლენტეხის ფერხულს.  
შაე ეშაქს გაურბენია ლაქებში,  
ლენტეხის ფერხული დაშლილა,  
ამაზე თქვენ ნუ დარდობთ,  
ამას მეთქი გაეკიდება“.<sup>2</sup>

აე ძალას მდევნელი გაუჩნდა; ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა. საგმირო პოეზიის მესამე ჯგუფში ქს. სიხარულიძე სწორედ მონადირეთა ყოფაზე შექმნილ ასეთ ლექსებს გულისხმობს. მონადირის გმირული დაღუპვა და სხვ.<sup>3</sup>

მონადირეობა მეურნეობის უძველესი სახეა. ადამიანთა ყოფის გარიერაზე მონადირეობამ შეასრულა უდიდესი როლი ადამიანთა ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში. მონადირეობა იყო სასიცოცხლო წყარო არსებობისათვის ბრძოლაში.<sup>4</sup>

ძველთაძველი საომარი სამეურნეო იარაღების აღმოჩენამ საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიური საძიებო ექსპედიციების დროს გვიჩვენა, რომ კავკასიის უძველესი ცხოვრების ძირითად სამეურნეო წყაროს მონადირეული ყოფა წარმოადგენდა.

„ლითონის ხანის მხატვრული კულტურის ისტორიაში ცხოველთა გამოსახულებას დიდი ადგილი უჭირავს, — წერს აკად. შ. ამირანაშვილი, — საქართველოსა და მთელი კავკასიის ხელოვნებაში ცხოველთა გამოსახულება შეადგენს თემას; მას თავიდანვე ემჩნევა მეტად თავისებური ნიშნები და გარკვეული მხატვრული სტილი. ეს გარემოება საბუთს გვაძლევს დავედგინოთ „კავკასიური“ სტილი ცხოველთა გამოსახულების დარგში. რასაც უთუოდ დიდი მნიშვნელობა ექნება ხელოვნების ზოგადი ისტორიისათვის“.<sup>5</sup>

1 სვანური პოეზია, 1, 1939, გვ. 283.

2 იქვე, გვ. 285.

3 ქს. სიხარულიძე, ნარკვევები, 1958, გვ. 204.

4 კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1950, გვ. 212.

5 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1944, გვ. 30.

მ. ჩიქოვანის აზრით, ოდესღაც ქართველი ტომების ერთ-ერთ მთავარ მოსაქმეობას მონადირეობა შეადგენდა. ცხადია, პრიმიტიული იარაღის მქონე ადამიანისათვის მხეცის დაჭერა კოლექტიური თანამშრომლობის საგანი იყო. ამის გამო რელიგიურ რიტუალს, ფერხულს, ლოცვასა და მიძღვნას ერთეული პიროვნება კი არ ასრულებდა, არამედ მთელი ჯგუფი, გუნდი. თანდათანობით ასეთი გუნდური სამსახური დღესასწაულის სახეს იღებდა და წლის განსაზღვრულ პერიოდში სრულდებოდა: ეს იმისდა მიხედვით, თუ რომელი კუთხე რაზე ნადირობდა უმთავრესად და წლის რა დროს. მონადირის უფლებები, მოკლული ცხოველის რაოდენობა და სეზონი, ღვთაების მიერ მტკიცედ რეგლამენტირებულია. სწორედ ამნაირადვე რეგლამენტირებული იყო მონადირეთა დღესასწაულები.<sup>1</sup>

აღ. რობაქიძე წერს: „...1-ის ძვ. წ-თ საქართველოს მთიან ზოლში ბინადრობდნენ მთელი რიგი ტომები, რომელთა არსებობის ერთ-ერთ მთავარ წყაროს გარეული ნადირი და გარეული ხილეული მცენარეულობა წარმოადგენდა...“<sup>2</sup>

ქართული სამონადირეო ეპოსი, კერძოდ, „დაღუპული მონადირის ციკლი“ კარგად შეისწავლა ელ. ვირსალაძემ.

მკვლევრები თანხმდებიან, რომ მონადირეობა საქართველოს მთიანეთში გვიანობამდე ეკონომიკის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო და რომ იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა საზოგადოებრივ ყოფაშიც.

მ. ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ „სვანი მონადირეები მამაპაპეულ სამონადირეო ჩვეულებებს კარგად იცავენ. ნადირობის რელიგიური რიტუალის ერთ-ერთ კომპონენტს სათანადო ღვთაებისადმი ლოცვა და ტაბლის (ღემზირ) მირთმევა წარმოადგენს. სვანეთში შემორჩენილი სამონადირეო ტაბუ ისე ძველია, რომ იგი პირველყოფილობის საფეხურს აღწევს და უტყუარი პარალელები მოეპოვება პრიმიტიულ ხალხთა წარმოდგენებში“.<sup>3</sup>

ელ. ვირსალაძის აზრით, სამონადირეო ძეგლების შესწავლა ნათელს მოჰფენს ზეპირსიტყვიერების ისტორიის უძველესი პერიოდის გარკვევასა და შესწავლას. რადგან მონადირეობა დღესაც მოქმედი დარგია და ქართულ კულტურას კი დიდი ტრადიცია აქვს არქაულ ფორმათა დაცვისა, ამიტომ შესაძლებელია საქართველოს მთიანი

1 მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 62.

2 ალ. რობაქიძე, კოლექტიური ნადირობის გადმონათები რაქაში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1941, გვ. 146.

3 მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 62.

მხარის მასალებმა საინტერესო შედეგამდის მიგვიყვანოს, — აღნიშნავს იგი.<sup>1</sup>

„საქართველოში ნადირობა ოდითვე „წმინდა“ საქმედ იყო მიჩნეული, — წერს ელ. ვირსალაძე. ასევე „წმინდად“ ითვლებოდა სანადირო ადგილები და ზოგიერთი ნადირიც. სანადიროდ წასვლის წინ მონადირე ვალდებული იყო ტაბუირების რთული სისტემა დაეცვა, რათა ნადირობის რთული სისტემა არ შეეღალა.“<sup>2</sup>

მონადირეს სასტიკად ჰქონდა აკრძალული სანადიროდ წასვლის წინა დღეებში ყოველგვარი ლანძღვა-გინებისა და უშვერი სიტყვების წარმოთქმა.<sup>3</sup>

„სანადიროდ წასვლის წინ ეაჯი არ უნდა გაჰკარებოდა არა თუ უცხო ქალს, საკუთარ ცოლსაც კი. მონადირე განსაკუთრებით უნდა შორიდებოდა ფეხმძიმეს ან ქალს მენზესის პერიოდში. თავის მხრივ, სანადიროდ წასული მონადირის ცოლს მის კეთილად დაბრუნებამდე შთელი რიგი ტაბუ უნდა დაეცვა. მას ეკრძალებოდა თმის გაშლა და მითუმეტეს, თმის დაბანა, უნდა შორიდებოდა ცხიმიან საქმელს, განსაკუთრებით კი ღორის ქონს და არავისთვის არ უნდა გაემზილა თავისი ქმრის სანადირო ყოფნის ამბავი.“<sup>4</sup>

მონადირეს ეკრძალებოდა საგზლად ხორცის ან ღორის ქონის ხმარება, „კლდის ანგელოზი გვაძლევს საწებს, ის გვეტყვის: ხმელი თქვენი იყვეს და საწებს მე მოგცემთ“, ასე რომ არ გავაკეთოთ, ხელცარიელი მოვალთო. კლდის ნადირს წმინდან ანგელოზად რაცხდნენ და სიბინძურე არ მიეკარებაო“... — მიაძობოდა ლეგენდარული მონადირის ცოლბენ რაჭკეს ნათქვამს ს. ლების მცხოვრები პელო გავაშელი. საგზლად მონადირეს დედის ან ცოლის ხელით გამოძცხვარი „ხმელგანატეხი“ უნდა წაელო. „ხმელგანატეხი“ წარმოადგენდა რიტუალურ პურს, რომლის ზედაპირი მზის დაფანტული სხივების მსგავსად იყო დაჭრელებული. ამ პურების გამოცხობისას დედა ან ცოლი ლოცულობდა. რაჭაში დამოწმებული ეს წესი სევანურმა ლექსმაც შემოგვინახა:

„დედავ, საგზალი გამოძიცხე მეთქი,  
გარეულ თხის ან შუნის ნახვა მომენტრა...  
გამოუცხო დედამ პურები  
მონადირეს, თავის საყვარელ შვილს.“

1 ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 6.

2 იქვე, გვ. 26.

3 აღ. რობაქიძე, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1941, გვ. 161.

4 ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 26.

სამონადირეო ყოფა საქართველოში იმდენად გავრცელებულია, რომ ქრისტიანული მოძღვრება იძულებული შეიქნა ყოველდღიური ლოცვები შემოედოთ

სანადირო ადგილებთან მისვლისას კლდის პირველ შესავალში მონადირე სანთელს აკმევდა, ილოცებდა და „ხმელგანატეხს“ შეკამდა.

„ღმერთო, მშვიდობიანად დამაბრუნე სახლში, მარჯვენა დამილოცე, დალი“.

ლოცულობდა სვანი მონადირე. ბროლის წმ. გიორგისადმი და ნადირთ ანგელოზისადმი ან ნადირთ მწყემსისადმი იყო მიმართული რაჭველის ლოცვა.

მონადირე მადლობის ნიშნად ნადირთ ღვთაებას სწირავდა მოკლული ნადირის ჯულ-ღვიძლს, წმინდად მიჩნეული ნადირი მონადირის განსაკუთრებული გაფრთხილებისა და პატივისცემის საგანი იყო. ნანადირევით დაბრუნებულ მონადირეს ფეხზე ადგომით მიესალმებოდა ყველა“.<sup>1</sup>

მონადირული ჩვეულებებისადმი მიძღვნილი საგალობლები, რიტუალები და სხვა საიდუმლო წესები მრავლად გვაქვს შემორჩენილი. მათი სამონადირეო რიტუალი სცილდება კერძო, მონადირულ ხასიათს და ზოგად რელიგიურ დონემდე აღის. მონადირული ცხოვრება პრეისტორიულ კავკასიაში წამყვანი ყოფილა. სამონადირეო წეს-ჩვეულებაც, შედარებით სხვა სამეურნეო საყოფაცხოვრებო ჩვეულებებთან, პირველ ადგილზე გვევლინება, ამიტომ მითური სიუჟეტების ძირძველობა სამონადირეო ეპოსში უნდა ვეძებოთ. ამირანისა და მისი ძმების (ან ბიძების) სათავეგადასავლო ამბები ხომ სანადიროდ წასვლით იწყება:

„სანადიროდ წასულიყვენ ამირან და ძმანი მისნი“.

მონადირეობა, როგორც საზოგადოებრივი ყოფის უფრო ადრეული სოციალური ფორმა, ღვთაებებთან ურთიერთობებში გვევლინება.

ამირანსაც ისევე, როგორც სხვა სამონადირეო ეპოსის გმირებს, ოქროს რქიანი ირემი ზვდება.

„ჩვენ ვეთანხმებით მკვლევარს, როცა ის აცხადებს, რომ ამირანი მონადირეთა წრეში წარმოიშვაო. ეს უეჭველად „სწორი დებულებააო“: — წერს ალ. ლლონტი თავის წერილში „მიჯაჭვეული გმირის პრობლემა ქართულ ეპოსში“, რომელიც მ. ჩიქოვანის „ქართული ეპოსის პირველი წიგნის გამოსვლას მიუძღვნა“.<sup>2</sup>

სანადიროდ წასულ ამირანს წამოუხტება ირემი, რომლის რქე-

---

სანადიროდ გასვლის წინ. ლოცვები შვიდღიური იყო. კვირის სხვადასხვა დღეს სხვადასხვა ლოცვას უფარდებდნენ.

1 ელ. ვოსრალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 27.

2 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საზ. მეც. განყოფ. მოამბე, 1961, გვ. 281.

ბიც ოქროსია. ეს ნადირთ მფარველია, რომელიც ამირანს გადაიტაცებს ცხრა მთას იქით. ასეთივე გზას გადის სვანი მითური გმირი „მონადირე ჩორლა“.

ჩორლა სანამ გზას გაუდგებოდა, ცხრა კლდეს გადასულა. არაფრის კვალი არ უნახავს. შეათე კლდემდე გასულა, აქ ბევრი ჭიხვი და არჩვი დაუხოცავს.<sup>1</sup>

ამირანის შესახებ თქმულების გაფორმება გუთნური მიწათმოქმედების დასაწყის ეპოქას ეკუთვნის, — წერს ელ. ვირსალაძე, — მაგრამ მან ბევრ რამეში ასახა და შეინარჩუნა მონადირეობის ეპოქის კვალი. ამირანის ეპოქა ამიტომ განსაკუთრებით მჭიდროდ უკავშირდება ქართული სამონადირეო ეპოსის უძველეს ძეგლს.<sup>2</sup>

ამირანის ეპოსის ერთ-ერთ ვარიანტში ვკითხულობთ:

სანადიროდ წასული უსუბი ნახულობს ქალს. „ნადირობის დროს ერთს მთიან ადგილას კოშკი ნახა. ახლოს რომ მივიდა, შეიტყო, რომ კოშკში მწვთუნახავი ქალი ზისო. უსუბი კოშკში შევიდა და სამი დღედაღამე დაჰყო ამ ქალთან“.<sup>3</sup>

სვანურ სამონადირეო ეპოსში „თეთრი მანგურიში“ ვკითხულობთ:

„წასულხარ ჭიხვებზე სანადიროდ,  
დაგლამებია თურმე გამოქვაბულში,  
დაგინთია დიდი ცეცხლი,  
ჭიხვის მწვადი შეგიწვავს,  
ამ დროს დალი გსტუმრებია.  
— თეთრი მანგურ, მშვიდობით მომიხვე!  
რატომ მოხვედი ჩემს გამოქვაბულში?  
— დამიღამდა, აბა რა მექნა?  
— წასულა — დაბრუნებას ცუდს გიზამდი,  
მაგრამ ამისთანა ადამიანი შენანები.  
— აბა, როგორ არის ჩემი საქმე? —  
ამას მანგური ეკითხება.  
ასე, მე ვერ გაგიშვებო,  
საყვარლად თუ არ გამირიგდებო,  
მაგრამ ცოლი და შვილი მყავს.  
— იმათ ამით არა დაუშავდებათ რა,  
მაგრამ არსად გაამქლავნო;

ამალამ ერთად წვეებიან,  
ლხინი და სიამოვნება ბლომად ექნებათ“.<sup>4</sup>

1 სვანური პოეზია, 1939, გვ. 291.

2 ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 75.

3 მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 272.

4 სვანური პოეზია, 1, 1939, გვ. 277.

ეს ადგილი გვაგონებს უსუპის კოშკში მზეთუნახავთან დარჩენას. დალიც ხომ ულამაზეს ქალად არის ცნობილი ქართულ სამონადირეო მითებში.

ოსური ნართის გმირებიც ხშირად დადიან სამონადიროდ და სწორედ იქ ხვდებათ მსგავსი თავგადასავლები. მაგ., ურიზმაგს კლდეებში ულამდება, შედის გამოქვაბულში, სადაც ულამაზესი ქალი ხვდება და სარეცელის გაყოფას სთხოვს.<sup>1</sup>

ქართული წამყვანი მითური სიუჟეტები დაკავშირებულია სამონადირეო ყოფასთან, მითური გმირის ამირანის სიუჟეტური ქარგა ფართოდ შედის სამონადირეო მითებში.

სვანური პოეზიის 1 წიგნში ვკითხულობთ, რომ სვან მონადირეს მიუვალ კლდიდან ესმის კივილი:

„ზევით ავიხედე, — თეთრი კლდეა;  
კლდეში დალი შობიარობს,  
ძირს მგელი უღარაჯებს“.<sup>2</sup>

მგელი იტაცებს ბავშვს. მონადირე ჰკლავს მგელს, ართმევს ბავშვს და დედას უბრუნებს. ზოგი ვარიანტით მონადირეს ბავშვი მიჰყავს შინ. ზრდის და იგი იმ ცნობილ მონადირედ დგება, რომელსაც ნადირობის დროს ეხმარება წმინდა გიორგი. ასეთ ვარიანტად მიგვაჩნია 1969 წ. გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ გამოცემული სვანური ეპოსი „გივარგილ“, რომელიც ავტორმა სვანურ ფერხისაებიდან შეადგინა: გივარგილი დალის შვილია, ისევე როგორც ამირანი, ბავშვობისას მწყემსად არის, მოზრდილს კი აღარ აკადრებენ მწყემსობას და როგორც დალის შვილს, მონადირედ ზრდიან. დალები გივარგილს აბამენ მიუვალ კლდეზე ბევრი ჭიხვის ხორცისთვის. ქართული ფერხისაების უმრავლესობა მონადირისა და ღვთაებათა ურთიერთობას შეეხება. ქვემოთ გაგაცნობთ ასეთი სიმღერების მოკლე შინაარსებს.

ფერხისაი „ბეთქან“:

კალოს ლეწვისას შუნი გამომხტარა კლდიდან: „ეინც ამას მოკლავს, მუჟალო-მულახი ჭილდოს მისცემს!“

ბეთქანის დედა ეუბნება: წუხელი ცუდი სიზმარი ვნახე, სამი

1 ნართები (ოსური ხალხური ეპოსი), 1947, გვ. 244.

2 სვანური პოეზია, 1, 1939, გვ. 271.

მითური გმირების დევნა მარტო ქართულ მითოლოგიაში არ არის ცნობილი. დევნას განიცდიან სხვა მითური გმირებიც. მაგ., ბერძნული გმირი აპოლონის დედას — ლეტოს, სლევნის ტიფონი, დაბადების შემდეგ აპოლონი უნდა მოსტაცოს. ასეთივე დევნას განიცდიან სხვა კეთილი მითური გმირებიც: ზევსი, ატრისა დიონისე, ედიპე, პერსე, რომელი, რემი, ავეუსტი და სხვ...



კბილი ამომვარდნოდა. შენ ნუ გაედევნები. ბეთქანი არ იშლის და მისდევს შუნს:

„მისი ცოდვა ნუმც დალევია,  
თამარს, მის რძალს:  
„უწმინდური გამაგზავნა სანადიროდ!“

კლდე ჩამოინგრევა. შერჩა კლდეზე ბეთქანი, ხალხი კიბეებს ადგამს, თოკებს ჰკიდებს, მაგრამ, რაც უფრო მაღალ კიბეს ადგამენ, მით უფრო მაღლა იწევს კლდე. გადმოხტა ბეთქან კლდიდან და დაიღუპა. სიმღერა მთლიანად მოთქმავა ბეთქანის დაღუპვაზე. ის გმირია. „საბრალო ბეთქან, საცოდავო ბეთქან!“

ფერხისაიში ჭიხვი გაიგივებულა ბოროტ არსებასთან, ეშმაკთან, რომელიც ხალხის საყვარელ გმირს ღუპავს.

შემდეგი ფერხისაიც მოთქმავა და ისიც ისევე იწყება, როგორც „ბეთქანი“:

„ო, საბრალო, მეთქი საცოდავო!“ — მოსთქვამს ხალხი. ეცოდებათ და უყვართ ხალხისთვის თავგადაღებული მონადირე. ეშმამ მონადირე გაუვალ კლდეზე შეიტყუა. დასაბრუნებელი გზა აღარ არის:

„წინ საურამე გზები მიუძღვის, უკან ლაკერაშის კლდეები („სვეტები“) მიჰყვება!“

კლდე ჩამოინგრა, მეთქი მარცხენა ფეხით შერჩება ნაპრალს.

„დილის ცისკრის ვარსკვლავი ამოდის,  
მონადირე კაცს თვალი არ მოჰკრა!“

მეთქი შეამჩნევს სანადიროდ მიმავალ მონადირეს.

„კაი მგზავრობა მონადირეს!“ —  
მეთქიმ მიამახა ლაკერაშის წვერიდან“.

მეთქი აბარებს მონადირეს, როგორ მოიქცნენ მისი ახლობლები: „უამბე მამაჩემს:

„რანგი და ღვინო ბლომად მიკურთხოს;  
უამბე დედაჩემს:  
ხაქაპური და კიშღვარი ბლომად მიკურთხოს!“

მეთქი დებს, ძმებს, ცოლს თუ საყვარლებს ყველას თავის წილ დავალებას აძლევს, თუ როგორ გადაუხადონ საბრალო მონადირეს წესი. ბოლო ნაწილი პირველ პირშია მოყოლილი, ხოლო ხალხი აყოლებს:

„ო, საბრალო, მეთქი საცოდავო!“

მეთქი ვარდება კლდიდან, ყორანი უტრიალებს — „თითქოს

მეტქის თვალი უნდა“. დათვი უტრიალებს — „თითქოს მეტქის თვალი უნდა!“<sup>1</sup>

შემდეგი ფერხისაი, მოყოლილია, თუ როგორ ეძებს ამხანაგს ბულანშუქალოს თემში სანადიროდ გასაყოლად მეტქი. არაჲინ გაჰყვა უკან თურმე, მხოლოდ საყლა<sup>2</sup> გაიყოლა.

„შენი კუთხვა მხარზე დაგიდვია,  
საგზლად წაიღე სამი ზაჰაჰური.  
სანამ გზას გაუდგებოდი,  
ცხრა კლდეს გადასულხარ,  
არაფრის კვალი არ გინახავს“.

შეათე კლდეზე ჭიხვი და არჩვი ბლომად შეხვედრიათ.

სანამ სროლას შეუდგებოდი,  
ის ოცი უკეე მოგიყლავს,  
ჭიხვი და არჩვი — ყველა შერეულად,  
ერთი კოჭლი თხა დაგრჩენია“.

კოჭლი თხა დაღების გამოქებაბულამდე მიაღწევს.

დაღები აღელდნენ: „ჭიხვი და არჩვი ყველა დაუხოცავს

იმ სისხლისმსმელ ჩორლას!“

დაღებმა შეკრეს ჩორლა და მიუვალ კლდეზე დაჰკიდეს.

„იჲ ჩორლას მოთქმა  
მეარ ჰეასაჲ ცრემლს დააღენდა,  
იჲ საყლას წკმუილი  
ტყის ფოთოლსაჲ კი არხევდა“.

ჩორლა აბარებს საყლას: წადი ჩემ ძმებთან, „ჩემი ძვლები შინ წაიღონ: საყლას მოხუცი შეხვდა, ეკითხება:

„საყლაჲ ჩემო, შენი პატრონი სადა გყავს?  
ჩემი პატრონი დიდ კლდეზე ჰკიღია“, —

პასუხობს საყლა.

დაღები დაჰკიდებდნენ, — ამბობს წმინდა გიორგი და დაღებთან მიდის. ცალკე კლდეზე ერთი დალია და ტირის, მას ჩორლას საყვარლობას, მეძაობას აბრალებენ; წმინდა გიორგი მისგან გაიგებს, რომ დაღებს მეძავე ქალის ფეხის ნაღგამზე კაცის მოყვანის ეშინიათ. მიდის დაღებთან წმინდა გიორგი და ეუბნებათ: „ან გამოუშვით ხვთის მოსავეი ჩორლა, ან მეძავე ქალის ფეხის ნაღგამზე ფეხის დამდგმელ კაცს მოგიყვანთ“. დაღები ჩივიან:

<sup>1</sup> სვანური პოეზია, 1, 1939, გვ. 285.

<sup>2</sup> ძაღლის სახელი.

<sup>3</sup> კუთხვა — თოფია.

„უფალო ჩვენო, რას გვაქვეყნებთ?  
ერთი კოქლი თხა დაგვიტოვა  
იმ მონადირე ჩორლამ!“

დალები უშეებენ მონადირეს. მონადირე და წმინდა გიორგი  
წამოვიდნენ. წმინდა გიორგიმ მოიყვანა წვიმა და დალების ლაშქარი  
ნიაღვარმა წალეკა. ერთი დალის გადარჩენას სთხოვს ჩორლა:

„უფალო წმინდა გიორგი, მაპატიე,  
ამას ჩემთვის სიყეთე უქნია.  
ბევრი გატოვებული გაუთბია.  
ბევრი მშვიერი გაუძღვია.  
გვედრები, ჩემო უფალო,  
ეს დალი არ დაეახროთ.  
— სადაც მოკვდეს, იქ მოკვდეს,  
თქვენი შთამომავლობა მილიონი იყოს“, —

ლოცავს ორივეს წმინდა გიორგი.

წმინდა გიორგი ავადმყოფთან მიდის; მლოცველ ქალს შვილი  
უკვდება. მტრედნა წმინდა გიორგის შეატყობინა.

„ქალს უთხარ ჩემგან იმელი:  
შენს აუხს გავაცოცხლებ“, —

დააბარა მტრედს წმინდა გიორგიმ. ბოლოს წმინდა გიორგი არჩე-  
ვანს აძლევს ჩორლას:

„შენ რა გინდა, ჩემო ჩორლა:  
კვირაში წერილი არჩეი,  
უხეად და უნებლად,  
თუ ღღეში ჩიხვის თავი?  
— უფალო ჩემო, ნუ გამიწყურები:  
— ღღეში — ჩიხვის თავი!“

დასცილდნენ ერთმანეთს, ჩორლას ცოლი ძლიერ მეძავი დაუხვდა  
სახლში. კლდის დაღს სული ამოხდა. ჩორლაც იქვე კვდება.<sup>1</sup>

ფერხისაი „ჩორლას“ სხვა ვარიანტის მიხედვით. მონადირე  
ჩორლა და შავი ყორანა (ძაღლი) წავლენ სანადიროდ. გასულა ჩორ-  
ლა თეთრ კლდეზე, ვერაფერი უნახავს. გაბრუნებულა დალის ყანი-  
საკენ, სამი ჩიხვი მოუკლავს. დალებმა იგი კლდეზე დააბეს მარჯვენა  
ხელით და მარცხენა ფეხით. აქ ფერხულის მონაწილენი მოსთქვა-  
მენ:

„ჩორლა საბრალო, ჩორლა საცოდავო,  
ნეტაი სად დარჩება შენი ძვალს!“

<sup>1</sup> სვანური პოეზია, 1, 1939, გვ. 289.

აფსუს (შენი) თოფი და იარაღი,  
თოფი და იარაღი ეანგის შესაქმელად!

ძალლი გაიქცა ძმების ამოსაყვანად. წინ წმინდა გიორგი შემო-  
ხვდა და ჩორლა მოიკითხა. „ჩორლა კლდეზე მიიბეს დალებმა“, —  
ეუბნება ძალლი. წმინდა გიორგიმ ძალლი ყორანა ჩორლასთან გა-  
აბრუნა. — გამაგრდესო. დალებთან მე მივალ, მოლაპარაკებას გავ-  
მართავო. დალები უშვებენ ჩორლას და მარჯვენა მხარს სტეხენ.  
წმინდა გიორგი უმთელებს ჩორლას მხარს. დალებს მეწყერსა და  
ნიაღვარს მიუშვებს და წაალებინებს. აქაც არჩევანს აძლევს წმინდა  
გიორგი:

„ღლეში (თითო) ჯიხვი გქონდეს,  
წვრილი არჩვი უარუთქმელად გქონდეს!

როცა შენ სიკვდილი გერჩიოს,  
მანამდე ეს ნატვრა გქონდეს;  
როცა ის ირჩიო,  
მაშინ (იყავ) ჩვენთან მყოფი“.

ფერხისაებში „კარგ მონადირე ჩორლასა“ და „მონადირე ჩორ-  
ლაში“ (აგრეთვე „ქალაშიაც“) დასჯილ მონადირეებს წმინდა გიორ-  
გი ეხმარებათ. ასეთი ვარიანტი უფრო გვიანდელია, პირველ ვარიან-  
ტად მონადირის დალუბვა მიგვაჩნია:

„კარგი ქალა წასულა,  
წასულა სანადიროდ,  
მიჰპარვია ჯიხვის ფარას,  
ერთი თოფის სროლაზე  
ხუთი ჯიხვი მოგიკლავს“.

დალები იგებენ ამ ამბავს და სჯიან ქალას:

„მარჯვენა ბარძაყს მოვამტერევეთ,  
ახალ გაკეთებული ბანდულის წვერით  
ოქროს საკილზე დაკვიდებთ!“ —

დამეუქრებიან დალები და აასრულეს კიდევც:

„ეს მართლაც ასე მიყვეს:  
გადამიციდინეს მარცხენა ფეხი,  
მარჯვენა ბარძაყი მომტეხესო!“<sup>1</sup>

მოსთქვამს მონადირე და ყურშას აგზავნის, დედაჩემს სულის მო-  
სახსენებლად ხაჭაპურ-ჭიშღვარი გაამზადებინეო.

<sup>1</sup> სვანური პოეზია, 1, 1939, გვ. 297.

ყურშას წინ წმინდა გიორგი ხედება:

— საბრალო ყურშა, სად მიდიხარ?

— როგორ თუ სად, ქალა გადმოვარდა კიუხიდან.

„ჩემს ქალას რა გადმოვადგება,

თუ დალები არ უღალატებდნენ?“ —

ამბობს დედა.

წმინდა გიორგი მიდის დალების ოქროს კარავთან.

„საბრალო დალებო, რა ჩაგიდენიათ?

ჩემი ქალა რად გადმოვადგეთ?

საყოფ სადგომს დაგილევთ,

თქვენს კიუხს ტრამალად ვაქცევ!“

შეშინდნენ დალები და საჩუქარს აძლევენ ქალას.

„... (ყოველ) სექტემბრის დამდეგს

მსხვილი ჭიხვები ჰქონდეს,

წერილი არჩევი უღვევად ჰქონდეს

მისი გვარის ყველა მონადირეს“.

ფერხისაის ის ადგილი, სადაც ნათქვამია მონადირის ოქროს საკიდზე ფეხით ჩამოკიდების შესახებ, აშკარად გვაგონებს აღმოსავლეთ საქართველოს მონადირეთა ბედს, კლდიდან გადმოვარდნისას ისინიც (ზოგ სიმღერაში) ოქროს საკიდებით ეკიდებიან.<sup>1</sup>

სიმღერა ბეთქილზე შექმნილებით იწყება. ხალხი შეკრებილა და ფერხისაის შესდგომია. ამ დროს თეთრი შუნი გაუხტა ბეთქილს ფეხებს შორის. ბეთქილ გამოეკიდა. წინ გზა ჩანს, უკან გზა იყრება. შეიტყუა ბეთქილ თეთრმა შუნმა მიუვალ შაეს კლდეზე — დალის სამეფოში. ბეთქილი მიესალმა დალს, დალი გამწყრალია:

„რად უღალატე ჩემს პირობას?“ —

ეკითხება დალი.

— ჩემი მონაცემი მძივი რა უყავ?

— ის საწოლის სასთუმალში დამრჩა“, —

იმართლებს თავს ბეთქილი, მაგრამ დალმა იცის ბეთქილის დალატის შესახებ და უფსკრულის პირზე მიატოვებს.

„ბეთქილი კლდეზე გადმოვარდება,

ძირს ტოლები აიღებენ“.<sup>2</sup>

1 სვანური პოეზია, 1, 1939, გვ. 303.

2 იქვე, გვ. 281.

დალი

ამ სიმღერაში მონადირე ჰყვება თავის თავგადასაყალს, დედა საგზაღს უცხოებს, იგი მიდის ღანადიროდ. თეთრი კლდიდან კივილი მოესმის, დაინტერესდა მონადირე, მივიდა კლდესთან.

„კლდეში დალი მშობიარობს, ძირს მგელი უდარაჯობს“.

„დალს შვილი კლდეზე გადმოვარდნია, ის მგელს გაუქროლებია“.

მონადირე შეეხმაურა დალს:

„მე ვარ კლდის დალი,  
ჩემი შვილი მგელმა წამართვა!“

მონადირე გაეკიდება მგელს და ჰკლავს მას. დალის შვილი მხარზე შესმული მიჰყავს დედასთან. დალი ეუბნება მონადირეს, რაც გინდა მთხოვეო.

„გერჩიოს და — ჩემი დეობა,  
გერჩიოს და — დობა სიყვარული!“

არც ერთის ღირსად არ სთელის თავს მონადირე:

— იმის დიდება მოგსელოდეს,  
მე იმას ვერ გაადრებ!“

დალი მონადირეს ჯიხვებს აჩუქებს, ლოცავს და ნადირობაში დახმარებას პირდება:

„იცოცხლე მარად,  
შენი გვარისა ყველა მონადირე (იქნება),  
მარჯვენა მხარში მე ამოუდგები („მხარით მე  
ვეახლები“)“<sup>1</sup>

სიმღერა „მონადირეში“ ხალხი ლოცავს გმირს:

„ო, ბედნიერო მონადირეე!  
სანადიროდ მიდიხარ ბნელ ხევში“

შემდეგ მოთხრობილია, როგორ დაინახავს იგი მგელს, რომელიც ჩვილს მიარბენინებს. მონადირე ჰკლავს მგელს, ჩვილი მოჰყავს, კლდიდან ტირილი მოესმის, შეეხმიანა მონადირე:

„მე ვარ კლდის დალი“, — გაეპასუხა დალი.  
„წუხელ სამრევლოში ვიყავიო („ყოფილაო“)  
მგელმა ჩვილი მომპარაო („მოუპარავსო“)  
მადლით სავსეე, კარგო მონადირეე,  
ის მგელი (ხომ არ) გინახავსო?  
— ის მგელი მე მოვკალიო“.

<sup>1</sup> სენური პოეზია 1, 1939, გვ. 271.

ეუბნება მონადირე:

დალს კლდეზე აჰყავს მონადირე. მოდის დალის შვილი აფსათი.  
დალი უყვება ჩვილის დაკარგვისა და პოვნის ამბავს:

„— რა იქნა ის მონადირე?“ —

კითხულობს აფსათი.

დალის გამოჰყავს მონადირე. აფსათი ეუბნება მონადირეს, რა  
საჩუქარი გირჩევენიაო.

„ყოველგვარ წყალობას ჭიხვის ბუკი შირჩევენიაო.

— რაკი ასე გიუოჩალებია,

ვალად შედვას სექტემბრის ჭიხეუბიო“.<sup>1</sup>

ფერხისაის გმირს „თეთრ მანგურს“ ღირსეულად ლოცავენ სვა-  
ნები:

„სვანეთის საქებო თეთრო მანგურ,

ყოფა-ცხოვრება კარგი გქონია“, —

ასე იწყება ეს სიმღერა. აქვეა მოთხრობილი თეთრი მანგურის მი-  
თური სიმღიდრისა, სიძლიერისა და სიკეთის შესახებ:

„სახნავე ლახამულაში გაქვს თურმე,

სათიბი შხარაში გაქვს:

საფოცხრად თურმე მღევები გეწევიან,

მოსამკალად თურმე დალები გეხმარებიან“.

შემდეგ: წასულა მანგურ ჭიხეებზე სანადიროდ, შემოლამებია,  
შესულა გამოქვაბულში, დაუნთია ცეცხლი, ჭიხვის შწვადი შეუწ-  
ვავს. ამ დროს დალი სტუმრებია:

„— თეთრო მანგურ, მშვიდობით მომიხვე!

რატომ მოხვედი ჩემს გამოქვაბულში?

— დამილაშდა, აბა რა მექნა?

— წასელა — დაბრუნებას ცუდს გეზამდი,

მაგრამ ამისთანა აღამიანი შენანები“.

„— ასე მე ვერ გაგიშვებ,

საყვარლად თუ არ გამირიგლები.

— მე სიამოვნებით გაგირიგლები,

მაგრამ ცოლი და შვილი მყავს!

— იმათ ამით არ დაუშავლებათ რა,

მაგრამ არსად გაამელავენო“.

<sup>1</sup> სვანური პოეზია, 1, 1939, გვ. 275.

დალი აჩუქებს ჭიხვსა და არჩვს და გაჭირვებაში დახმარებას  
ჰპირდება.

„ამალამ ერთად წვებიან,  
ლხინი და სიამოვნება ბლომად ექნებათ“.

მეორე დილას შინ რომ ბრუნდებოდა, მონადირეს სვავები დახ-  
ვევიან, რამდენიმე ხმლით მოკლა, მაგრამ მასაც ცუდი დღე დაადგა,  
ინატრა დალი, დალი მოვარდა, იფნის ჭოხით დაერია სვავებს, და-  
ხოცა. თეთრ მანგურს ფრთა მოუსვა ჭრილობაზე, გაუმრთელა ჭრი-  
ლობები და შინ გაუშვა.<sup>1</sup>

„დალი კლდეში მშობიარობს“<sup>2</sup>

ამ სიმღერაში გადმოცემულია ტრაგედია მონადირისა, რომელ-  
მაც გადაარჩინა თეთრი კლდის დალის შვილი:

„დალი კლდეში მშობიარობს,  
მშობიარობს თეთრ კლდეში  
შენ შვილი გადაგვარდნია,  
გადაგვარდნია კლდის იქით“.  
ქვევით მგელი უდარაჯებს,  
ქვევით მგელს პირი დაუვლია,  
გააქროლა შინდორს ქვემოთ“.

„თურმე ქედ-ქედ მონადირე მიდის“, მონადირე ჰკლავს მგელს  
და მოჰყავს ბავშვი დალისთან. დალი მტირალი დახვდება.

„დალი კლდეში მოსთქვამს  
უფრო (ც) კლდეები მოსთქვამენ“;

თეთრი კლდის დალი ნაწნავს ჩამოუშვებს და თავისი შვილი  
აჰყავს. მაღლობის ნიშნად მონადირეს სამ არჩევანს აძლევს:

„ერჩიოს და ყოველდღე  
შუნს მივსცემთ;  
ის თუ არა, სექტემბერში  
ცხრა ცალ ჭიხვს მივსცემთ;  
ის თუ არა და ჩემთან წოლა.  
— „შენთან წოლას მე ვერ გაკარებ,  
ცხრა ცალი ჭიხვი მომეცი!“ —

შესთხოვს მონადირე. დალმა

„გამოუყვანა ცხრა ცალი ჭიხვი,  
ერთი ოქროს რქიანი გაურია“.

1 სვანური პოეზია, 1, 1939, გვ. 277.

2 იქვე, გვ. 269.



„მონადირემ ოქროს რქიანს დაუმიზნა,  
იმან ტყვია არ გაიყარა,  
მონადირეს შეუბრუნა შუბლში,  
მონადირე მეფისა ააგორა“.

აქ ჩვენთვის საინტერესოა მონადირის უცნაური სიკვდილი. დალი ჰპირდება ცხრა ჯიხვს შვილის გადაარჩენისათვის და დაპირებას უსრულებს; რატომღაც ამ ჯიხვებში ერთ ოქროს რქიანს გაურევს. მონადირეც სწორედ ოქროს რქიან ჯიხვს ესვრის ტყვიას, ტყვია მონადირეს „შუბლში შეუბრუნა“.

გასარკვევია დალის შურისძიების მსგავსი მოქმედება, რომელიც გამოცანასავით ისმება ჩვენს წინაშე. დალიმ მონადირე დალუბა, შვილის გადამრჩენელი მონადირე. რატომ გვევლინება დალი ბოროტ დედად და სიკეთის სამაგიეროდ ასე რატომ იქცევა?

იქნებ არ იცოდა დალიმ, რომ ოქროს რქიანი ჯიხვი მონადირეს ტყვიას დაუბრუნებდა უკან? ეს გამორიცხულად ითვლება. დალიმ იცოდა, რომ თუ მონადირე ოქროს რქიან ჯიხვს ტყვიას ესროდა, ტყვია უკან შეუბრუნდებოდა. შესაძლოა. დალიმ მხოლოდ ის არ იცოდა, რომ მონადირე ოქროს რქიან ჯიხვს გაუბედავდა ტყვიის სროლას. შესაძლოა, მონადირეს არ უნდა ესროლა ოქროს რქიანი ჯიხვისათვის. მაგრამ ეს ოქროს რქიანი ჯიხვიც ხომ აჩუქა დალიმ მონადირეს? აქ ერთი საკითხი იჭრება, კერძოდ, მეფის მონადირის კაცური მორალის საკითხი. რატომ გაბედა სროლა, თუნდაც ოქროს რქიანი ჯიხვი მისი საკუთრება ყოფილიყო? სხვანაირად ეს საჩუქარი ალბათ მისი არ იქნებოდა საბოლოოდ. აქ სრულა საჩუქრის ფიზიკურად შემომტკიცების ნიშანია. ოქროს რქიანი ჯიხვის ღვთაებრივი წარმოშობა კი მონადირეს ამის უფლებას არ აძლევდა. ეს ასეა, მაგრამ დალიმ მაინც აჩუქა, იქნება სჯობდა, არ ეჩუქებინა? ნუთუ ვერ შეასრულა ჯიხვთა რიცხვი ცხრაამდე ოქროს რქიანის გარეშე? იქნება გაუჭირდა, ჯიხვები აღარ ეშოვნებოდა? ესეც გამორიცხულად მიგვაჩნია, რადგან დალს შეეძლო ცხრაზე ნაკლები ჯიხვი შეეთავაზებინა. სიმღერიდან არა ჩანს, რომ მონადირე სიკვდილის ღირსია. ის დალის შვილს გადაარჩენს დალუპვისაგან. საჩუქარსაც თვითონ არ სთხოვს და, რაც მთავარია, მოკრძალებულია დალის მიმართ; მის მესამე პირობას უარყოფს.

„შენთან წოლას მე ვერ გაადრებო“.

ფერხისაიში ჩვენ ვხვდებით ადამიანსა და სამყაროს შორის დამოკიდებულების საკაცობრიო პრობლემას. ადამიანს კი აძლევს ღმერთი ბევრს ხელმისაწვდომად, მაგრამ თვითონ ადამიანმა უნდა განსაჯოს ბევრი რამ და მთლად არ უნდა აჰყვეს ცდუნებას. მაშ,

რატომ და იძლევა დალი საჩუქრად ოქროს რქიან ჯიხვს? მონადირე, რომელიც ზეკაცად ითვლება, ღვთაებრივსა და მიწიერს შორის გაორებულად მიგვაჩნია. ამ შემთხვევაში ის არ ჩანს უბრალო მიწიერი სურვილების ტყვედ. მონადირე მალაღ პიროვნებად გვევლინება. ის თავისებური შუამავალია ადამიანსა და ღვთაებებს შორის. ამიტომ იგი ტრაგიკული პიროვნებაა. ის მოწინავე ადამიანია და ყოველგვარი ადამიანური ცოდვებისათვის პასუხს აგებს ღვთაებათა წინაშე. მონადირე აქ თავისი ხალხის ცოდვათა თავისებური მატარებელიცაა და ღვთაებათა წინაშე შუამდგომელიც. ეს იცის ხალხმა და დასტირის საკუთარსაც და მონადირის ხვედრსაც.

არის შემთხვევები, როცა ადამიანმა იცის, რომ დაისჯება, მაგრამ თავს მაინც ვერ იკავებს ცდუნებისაგან. ჩეჩენ-ინგუშური გადმოცემით მოხუც მონადირეს, რომელსაც უამრავი ნადირი ჰყავდა დახოცილი, ხვდება თეთრი ირემი. მოხუცმა იცოდა, რომ თუ მონადირეს თეთრი ირემი შეხვდება. ნადირობას თავი უნდა დაანებოს. მოხუცი მონადირე არ მისდევს წესს და ესკრის თოფს ირემს, ტყვია ხვდება თვალში მონადირეს და აბრმავებს. თეთრი ირემი კი მშვიდად მიდის.<sup>1</sup>

წინა აზიის ღვთაებები ხომ, როგორც „ღვთისშვილები“, ხშირად სწირავდნენ თავს ხალხს, ადამიანთა ცოდვებისათვის.<sup>2</sup>

ასეთი „ღვთისშვილების“ ნატურ-მითურ ორეულებად ბეთქილი და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მითური მონადირეებიც (ჯარჯი, სიღამონიძე და სხვ.) შეიძლება მივიჩნიოთ. თუმცა ამ უკანასკნელთა შემთხვევაში ასეთი მომენტი წინა პლანზე წამოწეული არ არის.

ასევე საინტერესოა თქმულება ყურშასა და ივანე ქეციხელის შესახებ, რომელიც, როგორც დანარჩენი სამონადირეო მითური სახის სიმღერები, ფერხისაის დროს სრულდებოდა.

## ყურშასა და ივანე ქეციხელის ლექს-თქმულებანი:

ფერხისაის შესავალი „შავი ყურშა“ შექმნილი იწყება. თქმულებაში ყურშა ხასიათდება, როგორც კარგი მონადირე; ყურშას ყეფა ქუხილსა ჰგავდა ზეცისას, ყურშას ნახტომი დიდი მინდორი იყო,

<sup>1</sup> А. Исламов, (Грозный), Пережитки тотемических представлений у вайнахов, тб., 1971, 12 აპრილი.

მოხსენება წაკითხულია თბილისში: Всесоюзная научная сессия, посвященная итогам полевых археологических и этнографических исследований в 1970 г.

<sup>2</sup> А. Древс, Миф о Христе, 1925, გვ. 58. და Дж. Фрезер, «Золотая ветвь, умирающие и воскресающие боги растительности», 1923, გვ. 60, 64.

ყურშას ტოტები კალოს ოდენები, ხოლო ყურშას თვალები მთვარის ოდენები. ეს დახასიათება ყურშას მითურ ცხოველად წარმოგვიდგენს.

ამავე ფერხისაის მსგავსია ივანე ქვაციხელის ლექსი. ჭიხვებს კლდეზე შეეტყუებინათ განთქმული მონადირე, რომელიც დაბლა ველარ ჩამოდის, ისრისგან ცეცხლი დაუნთია, ყურშა დაუკლავს, მაგრამ ვერ შეუქამია:

„გვითლია, არ გვიჭამია,  
არც სული წაგვიწყმელია“.

ივანე ქვაციხელი თხოულობს მიჯნურს: დამანახეთ და კლდიდან გადმოვხტები

„მომგვარეთ ჩემი მიჯნური,  
მალლიდან გადმოვფრინდებიო“.

მოიყვანეს მისი მიჯნური: მიჯნური შეუძახებს:

„ივანე, აგრე იტყოდი:  
არ მეშინია კლდეში და,  
გადვარდი თუ გადვარდება,  
შე ჭიხვო მალის კლდისაო,  
შაო ყურშაო, თან ჩაჰყე,  
შე შავის პატრონისაო“.

ივანე ხტება კლდიდან:

„ივანე რო კლდეს გადვარდა  
ორბიც ვერ ჩაფრინდებოდა:  
ივანეს რომ ქვა გადაჰყვა,  
ლომიც ვერ აუდგებოდა.  
ივანეს რომ სისხლი სდინდა,  
ზედ ნავი მოცურდებოდა“.

ივანეს სისხლის ნადენზე

„ჩაელენ ყვავი და ყორანი,  
ძლომაც არ ეკიდებოდა“.

შემდეგ:

ყურშა იბადება ყორნის კვერცხისაგან. ყორანს მისი მოსპობა უნდა და მალლიდან აგდებს, რომ მოკვდეს. მაგრამ თებრუ ივანე პოულობს კვერცხსა. სწორედ ამ კვერცხისაგან იბადება ივანეს ძალი ყურშა. ერთხელ ივანე და ყურშა კლდის წვერზე შემორჩნენ. ივანე კლდის წვერზე ჰკიდია ფეხით. ყურშას უძახის, შეჰყეფეო. ძმა მი-

დის საძებნელად და პოულობს ივანეს მთაზე შერჩენილს. ძმა შეუ-  
ძახებს ივანეს:

„ივანე ქვაციხის თებრუ,  
შენ მონადირე მთისაო!  
შენი შვილდი და ბოძალი  
დევე-გმირთა დამადნობელი!..  
— შვილიცა დაეწვი, ბოძალიც, —  
ცეცხლი დაეანთე ისრისა,  
დაეკალ ყურშა და შევეკამე,  
ვაკმე წამწყმედავს მე ისა!  
— გადმოხტი, თუ გადმოხტები,  
შე უბედური დღისაო!..“

ივანემ ყურშა შეკამა და გადმოხტა:

„— ივანე რომ გადმოფრინდა,  
ვით შევარდენი ცისაო,  
იმას რომ ლოდი დაეცა,  
ღეწი ვერ აუღგებოდა,  
სისხლისა ნაგუბარზედა  
ზედ ნავი მოცურდებოდა“.

აქაც, როგორც წინა ვარიანტებში, ყურშა გარკვეულ როლს ას-  
რულებს:

„შეჰყეფე, ყურშავე, ტიალო,  
შენ შავი პატრონისაო,  
ან გაიგონებს მეცხვარე,  
ან მონადირე მთისაო“.

სვანურ ვარიანტში ყურშა წყმუტუნით გამორბის, რათა პატ-  
რონებს შეატყობინოს მონადირის ამბავი.<sup>1</sup>

საინტერესოა აგრეთვე ელ. ვირსალაძის მიერ გამოქვეყნებული  
თქმულების ტექსტი „მონადირე“. ამ ვარიანტით, მონადირეს ვე-  
ფხვი შეებმება და უფსკრულში გადაიყოლებს. აქაც მონადირე ფე-  
ხით დაეკიდება კლდეზე და ყურშას უძახის: შეჰყეფე, იქნებ ვინმემ  
გაიგოსო. ასე ეკიდა იგი ექვს დღეღამეს. მონადირე თავებდს იწყე-  
ლის. რძალი მონადირის ძმას აგზავნის: წადი, ივანე მონახეო. ძმა  
ყურშას ყეფის ხმაზე ივანეს მიაგნებს და ჩასძახებს. მონადირე უპა-  
სუხებს: მესროლე ტყვია, იქნებ ამ წვალეზას გადავრჩეო:

„მესროლე, ძმაო, მესროლე,  
არ არი შენი ბრალიო,  
შე და ვეფხვ შევეპიდენით,  
უფსკრულში გდია მკვდარიო.“

<sup>1</sup> ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 193.

მეც იმან გადამიყოლა  
არ მაქ სიცოცხლის თავიო!“.

ძმამ ესროლა ტყვია, გაწყვიტა ქალამნის კოპი და მონადირე  
ჩაეარდა უფსკრულში, ყურშაბ გადაჰყვა პატრონს.<sup>1</sup>

## ჯ ა რ ჯ ი

ჯარჯი გაჰყვა ჯიხეებს. აქ ეხედებით ასეთ შეძახილს:

„ჯარჯი ჩაახედავს ჯიხეებსა,  
რა მშვენიერნი წვანანო,  
რქა რქაზე გადაუხვევავ,  
ანგელოზებსა ჰგვანანო“.

შემდეგ უკვე მიმართავენ ჯარჯის:

„ჯარჯო, ნუ მისდევ ჯიხეებსა,  
მოგინელებენ ტიანნი!“

ჯარჯი შეუუვლია:

„არ დაიჭერა ჯარჯიმა,  
— სხვათ ბევრ მამცდარა ჰკვიანი“.

შემდეგ უკვე მოდის ჯიხეებისა და ჯარჯის კლდეზე გაქცევის  
ეპიზოდები და ჯარჯის კლდიდან ჩამოვარდნა. ჯარჯის ჰკრძალავენ:

„სახსოვრად ჯარჯის საფლავზე  
დააჯვრნეს ჯიხის რქანია“.<sup>2</sup>

ამ ვარიანტში ჯარჯის ჯიხეებზე ნადირობის მომენტია მოთხრო-  
ბილი. ხალხი პირველი სტრიქონებიდანვე აფრთხილებს ჯარჯს:

„ჯარჯო, ნუ მისდევ ჯიხეებსა,  
მაგინელებენ ტიანნი“.

ეს ლექსი არეულია, ზედა სტრიქონი გვაუწყებს, რომ:

„ნუ ეტყვიტ ჯარჯის დედასა,  
ჯარჯი წევს პირსისხლიანი“.

შემდეგ კი მოსდევს:

„ქოქობათ კაცი ჰკილია  
დაბმული საბანდიტაო“.

<sup>1</sup> ე. ლ. ვ. ი. რ. ს. ა. ლ. ძ. ძ., ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 196.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 199.

ლექსის გაგრძელება ჯარჯის მოთქმაა. იგი ყურშას მიმართავს: ნუ ეტყვი ჩემს დედასა, შავად შეპლებავს ლეჩაქსა, მოიტანს კუბოსა და შენს პატრონს შიგ ჩააწვენსო. ათი წელი ვიარე სანადიროდ, შენი იმედი მქონდაო.

„ახლა კი ვკვდები შავყურავ,  
შენ ღამირჩები მანდაო“.

საყურადღებოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიულურ პოეზიაში გავრცელებულ ტრაგიკულად დაღუპულ მონადირეთა ამბავში მითური სიუჟეტი გაუბრალოებულია და მითური ელემენტი ჩამოშორებული აქვს.

მონადირის კლდიდან ჩამოვარდნა და მიწაზე ნაქერ-ნაქერ დაცვიენა საინტერესო მინიშნებების მიზეზიც ხდება. ჩვენ ვიცით წმინდა გიორგის ცხოვრებიდან, რომ წმინდა გიორგის ბორბალზე აკრავენ და ნაწილებად ჰკრიან. საიდან მოიტანეს ქართველებმა წმინდა გიორგის 363 ნაწილად და არა სხვა უფრო ადვილ სათქმელ ციფრად დანაწევრება. მიზეზი ერთია, ქართულ ხალხურ აზროვნებას ტრადიციულად შემორჩენილი ჰქონდა მითური მონადირის სიკვდილი სწორედ ნაწილ-ნაწილ დაჭრით. ეს ეპიზოდები ისე მტკიცედ იყო ხალხში შესისხლბორცებული, რომ შემდეგ, როცა წმინდა გიორგის სახე შემოიტანა მწიგნობრულმა ქრისტიანობამ, ხალხმა წმინდანი დაანაწევრა 363 ნაწილად და თითო ნაწილს თითო ეკლესია მიაწერა; ასეთ გაგებას, რასაკვირველია, საეკლესიო მწიგნობრობაც ამაგრებს. როგორც ვიცით, თითოეულ ეკლესიას საკურთხეველად უნდა ჰქონდეს რომელიმე წმინდანის სხეულის რაიმე ნაწილი.

მითური მონადირის ნაწილ-ნაწილ ჩამოცვევის სიმბოლური მხარე სხვა კუთხით უნდა აიხსნას. მონადირე ზებუნებრივი პიროვნებაა; „რომელიც საიჭიოს აუცილებლად ცხონებულია“ (ბ. ნიჟარაძე). იგი კლდიდან ჩამოვარდნისას ზოგი ვარიანტით ნაწილ-ნაწილ იშლება, ზოგან კი — კლდეზე „ეგლისება“. მიგვაჩნია, რომ დაღუპვის ფორმას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ მონადირე სულიერი ძალების მიერ „შეტყუებით“ იღუპება.

ედვინ არნოლდი თავის წიგნის „Свет Азии“-ის დამატებაში მოგვითხრობს თავის საუბრის შესახებ ცეილონის მონასტრის (ვიხარის) წინამძღოლთან. იგი ერთ ადგილას ასეთ შეკითხვას აძლევს მას: „ვთქვათ მწიფე ნაყოფით სავსე ქოქოსის ხის ქვეშ ზის ღრმად ჩაფიქრებული ბუდისტი, რომელიც უკვე უნდა მისწვდეს სამამსამბუდლას, ე. ი. უმაღლეს სიწმინდესა და სიბრძნეს, თუ მის სიმშვიდეს არაეინ ხელს არ შეუშლის. ამ დროს მის გვერდზე მიდის უბედური კაცი, რომელსაც სიმშოლისაგან ხეზე ასვლა და ქოქოსის კაკლის მო-

წყვეტაც აღარ შეუძლია. რას იზამს ნამდვილი ბუდისტი: მიატოვებს თავის თითქმის მიწველომილ ღვთაებრივ სიბრძნეს, ავა ხეზე და მოუწყვეტს მშიერს საკმელს, თუ მიატოვებს მომაკვდავს და განაგრძობს ღვთაებრივ ფიქრებს?

წინამძღვარმა ოდნავ გაიღიმა და შეუყოვნებლივ სთქვა: — ო, პოეტო, კარგად არ ჩაიფიქრე შენი მოთხრობა! თუ მართლაც ეს ბუდისტი ასე აწლოს იყო სამმასამბუდლთან, მაშინ მიწიერი ტკივილები მის შეგნებაზე ველარ იმოქმედებდნენ, როგორც ჩვენს შეხედულებებზე შორს ხეზე მჭდომი ყვავის ჩხავილი<sup>1</sup>.

თუმცა სევანი მონადირეც „სწვდება“ სულიერ ძალებს, მაგრამ ბუდისტი ბურისაგან განსხვავებით მარტო სულიერ არსებებთან მყოფად არ ითვლება, იგი ცხოვრებისეული პიროვნებაა.

გავიზაროთ მონადირის ღალუბვის მიზეზები: მონადირე ნადირთა მწყემსთან დადებულ პირობებს არღვევს.

ყველა ის ცოდვა, რის გამოც ნადირთ მწყემსი მონადირეს (ზეადამიანს) დასალუპავად იმეტებს, მოკვდავი, უბრალო ადამიანის ღონემდი დასული პიროვნების ცოდვაა. ბევრ შემთხვევაში მდებალი პიროვნებისა.

ა. არ გამთქვა, თუ შემხვდი და ჯიხვებს მოგაკვლევინებ!

ბ. არ იხარბო, ბევრი ჯიხვი არ მოკლა. გინდაც შემთხვევა მოგეცეს, იკმარე რასაც გაძლევ!

გ. არ იმრუშო! და სხვა...

ერთი შეხედვით გვეჩვენება, რომ დალსა და მონადირეს შორის დადებულ პირობებს უბრალო მომაკვდავიც კი შეასრულებს, მაგრამ ყოველდღიური ლოცვით გასულ მონადირეს უჭირს ამ პირობათა დაცვა. მონადირეს კლდის ანგელოზების (ჯიხვების) მწყემსი დალი უბრალო მიწიერ ადამიანისათვის დამახასიათებელ სისუსტეს ამჩნევს და ღუპავს. როცა ადამიანები მონადირის ტრაგედიაზე მოსთქვამენ, საერთოდ ადამიანურ სისუსტეებს გულისხმობენ; აქ დალი, მხოლოდ სულის სიძლიერის შემმოწმებლად შეიძლება ვიგულისხმოთ. მონადირე განზოგადებულია მითურ მონადირეში და. მიუხედავად იმისა, რომ იგი გამოირჩევა მაღალი კაცური თვისებებით, მაინც ადამიანია და ხორციელისათვის დამახასიათებელ სისუსტეებთან უხდება ბრძოლა.

ფერხისაიში „ბეთქილი და დალი“ საყურადღებოა ერთი ადგილი: როცა დალი ბეთქილს შეიტყუებს მიუვალ კლდეებზე, შესძახებს: „შენ მოღალატე ხარ და მაგიერს მიგიძღვნისო.<sup>2</sup>

1 С. Петербург, «Свет Азии», 1890, гл. 193.

2 ამ საკითხს შესანიშნავი მოთხრობა უძღვნა ვაჟა-ფშაველამ. ვაჟა-ფშაველა, ნადირთ პატრონი, ტ. VI, 1964, გვ. 190.

დალის ასეთი სიტყვების მიზეზად სხვადასხვა სიმღერებში სხვადასხვა საბაბია მოცემული. ერთ-ერთად ითვლება ის, რომ დალიმ მონადირეს აუკრძალა მის გარდა სხვასთან ურთიერთობის გაბმა. ზოგი გადმოცემით სამუდამოდ, ზოგით — გარკვეული დროის განმავლობაში. გადმოცემით, მონადირე არღვევს დათქმულ პირობას, რისთვისაც დალი ღუპავს მას.

ერთის შეხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავზნიან ქალთან უნდა გვექონდეს საქმე.

დალისა და მონადირის ურთიერთობაზე მსჯელობისას ვგულისხმობთ ე. წ. მონადირულ მორალს, რომლის დაცვა მონადირეს ევალება და რომლის მეთვალყურედაც ზებუნებრივი ძალები იგულისხმება. ასეთ ძალის განსახიერებად მიგვაჩნია დალი. მონადირის ურთიერთობა დალითან გვაგონებს იმ მლოცველის ურთიერთობას სულიერ ძალებთან, რომელსაც სურს ამ უკანასკნელებთან პირდაპირი კავშირის გაბმა. სვანი მონადირე მიმართავს ცისკარს, რომელიც დალის (ადგილის დედის) ასტრალური სახეა. აქ მონადირე ბერს გვაგონებს, რომელიც ლოცვით იწრთობს სულს.<sup>1</sup>

სწორედ ასეთ მონადირე-ბერს ეცხადება წმინდა გიორგი და აჩვენებს მყინვარწვერის ღვთაებრივ საიდუმლოებებს:

„— უწინ გერგეტის უდაბნოში, — განაგრძობს სოლომონ ყაზბეგი მოხეუური თქმულების გადმოცემას, — იყო განთქმული მონადირე და ღვთის მოყვარე ბერი — სახელად მამუკა. ერთხელ ღამეს, მამუკას ძილში გამოეცხადა ახალგაზრდა ყმაწვილი, მთლად თეთრ ტანსაცმელში, რომელიც ისე ანათებდა, როგორც მზე, რის გამოც მამუკამ თვალი ვერ გაუხსწორა მას, თავი ძირს დახარა და ღმერთს ვედრება დაუწყო. მაშინ უცნობმა მას ანგელოზებრივ ხმით უთხრა: „ნუ გეშინია, მამუკავ, მე ვარ ბეთლემის წმინდა გიორგი. შენი ღვთისმოყვარული ცხოვრება ღირსად ხდის წახვიდე და ნახო ჩემი საბრძანებელი, რომელიც არის ყირვან-წვერზე. მისი ნახვა ბერს ენატრებოდა, ბევრიც ეძებდა, მაგრამ იქამდის ჯერ არავის მიუღწევია. ვერც ვინმე მიაღწევს უწმინდური, თუ არა წმინდანი ჩემის ნებართვით. გიბრძანებ შენ, წმინდა მამავ, მამუკა... წადი“.

გაზეთი „ივერია“, 1895 წ., № 197 — სოლომონ ყაზბეგი.

<sup>1</sup> წმინდა ბერი როგორც მონადირე ქართველებისათვის უცხო არ იყო.

სოლომონ ყაზბეგის გადმოცემით, ძველად სამების ბერები განთქმული მონადირეები ყოფილან: „ეზლანდელი სოფელი გერგეთი, მდებარე სამების მთის ქვეშ, უწინ უდაბნოს შეადგენდა, რომელშიაც ბერები ცხოვრობდნენ. ეს ბერები ხშირად ნადირობდნენ ხოლმე, ისე, რომ მათ შორის ბევრი განთქმული მონადირე იყო, რომელთა სახელმა ჩვენ დრომდისაც მოაღწია. რა თქმა უნდა, რომ ამ მონადირეებს აქაური მთები და თვით მყინვარის მიდამოები დაეღლია ექნებოდა და დაწვრილებითაც ეცოდინებოდათ ყველა სავალი გზა, ბილიკი...“



ხაზი გვინდა გავუსვათ მონადირე მამუქას არა მარტო უბრალო ბერობას, არამედ მის წმინდანობასაც, რისთვისაც წმინდა გიორგი ნებას აძლევდა თავისი საბრძანებლის ხილვისას, უბრძანებს წასვლას და გზასაც ასწავლის.

მოხევე მონადირე ბერსა და სევან მონადირე ბეთქილის შორის განსხვავება ისპობა ღვთაებრივობის ხილვის უნარ-უფლების მოპოებაში. განსხვავება მხოლოდ სევანური თქმულების პირველადი სახით არსებობის შენარჩუნებაში შეინიშნება. ადვილად სავარაუდებელია, რომ მოხევეური გადმოცემით აღრეული სახე მხოლოდ მონადირეს ეხებოდა, რომელიც თავისთავად წმინდადაც ითვლებოდა. ქრისტიანულ პერიოდში გამოთქმა „წმინდა მონადირე“, „მონადირე ბერმა“ შესცვალა, ხოლო გამოქვაბულში არსებული ღვთაება — „წმინდა გიორგის საბრძანებელმა“.

მონადირის (მათ შორის სულკალმახისაც) თხოვნა-ლოცვა ქალღვთაების მიმართ ხალხურ შემოქმედებაში ისახება, როგორც ინტიმური კავშირი ობიექტსა და სუბიექტს შორის. როგორც ვიცი (ამირანიანი და სხვ.), მონადირის ცოლი ან ახლობელი ქალი, ამ კავშირს ხელს უშლის და ხშირად ღვთაების სიკვდილით ან გადაკარგვით მთავრდება. იქ ფიზიკური ქალი გვევლინება პიროვნებად, რომელიც უკრძალავს მამაკაცს ღვთაებებთან კავშირს.<sup>1</sup> ღვთაებებთან მამაკაცის ასეთი კავშირი „ნათლად გვისურათებს იმ ხანას, — წერს მწერალი აკადემიკოსი დემნა შენგელაია, — როდესაც ქალს მონადირე ვაჟკაცი საბოლოოდ არ მოეთვინიერებინა.<sup>2</sup> ქალის მიერ მონადირე მამაკაცის ღვთაებებთან ინტიმურ კავშირის ხელის შეშლაში ვხედავთ ყოველდღიური ფიზიკური ყოფის ლტოლვას, მოსწყვეტონ ადამიანური ცხოვრება ზებუნებრივ ძალებს. მიწიერი ყოფისადმი ლტოლვის მიზეზს თვით მლოცველის ფიზიკურ არსებობაშიც ვპოულობთ.

კვლავ მოვიყვანოთ ამონაწერი მწერალ-აკადემიკოს დემნა შენგელაიას ნაშრომიდან: „თუ მოვიგონებთ დასავლეთ საქართველოში

---

<sup>1</sup> „ნადირთ მწყემსი ანგელოზია, უხილაია, არც კაცია, არც — ქალი. ანგელოზი კეთილი ღვთაებაა, რომელთან დამოკიდებულებას მხოლოდ ღოცვით ახლენ“.

ივ. ქვაციხელის ზემო რაპულ ვარიანტებში, რომლებშიც შ. რუსთაველის სახ. ლიტ. ისტ. ფ. არქივში ინახება, ხშირად გვხვდება გამოთქმები: „კლდეზე რალა მომჩვენა, ჭიხს გაუდა“.

(შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლ. განკ. არქივი, ფ. არქივი 1—1, გვ. 47).

<sup>2</sup> დემნა შენგელაია, თხზ., ტ. 11, 1960, გვ. 469.

გავრცელებულ თქმულებას, რომლის მიხედვითაც ვაუკაცი აღს (დალს) შეიყვარებს და ის მასთან ერთად ხულის ან ბელლის თავანზე წვება ხოლმე... ერთ ცოლიან კაცს ალი ჰყავდა საყვარლად და მასთან ერთად ხულის თავზე წვებოდა. იქ ტკებებოდა მისი სიყვარულით. ალმა ნიშნად მადლიერებისა დოვლათით აავსო თავისი ღარიბი მიჭნური, მაგრამ სამაგიეროდ ის მამაკაციური ძალა, რომელიც მას ცოლთან უნდა გამოეჩინა, წაართვა, რასაც გუმანს მოსული მეუღლე არად აგდებდა ანგარების გამო: ერთ დღით იგი გარეთ რომ გამოვიდა, ხედავს, რომ მის ქმარს ალთან ერთად ხულოს თავზე ისე ტკბილად ჩასძინებია, რომ ორთავეს თავს დასთენებიათ. აღს ოქროს დალალი ხულის თავანიდან ძირს ჩამოშლია და საქონლის პატივში დასვრია. დედაკაცმა მაშინვე წყალი გაათბო და მძინარე აღს თმები მოწინებით დაჰბანა. აღს გამოელვია. დიაცის დანახვაზე ერთი შეჰკივლა და იმ ოჯახიდან სამუდამოდ გადაიკარგა.

ეს თქმულება, — განაგრძობს მწერალი აკადემიკოსი დემნა შენგელაია, — მრავალი საკითხის აღმძვრელი თქმულებაა. რად ეძინათ მათ უსათუოდ ხულის თავანზე? იმიტომ, რომ ხულა დოვლათის ჰურქველია, და ცხადია, ბარაქის ღვთაებაც იქ უნდა იმყოფებოდეს. რად წაართვა მან თავის მიჭნურს მამაკაციური ძალა? იმიტომ, რომ მას ტაბუს ძალით ქალთან ცხოვრება სასტიკად ეკრძალება. რად არ ექვიანობდა ცოლი? იმიტომ, რომ ეს ღვთაებრივი კავშირი იყო. რად არ წაიბილწა აღის ოქროს თმები საქონლის პატივით და წარწყმდა დიაცის შეხებით? იმიტომ, რომ იგი პირუტყვთ პატრონია, მათი ღვთაებაა და ამასთანავე „მტერია“ დიაცისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პირველ ოჯახს და მოათვინიერა პირველი მონადირე მამაკაცი და პირველი მხეცი. განა ასევე არ მოათვინიერა გილგამეშმა დედაკაცის დახმარებით ენქიდუ? რად არის ნადირთ უფალი „მტერი“ დედაკაცისა? იმიტომ, რომ ნადირი წმინდაა, ხოლო დიაცი „ბილწი“ მისი თვის სენის გამო. განა ასეთივე ტაბუიზმით არ არის გამოწვეული „სიძულელი“ ამირანისა დედაკაცისადმი? აღსანიშნავია, რომ თვის სენით დაავადებულ ქალს დასავლეთ სამეგრელოში პურის მოზღვევა და საერთოდ მარანში შესვლა ეკრძალება, ხოლო ნანადირევის ხორცი ფეხმძიმეს არ ექმევა. ეს ტაბუა და ტაბუს დარღვევა კი არას გზით არ შეიძლება. ამან დალუპა დალი. დიაცის ზედ წამოსწრებით ტაბუ დაირღვა და მით დალმა ღვთაებრიობა დაჰკარგა (მას ღვთაებრიობის ემბლემა ოქროს დალალი შეაქრეს). ამიტომ ითვლებოდა გრძელი თმა ქალთა მშვენიებად. იგი მუდმივი ქალოვნების ნიშანი იყო“.<sup>1</sup>

არ შევუდგებით მწერალ-აკადემიკოს დემნა შენგელიას შეხე-

<sup>1</sup> დემნა შენგელია, თხ., ტ. II, 1960, გვ. 469—470.

დულების კომენტირებას. იგი ზედმიწევნით გასაგებია. ამონაწერი ძირითადად ჩვენი შეხედულებების დასადასტურებლად მოვიყვანეთ, მხოლოდ ზოგ ამბავს გაეაგრძელებთ. მაგალითად, — რად არის ნადირთ უფალი „მტერი“ დედაკაცისა? — კითხულობს ავტორი. ჩვენ ვპასუხობთ: ქალ-ღმერთი დალი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ არის „მტერი“ — დედაკაცისა, რომ ის მიწიერი ყოფის სიმბოლოდ ითვლება. დალი კი, როგორც ასტრალური ღვთაება, მამაკაცურ არსს მთლიანად ასტრალურ სფეროში მოითხოვს და არ სცნობს ადამიანის ფიზიკურ არსებობას. მონადირეც იმიტომ ემსგავსება მუუდაბნოეს, რომ მისი ყოფნა დალთან (და სხვა) ღვთაებრივ წარმოსახვებში ელინდება ქართული ზეპირსიტყვიერების მიხედვით.

ამბავში, რომელიც მწერალ-აკადემიკოს დემნა შენგელიას მოჰყავს, გამოგყოფთ ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ადგილს:

დალი ქრისტიანულმა პერიოდმა ალად აქცია, განსაკუთრებით ბარის საქართველოში.

დალმა... მამაკაცს სულიერ ძალებთან „ტკბობის“ ფაად წაართვა კაცს ის მამაკაცური ძალა, რაც მას ცოლთან უნდა გამოეჩინა. ღვთაებისადმი უკიდურესი ლტოლვა მლოცველისაგან ასეთ ტკბობას რძენდა, მხოლოდ საკუთარი ხორცის კედომის ფასად.

ელ. ვირსალაძეს 1951 წ. მესტიაში მასწავლებელ ახმად სარდიონის ძე გოშთელიანისაგან ჩაუწერია მითი — მონადირე „ბეთქილი და დალი“, რომელიც ასე იწყება:

„ბეთქილი მონადირე იყრ. დალის შეჰყვარებია ბეთქილი. ბეთქილი შემცდარა თავის რძალ თამართან“.

აქ საყურადღებოა ორი დეტალი. პირველი: დალის შეჰყვარებია ბეთქილი. დალის მიერ ბეთქილის შეყვარების მიზეზად მიგვაჩინია ბეთქილის სწრაფვა მონადირეობისადმი, რომელიც „საღვთო საქმედ ითვლება“. რადგან დალის შეუყვარდა ბეთქილი, მიგვაჩინია, რომ მონადირემ შეძლო სულიერი სიმტკიცით, ე. ი. მონადირეობისადმი სავალდებულო წესების დაცვით და ლოცვით ადგილის დედის (დალის), ცისკრის (დილის) ვარსკვლავის აიყვარული დაემსახურებინა.

მეორე: „ბეთქილი შემცდარა თავის რძალ თამართან“. აქ ზებუნებრივი ძალების სიყვარულის უარყოფაა. მიწიერი ცხოვრების ფსკერზე დაშვებაა, რაც აშკარად კავშირის გაწყვეტას უდრის მფარველ ძალებთან.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ტრაგედიას, რომელიც გამოიწვია ბეთქილის შეცდომამ ქალთან, მეორე ყოფიერებად დაყვანილი მხარეც აქვს: შეიძლება იგი ჩაეთვალოს საზოგადოების მოწინავე ნაწილის ბრძოლად, ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანის ზნეობრივ მხარის გაჯანსაღებისათვის.

ცნობილი მონადირე ბეთქილი ისჯება მაშინ, როცა ამ გაწყვეტილი კავშირის აღდგენას ცდილობს. „უბაბეში დღეობა ყოფილა... ამ დღეობაში მისულა ბეთქილი. ფერხული გაუბამთ უბაბეშელებს. გამოვარდნილა შველი, ფეხებში გაურბინა ბეთქილს და მთაში გაიქცა. ბეთქილი მისდევს თურმე. წინ მიდის შორს მანძილზე. წინ თითქოს საურმე გზაა, უკან გზა არ ჩანს“.<sup>1</sup>

ბეთქილი მიდის უბაბეს დღეობაზე, რომელიც კეთილი ძალები-სადმი იყო მიძღვნილი. ფერხისაიში მონაწილეობს. გამოვარდება შველი (ზოგი ვარიანტით შუნი, ჯიხვი), გაურბენს ლაჩებში ბეთქილს. ბეთქილი ძველებურად ეცდება შეპყვეს ზეძალებთან ურთიერთობას, მაგრამ ჩადენილი შეცდომა ჰლუპავს. ეს ადგილი გვაგონებს ილ. ჭავჭავაძის პოემა „განდევილის“ ტრაგიკულ დასასრულს. მზის სხივი აღარ იჭერს შეცოდებული ბერის ლოცვანს. ბეთქილის ცდაც აღადგინოს ძველი მდგომარეობა, უშედეგოდ მთავრდება. ზოგ ვარიანტში მონადირე პირდაპირ ასახელებს დაღუპვის მიზეზს:

„ცოდვა ჩემი მისცემია თამარს, ჩემ რძალს,  
უწმინდური გამიშვა საჯიხვედ,  
შეიკრიბეთ სამთის ფერხულში  
თამარ, ჩემი რძალი წინ წაიძლოლეთ,  
მან თავსაფარი დამიტრიალოს,  
თვალებსა ჩემსას მას მივაპყრობ,  
გადმოვხტები კიდეც კლდიდან... (16 იბ.).<sup>2</sup>

მიწიერების ყოფას მოწყვეტის მსურველმა მონადირემ ვერ შეიძლო მიწვდომოდა იმქვეყნიურ ხილვებს. მას წინ აღუდგება რძალთან ცდუნება, რაც ამქვეყნიურ ცხოვრების სიტკბო-სიმწარის ზიარებად და მისი ტრაგედიის მიზეზად ითვლება.

ეს ადგილი უშუალოდ „გილგამეში“ (მითი) ენჭიდუს ბედს გვაგონებს. ენჭიდუს ადამიანებთან გამოტყუების მიზნით მეძავე ქალს შეუჩინენ. სიკვდილის დროს ენჭიდუც წყევლის ქალს, მაგრამ მასთან გატარებულ დროს სიამით იხსენებს“.<sup>3</sup>

ენჭიდუს, ისევე, როგორც ბეთქილს, ქალმა დაუკარგა გზა — ერთს, უკვდავებისაკენ (ენჭიდუს), მეორეს — ღვთაებასთან წვდომის უნარი თუ სურვილი (ბეთქილი).

მითურ გამოსს ზეციურ წვდომაში ზელს უშლის მიწიერი ცხოვ-

<sup>1</sup> ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 208.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 207.

<sup>3</sup> გილგამეში, 1963, გვ. 58.

რებს ტყობის ძლიერი ცდუნება. გმირიც ტრაგიკულია, რადგან არ შეუძლია შთლიანად მოწყდეს ადამიანურ ყოფას.

მონადირის ტრაგიკული სიკვდილის გაანალიზება გვაფიქრებინებს, რომ წმინდა გიორგის სამას სამოცდა სამ ნაწილად დაქრის ქართული გადმოცემის საფუძველი უხსოვარ დროიდან შექმნა ქართულმა ხალხმა თავის მითებში, კერძოდ, სამონადირეო მითებში; ადამიანური ტკივილების ღრმად გააზრებამ ხალხი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ:

1. სანამ ადამიანი არსებობს სხეულში, ის ვერ დააკმაყოფილებს კეთილი სულიერი ძალების მოთხოვნებს (ამიტომაც ეომებიან მითური გმირები ღმერთებს).<sup>1</sup>

2. განსხვავებას მიწიერსა და ზეციერ ძალებს შორის სხეული ჰქმნის. ფიზიკური ადამიანის სულს ესმის, შეუძლია შეიციოს, შესრულება კი უძნელდება; ამიტომ იღუპება ბეთქილი და მოთქვამს ხალხიც: „საბრალო ბეთქილ, საცოდავო ბეთქილ!“

3. მზის წელიწადის დამკვიდრების შემდეგ ადამიანის ბუნება პრულყოფილად რომ შეეფარდებინათ მზის ციკლთან, იგი სამას სამოცდასამ ნაწილად დაყოფილი წარმოისახეს.

მონადირის ტრაგედია ნატურ-მითური მომენტია წმინდა გიორგის სამას სამოცდა სამ ნაწილად დაქრის ქართული ქრისტიანული მითისა. ზეციურსა და მიწიერ ყოფას შორის გაორებული მონადირე იღუპება. ამ გაორების ნაყოფია ნაწილ-ნაწილად ჩამოცვენილი წისი სხეული. ადამიანის ფიზიკური არსებობა მიწიერებისა და სულიერების გამყოფ სიმბოლოდ ითვლება. ფილოსოფიის თვალსაზრისით, მიწიერსა და სულიერ ყოფას დროის არსებობაც სთიშავს. მონადირეც მხოლოდ დროში იღუპება. სამას სამოცდა სამი ნაწილი კი დროის გამოანგარიშების მხოლოდ ერთ-ერთი სახეა. გვაქვს აგრეთვე 12 თვე, კვირეები და სხვ. სამას სამოცდა სამი რიცხვი იმიტომ დამკვიდრდა, რომ ქართული ტრადიციული რელიგიით თითოეულ დღეს თავისი მფარველი ვარსკვლავი, ანგელოზი ჰყავს.<sup>2</sup>

ზემოაღნიშნული მითიც იმ პერიოდს ეკუთვნის, როცა წელი-

<sup>1</sup> დავით სასუნცი, სომხური ეპოსი, 1947; ნართები (ოსური ხალხური ეპოსი), 1947.

<sup>2</sup> ძველი აღმოსავლური რელიგიაც ღვთაების ნაწილებად დანაწევრებას დროში გულისხმობს. მაგ., ოზირისი 14 ნაწილადაა დანაწევრებული, რაც ბრინჯის აზრით, მთვარის კულტის წინა პლანზე წამოწევის შემდეგ ხდება. ადრე 28 ნაწილა უნდა ყოფილიყო მზის ერთი მოქცევის წელიწადის რაოდენობასთან შეთანხმებული.

<sup>1</sup> Б р и н к е р, Страдающий Бог в религиях древнего мира, 1923, გვ. 851.

წადის დღეთა რიცხვი წელიწადის დღეთა რაოდენობით იზომებო-  
და.

ის, რომ ხალხური მსოფლმხედველობით თითოეულ დღეს თა-  
ვისი მფარველი ვარსკვლავ-ანგელოზი ჰყავს, უამრავი მაგალითით  
დასტურდება. ასეთი მაგალითები განსაკუთრებით ბევრი შემოგვრჩა  
შელოცვებში, რომლებიც ხალხური ზეპირსიტყვიერების უძველესი  
ფორმებია. მაგ., „ლოცვა ნადირისა“: „ღმერთო, ღმერთო, ჩამოყარე  
ცხრაკლიტული ბეჭედი, ნადირს კბილი შოუკარი, ჩააგდე ზღვაში,  
ნუ ამოუშვებ ჩვენი საქონელის კვალში, ფეხი ნაბდისა, კბილი ბამ-  
ბისა; სამოცდა სამნი იმანო ვარსკვლავნო, შენ დაიფარე ჩვენი სა-  
ქონელი ნადირის კბილისაგან“.<sup>1</sup>

სამოცდა სამ ძმა ვარსკვლავში — სამას სამოცდა სამ ძმა ვარ-  
სკვლავს გულისხმობს, რომელიც წლის დღეთა რაოდენობას ემთხ-  
ვევა და ამით წელიწადის დროსაც, რაც ადამიანთათვის გასაგები  
ფორმაა. ჩვენი აზრით, ასეთი თქმა ემთხვევა წმინდა გიორგის სახე-  
საც. ერთ სახეში აღიქვამენ წმინდა გიორგისა და სამას სამოცდასამ  
ვარსკვლავს.

ხშირ შემთხვევაში „ვარსკვლავის“ მაგიერ „დღე“ ჩნდება. იხი-  
ლე მაგალითად. შელოცვა ძროხის რძის გაშრობის წინააღმდეგ:

„აი წყლისაო, წყლისაო,  
რას ჩამოსულხარ ძირსაო,  
მოგიხურავს შავი ნაბადი,  
აწუხებ ძუძუ მკერდსაო.  
ცხვარი ბლაოდეს, კრავი მისიო,  
სამოცდა სამი დღისაო.  
წყლისა ქრებოდეს, კენებოდეს,  
ბრძანება არის ღეთისაო“.<sup>2</sup>

„ვარსკვლავსა“ და „დღეს“ ხშირად „ანგელოზი“ ენაცვლება.  
მაგალითად, „ლოცვა უქმურისა“, რომელიც შემდეგი სიტყვებით  
მთავრდება. „...წყალობს ღმერთი, წმინდაო გიორგი, ჭვარი პატიო-  
სანი, ღეიცავი, მწინდაო გიორგი, სამას სამოცდა ხუთო ანგელოზნო,  
არგე, ღმერთო, ლოცვა ჩემი, ბრძანებაა თქვენი“.<sup>3</sup>

1 თსუფა № 2166.

2 თსუფა № 1460.

3 „ებრაული რელიგია და შემდგომ ქრისტიანული რელიგია ერთი ღმერთის  
ქახელით ებრძოდა ზეციურ ძალთა, ვარსკვლავთა გაღმერთებას. მაგრამ, რადგა-  
ნაც ხალხთა წარმოდგენა ზეცაში არსებულ ძალთა ღვთაებრიობაზე მტკიცე იყო,  
ახალი რელიგია თანდათანობით დათმობაზე მიდიოდა. ებრაელობამაც და ქრის-  
ტიანობამაც თანდათანობით შეითვისა ზეციურ ძალთა ღვთაებრიობის თეზა და მას  
აღვილი მისცა ერთი ღმერთის ზეციურ ამაღაში. ამგვარად იქნა ზეციური ძალ-

როგორც აღვნიშნეთ, სამას სამოცდა ხუთი, ან სამი, ან უბრალოდ სამოცდასამი ვარსკვლავი, გინდ ანგელოზი, წმინდა გიორგის ძველ სახესთან არის გაიგივებული.

მაგალითად, „ქარების შელოცვის“ საბოლოო ფრაზა ასე თავდება: „...ძვალში ხარ, რბილში გამოდი, მძებარი შენი სამასსამი წმინდა გიორგი დაგაწვენს და დაგარწბილებს“.<sup>1</sup>

„სამასსამი წმინდა გიორგი“ იგივე სამას სამოცდა ხუთ ან სამ წმინდა გიორგის გულისხმობს. ზემოთ მოყვანილ შელოცვებში გვხვდებოდა სამას სამოცდა სამი ან ხუთი ვარსკვლავი, დღე ან ანგელოზი, აქ კი დღე, ვარსკვლავი ან ანგელოზი წმინდა გიორგით იცვლება. ირკვევა, რომ წმინდა გიორგი თითოეულ დღედ, უფრო სწორად, თითოეული დღის მფარველ ანგელოზად იგულისხმება.

მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითები: „თვალის შელოცვის“ ბოლო სტრიქონები ასეთია „...ვინც ამ ბაღანას ავი თვალით, ავი სულით შეხედა. თვალი დაეფსოს, გული ჩაეარდეს, ფუი, დეიცავი, წმინდა გიორგი სამოცდა სამოცდა ხუთო“.<sup>2</sup>

„საქონლის შელოცვაში“ საწყაროს ოთხივე კუთხის ვარსკვლავები არიან სიკეთის მჩენი და ძლიერების გამომსახველნი:

„ეენია, ბეენია,  
ბერსა ხატი სვენებია.  
ოთხი კუთხის ვარსკვლავებო,  
ნადირს კბილი შეუკარი,  
გადააგდე ზღვაში,  
ნუ გოუშეფე გზაში“.<sup>3</sup>

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სადიდებელში კი სამყაროს „ოთხი კუთხის ვარსკვლავთა“ „ნაგეირ“ საწყაროს ოთხსავე კუთხეზე „ბრძანებულ“ წმინდა გიორგიზეა მითითებული.

„  
მირგელიე სამი ზღვა მოკაელე: თეთრი, წითელი, შავია,  
ზედ გადაუხურე ზეცა, სინა, კიქა და რვალია,  
ზედ გაევიჩინე მზე-მთარე. მრავალი დღე და ღამეა,  
დუნია გაშიჩენია, რჭული ათასი გვაზია,  
სამოც-სამ წმინდა გიორგი, ოთხსავე კუთხეზე ჰბრძანია“.<sup>4</sup>

ნი — ვარსკვლავები გადააზრებული ზეციურ ძალებად — ანგელოზებად“ (ელ. ხინთიბიძე, მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სისტემაში, 1970, გვ. 71. თბ., საღისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად).

1 თსუფა, № 6501.

2 თსუფა, № 6521.

3 ძველი საქართველო, 1909, 1, გვ. 95.

4 ფშავ-ხევსურული პოეზია, შეკრებილი ალ. ოჩიაურის მიერ, 1970, გვ. 238.

წმინდა გიორგი მფარველობს არა მარტო ერთ დღეს, არამედ მთელ წელიწადს. იგი გაერთიანებულია ერთ ძალაში: მაგ., „ნათლის შელოცვა“ „...სახელითა ღვთისითა, მამისა და სულისა წმინდისა; თვალსა ნაცარი, გულს ლახვარი, ს ა მ ო ც ი და ს ა მ ი წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი ს ბ ო რ ძ ა ლ ი და ე ც ე ს ა მ ი ს მ ო ა რ მ ე ს, ა მ ი ს მ ო ჭ ი შ პ ე ს...“

ნახსენები ს ა მ ო ც და ს ა მ ი წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი ს ბ ო რ ძ ა ლ ი ა ქ ა ც სა მ ა ს სა მ ო ც და ხ უ თ წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი ს ბ ო რ ძ ა ლ ს გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს, რ ა ც ს ა მ ა ს ს ა მ ო ც და ხ უ თ დ ღ ე - ვ ა რ ს კ ე ლ ა ვ ე - ა ნ გ ე - ლ ო ზ შ ი ი გ ი ვ დ ე ბ ა. ბ ო რ ძ ა ლ ი უ ნ დ ა გ ა ე ო გ ო თ მ ა დ ლ ი ა ნ დ ღ ე დ (მებრძოლ), რომელიც ბოროტ ძალებს არ იყარებს და სპობს:

### „ლომისური (შარხისა)

„წმინდა გიორგი ცხენზე ზის, მუხლი და ნიავქარია,  
მხარზე კიღია მათრახი, ს ა მ ო ც და ს ა მ ი მ ხ ა რ ი ა  
ვისაც დაარტყამს, დაჩნის მაგის დაკრული მწარია“.<sup>2</sup>

ამ შემთხვევაში ადამიანური ყოფის „იმ დღესა და წუთზეა“ მითითებული, როცა „ბედმა უმუხთლა“ და წმინდა გიორგიმ დასაჯა, მათრახი დაარტყა.

აქ წმინდა გიორგი წარმოსახულია თავისი ძველი სიძლიერით, შეუპოვრობით, დაუნდობლობით; ის არ არის შემცოდე; თუ დააშავე, უნდა დაისაჯო, ასეთია ძველი სამყაროს მორალური არსი. (შევადაროთ ქრისტიანულ მიმტვევებლობას).

გვხვდება აგრეთვე: წმინდა გიორგის გაბრძნობა წელიწადის დღე-დროთა რაოდენობასთან, მაგალითად:

„იავ მთაზედა, იავ მთაზედა  
თოვლიანზედა, თოვლიანზედა,  
სამოცდა სამი, სამოცდა სამი  
წმინდა გიორგი, წმინდა გიორგი  
თუ დასწერ ჭვარსა, თუ დასწერ ჭვარსა,  
ჩვენ ნეფიონთა, ჩვენ ნეფიონთა“.<sup>3</sup>

შემდგომ, ქრისტიანობის გაბატონების პერიოდში სამას სამოცდა ხუთი წმინდა გიორგის ენაცვლება ან გვერდში უდგება იესო ქრისტე: ამავე ტექსტში გვხვდება შემდეგი გამოთქმა:

„იესო ქრისტე, შენ დასწერ ჭვარსა“-ო.

1 ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941, გვ. 339.

2 ქართულ მთელთა ზეპირსიტყვიერება, 1958, გვ. 229.

3 ქართულ მთელთა ზეპირსიტყვიერება, 1963, გვ. 232.



ამ ლექსში წმინდა გიორგი იესო ქრისტესთან არის გაიგივებული.

წმინდა გიორგის უძველესი სახე ქართველი ხალხის მთავარი ლეოება რომ იყო, თავის დროზე უთითებდა აკად. ივანე ჯავახიშვილიც. იგი წერს: „ხევსურებისა და ფშაველების, ხევის ბერები ლოცვის დროს წმინდა გიორგის პირდაპირ ღმერთად იხსენიებენ: „ღმერთო, იხიწვის წმინდა გიორგიც“, — ასე დაიწყებენ ხოლმე ლოცვას ისინი ქადების კურთხევის დროს: სვანებიც გიორგის ღმერთის მსგავსად თაყვანსა სცემენ და ღმერთზე ძლიერად მიაჩნიათ.

ცხადია, რომ ამ შეხედულებას და წმინდა გიორგის განსაკუთრებულ შემოქმედზე უმეტესს პატივისცემას, ქრისტიანობასა და სავალესიო მოძღვრებასთან არაფერი აქვს საერთო: პირიქით, იგი პირდაპირ არღვევს მას. უეჭველია, მაშასადამე, რომ ჩვენი ხალხის წარმოდგენაში წმინდა გიორგის ძველი „წარმართობის დროინდელი, მთავარი ლეოების ადგილი უნდა ეკავოს“.<sup>1</sup>

როგორც ჩანს, ქართველი ხალხის წარმოსახვაში არეულია ძველთაძველი მთავარი ღმერთი და ქრისტიანული სამება. აკად. ივ. ჯავახიშვილი იხსენებს სოფ. ჩხიკვეთის სამხრეთით მდებარე სამება წმინდა გიორგის ეკლესიას.<sup>2</sup> აქ ნახსენებ სამებას არავითარი კავშირი არა აქვს წმინდა გიორგის უძველეს სახესთან, მაგრამ ქრისტიანულმა რელიგიამ თავისი უმაღლესი მფარველი სამება გადააფარა წმინდა გიორგის უძველეს სახეს. ხალხმა კი არც ერთს აუარა გვერდი, არც მეორეს და შეერთებული სახით იწაბა.

ქართულ შელოცვებში გვხვდება, აგრეთვე, ასეთი მიმართვა, მაგ., „სამას სამოცდა სამო გამჩენო ღმერთო“. აქაც ღმერთში წმინდა გიორგის უძველესი სახე იგულისხმება.

ქართული ხალხური შელოცვები უძველესია ხალხურ შემოქმედებაში. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ქართველები ლეოებებად მიიჩნევდნენ დღის მფარველ ანგელოზებს, რომელთაც ვარსკვლავებში გულისხმობდნენ. ამავე დროს, მათ ჯგუფს ერთი ღმერთი მფარველობდა. ამ ღმერთს ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ წმინდა გიორგი შეერქვა. წმინდა გიორგიმ მძლავრად დაიმკვიდრა წარმართულ ლეოებათა უმაღლესი ღმერთის ადგილი. ამიტომაც ხალხს ავიწყდება მისი კანონიერი ადგილი ქრისტიანულ წმინდანთა საფეხურების მიხედვით და უმაღლეს სამებაში აიგივებენ.

ძველი ქართული გამოთქმა — „ყოველი ღღე ღვთისაა“ — ამაგ-

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1960, 1, გვ. 49.

2 იქვე, გვ. 49.

ასეთი გავრმაგებული სახელი ხშირად შეგვხვდება ქართული ეკლესიების ხალხურ სახელწოდებაში.

რებს ზემოთ აღნიშნულს, რომ დღეს თავისი (კეთილი) ანგელოზი მფარველობს, რომელთა ერთობლიობას სამას სამოცდა ხუთ წმინდა გიორგის ერთობლიობა წარმოადგენს.

საყურადღებოა, აგრეთვე ის, რომ სამას სამოცდა ხუთი ვარსკვლავი ყველა თანასწორი ძმები არიან: მათ შესაძლებლობებს ხალხი ერთმანეთისაგან არ ანსხვავებს. მაგ., „სამოცდა სამო ძმანო ვარსკვლავნო“. — ასე უწოდებს მათ შემლოცველი. კიდევ: „წმინდაო გიორგი, სამას სამოცდა ხუთო ანგელოზო“ და სხვ. ასეთი მაგალითები უამრავი გვხვდება ხალხურ შელოცვებში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფშავური ფერხისაიში იახსარზე, თითოეული ვარსკვლავი იგივე ღვთისშვილია, ე. ი., რაც საქართველოს სხვა კუთხეში ანგელოზად იწოდება. აღმოსავლეთ საქართველოს მთიან კუთხეებში ღვთის შვილადაა ნახსენები, მაგ.:

„ღვთის კარზე შევიყარნით  
ღვთისშვილნ სამოცდაცხრანო;  
ქვემოთ, ბოლოში ჩამოვქე  
მე, ხატი იახსარიო.  
გადმოდგეს სასწორ-ჩარეჟი,  
კვირაჲ! გვიკირე თვალიო,  
ჩამაირიგეს ღვთისშვილთა,  
ვერვინ გაუგდო ქარიო.  
გადავხე, ერთი ავწიე,  
ღმერთო, შენ მამე ძალიო,  
სამოც ლიტრიანს რკინასა  
ქვეშ გაუვლიე ქარიო“.<sup>2</sup>

მოგვეყავს მთიულური ვარიანტიც:

„ღვთის კარზე შევიყარნით სამას სამოცდა შვიდნია,  
სამას სამოც ფუთ რკინასა. ძირს ვინ გაუდენს ქარია?  
ყველას ბოლოში მე ვზივარ, ყველას ჩემზე აქ თოლია,  
მაგას იახსარ აიღებს, მაგას აქვს მაგის ერია.  
წავე და იმას ავწივე, ძირს გაუდინე ქარია“.<sup>3</sup>

მოყვანილ ტექსტებში ხასიათდება გმირის უნარი და მოვალეობა: სამას სამოცდა შვიდ ხეთიშვილში ძლიერი აღმოჩნდა მთიელთა სათაყვანებელი ღვთაება იახსარი, რომელიც არა თუ ერთ დღე-

<sup>1</sup> „კვირა“ ძლიერი ანგელოზი ყოფილა ფშაველების წარმოდგენით და იმის სადიდებლად, მოსახსენებლად არის დადებული კვირა-დღე უქმად“, ვაჟა ფშაველა, 1894, ტ. IX, გვ. 80 კვირა არა თუ ძლიერი ანგელოზის, თვით უფალი იესო ქრისტეს სინონიმი (იხ. ლიტერატურული გაზეთი, 1970, 13 თებერვალი, „კვირია მზე“).

<sup>2</sup> ვაჟა-ფშაველა, ტ. IX, 1964, გვ. 80.

<sup>3</sup> ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, 1958, გვ. 233.

ფუტს, მთელ სამას სამოცდა ხუთ ფუტს ანუ წელს ყოველი დღის სიძიმეს შეეპიდა. ირკვევა, რომ ხალხი წლია და დღის მფარველ ღვთაებებში გულისხმობდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის იახსარსა. საერთოდაც ყოველ ხვთისშვილს (ჯვრისშვილს) ღღესაც ასე გაიგებენ. თხოვნა-ლოცვა მიმართვა ერთია. პრინციპული განსხვავება ღვთაებების მიმართ. ლოცვაში არ არსებობს.

აქაც შეინიშნება ის გარემოება, რომ სამოცდაცხრა ღვთისშვილი, ე. ი. ვარსკვლავ-დღენი, თანასწორები არიან. ფერხისაის ყურადღებით გარჩევისას ცხადი ხდება, რომ იახსარი პირველია დანარჩენ ღვთისშვილებში; მან შეძლო სამოცლიტრიანი რკინის აწევა, რაც სხვა ანგელოზებ-ვარსკვლავებმა ვერ შეძლეს. აქ სამას სამოცლიტრა რკინაში იგულისხმება იგივე წელიწადია სამას სამოცდა ხუთი დღე, ამ დღეების „სასწორ-ჩარეჟი“ კი დროის ამავე პერიოდის ბედ-იღბალზე მიგვანიშნებს. ასეთი თქმით („სამოცლიტრიან რკინასა ქვეშ გავუვლიე ჭარია“) იახსარი თავის უნარს ამჟღავნებს. იახსარი ეჯიბრება რა სამას სამოცდა ხუთ ძმა-ვარსკვლავ-ანგელოზთ, მაღლა აყენებს თავის შესაძლებლობას, სამყაროსა და ადამიანის ბედ-იღბლის სიკეთისაკენ მობრუნებისათვის ბრძოლაში, რისთვისაც უფროსი ღვთაებას — კვირიას იმორჩებს: „კვირიავ, გვიქირე თვალიო“, — ამაყად აცხადებს ფშავ-ხევსურეთის საამაყო მითური გმირი.

როგორც ვიცით, ქართულ-კავკასიური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები გვხვდება წმინდა გიორგის ცხოვრების სასწაულებში.

რადგან მითური გმირის დაჭრილი ნაწილების რაოდენობა დამოკიდებულია დროის გამოთვლის იმ სისტემაზე, რომელიც იმ პერიოდისათვის არსებობდა, ამიტომ სამას სამოცდა ხუთ ნაწილად წმინდანის დანაწევრება და სამას სამოცდა ხუთი ეკლესიის შეპირისპირებაც იმ დროისათვის ჩვენში არსებული დროის გამოთვლის სისტემას უნდა ემთხვეოდეს, ე. ი. ეზოტერულმა თეოლოგიამ წმინდა გიორგის სამას სამოცდა ხუთ ნაწილად დანაწევრების მითი, მაშინ აიყვანა კლასიკური ლიტერატურის დონემდე, როცა გაბატონებული იყო დროის გამოთვლის ზემოთ აღნიშნული სისტემა.

### საქმისო ლექსი „ქალსა ვინმეს ერჰვა ზროზანაო“

ფრინველებს, როგორც მითური გმირის დამხმარე პერსონაჟებს, ზღაპრებში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ.

ქვესკნელში მოხვედრილი მითური გმირი მათი დახმარებით უბრუნდება თავის ქვეყანას.

მოვიყვანოთ მაგალითები:

ზღაპარ „ყარაბ-ოღლიში“ კაბუჯი ქვესკნელში გველემაპს ჰკლავს, ათავისუფლებს ხელმწიფის ქალიშვილს. სამაგიეროდ ხელმწიფეს არწივი გამოჰყავს, ბიჰს ზედ შესევამს და ზედა ქვეყანაში გამოუშვებს.<sup>1</sup>

მეორე ზღაპრის მიხედვით ქვესკნელში მოხვედრილი კაბუჯი ყორანს შვილებს გადაურჩენს; ყორანი კი სამაგიეროდ, ზემოთ ამოიყვანს.<sup>2</sup>

ერთი ქართლური ზღაპრის მიხედვით კაბუჯს ბორაც ეხმარება (არწივის მსგავსი „ნაწილიანი“ ფრინველი) ბორა ხელმწიფეს ქალს სტაცებს და კაბუჯისათვის საცოლედ მიჰყავს და სხვ.<sup>3</sup>

მსგავსი მასალები, ქართულ ხალხურ ჯადოსნურ ზღაპრებში უამრავი გვხვდება. ამ მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ ზღაპრულ ფრინველს (ორბი, ფაშგუნდი, ქორი, არწივი და სხვ.) უნარი შესწევს მითურ გმირს დაეხმაროს.

მარტო ზღაპრებში არ გვხვდებიან დასახელებული ფრინველები, როგორც კეთილი არსებანი, გარკვევით გვითითებს ქართული ხალხური პოეზიაც მათ თვისებებზე ნაწილიანობაზე. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს საკულტო ლექსი „ქალსა ვისმესა“... მოვიყვანოთ ნაწყვეტი აღნიშნული ლექსიდან:

„ქალსა ვისმე, ქალსა ვისმე  
ერქვა შროშანაო,  
ხუთსა თითსა, ხუთსა თითსა  
ეცა ბეჰედიო.  
ბეჰედის თვალსა, ბეჰედის თვალსა  
მოლი მოსულაო,  
მოლის თავსა, მოლის თავსა  
ნაძვი ასულაო;  
ნაძვის წვერსა, ნაძვის წვერსა  
ქორს ბუდე ეღგაო;  
ბუდე იყო, ბუდე იყო,  
აბრეშუმისაო;  
ქვერცხი ჰქონდა, კვერცხი ჰქონდა  
მარგალიტისაო;  
ღმერთო ერთი, ღმერთო ერთი  
ჩემთვის გაზარდეო,  
სხვა ათასი, სხვა ათასი  
სხვას გაუზარდეო.

1 ქართული ხალხური ზღაპრები, 1938 წ., ტ. 1, გვ. 140, შიხ. ჩიქოვანის რედაქციით, კომენტარებითა და ლექსიკონით.

2 თსუფა № 143.

3 თსუფა № 4771.

სანადიროს, სანადიროს  
გზა გაუწალდო,  
ინადიროს, ინადიროს  
მოკლას ირემიო-1. და სხვ.

დაგვიანტერესა ბეჭდის თვალმა, რაზედაც იშლება არაჩვეუ-  
ლებრივი სურათების წყება: ბეჭდის თვალსა... მოლი მოსულაო;  
წილის თავსა, ნაძვი ასულაო, ნაძვის წვერსა... ქორს ბუდე ედგაო,  
ხლო ბუდეში ქორს მარგალიტის კვერცხები ეწყო და სხვ.

შევეხებით მხოლოდ — „ბეჭდის თვალს“, ქალს რომ აქვს ხელ-  
ზე გაკეთებული და ფრინველს, რომელიც „მარგალიტის კვერცხებს“  
სწებს.

რადგან „თვალი“ და „მარგალიტი“, რომელიც ლექსში შეგვხვ-  
და, ძვირფასი ქვების ნაირსახეობას მიეკუთვნება, ზემოთ მოკლედ  
გვარკვევით მათი ადგილი მითოლოგიაში. აღვნიშნეთ, რომ მათში  
აღაშინებები კეთილ სულიერ არსებებს გულისხმობდნენ.

პავსინიუსის მიერ ტაძრებში ნანახი ქვებიც აუცილებლად გა-  
წორჩეული ქვების რიგში უნდა მივიჩნიოთ. კახეთში არის თეთრი  
ჯიორგის ტაძარი. გადმოცემით ეს სახელი მიტომ შერქმევია, რომ  
ლქ. სადაც დღეს ტაძარია, ადრე ტყე ყოფილა და შიგ თეთრი ქვა  
დებულა წმიდა გიორგის გამოსახულებით.<sup>2</sup>

ამირანის ეპოსის სევანურ ვარიანტში ხშირად გვხვდება „თე-  
რი კლდე“, როგორც წმიდა ადგილი. მიგვაჩნია, რომ სევანი სწორედ  
სულიერ ქვას (ბროლს) გულისხმობს, როცა „თეთრ კლდეს“ წარმო-  
თქვამს „დალი კლდეში მშობიარობს. მშობიარობს თეთრ კლდეში“.<sup>3</sup>

კიდევ:

„დალი კლდეში მოსთქვამს.  
უფრო (ცი) კლდეები მოსთქვამენ:  
მონადირე მეფისა შემოსულა,  
შემოსულა თეთრი კლდის ძირში“.<sup>4</sup>

იახსრის ლექსის მთიულურ ვარიანტში ფშავ-ხევსურულისაგან  
განსხვავებით ბროლის ქვის მაგიერ თეთრი ქვა გვხვდება.

„ჩამოვქე თეთრსა ქვაზედა. შემოვიბრუნე მხარია.  
მტრადივით შემოვდულუნე: — ზენა ეარ, იახსარია“.<sup>5</sup>

1 ელ. ვირსალაძე, ტექსტები, გვ. 189 (ქართული სამონადირეო ეპოსი,  
11964).

2 ეურნ. „მნათობი“, 1976, № 11, გვ. 100—101.

3 სევანური პოეზია, 1939, 6—1, გვ. 269.

4 იქვე, გვ. 270.

5 ელ. ვირსალაძე, ქართველ-მთიულთა ზეპირსიტყვიერება, 1958,  
გვ. 233.

შევადართ აკ. შანიძის მიერ ხევისურულ პოეზიაში გამოქვეყნებული ლექსი; ამ ლექსში იახსარი ჰყვება:

„შამოქე ბროლის ქვაზედა, შემოვიბერტყენ მხარია...  
დაველოე ჩემსა ნაქდომსა, რა კრელნი დარჩნეს ქვანია“.<sup>1</sup>

იმ ადგილებში, სადაც მთის ბროლი ძნელი მოსაპოვებელი იყო. უბრალო თეთრ ქვას ან დაბალი ხარისხის მარმარილოს იყენებდნენ. მაგალითად: ახლახანს გათხრილ დიღმის სამარხებში, რომელიც ჩწა VIII—V საუკუნეებით თარიღდება, ტომის ბელადის სამარხი თეთრი ქვით არის ნაშენი.

ბროლის სხვადასხვა სახეობას ხშირად ვხვდებით საქართველოს მთიანეთის (სვანეთი, ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი) ნიშნებსა და საკულტო ადგილებზე: ბევრი ხატის ნიშზე აწყვია მთის ბროლის ქვები, ბევრგან კი წვერი თეთრი ქვისა აქვს. ხევსურეთში დღესაც შემორჩენილია მიცვალებულის სახელზე ნიშის ან სასმელი წყლის გამოყვანის წესი; ასეთ ნიშებზე თეთრ ქვებს ვხვდებით. სახლის ამენების დროს ცდილობენ, კედელში თეთრი ქვა ჩააყოლონ. სახლს „ავი ანგელოზი აღარ გაეკარებაო“.<sup>2</sup> ბოროტი ძალების წინააღმდეგ „ნალოკ ქვას“ — მთის ბროლსაც ხმარობენ.<sup>3</sup> ოპალის მძივს, რომელიც კვარცის წყლიანი სახესხვაობაა, მთიან ქართლში, ავი სულების საწინააღმდეგოდ იყენებენ, ბავშვის აკვანზე ჰკიდებენ.<sup>4</sup> მაგიური აგაროზი, თვალის ფორმის ონიქსის ფრცხილი კვარცის ჭგუფის ქალცედონის სახესხვაობაა, მას ცნობილი არქეოლოგი კუფტინი წალკაში ნახულობს (ძვ. წ. აღრ. VI საუკუნე).<sup>5</sup> თეოფისტეს ცნობით, ძველი ეგვიპტელები აგაროზებს აღნიშნული ქვისაგან ამზადებდნენ.

მ. ჩიქოვანიც გადმოგვცემს ბროლის შესახებ თავის შთაბეჭდილებას: „მოხევეები კარგად იცნობენ ბროლს და მეტად უყვართ იგი. ყაზბეგში ბროლის განთქმული მადიებლები არიან. მათ მშვენივრად იციან სად, რომელ მთაში გვხვდება ეს შესანიშნავი მინერალი და როგორ შეიძლება მისი მოპოვება. აქაურების აზრით, „ბროლი კლდეზე იზრდება“.

ბროლის ქვების სულიერობაზე უამრავი მაგალითის დასახელება შეიძლება, მათ შორის რუსული ლიტერატურიდანაც, სადაც

1 აკ. შანიძე, დასახ. ნაშრომი, 1931, გვ. 581—582.

2 თსუფა № 1883.

3 ს. შაკალათია, მთიულეთი, 1930, გვ. 147.

4 ვ. ზუხბაია, საქართველოს დეკორატიული და ფერადი ქვები, თბ., 1974, გვ. 163.

5 იქვე, გვ. 173.

ბროლის ქვა სასწაულმოქმედად, სულიერი ძალების შემცველად არის წარმოდგენილი.<sup>1</sup>

„ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილია, თუ როგორ დაამსხვრია ქარიშხალმა ღვთაება არმაზის ძეგლი. „ხოლო მასვე ღღესა რისხვისასა, ოდეს დასცხრა სეტყვა იგი და ქარი სასტიკი, მაშინ გამოვიდა წმიდა ნინო კლდესა მისგან ნაპრალისა და ჰპოვა თვალი იგი ბივრილი, აიღო და წამოვიდა“... წმიდა ნინოს არმაზის დამსხვრევის შემდეგ ბივრილის ქვა წამოუღია და არა სხვა არანაკლებად გამოსაყენებელი ძვირფასი ნივთი. მარტოოდენ ბივრილის ქვის წამოღებით მემატიაზე სიმბოლურად მიგვანიშნებს, რომ აქ აქტივად წიდა ნინომ ღვთაება არმაზს ღვთაებრივი ძალა გამოაცალა (ბივრილის ქვა ღვთაება არმაზს ერთ-ერთ თვალად ჰქონდა ჩადგმული).

ქრისტიანულ საქართველოს ისტორიაში სასწაულმოქმედი ბრილიანტისთვლებიანი ხატიც ყოფილა ჩოხატაურის რაიონის სოფ. შუა სურებში — „ლომისკარის“ სასწაულმოქმედი ხატი: „ხატს ბრილიანტის თვალეზი ჰქონდა და მდ. სუფსის გადაღმამდე აბრჭყვიანებდაო“, — გადმოგვცემენ მნახეველები. ხატი მოსამართლის როლს ასრულებდა სოფელში, მის წინაშე ხალხი ტყუილს ვერ იტყოდა; ქურდი დანაშაულში ტყდებოდა და სჯ. თავისუფლად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ „ლომის კარის სასწაულმოქმედი ხატი“ ნაშთია ქრისტიანობამდე არსებული რწმენისა, როცა რელიგია კოსმიურ ნათელსა და ენერჯიაში ხედავდა ღვთაებრიობის უნარსა და მადლს, როგორც ვიცით. შემდგომდროინდელმა ჯოგნატურმა ქრისტიანობამ ხალხს კოსმიური შემოქმედების ეს მხარე გადაუშალა.<sup>2</sup>

არიული მითოლოგიით მზეც ძვირფასი ცეცხლოვანი ქვაა.<sup>3</sup> წმინდა ქვის წარმართულ წარმოსახვას ქრისტიანობის პერიოდშიც იყენებენ. ადრე თუ მასზე კეთილი ღვთაებები იმყოფებოდნენ, შემდგომ, ქრისტიანობის პერიოდში ქრისტიანობის ფუძე-წმინდანები იგულისხმებოდა.<sup>4</sup>

ბროლზე, როგორც სულიერ ძალთა შემცველზე, შუა საუკუნეების ქრისტიანული ეკლესია აღარ მიუთითებს, მაგრამ საეკლესიო ინვენტარში კი აუცილებელ ნივთად ითვლება.

<sup>1</sup> В. Я. Пропп. Исторические корни волшебной сказки, 1946, гл. 261—262; 268—269; 272.

<sup>2</sup> ძველ ირანულ ქალღვთაება ანაჰიტასაც თავზე ასობით ძვირფასი ქვა უკეთია. Г. Н. Курочкин, К интерпретации некоторых изображений раннего железного века с территории Северного Ирана, Ж. Советская археология, 1974, № 39.

<sup>3</sup> А. А. Фанасьев. Поэтические воззрения славян на природу 1, гл. 214.

<sup>4</sup> იქვე, ტ. 11, გვ. 146—147.

რუსი ელჩები დაინტერესებულან ქართულ ეკლესიაში ბროლის ნიეთების სიქარბით. რუსეთის ტახტის დიპლომატი ტოლჩანოვი აღწერს რა გელათის მონასტრის ინვენტარს, ბროლის ქურქელსაც ეხება; „ბარძიმი ბროლის არის... კოეზიც ბროლისა“, „ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატის წინ, რომელიც ლუკა მახარობლის მიერ არის დახატული, ვერცხლის კანდელია, ხოლო „ტრაპეზზე მოქროული ბროლიანი“ ასამალღებელი ჭვარია“.1 როცა ბროლს ეახსენებთ, მხედველობაში არა გვაქვს უამრავი ნაირსახეობა ძვირფასი ქვებისა, რომლის სიმრავლე აოცებდა მნახველს.

ბროლის ნაირსახეობათა გამოყენების ფაქტები ეკლესია-მონასტრებისა და საკულტო ადგილების შესახებ ლიტერატურაში მრავლად მოიპოვება. საყურადღებოა XVII საუკუნის საქართველოს გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის, ს. ს. ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის აღწერა. ევროპის საეკლესიო ინვენტარშიც ბროლი გამოყენებულია, როგორც აუცილებელი ატრიბუტი ინვენტარის „შესალამაზებლად“. მაგალითად: „ერთს ბროლის კუბოში, კარგა ოქროთი გაკეთებული იყო, შიგ ერთი ენაკრატისი ესვენა, ქალწული... მრავლის სასწაულმოქმედი, ისევე ახალს მიცვალებულს გვანდა...“. „მრავალი გვაჩვენეს უცხო ბროლის სასანთლები, უცხო ბროლის ჭვრები, ამგვარი მრავალი რამ“. „მერმე ბროლის კარი ჩამოუშვეს. ყოვლად წმინდა და გაბრიელი დახატული“. „ვერცხლის დიდი ზანდუკი ბროლით გაკეთებული, მრავალი წმინდა ნაწილებით“2 და სხვ... დღესაც ეკლესია-მუზეუმებში დაცულ ხატებსა და ინვენტარზე შექედილი ძვირფასი ქვების ნაირსახეობა მიჩნეულია მოყვანილი აზრის დამადასტურებლად.

ლექსის მიხედვით, ძვირფას ქვაზე გაშლილია მწვანე მოლი, რომელზედაც ნაძვის ხე ამოზრდილა. ხე მითოლოგიაში სიცოცხლის სიმბოლოა. საქართველოსათვის „ცხოვრების ხე“ უცხო არ არის; დღესაც, „წმინდა ადგილების და „ხატის ტყეების“ სახელზე შემორჩენილია მთელი ქალები. გადმოცემით, ასეთ ქალაში თუ ხე მოტყდა, სოფლიდან ვინმე იღუპება. მსგავს გადმოცემას ეხვდებით საგვარეულო ხეზეც — „წმ. მუხაზე“, მაგ.: ივ. ჯავახიშვილის წინაპრებს, რკონში, საგვარეულო მუხა ედგათ, თუ მუხას ტოტი მოსტყდებოდა, გვარიდან ვინმე უნდა დაღუპულიყო. წმინდა ხეს ქრისტიანული საქართველოც შეეგუა; ეკლესიის ეზოებში კვლავ შეგვხვდება „წმინდა ხეები“, — თელა, მუხა, კოპიტი, ნაძვი და სხვ. საქართველოს საკათალიკოსო ტაძარს მოჭრილი ხის ტანის, სვეტი-

1 ტოლჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა 1650—1652, გვ. 114—115.

2 ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, მოგზაურობა ევროპაში, 1940, გვ. 10, 70, 105, 135.



ცხოველის მითი უდევს საფუძვლად. ე. წ. „ცხოველი ჯვარიც“ მცბეთის ახლოს მდგარი წმინდა ხისაგან, ნაძვისაგან გააკეთეს.

მოყვანილ ლექსში ნაძვი „სიცოცხლის ხედ“ არის ნაგულისხმები. „სიცოცხლის ხის“ წვერზე მითური ფრინველი ბუდეს იკეთებს და მარგალიტის კვერცხებს სდებს. მსგავს მითურ ფრინველებად იგულისხმებიან აგრეთვე არწივი, ყორანი, ფრინველი, ფაშგუნდი და სხვ. ქართული ხალხური ზღაპრის მიხედვით ქაბუკის ქვესკნელიდან (ორმოდან) ამოყვანაში აღნიშნული ფრინველები ერთმანეთს ფუნქციურად ცვლიან. სვანურ ზღაპრებში ყორნის ფრთას ღვთაება წმინდა გიორგი მკვდრის გასაცოცხლებლად იყენებს,<sup>1</sup> ხოლო ქორი, ორბი და სხვ. მარგალიტების მდებელი ფრინველებია, რაც მარტო ერთი ლექსით არ დასტურდება. მოვიყვანოთ სხვა ლექსიდან ნაწყვეტი:

„თეთრი ქორი მოფრინავდა  
დაყარა მარგალიტები,  
ერთი მე ავიტაცე,  
ერთი ჩემმა დობილმა“<sup>2</sup>.

ხევსურეთის ერთ-ერთი ღვთაება „თეთრი მთის ქორი თერგავული“-ს<sup>3</sup> სახელითაა ცნობილი, რაც ღვთაების უძველეს ტოტემურ სახეზე მიგვიჩვენებს.

გაზაფხულზე პირველად გამოჩენილ მერცხალს ხალხი შესძახებს „მერცხალო, მერცხალო, როგორ შენ და შენი ინდოეთი? ფასკუნჯს თვალი როგორა აქვს?“<sup>4</sup>

აქაც ფასკუნჯის თვალი ხვითო თვალია. (იგივე კეთილი არსი); ასევე იტყვიან: „გველს ნატვრის თვალი აქვს, თუ ეს ქვა ხელში ჩაიგდეს, რასაც ინატრებ ავისრულდებაო“.

ქართულ ხალხურ თქმულება-ზღაპრებში გვხვდება ეპიზოდები, სადაც ფრინველები ყორანი, ყვავი და სხვ. ადამიანის სიცოცხლისათვის თავსაც სწირავენ.<sup>5</sup>

1 თსუფა № 791.

2 თსუფა № 854.

3 ქართული ხალხური პოეზია, 1, 1972, გვ. 300.

4 ჟურნ. „აკაკის კრებული“, 1899, № 1911 განყოფილება, გვ. 27.

<sup>5</sup> ფაშგუნდის ბოლოზე აპრიალბეული თვალი, ძვირფას ნატვრის თვალში (ქვა) გაიგივებული.

<sup>5</sup> ხოლო ორბი, როგორც მზის ერთ-ერთი მეტაფორა, დღესაც გვხვდება გამოცანაში, მაგ.:

„ორბი მოჭდა ორასი, ფრთა გაშალა სამასი  
ნისკარტი ჰკრა ოთხასი, კლდე გააპო ხუთასი“. (მზე)

ორბი საკულტო ობიექტთანაც არის დაკავშირებული. ერთ-ერთი გადმოცე-

ლექსიდან ჩანს. რომ ქორი ბუდეში მარგალიტის კვერცხებს სდებს. ქალიშვილები კი, საგაზაფხულო საწესო ფერხულის შესრულების დროს კეთილ ძალებს სთხოვენ, რომ მარგალიტის კვერცხებიდან გამოჩეკილი ერთ-ერთი ბარტყი მათთვის გაზარდონ; სხვა ათასი კი — სხვებისთვის. ფერხულის შესრულებისას ქალიშვილები საქმროს სთხოვდნენ კეთილ ბუნებას. იმ პერიოდში, იგულისხმება, რომ საქართველოში თაყვანს სცემდნენ ფრინველებს; ნახსენებ ფრინველებში ძლიერი და კეთილი არსებანი იხსნდნენ. ქალიშვილებს სჯეროდათ, რომ ასეთი კვერცხებიდან შობილი ქაბუკი კარგი მონადირე უნდა გამოსულიყო. მონადირეს კი მითური საქართველო „ნაწილიან“ კაცად სთვლიდა.<sup>1</sup>

ზემოთ მოყვანილ ლექსში ნახსენებია ორბი (სხვა ვარიანტით ქორი), რომელიც ხის წვერზე ბუდეს აშენებს და კვერცხებს სდებს. ფართოდ გავრცელებული გადმოცემებით, სწორედ ასეთ ბუდეში იჩეკება მითური ყურშაჲ, ამირანისა და მითურ მონადირეთა განუყრელი მეგობარი. მოვიყვანოთ გადმოცემა მითურ ყურშას გაჩენაზე.

არის ერთნაირი ყორანი (ქორის მსგავსი ფრინველი) იგი ორ კვერცხს სდებს; ერთისაგან ყორანი გამოდის, მეორესაგან — ძაღლის ლეკვი, რომელსაც ყურშა ჰქვია. ყორანი რაკი ნახავს, რომ ლეკვი მას არა ჰგავს, აიღებს და გადმოაგდებს, ვინც იპოვნის და გაზარდის, საუცხოო მონადირე ძაღლი გამოდის.<sup>2</sup>

ერთ-ერთი გადმოცემით:

ყურშა როგორც ვიცით ორბის ლეკვია, ორბს, სევანების რწმენით, სხვა ბარტყთა შორის ერთი ლეკვი შეეძინება. დედა-ორბი ამ ლეკვს გამოჩეკისთანავე აიყვანს ძლიერ მალლა, იქიდან მიწაზე დაახეთქებს, რომ კაცმა არ ჩაიგდოს ხელში და არ გაზარდოს. მას ბეჭებზე ორბის ფრთები აქვს. ისეთი გამოდის თურმე, რომ ორს ნახტომზე ჯიხვს ეწევა, მესამე ხტომას სათაკილოდ სთვლის.<sup>3</sup>

ხის წვერზე გამოჩეკილი, ცხოველ-ფრინველი „ნაწილიან“ არსებად უნდა მივიჩნიოთ. მისი ყოლა, ისევე, როგორც ქალ-ღვთაება დალის მიერ ნაჩუქარი მძივის ქონება, იღბლიანობის საწინდარია;

---

მთ ორბმა მოზღოქიდან ხარის კანკი მოიტანა გერგეტის მთაზე და იქ შეექცა, ამიტომაც ხალხი იმ ადგილას სამლოცველოს აშენებს (დღევანდელი გერგეტის სამება). ორბი გმირობის ხანის საქართველოშიც საკულტო ფრინველად გვევლინება. მაგალითად, „ეთერიანში“, ეთერი ორბის კლანკით არის აღებული და ხის კენწეროზე გაზრდილი“.

1 სიმღერის ტექსტი გვაფიქრებინებს, რომ ამ პერიოდის საქართველოს სამეურნეო ყოფაში წამყვანი ადგილი მონადირეობას ეკავა.

2 ე. ლ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, ტექსტები, გვ. 193.

3 იქვე.

მკერამ, თვითონ ღვთაებას (ქორი, ორბი, ყორანი და სხვ.) ნაკლებ სუფერა, რომ დროში მცხოვრები არსება (ამ შემთხვევაში ადამიანი) მას ღვთაებათა პრინციპების მიხედვით გამოიყენებს, მართლაც მონადირე ვერ ზომავს საკუთარ სურვილ-სწრაფვას, ბოროტად იყენებს საჩუქარს და კეთილი სულიერი ძალები სჭიან; ასეთი დაღუპვის მიხედვით ყურშას ყოლაც, (მაგალითად, ტრაგიკულად დაღუპულ მონადირეთა ციკლის თქმულებები) ისევე, როგორც დალის ნაჩუქარი მძივის ქონება (მაგ., ბეთქილის ციკლის თქმულებები).<sup>1</sup>

მის. ჩიქოვანი იმოწმებს აკად. გ. ჩუბინაშვილს და ასკენის, რომ ამირანის ორბის ფრთიანი ყურშა იგივე ფასკუნჯია.<sup>2</sup> ხალხურ ზეპირ-ლიტერატურებში გაბნეული უამრავი მასალა საბაბს გვაძლევს ასეთი მსჯელობისათვის.

ძალღ-ფრინველი ჭერ კიდევ საანდურ ლიტერატურაში

<sup>1</sup> აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ ტრაგიკულად დაღუპულ მონადირის ციკლიდან ერთ-ერთ თუშურ ვარიანტში მონადირის ძალს აღმასა ქვია. ენათმეცნიერი პ. ხუბურია ამ სახელს ასე განმარტავს:

„აღმასა სახელია ძალისა: ამ სახელთან დაკავშირებით ასეთი თქმულებაა წიაში: კიუხის წყერზე მონადირემ ჭიხვი დაქრა. ჭიხვმა კიუხებს შეაჯარა თავი; მონადირე მას დაედუნა და შემთხვევით ქალამნის თასით კლდეზე გადმოეცია. მასთან მხოლოდ ძალი აღმასა იყო და მას მიმართა:

„დასუეფე, ჩემო აღმასა,  
შენ შევის პატრონისაო,  
კლდეზე გიკიდავ პატრონი,  
ფურბერწის საბადლითაო,  
ლაშენ ათენებს გმინვითა  
ერთაის პერანგითაო.  
ძმობილსა შემიტყობინე,  
ძმობილს — ქითიძის შეილსაო,  
მე ის აქ არას გამწირავს,  
არც რას შეირცხვენს პირსაო,  
გაშკრიან, ჩამომადებენ  
ლილდელის ფრანგულითაო...“

პ. ხუბურია, თუშური კილო, 1969.

ძალის სახელი აღმასა, (აღმასი ძვირფასი ქვის ბრილის ნაირსახეობა) ისევე, როგორც ძალის მეორე სახელი ბროლია (ბროლი მთის ძვირფასი ქვა საუბრადებელია ფრინველ ბრასაგან ნაწარმოებად) ორბის ლეკვ ყურშას იდენტურ მითურ არსებებზე მიგვანიშნებს.

ძალის სახელზე საკლტო სალოცაეცა გვაქვს „მწვერის ნიშის“ სახელით ცნობილი (ხეცურეთი).

ძალმა, როგორც ქართული მითოსის უძველესმა პერსონაჟმა, ზღაპრების მთურ ნაწილშიც გამოყონა: „წმ. გიორგის მწვერებზე“ უამრავი ეპიზოდი ვხვდებით.

<sup>2</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, 1938, გვ. 10.

გვხვდება. მკვლევარ ნ. ტრევერს ძალღ-ფრინველის სამშობლოდ კავ-  
კასია და ირანი მიაჩნია, მის სამყოფელად იალბუზის მთა ითვლება,  
როგორც სინათლესთან, მზესთან ახლოს მყოფი არსება.<sup>1</sup>

ცხოველისა თუ ფრინველის სახით კეთილი ბუნებრივი ძალე-  
ბის წარმოსახვა ბიბლიაშიც გვხვდება. მაგ., ეზეკიელი მოგვითხრობს,  
როგორ გაივსო ზეცა ცეცხლის აღმურით, როგორ განათდა სამყარო  
და ოთხი უცნაური სახის ცხოველი გამოჩნდა. ყოველი მათგანი  
ადამიანის სახისა იყო, თითოეულ მათგანს ოთხი სახე და ოთხი ფრთა  
ჰქონდა, ფეხები საქონლისა — ოთხივენი ლომის სახისანი იყვნენ.  
ოთხივეს სახე ხარისას ემსგავსებოდა, და ოთხივეს ჰქონდა არწივის  
სახე, და ოთხ-ოთხი ფრთა. ყოველი მათგანი ფრენს თავთავის სახის  
გასწვრივ; ისინი ცეცხლოსანი იყვნენ და მათ გარშემო ტრიალებდა  
ალი, ელვისებური სინწრაფით მოძრაობდნენ ცეცხლის ცხოველები  
თუ ფრინველები და ელვას ისროდნენ. წინასწარმეტყველი ეზეკიე-  
ლი (1,5—28).

ენი იყვნენ. „განაგრძობს ეზეკიელი — ღმერთის ფეხებთან  
მყოფი ცხოველები-ქერუბინები.

ბიბლიაში ბევრგანაა მოხსენებული ღმერთი იაჰვე, როგორც  
ძლიერი ფრთების მქონე. ასეთივე აზრისანი არიან სხვა მკვლევარ-  
ებიც.

Здесь отчетливо выступает представление о Яхве, как о  
птице с гигантскими крыльями»<sup>2</sup>.

ეგვიპტეშიც ცნობილია ფრინველის სახით ცის ღვთაება-ხორა.  
მკვლევარი მ. ა. კორსტივეცის აზრით, ებრაელთა ღვთაების უნარი,  
როგორც ფრთიანი არსებისა, ეგვიპტური ღვთაებიდანაა გადმოღე-  
ბული.<sup>3</sup>

ღვთაებათა ხილვა ზემოთ წარმოსახულის სახით ბიბლიაზე აღ-  
რეულ ხანებში ეგვიპტესა და სხვა უძველესი კულტურის ქვეყნებში  
გვხვდება.

ბიბლიურ წინასწარმეტყველთა მონათხრობის შემდეგ აღნიშ-  
ნულ არსებათა გამოსახვა ქრისტიანულ ტაძრებზე უცხო მოვლენად  
ალარ გენივინება. ბიბლიური ხედვა ქრისტიან შემოქმედთ ფანტაზიას  
დიდ შესაძლებლობას აძლევდა.

უცხო ყოფიერებისაგან შემორჩენილ კომბინირებულ ცხოვე-

1 Н. В. Тревер, Собака-птица (Энмурв и паскундж) из истории до-  
капиталистических формаций, 1933, гл. 326.

2 И. Г. Франк-Каменецкий, Вода и огонь в библейской поэзии,  
Яфет. сб. т. III, 1925, гл. 141.

3 М. А. Корстовец, древний Египет и космогония древних иуде-  
ев. Палестинский сборник, в. 25, 1974 г., гл. 24.

ლებსა და სტილიზებულ მცენარეებს ქართულ საეკლესიო დეკორატიულ ხელოვნებაში ხშირად ვხვდებით.

მაგალითისათვის საკმარისია ნიკორწმინდის ტაძრის აღწერაც. ნიკორწმინდის ტაძარზე გამოსახულ შესანიშნავ მონატულობებს ზოგი მკვლევარი წიგნური გზით დამკვიდრებულად სთვლის,<sup>1</sup> ზოგი მკვლევარის აზრით კი მითური ცხოველებისა და ფრინველების თაყვანისცემა თვით კავკასიისათვის არის დანახსიათებელი. მაგალითისათვის არქეოლოგიური ძეგლები მოჰყავთ.<sup>2</sup>

ქართული ხალხური სიტყვიერება უძველეს ღვთაება-ტომებისა და ქრისტიანული წმინდანების ერთად ხმარებას არ ერიდება, მაგალითად, წარმართობისა და ქრისტიანული რელიგიის აშკარა კონტრამინაციას ვხვდებით ლექსში „ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი“.

ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი

მაღალი ღვთის ოლარია,  
წინ უდგას ოქროსა ტახტი,  
გლეხი კაცის მშვეულაი;  
თავშია სხედან უფროსნი,  
ბოლომდინ მამშენებელნი,  
სუფრის თავშია ქორი ზის,  
სუფრის ბოლოში არწივიც.<sup>3</sup>

ქართულ ხალხურ ზღაპრებში ხშირად ვხვდებით ყოფიერებისათვის უცხო ცხოველებსა და ფრინველებს. ხელოვნებაგან განსხვავებით, ზღაპრის მთხრობელი იშვიათად იტყვიან ზღაპრულ ცხოველებზე — „ფრთები ჰქონდაო“. საკირო შემთხვევაში კი ზღაპრულ ცხოველებზე იტყვიან — ზღაპრული ცხოველი სწრაფად გადაიქროლებს მთებს და ქალაქებსო: მაგალითად, ცხენი რამდენიმე დღის, თვისა და წლის სავალს თავლის დახამხამებაში გაიბრუნს და სხვ. ცხოველ-ფრინველები ადამიანის ენაზე მეტყველებენ. მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება; ამ მხრივ ხალხურ ზღაპრებსა, ბიბლიურ წარმოსახვასა და ხელოვნების სხვა ქანრებს შორის საზღვარი თითქმის წაშლილია.

ზემოთ მოყვანილი ლექსი „ქალსა ვისმესა“... ფრინველთა ტოტემის პერიოდშია შექმნილი, იმ ხანებში, როცა ადამიანსა და კეთილ ღვთაებას შორის შუამავლად ფრინველი (ჩიტი, ორბი, ქორი და სხვ.) ითვლებოდა, რომელიც ადამიანს კარგ ბედს უვლენდა: ქა-

1 Л. А. Мипулевич, Никорцинда и его место в культуре Грузии. Сборник Руставели, 1938, гл. 48.

2 Д. Н. Андриш, Доисторическая археология Кавказа, ЖМНР, 1884 г.

3 ქართული ხალხური პოეზია, ტ. 1, ნაკვ. 11, 1973, გვ. 135.

ლიწვილებს საუცხოო საქმროებს, ხოლო მამაკაცებს ნადრობაში კარგ ბედს ანიჭებდა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მოყვანილი ლექსის მიხედვით, კარგი ოჯახის შემქმნელი მამაკაცისა და კარგი სამონადირეო ბედიც ტოტემის, ფრინველის კვერცხიდან იჩეკება; კვერცხი კი ძვირფასი ქვისაა (მარგალიტი, იაგუნდი და სხვ.); ძვირფასი ქვები — მითოლოგიასა და რელიგიაში კეთილი სულიერი ძალების სამყოფელად არის აღიარებული. წმინდა ქვის მოღზე იზრდება „ხე ცხოვრებისა“, რომელზედაც ღვთაებრივი ფრინველის აბრეშუმის ბუდე კეთდება და კეთილი ადამიანის ბედი იჩეკება.

ზემოთ მოყვანილი ლექსი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ქართულ მითოლოგიაზე. კერძოდ, მითურ ქორზე, ძვირფას ქვაზე და მონადირე ძაღლ ყურშაზე, რომელიც ორბის (ქორის) ლეკვია.

ძვირფასი ქვების თაყვანისცემა, როგორც სხვა ქვეყნებში, ისევე საქართველოში, მონოლითურ რელიგიების პერიოდშიც შემოგვრჩა, რასაც ადასტურებს ძვირფასი ქვების არსებობა ეკლესიების ინვენტარებსა და ხატ-სამკაულეებზე.

ძვირფას ქვაზე როგორც სულიერ არსებაზე, ამბობენ: თუ შექი დაკარგა, „ქვა მოკვდაო“. რაც უფრო ძვირფასია ქვა, მით უფრო ძლიერი სულიერი ძალების სამყოფელად იგულისხმება.

ამრიგად, მოყვანილი ლექსი ღვთაებისადმია მიმართული: ქალები ლოცვა-ვედრებით შესთხოვენ კარგ ოჯახს, მამაკაცები კი — ოჯახის შემნახველ ბედ-იღბალს.

## სიმურის საკითხი ქართულ მითოლოგიაში

ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში მითურ ფრინველთან დაკავშირებულია სიმურლიც. ამავე დროს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლოგიაში ხშირად გვხვდება სიტყვა „სიმურიც“. კოპალას თქმულებაში მითური გმირი კოპალა ჰყვება, რომ მას, კოპალა-ირემს, გამოეკიდნენ თუშები და იგი იძულებული შეიქმნა მდინარეში შევარდნილიყო:

„თუშებმ მესროლეს ისარი,  
ფოცხ-მაკრატელა ფთიანი.  
სიმურში გადავიჩქვიფე  
რქის წვერთ გაიღეს ძგრიალი“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ქართული ხალხური პოეზია, 1, 1962, გვ. 129.

იახსარიის თქმულებაშიც „სიმური“ ნაგულისხმეია წყლად: დღეთისშვილი იახსარი, როცა დევს მოსაკლავად გამოეკიდა, დევი ტბაში შევარდა.

იახსარი ჰყუება:

„ერთი ისევ გაქცეულიყო, რომელიც ფალანხიო,  
კარგად სიოდნიოს წყულსა აბუდელაურ ტბანიო,  
დევ რომ ს ი მ უ რ შ ი ჩაეიდა თან ჩაეპყევ იახსარიო,  
ჩავედ და ველარ ამოვედ სისხლმა გამიბნა მხარნიო“.<sup>1</sup>

სიტყვა „სიმური“ მრავალ თქმულებასა, ლექსსა და ნაქადაგარ-ში წყლის მნიშვნელობით გვხვდება: ასევეა საკულტო ენაზეც. ამავე დროს, წმ. გიორგის მიერ ქაჭავეთის დალაშქერის თქმულებაში წყლისათვის შეუსაბამო მნიშვნელობითაც იხმარება. მოვიყვანოთ ტექსტი:

„— ქაჭავეთს რად იარები, გიორგი, მგლისა ფერაო?  
— ვალი მიმიდევს, იქ მივზღევ, შამინდევ ქრისტის დედაო.  
შავესწარ ქაჭთა მკედელსა სიმურის კედაზედო.  
ქურთემულიც კი მოეპარე, შაულე სიმურზედაო“.<sup>2</sup>

ტექსტში ნათლადაა „სიმურის“ კედლაზე მითითებული. იმავე გადმოცემის მეორე ვარიანტში სიტყვა „სიმურს“, როგორც გამო-საქედ ნივთს ცელის „სინა“. მაგალითად:

„ქაჭავეთ რად იარები, გიორგი, მველთა ფერაო.  
ვალი მიმიდევს, ვალსა ესთხოვ, რას მეთხავ ქრისტეს დედაო:  
სინას სკედს ქაჭთა მკედელი მივასწარ წურვაზედო:  
ქურთემულ მათგლეჯიე, ცხენი შაეაგდი ზედო;  
ქაჭთა მკედელმა ხელ-კვერი ცხენს მიცა ბეკებზედაო“.<sup>3</sup>

კიდევ:

„მოვასწარ ქაჭთა მკედელსა, კედასა სინაზედო“.<sup>4</sup>

ქართული ხალხური პოეზიის პირველ ტომში (1972 წ.) გამო-ქვეყნებულ ვარიანტებში „სინას“ და „სიმურს“ „სინგული“ სცვლის.

მითითებულ მაგალითებში სიმური, სინი და სინგული კედლის უნარიან ნივთებად უნდა ვიგულისხმოთ. მკვლევარი მ. ჩიქოვანი და-ინტერესებულა „სიმურისა“ და „სინგულის“ ნამდვილი მნიშვნელო-ბით, კვლევის შემდეგ ასკვნის, რომ დღეს:

1 თ. ო ჩ ი ა უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

2 ქართული ხალხური პოეზია, 1, 1972, გვ. 275.

3 იქვე, გვ. 116.

4 თ. ო ჩ ი ა უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

„სინურისა“ და „სინგულის“ მნიშვნელობა მთქმელებს აღარ ესმით. ზოგნი კი — ფოლადად განმარტავენო<sup>1</sup>. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი მიღებულია თურქულ სიტყვად. სიტყვა „სინა“ ლექსიკონში განმარტებულია როგორც მავთული. ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონში კი, როგორც სპილენძის ქანგი. ხოლო ზოგი ქართული ლექსიკონი განმარტავს როგორც ლითონს, ან მის ნაწარმს და სხვ.

რადგან მითური ტექსტები „სინის“ „ქედვის“ უნარიანობაზეც მიგვიითთებს, ამით იგი მითოლოგიის საკვლევი ობიექტი ხდება. შეიძლება თუ არა აღნიშნული სიტყვები დავაკავშიროთ მქედელთან, სამქედლოსთან?

ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში მქედლობასა და სამქედლობებზე უამრავი გადმოცემებია. ამათგან უმეტესობა, სწორედ, მითურ თქმულებებშია გაბნეული.

ფშავ-ხევსურეთის ერთ-ერთი სალოცავი (ხევსურეთში — ბაკალიგო და ფშავში — ს. ახალი (მქედელ პირქუშის სახელობისა; გადმოცემაში ხატ-პირქუში შესანიშნავ ოსტატ-მქედლად არის ნახსენები. ერთი გადმოცემით, მითური გმირი კოპალა პირქუშს სთხოვს დევებთან ბრძოლაში დაზიანებული ზრო (ისრის წვერი) შეუკეთოს. პირქუში უარს ეუბნება. დევები სარგებლობენ მათი უთანხმოებით და პირქუშს ატყვევებენ. შემდეგ იახსარი, ფშავ-ხევსურეთის მითური გმირი, პირქუშთან მიდის და ეუბნება: „დაგისსნი, თუ ერთ ზარს გამიკეთებო: პირქუში ზარს უკეთებს, იახსარი კი დევთა ტყვეობიდან ათავისუფლებს.

ერთ-ერთ გადმოცემაში ვეცნობით იახსარისა და პირქუშის დავის არსს. პირქუშის გაკეთებულ სამ შესანიშნავ თასს იახსარი ითვისებს. ამის გამო იახსარი გაასამართლეს, ჩამოართვეს თასები და დაუბრუნეს პირქუშს. ამ თასებს ხევსურეთის პირქუშის სალოცავებში დღესაც უჩვენებენ.

ადრე პირქუში მქედელი ყოფილა, — ეს ჩანს შემდეგი გადმოცემიდანაც: „...პირქუში წინწინ კაც ყოფილ, მქედელი. ის ყოფილ მგელაის შვილი დავითი. ნაწილიან ყოფილ რახან დაიძინასავ, მხართ შუაშიით შუქ ამავარდისაოდ გაანთისავ იქიობაივ. სხოდაც მანეთის ოღნად ხქონდისავ მხართ შუაშიავ თეთრ კვერივ. ლამაზიც იმით ყოფილ. რო ნაწილიან ესეთაი ას. ყველაზე ძალიან ლამაზი: ისით ხორც ხქონდ, რო მზესავით შუქთ უშობენ.

პირქუშ უთქომ, რომ ახმეტას წავიდით ვენახის მოსაველელო, რო ამ დღეს უნდა გრდემლზე ვწერავ, რო მგელაიშვილი და-

<sup>1</sup> ქართული ხალხური პოეზია, 1, 1972, გვ. 275.



წითი ამა და ამ დღეს უნდ მაკედესავ. ვიწველევ უთქომ პირქუმს ჰამთვენჯერამავ გრდემივ ცეცხლში ჩავაგდიოდ მაინც არ წაიშალავ; შვე მინდოდავა, რო ის დაწერილ წაშლილიყვაავოდ, არ მამკედარიყავ-  
ვევ, მაგრამ მაინც არ იქნავ. როსაც დალიშანულ იყავ დროივე სწო-  
ზად იმ დროს ამომივიდავ სულივ. ესრ მქედელ ყოფილ პირქუმიდ,  
ისით წმიდა კაც ყოფილ, რო მამკედარ, ხთის ნასახად გადაქცეულ“.<sup>1</sup>

პირქუმის მქედლობაზე ბევრი გადმოცემა არსებობს. მ. ჩიქო-  
ვანს მოჰყავს მის მიერვე ჩაწერილი მასალა პირქუმის მქედლობაზე  
და წერს: „გადმოცემით პირქუმში მქედელი იყო კოჭლი კაცი, პირ-  
ქუმს ყველაზე ადრე გამოუქვდია სახნისი, ცული, წალდი და სხვა  
რკინეული“.<sup>2</sup>

ქართული მითოლოგიისათვის უცხო არ არის დევების მქედ-  
ლური საჭმიანობაც. ფშავ-ხევსურეთის ბევრ გადმოცემაში დევები  
მქედლები არიან. მკვლევარი თ. ოჩიაური წერს: „როგორც გადმო-  
ცემები იუწყება დევები, სწორედ, მქედლობით იყვნენ ცნობილნი.  
მათ სამქედლოებს მიუთითებენ ხევსურეთში — როშკის გორს, ცი-  
ხეგორს, ხოლო ფშავში — ს. შუაფხოში... გუდამაყარში ჩაწერილი  
მასალის მიხედვით ბაკურხევის ს. საკერპოსა თუ უკან ახოში, დღე-  
ვანდელი ფუძის ანგელოზის საბრძანისში მცხოვრები დევების ხე-  
ლობა მქედლობა ყოფილა. იმათგან არის მოგონილი მქედლობა —  
გვიამბობს ნ. ბექაური, — სადაც კი დადგებოდნენ. ყველგან თურმე  
სამქედლოებს მართავენდნენ. მანდ რომ კვერი დაჰკრიან ძგარი-ძგური  
გუდამაყარს მოდიოდისო“.<sup>3</sup> კიდევ „როშკის გორზე იყვნენ დაბანა-  
კებულნი დევები (სადაც ეხლა დევთ დედას კიდევ ილოცავენ როშ-  
კიენები) იმათ ჰქონიათ სამქედლო და მათ გარდა ხევსურეთში სხვა  
მქედელი არ იყო“.<sup>4</sup> მკვლევარი თ. ოჩიაურის აზრით, დევებს ძირი-  
თადად თურმე სახნავ-სათესი იარაღები უკეთებიან, ამ დროს ფშავ-  
ხევსურეთში მქედელი მათ მეტი არ ყოფილა, ამიტომ მათ ნახელავს  
დიდი მოთხოვნილება ჰქონია.<sup>5</sup>

მქედლობა ლაშარის ჯვარსა და სხვა კულტებსაც შეიძლება და-  
ვეუკავშიროთ. ლაშარის ჯვარში ინახება დიდი ჯაჭვი, ე. წ. ჯალამბარი  
ანუ ჯალაბაურის ჯაჭვი (სიგრძე 3,62 მ., რგოლების დ. მ. 10—11 მმ).

თქმულების მიხედვით ჯალაბაურის ჯაჭვი თამარ მეფის მიერ  
დატყვევებულმა და ხატში მოყვანილმა მქედელმა ჯალაბაურმა ანუ  
მისრიამ (მისრიანშვილმა) გააკეთა. „მისრეთში გაუვლია თამარ მე-

1 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

2 ქართული ხალხური პოეზია, წ. 1, 1972, გვ. 285.

3 თ. ო ჩ ი ა უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

4 იქვე, გვ. 28.

5 იქვე.

ფეს და ცხენები დაუნალვინებია. ის კაცი მოსწონებია; საუკეთესო მკედელი ყოფილა. მემრე ცხენების ლურსმანი გრდემლზე დაუკრავს და გრდემლში ჩასულა. მემრე ხმალი ამაულია იმ ქალაბაურს... დაკეცილი ჰქონდა თურმე ჯიბეში, — ამიილო თურმე ჯიბიდან და გაიშალა ხმალი. ამაზე ლექსია:

ხმალმა თქვა მისრეთს ნაკვერმა:

— მისრეთს მისრიამ გამკვერა,

ამამაძლერა პატრონმა,

ჩამაგო, ჯვარი დამწერა.

მოსწონებია თამარს, შემდეგ წაუყვანია: არ მიჰყვებოდა თურმე; თამარს მისივე გაკეთებული ჯაჭვით დაუბამს. შემდეგ უთქვამს: „ქალაბაურის ჯაჭვიანო“ ალბათ მისრიანები მკედლები ბლომად ყოფილან.

ეს „ლეგენდარული მკედელი ფშავლების მიერ მისრაშვილების ანუ მისრიანების წინაპრადან მიჩნეული.

ვ. ბარდაველიძე მისრაშვილების ხატის მკედლობაზე მეორე, გამოუქვეყნებელ ჩანაწერსაც გეთავაზობს. „მისრიათ პაპა ქალაბაური განთქმული მკედელი ყოფილა; თურმე მისრეთში ყოფილა მკედლად. მერე ის თამარ ნეფეს გზაში შეხვედრია. თამარ ნეფეს უკითხავს: ვინა ხარო და სად მიდიხარო. იმან უთხრა: მე მკედელი ვარო. ამიილო მკედელმა ჯიბიდან თავის გაკეთებული ხმალი, დაგვირგვლული ყოფილიყო და ჯიბეში სდებიყო, გახსნა და გაიშალა, გასწორდა; დაგვირგვლა და ისევე ჯიბეში ჩაიღო. თამარ-ნეფემ ჯერ უთხრა — ჩემთან წამოდი და იქ იმუშავეო. რომ არ დათანხმდა, დაიქირა და წაიყვანა. მისულმა ცოტა ხანს კი იმუშავა და გაიპარა. წავიდა თამარ-ნეფე და მივიდა იმასთან, — ერთი დიდი ჯაჭვი გამიკეთეო. უთხრა. გაუკეთა იმანაც ჯაჭვი. თამარ-ნეფემ ეს ჯაჭვი კისერზე დაადო, წამოიყვანა და ლაშარის ჯვარში დააბა. მანამ ყავდა დაბმული, სანამ ფიცი არ მისცა — აღარ წავალო. შეფიცვის შემდეგ წამოიყვანა და თავის ადგილში დაასახლა. რადგან ის მისრეთით მიყვანილი იყო. ამიტომ მათი გვარი მისრიაშვილია და სოფელი მისრიანთქარი. შემდეგ დაიწყო აქ მკედლობა და იმათ გვარში მას აქედ არ შეიძლება, რომ ერთი მაინც კარგი მკედელი არ იყოს და ერთი ხევისბერი. ეს ორივე მოდენილობით აქეთ მილოცვილი თამარ-ნეფისა და ლაშარის ჯვარისაგან“<sup>1</sup>.

გადმოცემაში შეინიშნება მკედლობის კავშირი ხატთან: „...მას აქეთ არ შეიძლება, რომ ერთი მაინც კარგი მკედელი არ იყოს და

<sup>1</sup> ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, 1974, ტ. 1, გვ. 22—23.

ერთი ხევისბერი. ეს ორივე მოდენობით აქვთ მილოცვილი თამარ-  
ნეფისა და ლაშარის ჯვარისაგანა“. მკედელი და ხევისბერი მათ  
გვარში აუცილებელი ელემენტებია; უნდა ვიფიქროთ, რომ ის, რაც  
აღრეულ ხანაში ხატისთვის მკედლობას ევალებოდა, შემდგომ ხა-  
ნებში ხევისბრობამ მიისაკუთრა. რაც შეეხება მისრიაშვილების  
გვარს, იგი უნდა დაუუკავშიროთ მკედლობის კულტის გაძლიერე-  
ბას, ე. ი. იმ დროს, როცა საქართველოში ცეცხლთაყვანისცემა იყო.

მკედლების საქმიანობის კავშირი მაგიასთან ყოველთვის იპყ-  
რობდა მასების ყურადღებას. ქრისტიანული საქართველო ამ მხრივ  
მკედელსა და მღვდელს აიგივებდა:

„ღღღ ცოდის ამღებელი  
ჯერ მკედელი, მემ-ე მღვდელი“<sup>1</sup> —

ამბობს ხალხი.

აი, მკედლის მაგიურობის ერთ-ერთი მომენტი.

ხევისურები იკეთებენ „უძრახი რკინის ბეჭედს“. მკედელი გაი-  
ღვიძებს თუ არა, ადგება და ხმამოუღებლივ პურ-უჭმელმა უნდა  
გათავოს ეს ბეჭედი. ამგვარი ბეჭდის ეშინია მანვე სულსა და ვინც  
მას ატარებს, მანვე ვერას დააკლებს<sup>2</sup>. როგორც კავკასიური, ისე  
მსოფლიო მითოლოგიით ზეციური მკედელი ადამიანის „ბელსაც  
სკედს“<sup>3</sup>.

საერთოდ კი, მკედლები არიან ის მითური არსებები, რომლე-  
ბიც ღვთაებათ ქუხილს ელვა ისრებს უჭედენ<sup>4</sup>.

...ეხლაც მკედლები დიდ პატივისცემაში არიან ფილანდიაში,  
მათთან მიაქვთ არაყი და სხვა, რომ მათი გული მოიგონ. დღესაც ამ  
გვარსავე პატივდებაში არიან მკედლები აფხაზეთში...<sup>5</sup>

აფხაზეთში სამკედლოსა და მკედლებსა იგივე მნიშვნელობა  
აქვს, რაც მორწმუნე ქრისტიანთათვის საყდარსა და მღვდელს, და  
კოლეგ მეტიც.

სამკედლოს, ანუ შაშა-ბაჟას ხატს სამართალში იგივე მნიშვნე-  
ლობა აქვს, რაც სახარებას და ცხოველმყოფელ ჯვარს მორწმუნე  
ქრისტიანებისათვის, ანუ როგორც წმ. გიორგის ხატს.

მკედელი, ყველგან, ხალხში, უბრალო კაცად არ არის მიჩნეუ-  
ლი. — წერს კ. ბოროზდინი, — როგორც რუსეთის სოფლებში, ისე  
სამეგრელოშიც მკედელი მკითხაეადაა ცნობილი; იგი იცნობს სხვა-

1 ქართული ხალხური პოეზია, II, 1973, გვ. 148.

2 ურან. „ივერია“, 1881, მაისი, გვ. 114.

3 А. Афанасьев, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 122.

4 იქვე, გვ. 482.

5 გაზ. „ივერია“, 1888, № 186.

დასხვა სამეურნეო ბალახებს, იცის შელოცვები, დაახლოვებულია... ავ სულელებთან.<sup>1</sup>

ქართულ მითურ ეპოსს მკვედლობამ და სამკვედლომ თავისი ღრმა კვალი დაამჩნია. მითური გმირი ამირანი სწორედ მკვედლისა და ქალღვთაება დალის ურთიერთობით იშვა. მკვედელი უწრთობს ამირანს ბოროტ ძალებთან საბრძოლველ ხმალს, ან თვით ამირანი ჰედს თავის იარაღს. მკვედელი მაგიური პიროვნებაა, იგი სკედს არა მარტო ხმალ-აბჯარს, არამედ ქურაში აწრთობს მითურ გმირებსაც (ოსური ნარტები). საყურადღებოა, რომ ამირანის ხმლის ჰედვაში მთელი სამყარო მონაწილეობს, მაგ., ამირანი ეუბნება ბადრს:

„მაშინ სად იყავ შავ ბადრო, რო ჩემი ხმალი წერებოდა.  
ცა სკექლა, მიწა გრგვინაედა, სამკვედლო ექანებოდა“.

მკვლევარ მ. ჩიქოვანის მასალაშიც მკვედლად დევია ნახსენები, რომელსაც ამირანი „მამილოს“ ეძახის. დევი მკვედელ ამირანს ეხმარება საცოლის მოძებნაში.<sup>2</sup>

ბევრ შემთხვევაში დევები ჩამორჩენილ, გარდასულ კულტებად უნდა ვივარაუდოთ, ხოლო სამკვედლო მათ საკულტო ადგილად.

ამირანის მითოსში მკვედელი ამირანის დასაბმელ ჯაქვს ამთელებს.

მკვედლის მითური გმირისადმი (ამირანი) დამოკიდებულების ცვლილება ეპოქებში უნდა ვეძებოთ. კეთილ გმირ ამირანს, მკვედელი მამად და მფარველად იმ პერიოდში ევლინება, როცა სამკვედლო საკულტო ობიექტი იყო, ხოლო მკვედელი მისი ქურუმი; შემდგომ ხანაში, როცა საკულტო ობიექტების ფორმა შეიცვალა, მკვედელი ამირანის მტერთა რიგებში აღმოჩნდა.

მოგვეპოვება მასალები მკვედლის მონადირულ ბუნებაზე, რაც მონადირული ეპოქისა და სამეურნეო იარაღების მკეთებელ ქურუმთა ეპოქების ფუნქციების კონტამინაციად უნდა მივიჩნიოთ.

მკვედლები ქურუმთა ფუნქციებს ასრულებდნენ, რაც დადასტურებულია აფხაზეთის ყოფიდან აღებული მაგალითებით: მკვლევარ ნ. ჯანაშიას აფხაზი მკვედლების ღმერთ-შაშვის მფარველობის ქვეშ მყოფ ქურუმებად მიაჩნია. ღვთაება შაშვს მსხვერპლს ახალი წლის დასაწყისში, ან ახალი წლის შემდგომ დღეებში სწირავდნენ. შესაწირი სამკვედლოში მიყავდათ, მკვედელი ლოცულობდა. მათთან ერთად და ჩაქუჩს არტყამდა გრდემლზე, შემდეგ მკვედელი კლავდა

<sup>1</sup> კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი 1859—1861 წ. მოგონებანი, თარგმ. თ. სახოკიამ, 1934, გვ. 136.

<sup>2</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, ტ. 1, 1959, გვ. 312.

შესაწირს და იქვე საუზმობდნენ; შესაწირის ნარჩენს მკედელს უტოვებდნენ.

აფხაზი სამკედლოში მიდის ფიცის მისაღებად. აფხაზეთში სამკედლო სალოცავი იყო; იქ სწყევტდნენ როგორც საყოფიერო, ისე საქვეყნო საქმეებს.<sup>1</sup>

სამკედლო-სალოცავზე დღესაც ვხვდებით თქმულება-გადმოცემებს.

მწერალ ლეო ქიაჩელის სოფელ ობუჯში ჩავიწერეთ შემდეგი გადმოცემა: „ადრე, სანამ ქიაჩის ხატი დამკვიდრდებოდა ობუჯში, სამკედლო გვექონია სოფელს და იქ გადაცემდით ხოლმე ბოროტის გამკეთებელს; ან ქურდს ან მკვლელს და სხვა. გადაცემა შემდეგ-წაირად ხდებოდა: ხატზე გადამცემი მიდიოდა სამკედლოში, წაიღებდა თან ლურსმანს, ან ნალს და სამკედლოს კედელ (ფიცარზე) აქედებდა, თან წყევლის სიტყვებს წარმოსთქვამდა იმის მისამართით, ვინც მისი საქონელი მოიპარა და სხვ... ამ დროს მკედელი გახურებულ რკინას გადმოიღებდა და გადამცემის ხმას თავის კერის დარტყმით „ადასტურებდა“ თუ „ამტკიცებდა“.<sup>2</sup>

როგორც ჩანს, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს სამკედლო საკულტო ნაგებობად მიაჩნდათ. სწორედ ამიტომ გვხვდება ქართულ მითოსში მკედელი და სამკედლო ფართო მნიშვნელობით.

მკედლის ქურუმობის ეპოქიდან უნდა იყოს შემორჩენილი იდიომური თქმაც: „შენ რაღა კვერს უკრავო!“ — ასეთი თქმა საყვედურია იმ პიროვნების მიმართ, რომელიც მოწინააღმდეგის საუბარს ეთანხმება.

ქართულმა ხალხურმა პოეზიამ სიტყვა „კვერი“ ღვთაებრივი, მადლიანის მნიშვნელობით შემოგვირჩა. დაეკვირდეთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის პოეზიაში მისი ხმარების ფორმას:

„სხენნი მავიდეს ლუდისთავ ნალ-ხმარს გააქეთ ძგრილი,  
ჭულის-კლდით ამოდიოდა თეთრის სიათის ქრილი.  
თათართ თათარა ომობდა, არწივთ მხარკვერიანი“.<sup>3</sup>

ტექსტში „თათარ თათარა“ ძლიერი, ღვთაებრივი მადლისა და ბედის კაცად არის ნაგულისხმევი, იგი მხარკვერიანი — ბედდალოცვილი.

კიდევ:

<sup>1</sup> Н. Джанашия, Абхазский культ и быт. Христианский Восток, т. V, вып. III, Петерб. 1917, гв. 169—172.

<sup>2</sup> წალენჯიხის რაიონში შეგროვილი მასალები, რეუელი № 2, გვ. 33.

<sup>3</sup> ფშავ-ხევსურული პოეზია, შეკრებილი ალ. ოჩიაურის მიერ, 1970, გვ. 26.

„შელმ ლოკ გაგვიგებეთ, აბჯართ დაუდგას ქრიალი,  
წამავა ლივის მინდოდა, არწივი მხარკვერიანი.  
სომეხას გამიგებთ: ფრანგულ გალესას ფხიანი“.<sup>1</sup>

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სიტყვა „მხარკვერიან-  
სა“ და „დავლათიანს“ შორის განსხვავებას თითქმის ვერ ხედავენ.  
მოვიყვანოთ მაგალითი:

„ამობდა ერისთვისშვილი, გამოვედ და ვლათიანი,  
აკუში დაუმარქვებავ, ადგილ ცოტინა ტყიანი“ და სხვ.<sup>2</sup>

ამ სტრიქონებში „დოვლათიანის“ ადგილას „მხარკვერიანიც“  
შეიძლება ვიგულისხმოთ. „დავლათი“ კი ბედის სინონიმურია, მაგ:

„ერთი ქალი მომეწონა,  
ეში ჰქონდა ლამაზი,  
ვითხოვე და არ გათხოვდა,  
არ მქონია დავლათი“.<sup>3</sup>

გარკვეულ ეპოქაში ძველ ხალხებს მკედელი ბედთა და სულ-  
ძალთა შემკრებად მიაჩნდათ. იგი ჰკრებდა სამყაროში გაბნეულ  
სულ-ძალებს, აკავშირებდა (კედდა) და ჰქმნიდა პიროვნების ბედ-  
ილბაღს. გვხვდება მრავალი მასალა, სადაც მკედელს ბედ-საქმროს  
უკვეთავენ.<sup>4</sup>

ეტიმოლოგიურად განვსაზღვროთ სიტყვა „კედა“. ეს სიტყვა  
ძალიან გვაგონებს სიტყვა „კედელას“, რომელიც ჩუბინაშვილის  
„ქართულ ლექსიკონში“ შემდეგნაირად განიმარტება:

კედილა (ოთხფეხი) დაკოდილი ხვასტაგი, უფროვე საკლავი;<sup>5</sup>

ხვასტაგი განმარტებულია როგორც შინაური საქონელი. დღეს  
ყოველდღიურ საუბარში დასაკლავად სპეციალურად გაზრდილ ყო-  
ველ საკლავს „კედელას“ ეძახიან. შეწირვის დღე კი ყოველთვის  
გარკვეულ ღვთაების სახელთან იყო დაკავშირებული. დღესასწაუ-  
ლისათვის დასაკლავად გაზრდილი საქონლისათვის კედელია უნდა  
ეწოდებინათ.

ძველ ქართულ ენაში კედა (კედვა): კვერვაა, ხოლო „კედელი“

1 ფშავ-ხევსურული პოეზია, შეკრებილი ალ. ოჩიაურის მიერ, 1970, გვ. 57.

2 იქვე, გვ. 57.

3 თსუფა № 1788, მოხვეური.

4 მ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, 1959, გვ. 226. А. Потебня,  
О мифическом значении некоторых обрядов и поверий 1965 г. М., გვ. 13—  
14; А. А. Афанасьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 464—466.

5 ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი.

გამოკვერილი, ნაქედიანა. „ქედელი“-ნიცთა და „ქედელა“ ცხოველს შორის განსხვავება დაბოლოებაშია, ხოლო ანიმისტური მსოფლმხედველობა გვეხმარება სემანტიკურადაც გაუაერთიანოთ ისინი. ქედელ ნიცთა და ქედელა ცხოველს საკულტო დანიშნულება აქვთ!

წმ. გიორგის ზემოხსენებული ლაშქრობა ქაჯავეთში ორი კულტის — ძველისა და ახლის ბრძოლაზეა აგებული. ქაჯავეთის, ე. ი. ჩამორჩენილი კულტის მსახური, ქურუმნი. სქედლა სინაჲ, სიმურს და სხვ. და ამით თავისი ხალხისთვის „საღვთო“ საქმეს აკეთებდა. რადგან მკედელ-ქურუმნი იგივე ნაგია, ხოლო ჰედვა სულეებთან ურთიერთობის ერთ-ერთ მაგიურ ხერხად არის მიჩნეული, ამიტომ ჰედვა შემდგომ, მონოლითური რელიგიების თვალთახედვით უნდა მივიჩნიოთ ლოცვად. სწორედ ასეთ „ლოცვაზე“ წაუსწრო წმ. გიორგიმ ძველ ღვთაებათა ქურუმს, მკედელს და „სალოცავი“ იარაღი, გრდემლი. მოსტაცა, ხოლო „სალოცი“ ადგილი დაუბერა „ცხენი შეუგდე ზედაო“ — ჰყვება წმ. გიორგი.

როგორც აღვნიშნეთ. მითოლოგიურ ტექსტებში ნახსენები სამკედლო უნდა მივიჩნიოთ სალოცავ ადგილად, მკედელი — ქურუმად, ხოლო ჰედვის პროცესი — ლოცვად. შემდგომ ამ ძირიდან წარმოიქმნა გვარებიც: მკედლიშვილი, მკედლიძე და სხვ.

აღმოსავლეთ მთიანეთის მითურ ტექსტებში ჰედვის ობიექტებად ნახსენებია „სინი“ და სიმური“ (ნთვარის ღვთაებისა და წყლის სახელები). სიმურის ყურადღებით შესწავლამ გვაფიქრებინა, რომ იგი მხოლოდ წყლად არ ვიგულისხმობთ. რაც შემდეგი სტრიქონებითაც დასტურდება. მაგ.: პირქუშა ჰყვება, როგორ წავიდა თემის დასახმარებლად:

„ბარს ჩაველ ყმათა გულითვის, სიო დაეტოვე მთისაო.

ზღვაში გავიდენ, გავიგე, სიმური ვჩქეფე წყლისაო“<sup>2</sup>

აქ წყლის სიმურზეა საუბარი და არა თვით წყალზე, რაც სხვა ტექსტებითაც დასტურდება. წყალი და სიმური მტკიცე სინონიმურ შთაბეჭდილებას არ ტოვებენ. ერთ-ერთ ვარიანტში კი წერია: „ღვეებს ხქონია ქორწილი, უჩქეფავ სიმურ წყალია“<sup>3</sup>. აქაც „სიმური“ უფრო მსაზღვრელია.

აქ. შანიძის მიერ გამოქვეყნებულ ერთ ლექსში სიტყვა „სიმური“ აუცილებლად წყალს არ შეიძლება ნიშნავდეს: მაგ.:

„წელთა ხმალთა გამკრელი, თოფს ტყეა მოუხდებისა,

ხმლითა სცა ხევსურთ შეილებმა, სისხლი სიმურსა სწვდებისა“<sup>4</sup>

1 ი. ლ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1972.

2 ქართული ხალხური პოეზია, 6, 1972, გვ. 286.

3 აქ. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 223.

4 იქვე.

ახლახან გამოქვეყნებულ „ქართული ხალხური პოეზიის“ მეორე ტომში გვხვდება სიტყვები, მაგ.:

„ტაფაი დალევე  
შვი სიმურის წყალიო“.<sup>1</sup>

აქ თვით „სიმური“ ისაზღვრება, იგი „შაეიც“ ყოფილა.

ლექსის შინაარსის მიხედვით სიმურის წყალი ბოროტია, ცუდია. იგივე ტექსტი კი შემდეგი სტრიქონებითაა გაგრძელებული:

„ქლუგას ქონიყვა იმელი,  
შემოუქცია ძალიო.  
შამოსკრნა სიმურის ბოძი  
ზედ დაქცივა ბანო“.<sup>2</sup>

პირდაპირ მითითებულია, რომ გმირმა მოსკრა „სიმურის ბოძი“. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი საკულტო მაგიური ბოძია, რადგან მოწინააღმდეგეს ხელი შეუბრუნეს — სახლის ქერის დედა-ბოძი, ე. ი. ოთახის მადლი, კეთილი ძალა ზედ დაუქცევიათ.

თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „სიმური“ არა მარტო წყლის მსაზღვრელია; იგი სიკეთეა, ზოგადი დავლათია. კაცზედაც კი შეიძლება ვთქვათ. მაგ.: იგი „სიმურიანი კაცია“, ე. ი. მადლიანი, დავლათიანი, „მხარკვერიანი კაციაო“.

სიტყვა „სიმურს“ სხვა კუთხიდანაც შეიძლება შევხედოთ. იგი ბგერათა შემადგენლობით გვაგონებს მითურ ფრინველ სიმურს (იგივე ფაშგუნდი), გარეგნულადაც ქართული მითური ზღაპრული ფრინველის ფაშგუნდის ორეულია, მაგალითად: (5428)

„აწე ერთსა მთასა ნახავ, რომ თავი აქვს ღრუბელზედა,  
სახელად სიმურლი ქვეიან, მფრინველი ბუდობს მას ზედა;  
და მას მისივე შესაფერი ორი ბარტყი ჰყავს მთაზედა;  
რა გასაფრენად ფრთას გაშლის, მზეს დააბნელებს ხმელზედა“.<sup>3</sup>

ქართული ზღაპრების მიხედვით, ამ უცნაურ ფრინველს დიდი ფრთები აქვს, ზოგ ვარიანტში მითითებულია, რომ ბარტყეებიც ჰყავს.

მითური ფრინველის სახელი „სიმურლი“ ოდნავ სახეშეცვლილი ფორმით „სულღუმი“ ქართულ ხალხურ გადმოცემებში გვხვდება. პროფ. ქ. სიხარულიძეს მრავალი ვარიანტი აქვს შეკრებილი „მხრიან-სულღუმზე“<sup>4</sup>, რომელიც თამარ მეფეს ჰყოლია დატყვევებული. „მხრიანი სულღუმი“ თამარ მეფის მოსამსახურის დაუდევრობით

<sup>1</sup> აკაკი შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 223.

<sup>2</sup> ქართული ხალხური პოეზია, II, 1973, გვ. 77.

<sup>3</sup> ფირდოუსი, „შაჰნამე“, თბილისი, 1934, გვ. 35.

<sup>4</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. IX, გვ. 150.



გაფრენილა და სადღაც კვრივებში<sup>1</sup> დაბუღებულა, რის შემდეგაც დრო და უამი დაწესებულა ქვეყნად. გადმოცემებში სულლუმი ისეთივე ფრთიანია, როგორც ფაშგუნდი, ამავე დროს „მხრიანადაც“ არის ნახსენები, სიტყვა „მხრიანი“ კი „მადლიანის“, „იბლიანის“ შინაარსითაა გაგებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზეპირსიტყვიერებაში. სულლუმი გარდასულ კეთილ ღვთაებად უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო წყლის თაყვანისცემის პერიოდში ადვილად შეიძლებოდა წყლის ძალას, სიკეთეს, მადლს შერქმეოდა მისი, როგორც კეთილი გარდასული ღვთაების სახელი. ამავე დროს გადმოცემებში, ზღაპრებსა და ლიტერატურაში მას კვლავ დამკვიდრებული აქვს თავისი დამოუკიდებელი ადგილიც.

აღნიშნულ სიტყვას შესაძლოა, სხვა საკულტო მნიშვნელობაც აღმოაჩნდეს, ამ საკითხზე აქ ვერ შევჩერდებით.

მთვარის ღვთაების სახელი სინი და წყლის საკულტო სახელი სიმური, მკედლობის კულტთან შედარებით, ადრეული ღვთაებებია. მკედლობის კულტმა თავის საქმიანობაში ორივე ძველი ღვთაების სახელი შემოგვინახა — სინას — სცემდნენ თაყვანს, ამიტომ შემდგომ ხანებში წინა პლანზე გადმოინაცვლა მკედლობის კულტმა, თავისი მაგიური პროცესი — საქმიანობა („ლოცვა“) „სინის ქედვად“ აღიქვა. ადრეულმა ლოცვამ, მხოლოდ ფორმა იცვალა, სახელი იგივე შეინარჩუნა. ასევე შეგვიძლია ვიმსჯელოთ „სიმურის წყლის“ ქედვის პროცესში მოხვედრაზე.

ფშავე-ხევსურეთის პოეზიაში ხშირად გვხვდება სიტყვა „სიმური“, მტკმელები ამბობენ, რომ „სიმურის წყალი საერთოდ არ არსებობს, ისეა ნათქვამი“.

ამრიგად, სიტყვა სინი გარდასული, მოქელებული ღვთაების სახელია (მთვარის თაყვანისცემის პერიოდი). შემდგომ დამკვიდრებულმა მკედლობის კულტმა. თავის ლოცვა-მაგიური პროცესი, უძველესი ღვთაების სახელით „სინის ლოცვად“ ანუ „სინის ქედვად“ შემოგვინახა.

ასეთივე გზით შემოგვრჩა „სიმურის ქედვაც“, სიმური წყლის მადლია, ძალაა, წყლის მადლს სიმური შეერქვა, რაც ლუფთა, ანკარა წყალში გაიგივდა. ამრიგად, სიმური უნდა გავიგოთ, როგორც წყლის მადლი, უნარი, სულიერი კეთილი ძალა.

ზემოთ მოყვანილი მასალა საშუალებას გვაძლევს ქართულ წარმართულ ყოფაში ტოტემური ხანის სიძლიერე და ხანგრძლივობის მნიშვნელობა გავითვალისწინოთ.

<sup>1</sup> კვრივი, ხატის კუთვნილი მიწის გარკვეული მონაკვეთი, ღვთაებათა მუდმივ საყოფელადაა ნაგულისხმები; ასეთ ადგილებში ადამიანის ფეხის დაღვმა აქრძალულა.

ზემოთ შეგვხვდა სიტყვა „სინიცი“, რომელზეც ყურადღება ნაწილობრივ უნდა გავამახვილოთ.

ქართულ ენაში მრავლად მოიძებნება ისეთი სიტყვები ან სიტყვათა ძირები, რომელთა წარმომავლობა უცნობია. გ. მელიქიშვილმა ქართულ მეტყველებაში შემორჩენილი ურარტულ სიტყვათა და მარტივ წინადადებათა მთელი ჯგუფი გამოაქვინა<sup>1</sup>.

სხვათა სიტყვების დამკვიდრებას ენაში მრავალი მიზეზი აქვს. მათ შორის მითური გავლენებიც იგულისხმება.

ცნობილია, რომ შედარებით მაღალი დონის მითოლოგია ან რელიგია, მხოლოდ ერთი ქვეყნის ფარგლებში ვერ ეტევა და ახალ-ახალ სფეროებს და ხალხებს სწვდება. ასეთი მოვლენები ძველი აღმოსავლეთისათვის იყო დამახასიათებელი. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ურარტუს ხალხები, რომლებიც უამრავი საკუთარი კულტების პარალელურად უცხო ქვეყნების ღვთაებებსაც ეთაყვანებოდნენ<sup>2</sup>. ძველი ტირანული ქვეყნების საზღვრები ხშირად იცვლებოდა, ამიტომ ხალხთა ეთნიკური ერთეულები საუკუნეთა მსვლელობაში სულ ახალ-ახალ მეფეთა და ღვთაებთა ხელში ვარდებოდნენ; რასაკვირველია, სახელმწიფოთა საზღვრებისა და კულტურების ასეთ ცვლილებებს დიდი გავლენა უნდა მოეხდინა ხალხთა ენის ბუნებაზეც, რაც უფრო ძლიერი იყო კულტურა, ცხადია, მისი გავლენა უფრო ღრმად შეიჭრებოდა ენის აქსესუარებში.

ურარტული მთავარი ღვთაების ხალდეს გავლენით უნდა შერქმეოდა სახელი სვანეთის ერთ-ერთ სოფელ ჭალდეს<sup>3</sup>. მცინვარ თეთნულდის კლდიან კედელსაც ხალდის კედელი ჰქვია. ყაზბეგის რაიონში გვაქვს ხლდის ხეობაც და ამავე ხეობაში ზლდის წყალიც<sup>4</sup>.

1 გ. მელიქიშვილი, ურარტუ, თბ., 1951, გვ. 118.

2 სომხეთის წარმართული პანთეონი ძირითადად უცხო ქვეყნების ღვთაებთა ბაზაზეა შექმნილი.

3 აღნიშნული შეხედულება გამოთქვა მწერალმა-აკადემიკოსმა დემნა შენგელაიამ.

4 ახლო აღმოსავლეთის უძველესი რელიგიებისათვის დამახასიათებელია მთისა და მთის წვერის წმინდა ადგილად მიჩნევა; ამიტომაც მაღალ მთის წვერებზე ღვთისშვილთ უშენებდნენ ნიშებს, ანდა კვრივებად აღიარებდნენ. ღვთაებები მხოლოდ ყმათა თხოვნით, ან დღეობებზე ჩამოდიან დაბლა. ამას ქართული ხალხური ლექსიც მოწმობს.

„რა გაუჭირდა ჩემ ყმასა, ვერ ვუქარვებდი კირსაო,  
ბარს ჩაველ ყმათა გულისად, სიო გაეწირე მთისაო“, —

ამბობს ღვთისშვილი. მ. ჩიქოვანი, ბერძნულ-ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971 წ., გვ. 160.

თეთნულდს და ყაზბეგის რაიონის მთებს, მთელ ახლო აღმოსავლეთში მაღალ და ღრმად მწვერვალებად თვლიან. ეთიქრობთ, ურარტუელები შეეცდნენ

ხევსურეთში დღესაც გვხვდება მამაკაცის სახელად „ადადა“, რომელიც აღმოსავლური ჭეჭა-ჭეხილის ღვთაების სახელია და სხვ.

ამჯერად გვინდა შევჩერდეთ უძველეს ქართულ ხალხურ სასულიერო ტექსტში ნახმარ სიტყვა „ღღე ღღესინდელზე“<sup>1</sup>.

იგი ღღესინათვისა შეუსწავლელია; მოხსენებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი) სასულიერო ტექსტებში. ტექსტების უმრავლესობა ასე იწყება „ღღდება ღღერთსა, მადლი ღღერთსა, ღღდება ღღეს ღღესინდელს, ღღდება მზესა. მზისმყოფელთა ანგელოზთა...“ და ა. შ. (ამბობენ საკლავის დაკვლის წინ).

„ღღდება ღღერთსა, მადლი ღღერთსა, ღღდება ღღეს ღღესინდელს, მადლი ღღერთსა, მადლი ღღერთსა, ღღდება ღღეს ღღესინდელს, ღღდება ღღერთსა, მადლი ღღერთსა, ღღდება ღღეს ღღესინდელს, ღღდება ღღერთსა, მადლი ღღერთსა, ღღდება ღღეს ღღესინდელს, ღღდება ღღერთსა, მადლი ღღერთსა, ღღდება ღღეს ღღესინდელს, ღღდება ღღერთსა, მადლი ღღერთსა, ღღდება ღღეს ღღესინდელს, ღღდება ღღერთსა, მადლი ღღერთსა, ღღდება ღღეს ღღესინდელს“<sup>2</sup>.

ნახსენები ღღეთება „ღღე ღღესინდელი“ ნაგულისხმებია. როგორც კეთილი მფარველი ძალა. ღღეთების შინაარსის გახსნა, მასში შესულ სიტყვათა ჭკუფის საშუალებით. საინტერესო და ხელშეახლები ხდება. მაგრამ ღღეღღე მაინც დაზუსტებულად არ ითვლება, რადგან მასში შემავეალი მთავარი სიტყვა „ღღეს“ მნიშვნელობა ჭერ დასაბუთებული და განმარტებული არ არის. ვ. ბარდაველიძე „ღღესთან“, „მზეს“, აიგივებს, ამიტომ „ღღე ღღესინდელს“ „მზე ღღესინდელად“ მიიჩნევს.

ივ. ჭავჭავაძის სიტყვებს „მზესა“ და „ღღეს“ ერთმანეთისაგან ასხვავებს<sup>3</sup>, ხოლო აკად. აკ. შანიძე „ღღეს“ დროის გამომხატველი სიტყვის ფუნქციის უტოვებს, ასეთივე აზრის იყო აკად. ნ. მარიც.

ძველ და ახალ ლიტერატურულ ძეგლებსა თუ ყოველდღიურ მეტყველებაში „ღღე“ ნახმარია დროის ზოგად მიმთითებლად.

თუშური და ხევსურული სადიდებლები ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდებიან. თუშური დიალექტის სპეციალისტი დოც. პ. ხუბუტია კი ღღესინდელს „ღღევეანდელს“ უდარებს. სიტყვა

---

ბოდნენ თავიანთი მთავარი ღღეთების მუდმივი სამყოფი ადგილები იქ ეგულისხმათ. მიითუმეტეს, რომ აღნიშნულ მთებში წმინდად მიჩნეული ქვების (ბროლის) საბადოებია.

1 პ. როფ. ვ. ბარდაველიძე „ღღე ღღესინდელს“ ძველისძველ ქართულ ღღეთებად გულისხმობს.

2 ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ მთიელების სასულიერო ტექსტები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ., 1938 წ., გვ. 187.

3 ივ. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960 წ., გვ. 129.

„დღევანდელს“, რომელიც შემადგენლობაში „დღე“ გადამწყვეტი სიტყვაა, გვხვდება ძველსა თუ ახალ სალიტერატურო ქართულში, როგორც დროის განმსაზღვრელი სიტყვა.

თუ სიტყვა „დღევანდელი“ დროის აღმნიშვნელი სიტყვაა, მაშინ ხევსურულ სადიდებელში ნახმარი „დიდება“, უნდა ეკუთვნოდეს იმ დროს, როცა საკლავი იკვლის. სადიდებელი თანამედროვე ენით ასე გამოითქმებოდა: „დიდება დღევანდელ დღეს“. „ნაგულისხმევია ის დრო, როცა საკლავი იკვლის და ლოცვა ითქმება.

ძველი, ქრისტიანობამდელი ქართველები წელიწადის დღეებს ერთმანეთისაგან თავიანთი საქმიანობით ასხევეებდნენ. თითოეულ დღეს თავისი ბედ-ილბალი ჰქონდა და თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავდა. ამაში დავრწმუნდით, როცა ქართულ ხალხურ შელოცვებს გავეცანით; ხალხურ ზეპირსიტყვიერების მასალების მიხედვით კარგ და ავ დღეებსა, საათებს და წუთებს ამჩნევს XIX საუკუნის რუსი მკვლევარი ა. აფანასიევიც.<sup>1</sup>

როგორც აღვნიშნეთ, შელოცვებში ხშირად ნახმარია სამას სა-მოცდა ხუთი დღე, რომელიც გაერთიანებულია წმ. გიორგისთან. წმ. გიორგის უძველესი ქართველი შესატყვისი ღვთაება კი წელიწადის მფარველი იყო. შელოცვებში ნახმარ სიტყვას, „დღეს“, ხშირად ენაცვლება სიტყვა „ვარსკვლავი“ და სიტყვა „ანგელოზი“, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ „დღე“ ითვლებოდა წელიწადის დროის სამას სამოცდამეხუთე ნაწილის სულიერ ძალად. თუ გადავხედავთ წარმართული რელიგიების ისტორიას, შევამჩნევთ, რომ, მისი განვითარების გზაზე იყო პერიოდები, როცა თითოეულ დღეს თავისი მფარველი ვარსკვლავი განაგებდა.

საქართველოს ქრისტიანობამდე ისტორიაშიც იყო პერიოდი, როცა ქართველები მთვარის ღვთაებას სცემდნენ თაყვანს. მთვარის ღვთაების თაყვანისცემის დამადასტურებელი მაგალითები უამრავად მოგვეპოვება როგორც არქეოლოგიაში, ისე საეკლესიო მხატვრობასა და ზეპირსიტყვიერებაში. მთვარის ფაზების ცვლაც დაკავშირებული იყო დროსთან. ამიტომ მთვარის ღვთაების წინა პლანზე გამოჩენას არ მოუხსნია დღეთა მფარველ ღვთაებათა თაყვანისცემა. პირიქით, უფრო დააკონკრეტა, დროთა ბრუნვა დააჯგუფა მთვარის ფაზების ზრდა-კლებასთან დაკავშირებით. აღამიანმა ყოველდღიური სამეურნეო-საოჯახო ყოფა მთვარის ფაზების ავკარგიანობას დაუკავშირა, მთვარის ფაზების ცვლისაგან მიღებული განწყობით შეხედა გარე სამყაროს, რამაც საქართველოში ქრისტიანობის არსებო-

<sup>1</sup> А. Афанасьев დასახ. ნაშრომი, т. III, М., 1968 г., გვ. 325.

ბის მთელ მანძილზე გაძლო და დღევანდლამდე შემოგვრჩა. აი, რას წერს ვ. ბარდაველიძე:

„უნდა აღინიშნოს, რომ მთვარის კულტი სულ უკანასკნელ დრომდეა შემონახული. ამ რამდენიმე წლის წინათ კიდევ გაიგონებდით სვანის ნათქვამს: ადამიანის ავი და კარგი მთვარიანი არისო. კარგ მთვარიანს ფეხი სიკეთისაკენ უდგასო. მთვარის გარდა ყველაფერი ფუჭი ყოფილაო. მთვარის გარეშე არაფერი არ იქნებოა...“<sup>1</sup> და სხვ.

ამრიგად, მთვარის კულტმა საქართველოში უმაღლეს წერტილს მიაღწია. იგი იმ დონეზე ავიდა, რომ ივ. ჭავჭავაძის დროს წმ. გიორგის ძველი სახე მხოლოდ მთვარის კულტით განსაზღვრა.

რადგან მთვარის კულტი გაბატონდა საქართველოში, ამიტომ მთვარის ღვთაების სახელის გამომსახველ სიტყვასაც უნდა ემოქმედა ქართულ ენაზე. ასეც მოხდა. მთვარის ღვთაების სახელი შორეული წარსულიდან მოდის. კერძოდ, შუმერული კულტურის ბატონობის ხანიდან. შუმერიის იმპერიამ და კულტურამ მთლიანად დაიპყრო ახლო აღმოსავლეთი და ანტიკური კულტურის ერთ-ერთი დასაბამი გახდა. მათმა მითოლოგიამ კი მძლავრად იმოქმედა ანტიკური ქვეყნების ხალხებზე, აღსანიშნავია, რომ ებრაელთა რელიგია შუმერული რელიგიის პირდაპირ შედეგად არის ნაყარაუდვევი; აქადელ სემიტებს კი საერთოდ არ ჰქონდათ ღვთაებთა იერარქია, სანამ შუმერულ სახელმწიფოს ტერიტორიულად არ მიუახლოვდნენ.

ძველისძველ შუმერთა მთვარის ღვთაების სახელი „სინი“, ანუ „სუენი“ შემდგომი პერიოდის აქადურ ენაშიც მთვარის ღვთაების სახელად გვხვდება; ბაბილონში კასიტების ბატონობის პერიოდშიც იგივე სიტყვაა მთვარის ღვთაების სახელად. მოსე ხორენელი მთვარეს დუ-სინოს — ეძახის. სინმა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების სახელებსა და ტოპონიმებშიც გამოჟონა.<sup>2</sup> სიტყვა „სინ“-ის გავრცელების მიზეზი შუმერულ-აქადური იმპერიების ბატონობის ნაყოფია, იმ ხანებისა, როცა აღნიშნულ ქვეყნებს ახლო და შუა აღმოსავლეთში პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ. ცნობილია, რომ შუმერულ-აქადური კულტურა ისეთ მაღალ დონეზე იდგა, სადამდეც შემდგომში ბევრმა ძლიერმა პოლიტიკურმა გაერთიანებებმაც ვერ მიაღწია; ამიტომ დასაშვებად მიგვაჩნია. როგორც ტოპონიმურ, ისე შინაარსის მქონე სიტყვათა ბირებში შუმერული სიტყვების შემორჩენა. მით უმეტეს,

<sup>1</sup> ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ., 1951, V, გვ. 60—64).

<sup>2</sup> სტრაბონი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის სინლებსა და სინდერის ქვეყანას ასახელებს. (ე. „ივერია“, 1885 წ., ტ. VIII, გვ. 1223).

რომ მკვლევართა შორის ქართულ-შუმერული სამყაროს მსგავსების პრობლემა საყურადღებო საკითხად წამოიჭრა.

ხევსურეთში სიტყვა „სანე“-ს სალოცავი ადგილის სახელადაც ეხვდებით: ამ სიტყვას ხევსურები დღესაც წარმოთქვამენ. თ. რაზი-კაშილი ამ ადგილს „სანე-ღელედ“ უხმობს.<sup>1</sup> „სანე“ დღეს გუდანის ხატის კვრივებში შედის.

„კვრივში ჩვენ არ შევდივართ, თქვენ თუ გინდათ, შედით. იქ ხატის ძალაა, ღმერთია (ალექსი ლიქოკელი II, VIII, 1970 წ.).

ზოგ ხატში „კერივის“ ადგილებში (გუდანის ხატი) მხოლოდ ხატის მომსახურეს შეუძლია გაიაროს.

კარატის კოპალას ხატის (ჭალის სოფელი) „კერივის“ ადგილებში ტყეა, ციხე-კოშკი დგას, რომელსაც თამარის აშენებულად სთვლიან, მის უკან სალი კლდეა აღმართული. მთელ ამ დიდ ტერიტორიაზე მხოლოდ საქონელი შედის.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მითურ მონადირეზე მრავალი გადმოცემაა შემორჩენილი; მათ შორის დაღუპული მონადირეების — ჯარჯისა და სინდიურიძის ლექსთა ციკლები.

მონადირე სინდიურიძე, მონადირე ჯარჯის შექმნილ ლექსთა ციკლთან ერთად საინტერესო მითურ სახეს ჰქმნის, რითაც აღნიშნული ლექსების დონე დასავლეთ საქართველოს მითურ მონადირეებზე შექმნილ გადმოცემების სიმალლეზე აპყავს.

სინდიურიძე ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოს მითური მონადირე ბეთქილი, უზომოდ ხოცავს ჯიხვებს. ლექსში მონადირის გულზვაობასა და სიხარბეს აქვს ხაზი გასმული. მოქმელი შესძახებს სინდიურიძეს:

<sup>1</sup> მ. ხ. ჩიქოვანი, დასახელებ. ნაშრომი, გვ. 168.

ქართული წარმართული რელიგიის მიხედვით, ყოველ სალოცავს, ღვთის-შვილს, ხატს, თავისი კერივი აქვს. კერივში არ შეიძლება ხატის მსახურის გარდა სხვისი შესვლა (საქონელი დაღის), კერივში ცხენის გამოსაყვანად შესულ კაცსაც სჯის ღვთისშვილი. გუდანის ხატის „სანე“ ასეთ ადგილებშია მოქცეული, იგი ითვლება ავრეთვე ნიშადაც; ნიშიც ისევე, როგორც კერივი, წარმართული ხატის აუცილებელი ატრიბუტია, მასში მლოცველნი ხატის უმალღეს ძალას გულისხმობენ, იგი სოფლიდან მოცილებით, მაღალ მთაზეა ატანილი. ხევსურთა მთავარი სალოცავის ნიშიცა და კერივის სახელიც იმ გორაზეა მოთავსებული, რომელსაც დღეს „სანეოდ“ უხმობენ, რაც სინის, მთავრის ღვთაების სახელიდან შემორჩენილად მიგვაჩნია.

როდესაც შეეკითხები ხატის მომსახურეს ან მლოცველს „კერივის“ შესახებ, უბრალოდ გეტყვის: „კერივია, არ შეიძლება შესვლა“. რას ნიშნავს „კერივი“?

„კერივი“ ადგილია, სადაც შესვლა არ შეიძლება, ჩვენ არ შევდივართ, იქ სულია, ხატის ძალაა, ღმერთია“ (გიორგი არაბული, 10. VIII. 1970 წ.).

„ჩამოხე სინდიურაო,  
კლდე ნუ აავსე მძორითა,  
გვაყრუებს მონადირეთა  
ყეფა მაგ შავის ყორწისა“...<sup>1</sup>

სინდიურიძეზე შექმნილ ერთ-ერთ ლექსში ჭიხვების ჩივილია წინა პლანზე წამოწეული, სინდიურიძე კლდის წვერზე წევს და ხოცავს ჭიხვებს. ჭიხვები ჩივიან: „ველარ შეუდით კლდეაო“... აღნიშნული მომენტი ბეთქილის ციკლში არსებულ ჭიხვთა ჩივილს გვაგონებს, სადაც ნადირთ მფარველი დალის მიერ მონადირის დასჯამდის შივეყავართ. ხევსურული ტექსტი ბუნებას ასულიერებს. ემჩნევა არქაულობის ძლიერი კვალიც. ლექსში კითხვაა დასმული.

„ჭიხვთა რაი ქნს შამდგართა  
ან იმ ვეფხვს რა იპერსაო?

ჭიხვნ შაშიგიან კრუხთა,  
კრუხნი კალმის წვერსაო  
კალამი დასწერს ქალღღსა,  
მისცემს არაგვი ხევსაო  
შიბუთ მათა პასუხი,  
წყალი შამაყრის პერსაო“<sup>2</sup>

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბეთქილის ციკლში ნახსენები დალი, აქ ბუნების დედის იდენტურად ჩანს.

სინდიურიძეც. ისევე, როგორც ჭარჭი და ბეთქილი მითური მონადირეა, სინდიურიძე დაუნდობელი მზოცველია ჭიხვების. ხალხი მძოითხოვს შეწყვიტოს ჭიხვების ხოცვა. ხოლო ჭიხვები შესჩივიან დედა ბუნებას. სინდიურიძე ისევე, როგორც ჭარჭი და ბეთქილი, იაჩება. ხევსურეთში დღესაც უჩვენებენ იმ კლდეს. რომელსაც შერჩია სინდიურიძე თავისი ძაღლით. მითოლოგიური თვალსაზრისით, ჭარჭის, ბეთქილის, ივანე ქვაციხელისა და სინდიურიძის მსგავსება აუცილებელია. ყველა მონადირეა, ოთხივე უზომოდ მზოცველია ნადირის, ოთხივეს ჰყავს მითური ძაღლი და ოთხივე იაჩება.

მითური კაბუკის სიკვდილს აღმოაპყლებთის მითოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ქართულ მითოლოგიაშიც ობოლ მხარგალიტივით ამობრწყინდება ხოლმე აქა-იქ და ერთ მთლიან კვაშირად მტკიცებას თხოულობს. ამიტომ „სინდიურაი“ ანუ სინდიურიძე „ღვთიელი“, ღვთისკაცად უნდა ვიგულისხმოთ, ღმერთს შუქირულ ადამიანად, რომელიც მიწიერ ყოფასა და ზეციურ ძალებს შორის გაროებით იღუპება. როგორც ბეთქილი, ჭარჭი და ივანე ქვაციხისელი.

<sup>1</sup> ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1938 წ., ქუთაისი, გვ. 184.

<sup>2</sup> ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 272.

უძველეს ქართულ ხალხურ-სასულიერო ტექსტში ნახსენებ სიტყვა „დღე დღესინდელში“ „სინ“ მარცვალს თუ მთვარის ღვთაების სახელად მივიჩნევთ, გამოირკვევა, რომ „დღე დღესინდელი“ დღევანდელი დღის მთვარის მადლია, კეთილი ძალაა. ესგავსი მაგალითები მრავლად გვხვდება ქართულ ენაში.

ქართულ ხალხურ ზღაპრებში ხშირად გვხვდება სანით დაბოლოებული სახელები (მაგალითად, ლუხსანი — თსუფა, 14422, ნიორსანი — თსუფა № 791 და სხვ.).

ასეთი სახელები ძირითადად ქაბუჯ მითურ გმირებს ეკუთვნით: ქაბუჯი მითური გმირები კი წმ. გიორგისა და ამირანის ვარიაციებია. რაც გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აღნიშნული უძველესი მითური სიტყვა „სანი“ ზღაპრულმა მითოსმაც ვერ გაიმეტა დასაქარგავად.

აზრიგად, სიტყვა „სინ“ მთვარის ღვთაების შუმერული სახელი, უძველესი დროიდან ახლო აღმოსავლეთში იყო გაბატონებული. მისი გავლენა ქართულ ენაზე მხოლოდ ზემოთ ნახმარი სიტყვებით არ განისაზღვრება; იგი, როგორც ღვთაების ძალისა და მადლის სიტყვა საუკუნეების განმავლობაში ბატონობდა ქართულ მეტყველებაზე, ამიტომ მისი კვალი მრავალ სიტყვაში უნდა ვეძიოთ.

## ფაშვის (კუჭის) ადგილი

### ქართულ მითოლოგიაში

როგორც აღინიშნა, ქართულ ხალხურ ზღაპრებში ერთი და იგივე ფუნქციის შესრულებაში რამდენიმე სახელწოდების ფრინველი ენაცვლება ერთმანეთს: ფასკუნჯი//ფაშგუნდი. ორბი. არწივი, ჩიტი, ბორა და სხვ.) ფაშგუნდს//ფაშგუნჯს მკვლევრები შემდეგნაირად ახასიათებენ: „...ფასკუნჯი, — წერს მ. ჩიქოვანი, — ლეგენდარული ფრინველია, ფუნქციურად ის შესაბამ უტყუარ პარალელს პოულობს ოსურ ფოლკლორსა და სომხურ ლიტერატურაში“.<sup>1</sup> იგივე მკვლევარი სპარსულ სიმურღსაც ფაშგუნდის მსგავს მითურ ფრინველად მიიჩნევს. ასევე ფიქრობდა ნ. მარიც.<sup>2</sup> სხვაობას ვერ პოულობენ ირანული ლიტერატურის სიამაყის, ფირდოუსის „შაჰნა-

<sup>1</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, 1938, მ. ჩიქოვანის შესავალი წერილი, გვ. X.

<sup>2</sup> Н. М а р р, *Ossetica-Iaphetica*, Известия Российской Акад. наук, 1918, გვ. 2085.



ქუჩა XIV—XVIII საუკუნის ქართველი მთარგმნელები და ვერც  
მთარგმანების გამომცემი 1934 წლის სარედაქციო კოლეგია.<sup>1</sup>

ასეთ ფრთიან არსებას ფაშკუნჯს არქმევს აგრეთვე გილგამეშის  
ქპოსის ქართულად თანამედროვე მთარგმნელი ზ. კიკნაძეც. ენქიდუ  
ვეყუება რა ძმობილ გილგამეშს ნახულ სიზმარს, ასე ახანიათებს ამ  
ვეენაურ ფრინველს:

„ძმობილო, სიზმარი ვიხილე წუხელ:  
იძახდა ზეცა, მიწა ბანს აძლევდა,  
მარტოკა ვიდექ მე ამ ხმაურში,  
ბნელსახიანი გამოჩნდა ფასკუნჯი,  
სახით მსგავსი იყო ლომის,  
ტანთ ესხა ფრთენი არწივისა,  
კლანკებად არწივისევე კლანკები.  
კლანკები ჩამავლო, მომერია.  
იწყო გაშიშვლება ჩემი  
და ასე შიშველად ჩამძირა უფსკრულს,  
თავის სხეულის ორეულად მაქცია“.<sup>2</sup>

გვერკვეთ სიტყვა ფაშკუნჯის ეტიმოლოგიასა და სემანტიკაში.  
ფაშკუნჯი სემანტიკურად ასე შეგვიძლია დავყოთ: ფაშ-და — გუნ-  
დი. სიტყვა „ფაშ“ გვაგონებს — ფაშეს; ანატომიაში ფაშვი არის  
ადამიანის მუცლის ღრუში მოთავსებული ნაწილები, ე. ი. კუჭ-ნაწ-  
ლავები, მუცელი; ხოლო სიტყვის მეორე ნაწილი — გუნდი კი თა-  
ვისთავად მიგვანიშნებს თავის შინაარსზე. გუნდად იხსენება, რო-  
გორც სულიერ, ისე უსულო საგანთა ერთობლიობა: მაგ.: უსულო  
საგნები — ცომის გუნდა, სულიერ არსებებში — ჩიტების გუნდი.

აღნიშნული სიტყვების ერთობლიობას მივყავართ მონოლითუ-  
რი რელიგიებისა და ცნობილ მითოლოგიურ კულტ-ისტიმათა მილ-  
მა, კერძოდ, ანიმისტური წარმოსახვების პერიოდამდე. იმ დრომდე,  
როცა ადამიანი სულიერ არსებასა და უსულო ნივთს შორის განსხ-  
ვავებას თითქმის ვერ ამჩნევდა, ორივეს სულიერად აღიქვამდა. ასე-  
თი აღქმა კი საფუძველია მითოლოგიისა. ამიტომ საკითხის კვლევის  
დროს მას გვერდს ვერ ავუვლით.

ადამიანი და ცხოველი სასარგებლო არსებებით იკვებება, რის  
ხარჯზეც იზრდება მისი სულიერი ენერჯია. შექმულ ნივთ-არსთა  
პირველადი საბუდარი კუჭი — ფაშვია, ე. ი. ფაშვი არის ის ორ-

<sup>1</sup> იხ. ფირდოუსის შანამე, თბ., 1934, სარედაქციო კოლეგია, ფასკუნჯი,  
5612 გ. 5612 დ. 5614 ბ. ფაშკუნჯი. 54010, 5653, გვ. 620.

<sup>2</sup> გილგამეში, აქადურიდან თარგმნა ზ. კიკნაძემ, 1963 წ., გვ. 59;

მითური ფრინველი კამეჩის ტყაში შეხვეულ ამირანსაც იტაცებს ზევით.  
ასევე აპყავთ ცაში — აღ. მაკედონელიც. (A. A φ α η α σ ς ε η, დასახ. ნაშრომი,  
ტ. II, გვ. 122).

განო. სადაც ადამიანი აგროვებს „სულიერ ენერჯიას“. უძველესი თვალთახედვა ქართულ გამოთქმებში შემოგვრჩა. გურულ დიალექტში გვხვდება იდიომებად დარჩენილი თქმა: მაგ.: „ნუ გამაკუჭებ!“, „გამაკუჭა კაცი!“ რაც ნიშნავს გულს ნუ მომაყვანიებ“. „გული მომაყვანიანა“ — ე. ი. გამაბრაზა, ამაღელვაო. ანიმისტური ეთიკის საძირკვლის გამოცვლამ (შემდგომ ეპოქებში სულიერი ძალები სისხლში იყო ნაგულისხმები, სისხლის მამოძრავებელი კი გულია), გამოცვალა სიტყვებიც და „გაკუჭება“ „გაგულისება“ შეცვალა.

კიდევ: ქართულ სინტაქსში, მაგ. ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანში“ თუნდაც ირონიულად ეღერდეს. ხშირად გვხვდება გამოთქმა „შენი კუჭისა“, რასაც სცვლის — „შენი გულისა“... აქაც კუჭი და გული იგივევდება.

ამრიგად, ფაშვი იგულისხმებოდა სულიერი ძალის „საკუჭნაოდ“ ე. ი. სიტყვა „ფაშვი“ გვანიშნებს, რომ „მოკრეფილ ნიეთიერებათა საბუდარი ვარო“: სიტყვა „გუნდი“ მათ სიმრავლესა და შეკავშირებაზე მიგვიითითებს „ფაშვისა“ და მათში მოთავსებული „გუნდის“ მითურ არსად წარმოსახვა ანიმისტური მსოფლმხედველობის საძირკვილიდან ამოიზარდა, ხოლო ამ არსებას, ე. ი. ენერჯიის წარმოდგენა ფრინველის სახით შემდგომი, მითოლოგიის შექმნის შედეგად უნდა ვიგულისხმოთ. რაც შეეხება ანიმისტური წარმოსახვა ყოველ საუკუნეშია შესაძლებელი.

ქართული მითური ძირების მიხედვით ჩიტი (ფაშგუნდი და სხვ.) გაიზარება, როგორც ადამიანის ბედ-უნარი, შესაძლებლობა; სწორედ ასეთ შესაძლებლობას ჩაჰყავს კაბუკები ცხელ ორმოში, ქვესკნელში საგმირო საქმეების ჩასადენად; რადგან ფაშვის კუჭი მოპოვებული საკვები ნივთიერების პირველადი დამაგროვებელია, ამიტომ იგი ენერჯიის ბუდედ ყოველ ეპოქაში შეიძლება წარმოედგინათ. ასეთი წარმოდგენა შედარებით ადვილია.

ქართულმა მითოსმა კუჭში (ფაშვში) დაგროვებული საკვების რაოდენობის მიხედვით ადამიანის სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობის განსაზღვრა ბოლო დრომდე შემოგვინახა. მაგალითად, ამირანის დახასიათება:

„ოტა კაცია ამირან, ოტა სმა-ჰამა ეყოფა,  
სადილად ბულა კაშჩი, ვახშად არც სამი ეყოფა“.<sup>1</sup>

ქართველი ხალხის საამაყო მითურ გმირზე ნათქვამი მოყვანილი სტრიქონები ამირანის შესაძლებლობებს უსვამს ხაზს და არა პრიმიტიულ ირონიულ განწყობას. გავიხსენოთ აგრეთვე შვილის სიკვდილით შეწუხებული ამბრის დედის სიტყვებიც:

<sup>1</sup> მ. ჩ. ქ. ვ. ა. ნი, ქართული ეპოსი, ნ. 1, 1959 წ.,

„ღმერთმა იცის, ჩემო ამირან, ამბრის ვერ ეღარებოდი,  
ვერც ს მ ა შ ი, ვერცა კ ა მ ა შ ი,  
ვერც ომში ეღარებოდი“.<sup>1</sup>

ცნობილია, რომ მითოლოგიის ძირები მძლავრი რელიგიების პერიოდებშიც ინარჩუნებენ თავიანთ საძირკველს, მხოლოდ მძინარე მღვთმარობაში გადადიან. ამიტომ საკმარისია შესუსტდეს მონო-ლითური რელიგიის გავლენა, რომ კვლავ პირველი საწყისები იჩენენ თავს. მოყვანილი სტრიქონებიც ამიტომ შემოგვრჩა, რამდენიმე რელიგიური სისტემისა და მძლავრი მითური ეპოქების განვლის შემდგომაც.

შევეცდებით, უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ აღნიშნული საკითხი. გავიხსენოთ ქართული მითოსის სახელოვანი გმირის — ამირანის დაბადება. ამირანი დედის მუცელში განკუთვნილ დროს ხარის ფაშეში ასრულებს. ასეთი მომენტი შემთხვევითი არ არის მითური გმირის ყოფაში; გავიხსენოთ აქილევსის წრთობა ცეცხლში. ხარის ფაშეშიც მსგავს „ღუმელად“ უნდა ვიგულისხმოთ. ხარი იგივე ღვთაებრივი ცხოველია უდიდესი ენერჯის შემცველი. აქედან გვანიშნებენ, რომ ამირანის ხარის ფაშეში, ე. ი. ღვთაებრივ ღუმელში წრთობა (გამოშუშვა) მისი გმირობის საწინდარია. მწერალი-აკადემიკოსი დემნა შენგელაია მითურ გმირებს — ამირანსა და ასფურცელას სწორედ ზემოთ მოყვანილი მიზეზით აიგივებს. იგი წერს:

„რა კავშირში უნდა ყოფილიყო ჩვენი გირი ხარის ფაშეთან, ანუ ასფურცელასთან? თუ მოვიგონებთ, რომ ამირანი ხარის ფაშეში მოაშუშეს, ისმის კითხვა, ხომ არ იყო ამირანი ასფურცელა?“<sup>2</sup>

ფაშეი ანატომიურად ფურცლოვანი სახისაა, დ. შენგელაია ამიტომ გმირის სახელს მისგან წარმომავლად მიიჩნევს.

ამირანი, რასაკვირველია, ასფურცელასი და მისი მსგავსი, ვეშაბის მკვლელი ზღაპრული მითური გმირების ორგულია, ამიტომ მითოეულ მათგანში ძლიერი, კოსმიური (მითური) ძალები ივარაუდებოდა.“ ქართული ხალხური ზღაპრის ზოგი გმირი ქაბუკიც ბევრს ჰკამს.

ქვესკნელში, ხაროში ჩავარდნილ ყმაწვილს დედაბერი ასწავლის თორმეტთავიანი დევისაკენ მიმავალ გზას, მიდის ქაბუკი, მიადგა თორმეტთავიანი დევის სასახლეს, ჰკრა დაკეტულ კარებს წინ-

1 მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, ნ. 1, 1959 წ., გვ. 185.

2 დ. შენგელაია, თხზულებანი, ტ. II, 1960, გვ. 465.

<sup>3</sup> სვანური თქმულებით (ჩამწერი ო. ონიანი, ფილოლოგიურ მეცნ. კანდიდატი) ამირანი პირველად მთის წვერზე, მზის გულზე, ხარის ტყავეში შეხვეული ჰქაჩეს, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, ფოლკლორისტიკის საკოორდინაციო საბჭოს XIII კონფერენციის თეზისები, 1974, გვ. 15.

ლი, შელენა და შევიდა, ქალი შინ იყო, დევი კი სანადიროდ იყო წასული. კაბუკმა საკმელი სთხოვა: ქალმა უთხრა:

— აბა რა უნდა მექნეს, რა გაჭამო, მარტო თორმეტი თონე პურია გამომცხვარიო, თორმეტი ბულა კამეჩი მოხარშული და ეს იმასაც არ ეყოფა — ვაჟმა მოატანინა ყველა და ხელად გაათავა.

ამ დროს მოვიდა დევიც. ეცნენ ერთმანეთს გეგონებოდით, ორი მთა ეცაო. სძლია შავ-თეიმურაზმა, დასცა ძირს დევი და გააგდებინა თორმეტივე თაფი. დანიშნა ქალი. მოდის შავ-თეიმურაზი მეორე დევთან, აქაც კამს თორმეტ თონე პურს, თორმეტ ბულა კამეჩს. შეებებება დევს, კლავს და მიდის მესამე დევთან, სადაც ისევე იქცევა, როგორც ადრე და მოჰყავს მესამე ქალიც.<sup>1</sup>

ზღაპარ „დათვკაცას“ გმირმა დევებთან საომრად წასვლის წინ მეფეს სთხოვა: სამი ძროხა და სამი ხარი გაეტანებინა საგზაოდ.<sup>2</sup> ასევე იქცევა სხვა ზღაპრის გმირიც. დაუკლეს და შეაჭამეს რამდენიმე კამეჩი, მათ ტყავებს კი ტანზე იცვამს და მიდის საგმირო საქმეების ჩასადენად. აქაც სვამს ერთ საწნახელ წვეწასა და კამს ორას ქვებ ღომს; უკვდავების წყლის მოსატანად წასულიც გზაში გემრიელად შეექცევა სასმელ-საჭმელს და დაეალებას ასრულებს.

კაბუკი უხეირო რამდენიმე ხარს ერთად სჭამდა და იმდენსავე კოკა ღვინოს სვამდა. ამიტომაც საშინელი ღონიერი იყო უხეირო.

რიგვედის ლექსში (56,3) ღვთაების სამ მუცელზეა საუბარი, რომელსაც მთარგმნელები უთითებენ, როგორც ღვთაების სამ ძალზე. მითითებულია მუცელი (ფაშვი), როგორც ენერჯის ბუდე.<sup>3</sup> ერთხელ უხეიროს უთხრეს, უნდა წახვიდე და უკვდავების წყალი მოიტანო. ამ უკვდავების წყაროს ორი ბულა კამეჩი ჰყარაულობდა. უხეირომ უთხრა:

— წავალ, მაგრამ მომეცით, რით მოვიტანოთო! მოუტანეს დიდი ქვევრები. ჰკრა ეს ქვევრები ერთმანეთს და დაამსხვრია. მაშინ მოუტანეს ორი ასკოკიანი რუმბები. გადაიწყო მხარზე და გასწია.

იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა და მივიდა უკვდავების წყაროსთან. გამოექანენ კამეჩები, უნდა დაგლიჯონ. სტაცა უხეირომ ყურებში ხელი, დაადო კისერზე სქელი ხეები. დაავსო რუმბები და წამოვიდა, გამოირეკა კამეჩები ხელმწიფისაკენ“.

<sup>1</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, კომენტარებით და ლექსიკონით, ტ. 1.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 86.

<sup>3</sup> Д. Н. Овсянников-Куликовский, К вопросу о «быке» в религиозных представлениях древнего востока, Одесса, 1885 г., гв. 9.

ხელმწიფეს უხეიროს მოცილება უნდა და ღვთის, ელიას ყანა-ში შეარეკინებს თავის ცხვარს. ელია სეტყვით დაუხოცავს საქონელს. თვითონ სეტყვით რომ ვერას დააკლებს, ჩამოვა და დააწვება ხევიდან. უხეირო გადმოიბრუნებს და ზევიდან მოექცევა. ელია სეტყვის, გამიშივი და დაგლოცავო. და დალოცა: „რომ ჯერზე ნახევარი პური ექვამა, ნახევარი ჩარეკი ღვინო ესვა და ნახევარი გირვანჯა ხორცი ექვამა“.<sup>1</sup>

მითური გმირებისათვის დამახასიათებელი კუქის პრიმატი ქართულ ქრისტიანულ წმინდანთაზე გადმოგვეყვა. მაგ., „წმინდა გიორგი, მეგრელების წარმოდგენით, სამეგრელოში დაიბადა. წმინდა გიორგის გვიხატავენ ფიზიკურად მშვენიერსა და ღონიერ ვაჟაკს. თავისსავე ლამაზსა და ღონიერ, თეთრ რაშზე მჯდომარეს და სავაძირო საქმეთა მოქმედს. ხელთ თურმე მუღამ ე'რა შუბი, რომლითაც განგმირავდა უწმინდურსა, საცა მოასწრებდა, მისი მსხვერპლნი ყოფილან ვეშაპები და ავსულები, განსაკუთრებით ურჯულონი (რიგულისხმება — ოსმალნი). ბრძოლაში წმინდა გიორგი სულ მუღამ თავში სდგომია მეგრელთა ჯარს. არ ყოფილა მაგალითი, მტერი არ გაქცეულიყო და მეგრელი შერცხვენილი დარჩენილიყო. ღვინოში სუფრის თავში იჯდა და როგორც ღვინის სმასა, ისე სიმღერა-მობუენაში, სწორი და ბადალი არ ჰყოლია. განსაკუთრებით საარაკო ყოფილა მისი მუცლის ტევადობა. ერთ ჯერზე ერთი ხარი, ან ძროხა მშობლოდ მისთვის იკვლებოდა და სუფრაზე ძვლები თუღა რჩებოდა, ახლა მისი ჯირითი და ჭიდაობა ბრძანეთ, ან რაში გნებავთ პირველი და თითით საჩვენებელი არ ყოფილიყო“.<sup>2</sup>

როგორც ვნახეთ ზღაპრულ უხეიროსა და ქრისტიან წმინდანს შორის ამ მხრივ განსხვავება ისპობა.

ერთი შეხედვით გვიძნელდება გაპირებებაში მყოფი კაცობრიობის საყვარელი მითური გმირის ქვესკნელიდან (ორმოლან) ამომყვანნი ფრინველი (ფაშგუნდი, არწივი, ორბი და სხვ.) გაავიგივოთ მითური ჭაბუკის კუქთან, მაგრამ ანიმისტური თვალთახედვის, გათვალისწინება რელიგიებისა თუ მითოლოგიების სისტემების შექმნაში გვიძნელებს, მოყვანილ დასკვნებს დაუჯეროთ. რაც შეეხება ფაშგუნდის ეტიმოლოგიას, იგი ერთ-ერთი პირობაა აღნიშნული საკითხის განხილვისათვის.

მრავალი მეცნიერი, ჭაბუკის ქვესკნელიდან ამომყვან ფრინველს იშტარად, ფ. ი. ქალურ ძალად გულისხმობდა.

მითოლოგია მითური გმირების დამხმარედ იცნობს ქალღვთაე-

<sup>1</sup> თსუფა, № 62.

<sup>2</sup> თ. ს ა ხ ო კ ი ა, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1956, გვ. 58—60.

ბებს, რომელთაც ქვესკნელიდან ამოჰყავთ მითური გმირები (მაგ., შუმერული თამუზი). ამავე დროს, ქალურ არსებად არის წარმოსახული ძველი აღმოსავლეთის (მაგ., ეგვიპტე) მითოლოგიაში ცა, ცა-ქალღვთაება ყოველ დილას შობს მზეს, ე. ი. ცა — პოტენციური ენერგია შობს კინეტიკურ ენერგიას. ასევეა კლდის მფარველი ძალა დალისა და ამირანის დამოკიდებულებაც.<sup>1</sup> აკად. ნ. შარიც ცას იმტართან აკავშირებს.<sup>2</sup> ასევეა ქართულ მითოლოგიაშიც.

„ორმოში“ (ქვესკნელში) ჩასვლა და ამოსვლა მოითხოვს აღამიანის ძლიერ უნარს, ასეთი უნარი ჰაბუკებს აქვთ. ამ უნარის შექმნისათვის საჭიროა შეითვისო ძლიერი სულიერი ძალები (ხარები, ცხვრები და სხვ. სახით). აქვეა ნახსენები ღვინოც, რომელიც ღვთაებებთან ურთიერთობისათვის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა (აღამიანთა სიკეთისთვის მებრძოლი მითური გმირი, ჰაბუკი, უკიდურეს შემთხვევაში მზად არის საკუთარი მამაკაცური უნარიც შესწიროს კეთილ მიზანს, ქართული ხალხური ზღაპრების მიხედვით, „იმტარ-ფაშგუნდი“ იღებს შენაწირს, მაგრამ ბოლოს უკან უბრუნებს).

მოყვანილმა მასალებმა ანიმისტური ხედვიდან დაგვიყვანა მითური ჰაბუკის შინაგან ენერგიამდე, ჰაბუკის სულ-ჩიტამდე; მითური ჰაბუკი ნაკრებ ძალთა შედეგია, ამავე დროს, ჰაბუკის ენერგია გაიგივებულია მის კუჭ-ფაშგუნი მოთაესებულ ნივთიერებასთან.

## ქურდობა-მეკობრობის კულტის საპიტიხი

ევროპელებს კავკასია თავის ზნე-ჩვევათა ტრადიციულობით საოცრებათა ქვეყნად მიაჩნდათ. ერთ-ერთ ასეთ ჩვევად „ქურდობა“ ითვლებოდა.

საქართველოსა და კავკასიაში გაბატონებული რელიგიები მათ შორის, ქრისტიანობაც, სასტიკად უსწორდებოდა უძველეს კულტებში შემორჩენილ ზნე-წესებს, მაგრამ პრეისტორიული ხანა თავისი მძლავრი ეთიკით, მძიმედ აწვა მხრებზე ისედაც ხმალჩაუგებელ ქვეყანას, ამიტომ გადაგვარებულ ჩვევებთან ბრძოლა ქირდა.

<sup>1</sup> ცის მფარველი ძალა რომ ქალღვთაებად ჰქონდათ წარმოსახული ქართველი ხალხის წინაპრებს, დასტურდება სვანური თქმითაც: ლამარია ლარტყ-ცისარტყელა; სიტყვა სიტყვით, „მარამის სარტყელი“ (აკ. შანიძე, სვანური კულტის ტერმინი ჭკერაჯ, მაინე, ენისა და ლიტერატურის სერია. 1973, გვ. 110).

გურულ დიალექტში გოგოს საალერსოდ „ცაგ“-ს უწოდებენ.

<sup>2</sup> Н. М а р р, Иштар, Яфетический сборник, 1927, Л. У., გვ. 128.

კავკასიაში მონოლითური რელიგიების კულტურა უმაღლეს დონეს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების დროს აღწევდა; ძლიერი ადმინისტრაციის დაკნინებას კი თან სდევდა განათლებული ფენის დეგრადაცია, რითაც უმაღლეს სარგებლობდა გადაჩუმებული საკულტო მაგია. უძველეს (პირველყოფილ) ზნე-წესთა დამკვიდრებას კი საკულტო მაგია უწყობდა ხელს, ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია გარდასულ ზნე-წესებზე მაგიის კუთხიდანაც ვიმსჯელოთ.

ცნობილია, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარამდე დასავლეთ საქართველოში ქურდობა კვლავ ვაჟკაცობად ითვლებოდა, ხოლო ქურდი კარგ ვაჟკაცად.

მაგნე გადმონაშთი ადრე პროგრესულ მოვლენად ითვლებოდა. ქურდობა ამორალიზმია, ამიტომ შეუძლებლად მიგვაჩნია როდისმე პროგრესული ყოფილიყო, მაგრამ, თუ შევისწავლით იმ პერიოდს, როცა ეს წესი ბატონობდა, ბევრი რამ გასაგები იქნება. გავიხსენოთ უძველესი სპარტა, სადაც კარგი ქურდი კარგ ვაჟკაცად ითვლებოდა.

უძველეს ხანაში ადამიანს თემი განაგებდა, ხოლო ადამიანის „მე“ თემის „მე“-თი იყო განპირობებული: თემის მორალს კი თავისი წყარო აქვს, საკულტო ობიექტი (ხატი. ჯვარი); სწორედ აქ, საკულტო ობიექტში იქმნებოდა თემისათვის საჭირო ახალ-ახალი წესები, რომლის სიძლიერეცა და პროგრესულობაც ხატისა და თემის საჭიროებით ისაზღვრებოდა. ამიტომ პროგრესული იქნებოდა წესი, თუ იგი დაიცავდა თემის და ხატის ინტერესებს და უარყოფდნენ, — თუ ვიწრო კუთხურ. ან საგვარეულო ჩარჩოებს გასცილდებოდა. ასე თუ ვიმსჯელებთ, საკვლევის საკითხის ირგვლივ, მივხვდებით, თუ აღნიშნული წესი გვიანობამდე რატომ შემორჩა ხეებში ჩაკარგულ თემებსა და პოლიტიკურად დაქუცმაცებულ კავკასიაში. ამას უნდა დაემატოს მითოლოგიისა და რელიგიის უშრეტი წყარო — მაგია, რომელიც თემ-გვარ-ოჯახში თავდაცვა-გადარჩენისა, თუ გაძლიერების უკანასკნელ და აუცილებელ დასაყრდენ საშუალებად იყო აღიარებული.

ქურდობის ჩვევაც, როგორც უძველესი საკულტო ინსტიტუტის ერთ-ერთი წესი, ხატის წესთა მაგიურ დონემდე დაყვანაში ვლინდება.

შევეხოთ თვით წესს: მოვიყვანოთ ამონაწერი ექიმ გ. თეოდორაძის წიგნიდან — „ხუთი წელი ფშავეზესურეთში“.

ახალწლის დღეებში ხატის დეკანოზი ან ხევისბერი საღამოთი თავის დასტურებს გააგზავნის სოფელში, რათა ყოველ მოსახლეს თავს დაეცეს და რაღაც მოჰპაროს, ამ დასტურებს იმ დამეს დაარქ-

მევენ ქურდებს. ქურდი დასტურები დაივლიან სოფელს და ყოველ სახლში ცოტა-ცოტას რაღაცას მოიპარავენ, ან არაყს, ან ხორცს, ან სხვა რაიმეს. მხოლოდ ბევრის მოპარვის ნება არა აქვთ და ვინც ამას ჩაიღენს, მას საყვედურს ეტყვის ზევის-ბერი. „განა ჩვენ რამე გვაკლია, რომ რომელიმე ოჯახი დაეღუპოთ, ეს არ არის ჩვენი წესი. ჩვენი ჩვეულებაა ხალხი ვალხინოთ. ახალი წლის დღეები სიამტკბილობაში გავატაროთ, ყოველ სამომავლო ახალს წელს პირნათლად შევზვდეთ. ვინც ფხიზელია ოჯახში, ის დაიჭერს ქურდებს, ჯერ კარგად თავაზიანად მოეპყრობა, დაპატიუებს, აკმევს, ასმევს, შემდეგ დაიჭერს, შეჰკრავს, აპკიდებს ზურგზე მარაგს და ისე წაიყვანს ხატისაკენ. თუ ოჯახის პატრონი ვერ გამოდგა ფრთხილი, მაშინ თვით ქურდები დაიყვირებენ სახლში შესვლის დროს და უმაღლეს სახლის პატრონი დაიჭერს მათ. ასე რომ არ ჰქმნან, ისე ლხინს კარგი ელფერი არ ექნება. მეორე დილას, ამ ქურდებს დააყენებენ ერთად მთელი სოფლის წინ, აპკიდებენ ზურგზე შეშას, ყინულს და დაუწყებენ ცემას ხუმრობით, თან ეუბნებიან: „ვის სახლებს სტეხავდი, შე კატაო“. შემდეგ შეიარაღდებიან და მოემზადებიან საომრად ხატის მოსამსახურეების წინააღმდეგ. შეიქმნება ვითომდა ხელჩართული ომი, დაუწყებენ ერთმანეთს მსუბუქად ცემას, თან უყვირიან ხატიონთ: „კარში გამოდით რას იმალებით ხატში, არ შეგარჩინთ ჩვენი სახლების გატეხას“. ხატის მოსამსახურეები უპასუხებენ, როცა გამოვლენ მოწინააღმდეგე ბანაკთან საომრად. ამხედრებული სოფლელები გაიძახიან:

— „ხალხის ცოდო ბრალი თქვენს კისერზე იყოს, რას სტეხდით ჩვენს სახლებს?“

— „აბა ვნახოთ, რითი გვიპასუხებთ“,

— „რითი და ხმლებით და იარაღით“,

— „აბა, დაგვიხვდით, თუ ბიჭები ხართ“,

უპასუხებენ ხატიონები და შეიქმნება ისევე ომი, ცისკენ თოფების სროლა. ყოველი თოფის სროლაზე თითო კაცი ძირს ეცემა, ვითომდა კვლებიან, შემდეგ კიდევ ერთმანეთს დაესევიან და ხმლის ყუით დაიწყებენ ბრძოლას. ზევისბერი, რომელიც იმ ომში არ ლებულობს მონაწილეობას, მივა თვითეულ „მკვდართან“, დაუწყებს სინჯვას ვითომდა „დოხტურია“, დაალევიანებს ყველას თითო არაყს და ყველა ერთად მორჩება. როდესაც ყველა მორჩება, დაიწყება ლაპარაკი შერიგებაზე, რაიც მშვიდობიანად თავდება. ამის შემდეგ ისევ დაიწყება სმა, ცეკვა-თამაში და ქეიფი გრძელდება იანვრის 6-მდე.<sup>1</sup>

მსგავსი ჩვევა ჩაივიწერეთ სამეგრელოშიც. აქაც ახალ წელს,

<sup>1</sup> ექ. გ. თევდორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, 1930, გვ. 41.



სხვის ოჯახებში მალულად შედიოდნენ და ცდილობდნენ, თავისი კვალი დაემჩნიათ. ბევრ შემთხვევაში მძინარე კაცს იპარავდნენ, რასაც საერთო მხიარულობა მოსდევდა.

ახალ წელიწადს იცოდნენ ადამიანის მოტაცების ინსცენირება, — გადმოგვცემს მკვლევარი ს. მაკალათია, — მოიტაცებდნენ, განსაკუთრებით, სტუმარს, რომლის მოსატაცებლად უბანი მილიონდა უბანზე. სტუმარს გაიტაცებდნენ, მას პატრონები დაედევნებოდნენ, გაიმართებოდა ერთი წიოკობა, აყალ-მაყალი, სიცილი და ზუმრობა. მოტაცებულ სტუმარს ასაჩუქრებდნენ, პატივსაცემდნენ და მას მეორე დღემდის არ გაუშვებდნენ.<sup>1</sup>

საკულტო მაგიით აღნიშნული წესი შემდეგნაირად აიხსნება: ხატს, როგორც ხალხის ხელმძღვანელს, პატრონს, თავისი გავლენა უნდა მოეხვია თემისათვის. ამიტომ ხატის მსახურნი ცდილობდნენ მოეპარათ (ან წაერთმიათ) ოჯახისათვის საყურადღებო ნივთი (სულიერი ძალა), ამით გაეძლიერებინათ, აემალლებინათ ხატის კარის გავლენა (ზემოქმედება) მოსახლეობაზე.

ხატის ყმების ასეთ მოქმედებას დაკვებების ღირსებაც ეძებნება. ხატი ყმისაგან ითხოვს შესაწირს უნარის მიხედვით. მაგალითად: მქსოველისაგან — ნაქსოვს, მწყემსისაგან — ცხვარს, მონადირისაგან — ნანადირევს. ბევრი კაი ყმა უცნო ოჯახიდან, ან თემიდან „მოტანილ“ საფასურს სწირავდა<sup>2</sup> და სხვ. ახალ წელს ასეთი მოქმედებით კაი ყმა დაიკვებებდა ხატისადმი სამსახურს და მთელი წელი მისი პირველი მსახური რჩებოდა.

ხალხის, ერის სულიერი დოვლათი, სულიერი ძალა ხატში იგულისხმებოდა; სულიერი ძალის მატერიალურ სახედ, რასაკვირველია, წარმოდგენილი ჰქონდათ ის ძვირფასი ნივთები, რომელშიაც ხალხი თავის შრომას სდებდა:

ცნობილია, რომ პირველყოფილი თემები, ამერიკელი ინდიელები (აპაჩები და სხვ.) ერის ნივთიერ საგანძურს წმინდა ადგილებში ინახავდნენ. მათი აზრით, სანამ ნივთები მტრისაგან შეუხებელია, მათი თემი არ დაილუპება.

ხატის კარზე კაი ყმათა ყოფის ერთ-ერთ მომენტზე მაგალითი მოვიყვანოთ მწერალ შოთა არაბულის მოთხრობიდან:

1 ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941, გვ. 298.

2 შეწირვის ერთ-ერთი უძველესი სახეობა ქრისტიანულ ხანაშიც გადმოდის, ეკლესიაში დღესაც შეზღუდებით საკუთარი ხელით მოქსოვილ ან საკუთარი ხარჯით ნაყიდ შეწირულ ნივთს. ამავე სახეობას ეკუთვნის ლეთისმოსავის შესაწირის სათხოვნად სოფელში ჩამოსვლა; ალიობა — საშობაო რიტუალის დროს მოსახლეებიდან შესაწირის შეგროვება. ალაპი, როცა ეკლესიას თავისი სახელის სახსენებლად სჩუქნიან ნივთს, ან მიწის ნაკვეთს.

შოთა არაბულის მოთხრობაში „გუდანის ხატის ყმა“, გადმოცემულია თანამედროვე ხევისურის წუხილი გუდანის ხატის ძველი დიდების დაკარგვის გამო: ხატის ყმა განიცდის, რომ აღარ არიან ისეთი გმირები, როგორც უწინ იყვნენ: აღარ იხმარება ფარ-ხმალი ჭვარის დიდების დასაცავად. აღარ იწრთობა მაჯა ხმლის ტრიალში. ხატის წესის მცოდნე ბაჭყურა ასე მიმართავს ხატის მსახურთ, რომლებიც უშლიან ხმლის ტრიალს:

„— შენი მიკვირს, გაგავ, ყველაფერს ნაცადი და ნახადი ხარ, ბევრსაც ხარ გადანაყარი, — გაუღიმა მოხუცს ბაჭყურამ, — როდის ყოფილა, რომ მურათ ბაჭყურას ხევისურთათვის ცუდი სდომიყოს? ავკაცობა გაეკეთოს? აბა, მითხარი?! ამ ახალუხალს, თუ ხმლის ქნევას დაავიწყებ, ფარიკაობას გადააჩვევ, ნაჭრევის ტკივილს დაუძვირებ, აღარც სამტროდ ივარგებენ და აღარც სამოყვაროდ!.. ბაჭყურას ხმალობა „შულლი“ უნდოდა, და „სარქვენლად გამზადებული მოზვერივით იქეთ-აქეთ იბღვირებოდა“ — მურად ბაჭყურა ბოლოს“... დაიხარა ჭლანის თასმები თითო აღლზე შემოიხსნა ფეხებიდან. ხუცესი მიხვდა: ბაჭყურა შარის ყველაზე გამომწვევ საშუალებას მიმართავდა: ათრეულ თასმებზე ვინც ფეხს დაადგამდა, თუნდაც შემთხვევით, ბაჭყურას რისხვაც იმას დაატყდებოდა“.<sup>1</sup>

ხატი (ჭვარი), როგორც ჩანს, არ უშლის ხმლის ტრიალს, თორემ ხატის კაი ყმა ასე მოწადინებული არ იქნებოდა საშულლოდ. ძველი ხატობა თავისებურად ათვალეირებდა თავის კაი ყმებს, ყოველთვის ხდებოდა ჩხუბი, კინკლაობა; ხატის კარზე ჩხუბი და აყალ-მაყალი იმდროინდელ გადმონაშთად უნდა მივიღოთ, როცა სათემო თუ სასოფლო ხატი არა თუ უშლიდა ყმათ ხატში ფარიკაობას, პირიქით, ხელს უწყობდა, წვრთნიდა, თავის გამოჩენის ნებას აძლევდა, ბოლოს კი, სხვა თემის ხატშიც აგზავნიდა თავის სადიდებლად.

კაი ყმა მეზობელი სოფლის, ადგილის დედა ხატების მეკომლესაც მივარდებოდა, იპარავდა, ან იტაცებდა საქონელს თუ სხვა სანოვაგეს და თავისი სოფლის ხატს სწირავდა.

ხატის კაი ყმები თავიანთი ხატის პრიორიტეტს არა მარტო საკუთარი თუ მეზობლის ადგილის დედა ხატის წინაშე იცავდნენ, უფრო მეტიც, სხვა კუთხის თუ თემების დასალაშქრადაც მიდიოდნენ: ხატი მოუწოდებს ყმათ შეჭავშნას და თავისი სიძლიერის დასადასტურებლად აგზავნის სალაშქროდ. ამ საკითხზე უამრავი გადმოცემა გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. მოვიყვანოთ ზოგი მათგანი:

<sup>1</sup> ეურნ. „ცისკარი“, 1972, № 8, გვ. 77—78.

„უბრძანა ლაშარი ჭვარმა, მთას შშოველო თვალა,  
 დოლდნენ ფშაელის შვილები, ყველამ გალესა ხმალია.  
 ეინც არ გალესა, გადაქრა; მაგის ნაცემი მწარეა.  
 ჩავიდნენ ტერელოშია არ დაცდათ სისხლის ცვარია:  
 მეორე დილას გაქანდა სისხლი წყალ ნაგუბარია.  
 გამოიყვანეს ცხეარ-ძროხა, თან მოაქეს მთა და ბარია.  
 მოსდევენ თათრის შვილები, დარჩეულ მოისარია,  
 აყრიდნენ სეტყვასაეითა ისარს არ ქონდა ძალია  
 გვერდს გიდგათ ლაშარის ჭვარი, გიქრით იმათი ძალია,  
 შამაგხედეს ლაშარ-ლეღესა ბევრი ხარი და ცხეარია“.

ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ ძლიერ და დაყინე-  
 ზით სთხოვენ ხატი თავის ყმას „გალესოს ხმალი“, თუ რომელიმე არ  
 დამორჩილდება: „ეინც არ გალესა, გადაქრა, მაგის  
 დაქრული მწარეაო“.

ამბავი, რომელიც ლექსშია მოთხრობილი, სხვა ვარიანტიც  
 საყურადღებოა. აი ნაწყვეტი ალ. ოჩიაურის მიერ გამოქვეყნებული  
 ლექსიდან:

ლექსის სათაური: „ფშაველთა ლაშარი ტერელოში“. აქაც  
 ხაზგასმულადაა აღნიშნული, რომ ლაშარის ჭვარმა უბრძანა, დაე-  
 ლაშქრათ მეზობელი ხალხები — ქისტები.

„ანდაგში ჩამოსულიყო თორმეტი ფარა ცხეარია.  
 მოვიდა მახარობელი: ანდაგში ბევრი ცხეარია.  
 გაქაერდა ლაშარის ჭვარი, წელზე შაირტყა ხმალია,  
 შექაზმა თავის ლურჯაი, ცხენი ჰყავ ნაეჭარია.  
 გადაიყიდა მათრახი შვიდკეცად შვიდი მხარია  
 შამაუარა საყმოთა, შაყარა მძიმე ჭარია;  
 უბრძანა ფშაელის შვილებსა: ყველამ გალესეთ ხმალია.  
 ეინც არ გალესა, გადაქრა, მაგის ნაცემი აეია.  
 ალაღლა ფშაელის შვილები, რო ნაგუბარი წყალია.  
 წინ ბოიგარი გაუძღვა, ლალი მანძილა ხარია,  
 თან გაჰყვა ლაშარის ჭვარი, ღმერთო, დაწერე ჭვარია.  
 ჩავიდნენ ტერელოშია, ნასახელარნი ყმანია,  
 იქით ცხვარს გამოუშეებენ, თან შაქეს მთა და ბარია,  
 მოგვდევენ ქისტის შვილები, ნარჩენი შემარნია,  
 აყრიან სეტყვასაეითა, ტყვიას არ შაქეს ძალია.  
 ნუ დაიკვეხნებთ ფშაველებო, გტანაეთ ლაშარის  
 ჭვარია.  
 გვერდს გიდგათ ლაშარელი, გიქრისთ ლემადის ქარია“.<sup>1</sup>

ცხენის კულტის პერიოდში ხშირი იყო ცხენის ქურდობა. ძრო-

<sup>1</sup> ალ. ოჩიაური, „ფშაველთა ლაშარი ტერელოში“, დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

ხის კულტისა და ხარის კულტის პერიოდში კი — ხარი და ძროხა ითვლებოდა პირველხარისხოვან შესაწირადაც და მოსაპარადაც.

როგორც ვთქვით, ქურდობა-ტაცების ეკონომიურ მნიშვნელობას თავისი მაგიური მხარეც ახლდა. მოტაცებული ნივთის შეწირვა საკუთარი კულტ-ხატისათვის მტრისგან გარკვეული ენერჯის (სულიერი ძალის) წართმევასა და თავისი ხატისათვის მიცემას ნიშნავდა; მტერი გარკვეულ შრომას ეწევა, გარკვეულ სულიერ ძალებს ხარჯავს საქონლის თუ ნივთის გასაკეთებლად; კაი ყმა კი მტერს სწორედ ასეთ ნივთებს ართმევს და მტრის ენერჯიას სწირავს საკუთარ ხატს; მეზობელი ხატის ყმის მიერ ნივთზე დახარჯული „სულიერი ძალებით“ ძლიერდება ხატის კარი<sup>1</sup>. ამიტომაც ამაყობენ ხატის (ჯვრის) ყმები, თავისი საქციელით და არ რცხენიანთ ქურდობა-ტაცების.

ხატი (ჯვარი) არა თუ ხელს უწყობს, არამედ მოითხოვს ყმისაგან ქურდობა-ტაცებას: ხატის ყმები. მის კარზე ხოცავენ შოპარულ თუ მოტაცებულ საქონელს. მაგალითად, ერთ-ერთი ყმა სიამაყით აცხადებს:

„გარა ვარ, თურმანაული, ბევრგან მიქნია ზიანი,  
ლაშარის გორზე (ხატში — ბ. ა.) მიხოცავს, ქისტის ხარები რქიანი“.<sup>2</sup>

ხატის ყმებმა სხვათა ხატ-სალოცავებისა თუ თემების გაძარცვა განსაკუთრებით ხატის დღეობის დროს იცოდნენ. ხატის (ჯვრის) გვერდზე ეკლესიაში მომსახურე მღვდელი შესჩივის მოგზაურს (რადღეს) „ხევსურები ეხლაც დაეცემიან ხოლმე თუშებს და ფშაველებს დღეობის წინ ცხვრების მოსატაცებლად საბედნიერ-დღეთაო“.<sup>3</sup>

ხატის კარი თავის რიტუალებში პატივისცემით იხსენიებდა ხატ-თემისათვის თავდადებულთ და შათ სახსენებლად თუ დასალოცად განსაკუთრებული თასები ჰქონდათ.

„...დავანთებდით სანთლებს, სულ თერთმეტი უნდა ყოფილიყო ანთებული, კენტი უნდა იყოს. ამ თასებით ჯერ სადიდებოს ვიტყოდით და მერე პიროფლიანნი უნდა გვეხსენებინა. იმათ სახელზე დაგველია. პიროფლიანნი ისინი იყვნენ, ვინც ხალხისათვის იბრძოდა, მტერს შეაკედებოდა, ქისტეთში დადიოდა, ხალხის საქმეზე მო-

1 ადრეული ხატის ლაშქრობის უძველესი სახე, შუა საუკუნეებში სიმბოლური მნიშვნელობით შემოგვრჩა, ამ ხანებში დამპყრობლებს დაპყრობილთაგან ქალაქის კარის გასაღებები, ან ძვირფასი ნივთები მოჰქონდათ.

2 აღ. ო ჩ ი ა უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

3 ეურნ. „ივერია“, 1881, № 8, გვ. 107.

კვდებოდა... პიროფლიანნი მაშინდელი გმირებია, ჯვარისათვის და ხალხისათვის თავდადებული“.

კვლავ მოვიყვანოთ მაგალითი მწერალ შოთა არაბულის მოთხრობიდან „გუდანის ჯვარის ნაყმევი“<sup>1</sup>:

„იმედა ფეხზე წამოდგა, ერთი თასი ხელში აიღო და ბუტბუტით დაიწყო:

— ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლობა შენდა. სააქაოს ნათქვამი საიქიოს მიდიოდეს, წესი მართებული იყვეს, სულს შენდობა მოუდიოდეს, ერგებოდეს, ეხმარებოდეს, სადაც თქვენ ხართ, მარტიავ მისურაულო, მამუკავ ქალუნდაურო, ბერდიავ ბაბურაულო, ნადირა ხოშარაულო და ძაღლიკავ ხიმიკაურო! თქვენშიც სახმარია ეს თასები, დანთებული სანთელი ცოდვისამაც მხსნელია, ცოდვისა მადლად მქმნელია... შეგინდოსთ სულეთის გამჩენმა ღმერთმა, გარგოსთ და განხაროსთ!.. — ამინ! — დაუმატეს მოხუცებმა და თასები აიღეს.

მურათ ბაჭყურამ ვეება პეშეში ჩამალა თავი და მძიმედ, გაბრაზებული ხმით წარმოთქვა:

— ხსოვნა და არ დავიწყება ყოფილიყოს იმ ხუთი ხეცსურის მოყმისა, გასაქირში მამულს აბჯრად რომ ესხნენ და ქუდად ეხურნენ, ლხინში მზედ დაჰნათოდნენ“...<sup>2</sup>

მოყვანილი გვარები ზემოთ ნახსენები პიროფლიანები არიან, ხოლო ხალხი და მამული კი, იგივე, თემი და ხატია.

როგორც ვთქვით, უძველესი მიზეზი ხატის ყმათა სალაშქროდ სიარულისა, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ხატის (ჯვარის) სადიდებლად ხდებოდა: დაპყრობილ სოფლებს ხატის ყმად სთვლიდნენ, მოტაცებულ ნივთს ხატში სდებდნენ და სხვ.

თუ ხატის რომელიმე ნივთით დაინტერესდებოდით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხატის მსახური გეტყოდნენ: „ქისტეთიდან ნოტანილია, ძალითაა წართმეული“. ასეთ წართმეულ ნივთებში გვხვდება, როგორც ლამაზყელიანი, ვერცხლისა თუ სპილენძის მაღალი სურები, ისე თასები და ლუღ-საქონლის სახარში დიდი სპილენძის ქვაბები. შემდგომ ხანებში, აღარ ახსოვდათ ასეთი მოქმედების მაგიური დანიშნულება და სუფთა ეკონომიურსდა ხედავდნენ: ამიტომ ამბობდნენ: „რაკი ისინიც გვეცემოდნენ ხოლმე“<sup>3</sup> ვითომ ამით სამაგიეროს ვუხდითო.

ასეთი ნაძარცვით სავსე იყო ფშავ-ხეცსურეთის ხატები. ასეთი ნივთების ხატში შენახვით, როგორც ვთქვით, მტერს სულიერ ძა-

<sup>1</sup> ქურნ. „ცისკარი“, 1972, № 8, გვ. 75.

<sup>2</sup> ქართული ხალხური პოეზია, ტ. 1, 1972 წ., გვ. 122.

<sup>3</sup> ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

ლას აკლიდნენ, აბეჩავებდნენ, ამით მათი ხატის ყმებად გულისხმობდნენ.

ერთ-ერთ ძირითად მიზეზად კავკასიელი ხალხების ტომთა და თემთა ურთიერთდალაშქვრისა ზემონახსენები პრინციპები უნდა დავასახელოთ. ხატი მოუწოდებდა ხალხს სხვა თემის დასალაშქრავად. მაგალითად:

„ქადავობს გაღიურით:  
ბრძანებს გუდანის ჭვარიო,  
ჩემს კარზე შაიყარენით  
სამის ბატონის ყმანიო.  
სამი აბით ღროშია,  
სამსაჲ შაბით ზარიო,  
ახიელის ძირ ჩაეიდათ,  
ვატიროთ ქალი, ზალიო.  
იქ უნდა დავზღვათ ბეგარიო,  
კვამლად თითოი ცხვარიო.  
გაიგო არხოტის ჭვარმა,  
წელთ შამაირტყა ხმალიო,  
— სხვაგნით ამილაჲ ბეგარიო,  
დამპალო, სად მიხვალიო“!

ქადაგის პირით ამეტყველებული ხატი თავის ყმებს მოძმე ხატის ხალხის დასარბევად მოუწოდებს, ხოლო არხოტის ჭვარი, როგორც ჩანს, გამოწვევას ამაყად ხედება.

წმ. გიორგის ხატმა დალაშქრა უძველესი საკულტო ობიექტი (სამკვედლო) და იქიდან წამოიღო ქურთუმალი, რითაც უძველეს ხატს სულიერი ძალა გამოაცალა და გაანადგურა. ქრისტიანულ ხანაში გვხვდება ძველი კულტის მოსპობის ასეთი ხერხი. მაგალითად, „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილია, როგორ ამოაცალა წმ. ნინომ დამსხვრეულ არმაზს ბივრილის ძვირფასი ქვა (თვალი), რითაც უძველეს სალოცავს ღვთაებრიობის ძალა წაართვა.<sup>2</sup>

მტრის ნივთის ხატში მიტანას მეორე მაგიური მხარეც აქვს. ხევისურები მტრის ნივთზე მოქმედებით მტერზე ახდენდნენ გავლენას, ამით სხვა ხატის ყმას თავის სალოცავზე აჯაჭვებდნენ, ამიტომაც იყო მტრის ნივთების პარვა-ტაცება ყოველ საუკუნეში მოღური.

მრავალ ქვეყანაში მტრის მოჯადოების ხერხს (მტრის ნივთზე ზემოქმედება) დღესაც ხმარობენ. ამას ხშირად ბევრი ქადაგ-მკითხავით მიმართავენ.

1 ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, 1972 წ., გვ. 122.

2 ქართლის ცხოვრება (ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ) ტ. I, 1953, გვ. 92.

ასეთი და მისი მსგავსი მოქმედებანი ქრისტიანობის წინა ხანებში ითვლებოდა წმიდათაწმიდა მოქმედებად.<sup>1</sup>

ყოველი უძველესი საკულტო წესი იმიტომ იყო გამძლე, რომ მაგიაზე იყო დაყრდნობილი, მაგია კი. თუ ჰეგელის შეხედულებას გავიზიარებთ, მაგიის გამკეთებელს ანლევს ნებას, თვით იყოს ქმედი ძალა (ამა თუ იმ საქმის) და არა ღმერთი. როგორც ეს მონოლითურ რელიგიებში ხდება.<sup>2</sup> ცნობილია, რომ მონოლითურ რელიგიებში შესწავლით ხედავ უფრო ძლიერ სულს და მას შესთხოვ დახმარებას. მაგიის დროს კი თვით მოქმედებთ, თვით ივალდებულებ თავს. ამასვე ამტკიცებს დ. ფრეზერიც.

მაგიურმა ძირებმა ყოველდღიურ ყოფაში მძლავრად დაიმკვიდრა ადგილი. დაეკარგებოდა თემს, ან მოსახლეს რაიმე ნივთი და ხალხი იტყოდა: „ამ ნივთს ვაჰყვამ ოჯახის ან თემის ბარაქაო“. მეორე მხრივ, ხალხი გამოფხიზლდა, შეეჩვია სიფრთხილეს. გამოიწროთ, მოემზადა მოულოდნელი თავდაცვისათვის.

XIX საუკუნის დასასრულის რუსი გეოგრაფი — სერგეი მეჩიკავასიის უძველესი საკულტო წესებიდან შემორჩენილ ჩვევას მთიელის ხასიათად მიიჩნევს, იგი წერს:

„ტარცვა და თავდასხმა რომ არ ყოფილიყო, მთიელი სიცოცხლეს სიცოცხლედ არ ჩასთვლიდა. ეს არის იმისი პოეზია, ლაზათი მისი არსებობისა. მარტო ვეფხვს შეუძლია მთიელზე უკეთ მიეპაროს მძინარე სოფელს ბნელსა და ქარიშხლიან ღამეში, როდესაც თავს ვერავინ გამოჰყოფს თავის სახლიდან, ამ დროს არ დაიხსარუნებს მთიელის ხმალი, რომელიც ტყავის ქარჭაშშია. არ დაიწყებს პრივალს მაჟარი, რომელიც გახვეული აქვს შავ ბეწვიან ბუდეში ბრაგინურს არ აუყენებს იმისი ქალამანი, რბილი და მოქნილი კატის თათივით, არ დაიჭიხინებს იმისი ცხენი. დახელოვნებული, გავარჯიშებული ღამე სიარულში. მთიელის თვით ენა. რომელშიაც ნაკლებად არის ხმოვანი ასოები, არ გაამხელს და არ გასცენს, იმიტომ რომ იმისი ლაპარაკი უფრო ფოთლის შრიალს ჰგავს, ვიდრე ლაპარაკს. მარტო ვეფხვს შეუძლიან ისე მწრაფლად, უცაბედად თავდაუზოგავად დაეცეს კაცს თავს. როგორც მთიელი ესხმის“.<sup>3</sup>

ავტორი სცდება, რაც აღრე იყო წესად, შემდეგ ჩვევად იქცა. ერთ-ერთ ნატირლებში ასეთ გამოთქმას ვხვდებით, ქალი მმართავს დაღუპულ კაცს:

<sup>1</sup> Архиепископ Макарий, Введение в православное богословие, СПб., 1971, გვ. 48 — 49.

<sup>2</sup> Г. Гегель, Философия истории, соч. т. VIII, М., 1935, გვ. 89.

<sup>3</sup> ციტირებულია ვახ. „ივერია“, 1888 წ., № 165 (იხ. წიგნი: Сергей Меч. „Кавказ“, 1915 г., გვ. 69.

ქალი აქებს მამაკაცს, რომელმაც მოწინააღმდეგე გაძარცვა, რითაც ის სახელიანი გახდა; ხატის კულტის მსახური ამერიკელი ინდიელებიც მიმართავდნენ ღღევანდელი ეთიკისთვის უცხო ხერხებს.

როგორც ვნახეთ, ხატში არსებული წესი მის ყმებს საფუძველს უქმნიდა ყოფაში, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი (თემის, გვარის) ხატის ინტერესები დაეცვათ. ე. ი. ხატის ყმა თაყვანს სცემდა (ეშინოდა) მხოლოდ საკუთარ სათემო თუ საგვარეულო ხატს, ჯვარს; ბუნებრივია, უძველესი ხატის ყმათა ეთიკური სახე უცხო ხატის ყმათადმი უპატივემულობით იყო განპირობებული. სხვა ხატის (ჯვრის) ყმას თავისი ხატის სახელით ადვილად ქურდავდნენ, ატყუებდნენ. ასეთ საქციელში ცრუობა-ქურდობაში ამორალიზმს ვერ ხედავდნენ. შემდგომი პერიოდის მსოფლიო მონოლითური რელიგიები უძველესი (სათემო საგვარეულო) სახატეების წეს-ჩვევას მკაცრად ებრძოდნენ, განსაკუთრებით კი — ქრისტიანობა.

ცნობილია, რომ კავკასიაში ქრისტიანული წმ. გიორგის ხატიც ქურდობა-ძარცვას ხელს უწყობდა. გაზეთ „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი შენიშნავს, რომ „თუ რამ, დაიკარგება ახლო-მახლო სოფლებში, ხატში უნდა მიიტანონო!“

უძველესი წესით, ყოველგვარი ნაქურდული ხატის კარზე უნდა მოხედეს, ხატის კარზე უნდა გადაწყდეს, დარჩეს, ესა თუ ის ნივთი ხატში, თუ თემში განაწილდეს. ეს უძველესი წესი სხვა კუთხეებში აღარ შემორჩენილა. წმ. გიორგის უძველეს ხატს, სხვა კუთხეებში განაწილებას აღარ ჰკითხავდნენ, მას მხოლოდ ქურდობაში დახმარებას თხოვდნენ.

რევოლუციამდელ რუსეთში ქურდებისა და ყაჩაღების მფარველად წმინდა იოანე-მებრძოლი ითვლებოდა. ქურდი და ყაჩაღი სანამ ბოროტმოქმედების ჩასადენად წავიდოდა, წმ. იოანე-მებრძოლის წინ ანთებდა სანთელს და ლოცულობდა.

მკვლევარი ე. ი. იაკუშკინი, რომელმაც გამოიკვლია ქურდობის წინა ჩვევა, ლოცვა — ქრისტიანული წმინდა ხატის წინ ქურდობაში ხელის მომართვაზე, წარმართული ხანის გადმონაშთად მიიჩნევს. მკვლევარის აზრით, იგი ადრე ყოფიერებაში ფართოდ გავრცელებული წესის ნაშთია. იგი წერს, რომ იყო დრო, როცა ქურდობა დანაშაულად არ ითვლებოდა. «При господстве родового быта, при вражде родов всякое нападение на принадлежащего к враж-

<sup>1</sup> ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, I, 1956, გვ. 79—80.



დებნომუ როდუ, ვსაკოე იავნოე ილი ტაინოე პოხიშენიე იგო იმუ-  
შცესტვა, სჩიტალოსე ნე პრესტუპლენიემ, ა პოდვიგომ, დოსთოინიმ  
ვოსაკოი პოხვალე. Ⴢტო ბილო იპასნოე ვოენოე პრედპრიატნიე, პე-  
რედ ნაჩალომ კოტოროგო ისპრაშივალასე ბოჟესტვენნიე პომოშე,  
სსოვერშენო ტაკ ჟე, კაკ ი ვპოსლედსტვინი, პრი იზმენივშინქსე  
ფორმას ბიტა, იონა ისპრაშივალასე პრი ნაჩალე ვოსნნის  
დესეიშვიის».

ავტორი იკვლევს XIX საუკუნის 90-იანი წლების რუსეთის  
ყოფას და წერს რომ: იმ ხანებშიც ქურდის ხატზე ლოცვის დროს  
ქურდობაში დახმარების თხოვნა იშვიათი არ არისო. მაგ.: აფხაზებს  
ჰკუავთ ქურდობის და ყაჩაღობის მთარველი ღვთაება — ეირიკ-ხაც-  
ნისხ (თარგმანით „ყოველის ნხილველი ღღისითაც და ღამითაც“).  
აფხაზები ქურდობის წინ ოთხ პურის კვერს სჩუქნიან და ქურდობა-  
ყაჩაღობაში წარმატების შემთხვევაში ნაწილსაც ჰპირდებოდნენ<sup>1</sup>.

ასეთი წესი მითურ გმირთა დროშიც გადაგვარების გზაზე აღ-  
მძოჲნდა. ნოუსტენარი გმირები ხატის ყმებს სხვა ხალხთა დაპყრო-  
ბისა და ძარცვა-ქურდობისკენ მოუწოდებდნენ, რასაც შემდგომი  
ეპოქების პრივილეგირებული წოდება ხატსაცა და კაცსაც საკუთა-  
რი განდიდებისათვის იყენებს. გადმოცემით, „ქურდებს თავადები  
წვრთნიდნენ“.

თუ რამდენად დამკვიდრდა ჩვევად ქრისტიანულ ეპოქაში ქურ-  
დობის უძველესი წესი, მოვიყვანთ ამონაწერს წიგნიდან:

«В маршанском уезде Тамбовской губернии у пойман-  
ного с поличным конокрада был найден список следующей  
заклинательной молитвы «Во имя отца и сына и святого ду-  
ха, Амин, я, раб божий такой то, в мрачный путь и дорогу  
мою: навстречу мне сам господь Иисус Христос грядет из  
прекрасного рая, опирается золотым посохом, в золотом  
своем кресте; на правой стороне у меня мать божья, пре-  
святая богородица, с ангелами, архангелами, серафимами и  
со всеми небесными силами; с левой стороны моей архангел  
Гавриил, надо мной Михаил-архангел;! сзади меня раба бо-  
жия, Илья-пророк на огненной колеснице; он стреляет, очи-  
щает и дорогу мою закрывает святым духом и животворя-  
щим крестом господним. Замок, богомать, Петра и Павла  
ключами, амин.

<sup>1</sup> Ф. Зыбковец, О черной и белой магии, М., 1965, гл. 88. ციტირე-  
ბელა Е. И. Якушкин, Этнографическое обозрение, 1891 г., № 2, гл. 8.  
Е. И. Якушкин, Заметки о влиянии религиозных верований и предрас-  
судков на народные юридические обычаи их понятия.

გაზეთ „Новое Время“-ს კორესპონდენტი, — განაგრძობს მკვლევარი, რომელმაც ზემომოყვანილი ლოცვა გამოაქვეყნა, ამტკიცებს, რომ ტამბოვის გუბერნიის ყველა ქურდმა ეს ლოცვა ზეპირად იცისო.

დღესაც, — განაგრძობს მკვლევარი, გვხვდება ასეთი ლოცვები: მოჰყავს მაგალითი:

В одном из отделений милиции города Новокузнецка у задержанной спекулянтки был обнаружен листок бумажки, написанный какими-то каракулями. Оказалось, то была специальная молитва:

«Обидчивая божья мать  
Обидь моего обидчика,  
который меня обижает  
И разбери наши дела»

«Ежели тебя арестуют, то эту молитву полагается каждый день по три раза читать», — разъяснила спекулянтка.

На бумажке, кроме «ежедневной» молитвы, была записана еще и другая, ее рекомендовалось прочесть «3 раза, когда едешь на суд». Текст этой молитвы гласит (сохраняем ее в таком виде, в каком она была написана):

Как святы люди лежать  
Рук ног не поднимать  
Глаз не вытрищать

Зуб не скрещивают, так чтобы им глаза не витрищать на раба божья (имя), чтоб ваши зубы, руки, ноги, глаза, кости позамирили... Комментарий, как говорится, излишний.<sup>1</sup>

თემურ ყოფაში პიროვნება „მე“ გაერთიანებული იყო თემის „მე“-სთან. თემის კულტი კი მოითხოვდა პრივილეგიას, ამიტომ კულტის „კაი ყმები“ ებრძოდნენ და ჰპარავდნენ ყველას, ვინც თემის კულტიდან, ე. ი. თემის საერთო სანოვაგიდან შორს იდგა. თემის „კაი ყმები“ ამაყად დათარეშობდნენ სხვა თემებშიც. ასეთ საქმეში მათ ხელს უწყობდა და მფარველობდა თემის მფარველი ხატი.

ქურდობისა და ხატის ურთიერთობის უძველესი წესი დღესაც გვხვდება, როგორც ჩვევა ჩამორჩენილ საზოგადოებაში.

<sup>1</sup> В. Ф. Зыбковец — დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

## ხარისა და ირმის კულტი კველ საქართველოში

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მფარველი ღვთაებები ხალხს ყოველგვარ საქმეში დამხმარედ წარმოედგინათ. ამის შესანიშნავ მაგალითად მოვიყვანთ ლექსს: „სიკვდილმა თქვა ზღვასა გამავედ“...

„სიკვდილმ თქვა: ზღვასა გამავედ, ზღვა ჩქეფთ გამავიარე,  
გადავქედ ჭორსა ცხვირ-თეთრსა, ხმელეთი შამავიარე,  
კინკილით ამავიარე შატლის ქალა კლდენია,  
შამავეხედ გიორგ წმინდასა, დამიხედა ქვასიპიანი,  
დათვისჯვარ შამაშეგება გიორგი პიროფლიანი,  
ვაიშე, დამრჩა ხახმატი, მართული ქალ-ვაჟიანი!  
გუდანის თავ რო გავხენე, ბულა ბუბუნებს რქიანი.  
ლიქოკის ღელეს შამავეხედ — დაღალულ პიროფლიანი,  
კოპალამ არ ჩამიტოვა, დამიხედა ფარ-შუბიანი,  
ფშავისკე გადაუხენე, ვარდნი ყვაოდეს იანი,  
ჩაუღდეგ, ეგრე ჩავთიბენ, რო კაი ცელმა თივანი“.<sup>1</sup>

ლექსიდან ჩანს, რომ სხვადასხვა თემს სხვადასხვა ღვთაება (ძალა) მფარველობს.

ბოროტი ძალა სოფ. გიორგიწმინდაში ხატმა არ შეუშვა. სოფლის სალოცავი სხვა ხატებთან შედარებით, წმინდა (ბროლის, ნაწილიანი) ქვების სიუხვით გამოირჩევა; დათვის ჯვართან „პიროფლიანი“, თავის საყმოს სიკეთისათვის მებრძოლი გიორგი დახვდა; ძველისძველმა ხახმატის ჯვარმა თავისი მრევლი „გადაავიწყა“; ლიქოკის ხეობას „ფარ-შუბიანი“ კოპალა ედგა დარაჯად, ხოლო გუდანის ხატი ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად ბულის ალით ჩნდება.

ამჯერად, შევჩერდებით ბულაზე (ხარი), როგორც მფარველი ღვთაების სახეზე.

ცხოველი, როგორც ღვთაების წარმოსახვის (სიმბოლური) საშუალება, ქართული მითოლოგიისათვის უცხო არ არის და მარტო ბულის სახითაც არ გვხვდება. მაგალითად, ხეცსურთა საამაყო მითური გმირი — კოპალა — ირმის სახეს იღებს. ღვთაება კოპალა ჰყვება:

„წყალზე გამალა მიქამა,  
ხელთ მამცა ვერაშპიანი.  
წყლის პირზე ამოვდიოდი,  
ირემი ვიქენ რქიანი.“

<sup>1</sup> ალ. თაყაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

თუშებმ მესროლეს ისარი,  
ფოცხ-მაკრატელა ფრთიანი.  
სიმურშია გადავიჩქვიფე,  
რქის წვერთ გაიღეს ძგრიალი".<sup>2</sup>

ღვთაებათა სახით წარმოდგენილ ცხოველებს მარტო ქართული მითოლოგია არ იცნობს. ანტიკური ქვეყნების მითოლოგიაში ღვთაებათა გარდასახვის უამრავი მაგალითი გვხვდება (მაგ., ეგვიპტური ოზირისი, ბერძნული ზევსი, ინდური ვიშნუ და სხვ.).

გუდანის ხატი ხევსურეთის უძველესი სალოცავია. მისი გავლენა მთელ ხევსურეთზე ვრცელდება. სწორედ ამ ხატის სიმბოლურ სახედ გამოჩნდა ბულა. შესაძლოა, ამ შემთხვევისათვის ყურადღება არ მიგვექცია, მაგრამ მისმა საინტერესო პარალელმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ბულა ჰქვია, აგრეთვე, ღვთისშვილების წინააღმდეგ მებრძოლ შეუპოვარ დევთა ერთ-ერთ ბელადსაც.

დიდ ქართველ მწერალს ვაჟა-ფშაველას ასეთი ლეგენდა ჩაუწერია:

მოდმეთაგან გაგდებული... „ღევი კი გაიქცა და ვერხველაში გამოჩენილს დევს — „ვერხველის ბულას“ შეეხიზნა. ვერხველის ბულამ თანამოდმეს შემწეობა აღმოუჩინა, კოპალას შეება და თითქმის დამარცხებაც დაუპირა, მაგრამ კოპალას მთავარანგელოზი მოეშველა და მოაკვლევინა „ვერხველის ბულა“.<sup>3</sup> ამრიგად, ბულად გვევლინება გუდანის უძველესი ღვთაების (კეთილი) ძალა და იმავე სახელით გვხვდება, აგრეთვე, დევთა ბელადიც (ავი ძალა). შესაძლებელია ეს მომენტი მოულოდნელადაც არ მივიჩნიოთ, რადგან ცნობილია, რომ ხატი ქრისტიანობამდეც ძლიერი სალოცავი იყო, ხოლო ქრისტიანობამ ყველა ძველი ღვთაება ავ ძალად გამოაცხადა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დევების სახელად მარტო ბულა არ გვხვდება.

„სახელოვანი“ დევების სახელებად გვხვდება: ბელელაც, მუზაც, ავთანდილიც და სხვ. მათ შორის კი გამოირჩევა და ხშირად იხსენება ბელელა. მაგ.: „ბელელა ყოფილა დევების მეფე და დიდი მეომარი ყოფილა“.<sup>4</sup>

„...იასხარს იორზე ადგილობრივ ხაშარს უნდა ამოეწყვიტა დევები. აქ სახელგანთქმული დევები ცხოვრობდნენ — მუზა და ბელელა“.<sup>5</sup>

1 ხატის ენაზეა, ამ შემთხვევაში წყლად უნდა ვიგულისხმოთ.

2 ხალხური საბრძნე, IV, 1965, გვ. 281.

3 ვაჟა-ფშაველა, 1964, ტ. IX, გვ. 79.

4 თ. ო ჩ ი ა უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

5 იქვე, გვ. 145.

„...დევეები ცხოვრობდნენ ციხეთგორს, კართანაში, ერთი ხელმწიფე ყავდათ. მათი ფალავნები იყვნენ მუსა, ბელელა და ავთანდილი.<sup>1</sup>

„...დევეებმა ირემთ კალოზე დაიბარეს ფალავნები. ხაშარით ბელელა, კართნით მუსა და ავთანდილი. სხვა დევეებიც იქ იყვნენ“.<sup>2</sup>

დევი ბელელა ხშირად ზელმწიფედ ან მეფის მეუღლედ გვევლინება. იგი ძალ-ღონითაც გამოირჩევა. კობალა და იახსარი დევებთან ბრძოლის დროს პირველ რიგში ბელელას ჰკლავენ. ბელელას სიკვდილი სხვა დევებთან ბრძოლას უადვილებთ“... როცა საპარავის ყელს ბელელა მოკლა (კობალამ — ბ. ა.), მაშინ ჩავიდა იქ და იქაური დევეებიც ამოწყვიტა“.<sup>3</sup> კიდეც:

„...იმ დღეს, რომელიც დანიშნული იყო, ყველამ იქ მოიყარა თავი. ხოლო ხაშარით ბელელა არ მოვიდა, მას იახსარმა შეუტრა საპარავის ყელში გზა. აქისავ მომავალს ლახტი დაჰკრა და იქვე მოკლა. მერე ჩავიდა ხაშარს იახსარი და იქაც ამოწყვიტა დევეები. თუ სადმე იორზე კიდეც იყო დევეების ოჯახები, იახსარი დაჰყვა და ყველგან ამოწყვიტა“.

„დევნ ყოფილან ხევსურეთში სრუ, სანამდე, ე კობალას. — გმირი განთიშვილებული, არ გაულუპიან. ზეპირ უდენავ. შემჩ კვირაე ხყვანიე შუამავალი. შაუყრიან კობალაიდ ჭდანა ბელელაი. ციხეთგორ დევნ ყოფილა. გამოუსრევიან ქვან ბელელიასად, ჩამაურევეე. კობალას გამოუსრევეე. შაუცილებიან დევის გამასრეულის ქვისად. — კვირაემ წამამიკრაე მათრახის წვერიე, აახლა ატანებიებს ქადაგს“.

სახელი ბელელა ტოპონიმებშიაც არის დამკვიდრებული.

„ამათ გადაუწყვეტია, რომ ეომა ეხოცა ეს დეეები და თათბირი ჰქონია კობალასა და იახსარს, ბელელთანას ეძახიან, ადგილის სახელია“.<sup>4</sup> ამავე დროს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხატ-სალოცაეებში არსებობს ოთახი, რომელსაც ბელელს უწოდებენ. აღნიშნულ ოთახში ინახება ხატის სალოცავის აუცილებელი ნივთები, ხატის საგანძური დროშა, ვერცხლის თასები, ვერცხლის შიბები და ფულებით შემკული, სახუცო კოჭობები, ვერცხლის ხატ-ჭყრები

1 თ. ო ჩ ი ა უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

2 იქვე, გვ. 156.

3 იქვე, გვ. 253; ვაჟა-ფშაველაც იყენებს „ბელელას“, დევის სახელად „კობალა“.

...სად შიპრბი, ნეტაე, ბელელაე, სასჯელს სად ჯაეშორები?!

„წამყეთ ჩემთან, ჩემო მამასწევრაე... ბელელთა ბელელაი ვარეე!“

(სტენა მთაში) — ვაჟა-ფშაველას შირიე ლექსიკონი შეადგინა ალ. ჰინჭარაულმა, 1969.

4 თ. ო ჩ ი ა უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

და სხვ. ხატის ბელელს ამავე მოვალეობას აკისრებს ვაჟა-ფშაველაც. „სამნი წავიდნენ საჭარეს (ე. ი. ხატში — ბ. ა.), შაალეს ბელლის კარია, გამააბრძანეს დროში, წმინდის გიორგის გვარია („გალაშქრება“).<sup>1</sup>

ხშირად ხევესურები (გულდანის) ხატს და ბელელს ერთმანეთის სინონიმებად გულისხმობენ, მაგ.:

„სანეს შეყრილან ხევესურნი, ნარჩენნი თემ-თემისაო,  
დასვეს ბელლის ქარს ქადაგი ლალის გულდანის ჟერისაო“.<sup>2</sup>

კიდევ:

„ავარდა ერთი ურჭულო, ნეიფი თათრის ხანო;  
ერეკლე გულან მოგვივა, შამაიხიენა უმანო.  
თავ-თავ ხევესურსა იკითხავს: „ხევესურთ ვინა გყავთ თავიო“?  
ხევესურ იმედას მოუვლენ, ბელლის გაგვილე კარო,  
გამოგვიბრძანე დროშანი, სამივ აგვიბი ზარო,  
ხევესურებ დაგვიმწყალობნე, წყრომით არ გაჰყვეს ჟვარიო“.<sup>3</sup>

და სხვ.

ბელელს დღეს, საქართველოში სურსათის შესანახ ადგილს უწოდებენ. უნდა გავიხსენოთ, რომ სურსათი — ადამიანის საკვები ნივთიერებანი — ანიმისტური თვალთახედვით, წმინდა სულიერ არსებებს შეიცავენ; მათ კრებულს კი, ე. ი. უამრავი სახის საკმელს, იგივე მრავალნაირი ძალის კეთილ სულიერ არსებათა კრებულს ბელელს უწოდებენ, რაც იგივე კეთილ სულიერ ძალთა საკრებულოა: სურსათის შესანახი ადგილის სალოცავ ადგილად გადასვლის გზა ნათელია; ბელლის საერთო სახალხო სალოცავ ადგილად აღიარება გვაროვანი წყობის პერიოდშია სავარაუდებელი, როცა გვარს სურსათი საერთო ჰქონდა; ხოლო შემდეგ ხატის წმინდა ინვენტარის, ძალის, შადლის სამყოფ ადგილად იქცა.

ეთნოგრაფი ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ ხატის ბელლებს ტაძარ-ბელლად იხსენიებს. ომალოში (თუშეთის) ხატის ბელელი „წმ. მარიაშის“ ტაძრის სახელს ატარებს. ბევრგან კი ტაძარ-ბელლებს საბეროდ იხსენიებენო“, — წერს მკვლევარი<sup>4</sup>.

ხატის სულიერი ძალის გამომსახველი ნივთების შესანახ საკუქნაოს ბელელი ჰქვია. ამავე დროს ავძალის სახელადაც გვხვდება ბუ-

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა, ტ. V, 1961, გვ. 72.

<sup>2</sup> ს. მაკალათია, ხევესურეთი, 1934, გვ. 42.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 40.

<sup>4</sup> ვ. ბარდაველიძე „ბელელს“ უძველეს ტერმინად აცხადებს, ხოლო მისი ლინგვისტური მონაცემების გარკვევაში ეყრდნობა ცნობილ ლინგვისტთა კლავის შედეგებს (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციულ-საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. 1, 1974 წ., გვ. 17-18); ნ. მარი კანური ბალუს-

და და ბელელა<sup>1</sup>. ასეთი დამთხვევა შემთხვევითად არ უნდა მივიჩნიოთ.

აქაც მიზეზად ქრისტიანული ეკლესიის ძლიერება და ბრძოლისუნარიანობა უნდა ვიგულისხმოთ, რომ წარმართული საქართველოს სალოცავი, ინვენტარის შესანახი ადგილი, მანუ ადგილად გამოაცხადა, საიდანაც დევის სახელამდე მანძილი ხელში გვიჭრება.

ირაკვევა, რომ ხატის სულიერი ძალა, რომელიც ბულის სახითაც გვევლინება, ბელელშია „დაკუმშული“, შენახული.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით, პირველ რიგში ბულად დაუკოდავი ხარი იხსენიება<sup>2</sup>. ხარი კი ქართული მითოლოგიის განუყრელი ნაწილია.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ხარი „ხატის ცხოველად“ არის მიჩნეული. წარმართული საქართველოს საკურთხეველებზე იგი ერთ-ერთი პირველი შესაწირი იყო. ადრე მონადირული ხანის საქართველოში, პირველ შესაწირ ცხოველად ირემი ითვლებოდა. ადამიანთა ყოფიერებაში მეურნეობის წინა პლანზე წამოწევამ კი ღვთისაგან არჩეულ ცხოველად ხარი გამოიყვანა, ამიტომ ქართულ მითოლოგიაში ეს ორი ცხოველი ერთმანეთს ცვლის და ავსებს. სვანურ მზის სადიდებელში ასეთი სტრიქონები გვხვდება:

„ლილევდა, დიდება შენდა  
დიდება შენდა, ზეციერო!  
ოქროსი გიდგას სრა-სასახლე,  
გარს აკრავს ოქროს გალავანი.  
გალავნის ძირას ირშებია.  
ქიმ-ქონგურებზე შევარდნები  
შენს საღმრთო ხარებს, მეუფეო,  
რქები ადგათ — რქები ოქროსი.  
იალაღებზე ბულრაობენ,  
ირყევიან დიდი ქედები“<sup>3</sup>

(ამბარ) ადარებს ქართულ ბელელს და ბელოს, ე. ო. ქართულად ბელოს მისთვის ბელელის მნიშვნელობა აქვს (Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем СПб 1910 г. გვ. 10; ი. ყიფშიძესთანაც შეგრული ბაღე ქართული ბელოა) И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (и сверского) языка с хрестоматией и словарем, СПб, 1914 г. გვ. 202. შეკლუვარი კლიშოვის აზრით, ბელელსა და ბაღუ-ს ზანურ-ქართული ენების ერთიანობის პერიოდში ერთი ძირი ჰქონიათ. Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 50.

<sup>1</sup> შუა აზიის ხალხებს დევები ბულის სახითაც ჰყავდათ წარმოდგენილი (О. Мурадов, Представления о девах у таджиков средней части долины Зеравшана, «Советская этнография», 1973, გვ. 152), № 1.

<sup>2</sup> ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 1961, გვ. 157; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950.

<sup>3</sup> ირინოლა, სვანური ხალხური პოეზია, თარგმ. დ. წერედიანმა, გვ. 9.

სვანურ სადიდებელ „ბარბოლ-დოლაშის“ მიხედვითაც ორივე ცხოველი ითვლება მხარის სიმდიდრედ:

„შეგვეწიე, ბარბოლ-დოლაშ.  
სამსხურაპლოზე ძღვენი გვიღვეს,  
ხილვა გვინდა შენი სახის  
შენი ტვირთის ზილვა გვინდა.  
წვეთავს ირმის საესე ძუძუ,  
თეთრად რჩება ირმის კვალი,  
კლდეებიდან გადმოადნ  
რძის და თაფლის უშრეტ სარაგს.  
მზე შემოაქეთ რქებით ხარებს  
მზე შენია, ბარბოლ-დოლაშ“.<sup>1</sup>

ეს ორი ცხოველი ქართულ მითოლოგიაში პირველი ადგილის დასაკავებლად თითქმის ერთმანეთს ეჯიბრებიან. ირმისა და ხარის რქების სახატეში მიტანა ჩვეულებრივი მოვლენაა. მათ წმინდა ცხოველობაზე მრავალი თქმულებაა აღნუსხული. თვითშეწირვის ცნობილი ლეგენდით ადრე ირემი იყო ნავარაუდები, შემდეგ (ილორის წმ. გიორგის და სხვ. თქმულებები) ხარის თვითშეწირვაც გამოჩნდა.<sup>2</sup> მითი ირემზე ზღაპრებშიაც გვხვდება, იგი ჭაბუკს ზრდის და გმირობის ჩადენაში ეხმარება.

ირემი, როგორც ხარი, საკულტო ცხოველია, მის მაგიურ უნარზე გადმოცემას მრავალ ზღაპარსა და თქმულებებში ვხვდებით: მაგ., ზღაპრებში ჭაბუკი ირმის რქების დახმარებით ღმერთს (მზეს) სწვდება.<sup>3</sup> ცნობილია, რომ საქართველოში ირმის დაკვლა — ხატში ღვთაების პირველ შესაწირად ითვლებოდა. ხოლო მწერალი აკადემიკოსი დემნა შენგელაია, ირემს კაცთ პატრონად (ოჩოპინტელ) ცნობს.<sup>4</sup> ზღაპრული გმირი ბიჭი ირემზე გადახტომით ქალად იქცევა და სხვ. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ირემი, საქართველოსა და კავკასიაში როგორც ბევრი სხვა ცხოველი, „ნაწილიან“ ცხოველად და ტოტემად იყო მიჩნეული. გვხვდება ქართული გვარი ირემაძე და ირემაშვილიც.

მითურ გმირს ხარებიც ეხმარებიან.<sup>5</sup>

საქართველოში „რძის გზას“ ირმის ნახტომსაც უწოდებენ. ზოგან „ხარის ნაქლიკს“ ეძახიან. გვაქვს გადმოცემაც: ღმერთს ხარი

<sup>1</sup> ირინოლა, სვანური ხალხური პოეზია, თარგმ. დ. წერელიანმა, გვ. 61.

ხარი და ირემი, როგორც ერთმანეთის შემცველი, მართო ქართულმა მითოსმა არ იცის, მასზე მჭელობენ უცხოელი ავტორებიც, ქერძოდ: А. А. Потебня. О мифическом значении некоторых отрядов и поверий, М., 1865, გვ. 35, 49.

<sup>2</sup> დონ ჭუზეზე მიდანელი, წერილები საქართველოზე — 1961, გვ. 97.

<sup>3</sup> პ. უშიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, III, თბ., 1964, გვ. 185, 194.

<sup>4</sup> დ. შენგელაია, თხზ., ტ. II, 1968, გვ. 462.

<sup>5</sup> ხალხური სიბრძნე, 1964, II, გვ. 136.



და ირემი შეუჭიბრებია — ცას კიდიდან კიდემდე ვინ უფრო ადრე გაივლისო. ირემი გაქეულა, ბოლომდე ვერ მიულწევია და მომკვდარა. ხარი დინჯად წასულა, გვიან, მაგრამ მაინც მისულა. გადმოცემა სოფლის მეურნეობის წინა პლანზე გადმონაცვლების ხანასუნდა მიეკუთვნოს; სწორედ ამ პერიოდში იქცა ხარი ღეთის შვილად.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ღმერთი ადამიანებს ეკლესიის ასაშენებელ ადგილს ხარების მეშვეობით ანიშნებს. მაგ., „ხარები გაუშვიათ, ხარი მალლა მთაზე გაჩერებულა და იქ აუგიათ ეკლესია“.<sup>1</sup> ხევის სალოცავ ნიშს სპარს-ანგელოზის სახელი ხარზე გადმოცემამ დაუმკვიდრა. სპარსეთიდან წამოსულ ტყვე ქალს წინ, ხარის რქებზე მჯდომი ანგელოზი მიუძღოდა. ასულა ხევში და ამ მთაზე გაჩერებულა. ადრე კი ამ სალოცავს წვერის ანგელოზი რქმევია.<sup>2</sup> გვხვდება გადმოცემა, სადაც ხარს ხატი გადააქვს. ხართან არის დაკავშირებული უამრავი გადმოცემა ეკლესიის აგების შესახებ. ქართული გადმოცემით ხარის სული ცაში იმყოფება და საქონელს მფარველობს. მრავალ ეკლესიაზე და მათ შორის საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიაზე ხარებია გამოსახული; აღმოსავლეთის ფსაღზე ხარების ბარელიეფია, რომელთაც რქებზე ანგელოზები სანთლებს უნთებენ. ნიკორწმინდის ტაძარზე გამოსახულია ხარი (ზებუ ჩრდ. ირანი). ხარის კულტი, როგორც ქართული გადმოცემებიდანაც ჩანს, ირანიდან შემოდის. მკვლევარი მაცულევიჩი შენიშნავს, „მიუხედავად იმისა, რომ გამოსახულებათა ლიტერატურული შინაარსი ნიკორწმინდის სტოაში მთლიანად უცხოა... ისინი თავის საფუძველში მაინც ატარებენ (უმრავლეს შემთხვევაში) წინაკლასობრივი საზოგადოების ტოტემურ და საკულტო კოსმიურ წარმოდგენათა სახეებს. იგი ადვილად შეიძლება ადგილობრივი სემანტიკით გააზრებელიყო“.<sup>3</sup> საერთოდ კი ქრისტიანული ეკლესია უძველეს ტოტემურ სახეებს არ უარყოფს და მისი წარმოდგენის გარეგნულ მხარესაც გარკვეულ ადგილს უთმობს. რაც შეეხება ხარების გავრცელებულ სახელებს — ლომა, ნიკორა,<sup>4</sup> ნიშა და სხვ. საკულტო სახელებს ადვილად შეიძლება მივუახლოვოთ.

ნამცხვარზე გამოსახულ ხარის (სვანეთი) თავს „დიდი ღმერ-

1 თსუფა № 11477.

2 С. И. Макалатия, Культывые места и связанные с ними ритуальные обряды (у грузин-мохевцев). Акад. Наук, СССР, 1935, გვ. 518.

3 დ. მაცულევიჩი, ნიკორწმინდა და მისი ადგილი ქართულ კულტურაში. ენოქის მოამბე, ტ. III, ტფ., 1938, გვ. 42.

4 სიტყვა ნიკორაზე მსჯელობს ნ. შარიტ. Н. Марр, Избранные работы, т. V, გვ. 191—231.

თის“ ემბლემად აღიარებენ.<sup>1</sup> მკვლევარი თ. ოქროშიძესაც მიაჩნია, რომ ხარი (ბაბუა) ადამიანთა წინაპრად მიიჩნეოდა.<sup>2</sup> გვხვდება ფულზე გამოსახული ხარისთავიანი კაცი<sup>3</sup>, ხოლო თემიდან პიროვნების „მე“-ს გამოყოფის შემდგომ, პიროვნება — გმირებს ხარის სახელწოდებით იხსენიებენ. მაგ.: უშიშა წამაიყვანეს ხარი საფიხნოს ზისაო<sup>4</sup> და სხვ. ხარი ღმერთმა ადამიანების დასახმარებლად და ნუგეშად გამოგზავნა, ხალხი პირდაპირ მიმართავს:

„ხარო, ხარი ვინ დაგარქო,  
ხარო, სახე მშვენიერო,  
ჩვენ ნუგეშად მოვლენილო,  
ქედნაკურთხო, ღონიერო“.

ხარი ამართლებს ღვთის დავალებას. შეუსვენებლივ ეხმარება ადამიანებს:

„ხარმა თქვა, პირმა ნათელმა  
გამოვათავე ალოო,  
ახლა შინისკენ მივდივარ,  
უნდა გავმართო კალოო“<sup>5</sup> და სხვ.

ცხოველთა „თვითშეწირვის“ უნარზე ქართულ ზეპირსიტყვიერებაში უამრავი მასალა გვხვდება; აი, ზოგი მათგანი:

„ყოველ მესამე წელს გარბანელები (ხევი) საერთო ხარჯით კურატს ყიდულობენ და როდესაც დეკანოზები სიონიდან გარბანის წმ. გიორგის ხატს გამოაბრძანებენ, სიონის ტყესთან ამ კურატს მიაგებებენ, მუხლს მოიყრიან და იტყვიან: „წმინდა გიორგი, ეს შენი საწირიაო“. კურატს იქვე გაუშვებენ, ის გარბანის ეკლესიაში გაიქცევა და იქ ეზოში დადგება, ან დაწვება. დეკანოზები ხატებით გარბანის ეკლესიაში მივლენ და ხალხს დაამწყალობლებენ.<sup>6</sup> სხვა ვარიანტებში ხარი სამჯერ შემოუვლის ეკლესიას გარშემო და შემდეგ დაწვება კიდევ:<sup>7</sup>

„ვარშნის ეკლესია როა (ხევი), მანდ საგიორგობოდ მესამე-მესამე წელს იკლოდა ხარები. გაგონილი მქონდა, რომ ხარი, რომელსაც აქ დასაკლავად გაამზადებდნენ, თვითონ წავა და დაწვება ეკლესიასთანო. ერთხელ წავედი საყურებლად, სოფელს ამ ხატში

1 ვ. ბარდაველიძე, სვანური ხალხური კალენდარი, 1939, გვ. 97.

2 ქართული ფოლკლორი, ტ. II, 1969, გვ. 136, 145-6.

3 კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა, თბ., 1950, გვ. 26, VI, № 3.

4 აკ. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

5 იქვე, გვ. 54.

6 ს. შაკალათია, ხევი, 1934, გვ. 219; თსუთა № 3886.

7 თსუთა № 3386.

დასაკლავად ხარი ნაყიდი ჰყავდა, დააკრეს სანთლები რქებზე, გამზადეს და გაუშვეს. ხარი თვითონ მივიდა ხატში“.<sup>1</sup>

ზოგ სალოცავში ხარის მოყვანას ხატში წმინდა გიორგის უკავშირებენ, ხარს წმ. გიორგი იჭერს და ხატში მიჰყავს. მოვიყვანოთ ევროპელი მოგზაურის ჩანაწერი:

„ილორი ზღვასთან ახლოს მდებარეობს, პატარა სოფელია, სადაც აქა-იქ გაფანტულია ოცდაათამდე სახლი. აქ არის წმ. გიორგის სახელობაზე აშენებული ვერცხლის კარებიანი ეკლესია. ეს ეკლესია დიდი თაყვანისცემის სიმბოლოდ არის გადაქცეული. ამ ეკლესიაზე ამბობენ, რომ წმინდა გიორგი ღამის თვისას, მის ღღესასწაულს რომ უსწრებს, ერთ ხარს იჭერს და ღამით ეკლესიაში ამწყვდევსო. ღამის სათევად მთავარი დადიანი აქ მობრძანდება ხოლმე, რომ მის სასწაულს დაესწროს. საღამოს ეკლესიას მაგრად ჰკეტავენ და ვერცხლის გასაღებს მთავარს ჩააბარებენ. დილით დიდძალი ხალხი იყრის თავს, რომ მოწმე გახდეს ასეთი საოცრებისა. მთავარი გასაღებს გადასცემს მღვდელს, ალებენ კარებს, შედიან შიგნით და ხედავენ ხარს. გამოჰყავთ გარეთ და ჰკლავენ. როგორც ნაკურთხ ხორცს, დადიანი მას შეზობელ მთავრებს უგზავნის, რაც დარჩება მთავრის სუფრაზე, დიდ თავადთა შორის ნაწილდება. ამ დღეს დადიანი და მასთან მყოფნი, წმინდა გიორგისადმი ერთგულების აღსანიშნავად ამ ხარის ყანწით სევამენ ღვინოს“.<sup>2</sup>

საქართველოში (კავკასიაში) ირმის „თვითშეწირვაზე“ მრავალი თქმულებაა. ევროპელი მოგზაური იმავე მონათხრობში შენიშნავს: „ამბობენ, წმინდანს ჯერ თურმე ირემი მოჰყავდა, მაგრამ ვინაიდან (ჩემი აზრით) ირემი ძნელი დასაჭერია, იგი ხარით შეცვალესო“<sup>3</sup>, — შენიშნავს ავტორი.

როგორც ვხედავთ, ხარზე ადრე ირემი მიდიოდა შესაწირად საკულტო ადგილას.

ირმის „თვითშეწირვა“ მართო ამ მაგალითით არ ამოიწურება. მოვიყვანოთ სხვა გადმოცემებიც. სოფ. საქარაში (ზესტაფონის რაიონი) „...ყოველ მთავარ ანგელოზობას, ნაშემოდგომებს შორის გაღმა ტყიდან თურმე ირემი საყდრის გალავანში, დაწვებოდა და დაიწყებდა ნაცობრობას. მევიდოდა ხალხი და დააცდიდა, სანამდი დეინაცობრებდა. მერე დაკლამდნენ და შეწირამდენ. ყველას უნდა რგებოდა მისი ხორცი.“

ერთ წელიწადს თურმე დაავიანდა მოსკლა ირემს, დაღონდა

<sup>1</sup> თსუთა № 3451.

<sup>2</sup> დონ ჯუზეპე ჯუდიჩი მილანელი, წერილები საქართველოზე, 1964, 33-97.

<sup>3</sup> იქვე.

ხალხი, მარა შევიდა მერე თურმე და ხალხმა იმის შიშით, რომ არ წვეიდეხო, დანაცობრებამდის დაკლა. ამაზე განრისხდა ღმერთი და იმის შემდეგ ირემი აღარ მოდიოდა“.<sup>1</sup>

ცნობილია ასეთივე გადმოცემა ხარაგაულის კახორის წმ. გიორგის სალოცავზე. აქაც მოდიოდა ირემი და თვითონვე ეწირებოდა, იკვლებოდა. აქაც აცლიდნენ ამოცოხვნას, შემდეგ კი „რატომღაც აღარ მოვიდა“.<sup>2</sup>

საქონლის, გარეულის ან შინაურის, „თვითშეწირვა“ დანარჩენ კავკასიელ ხალხებშიც გვხვდება, კერძოდ, ჩეჩენთა რწმენისთვისაც დამახასიათებელია ირმის „თავშეწირვა“.<sup>3</sup>

კავკასიაში „თვითშეწირვის“ სახეობაც გვხვდება. ერთ-ერთია ნადირთ მწყემსების მიერ „გამეტებული“ ნადირების მოკვლა მონადირეების მიერ. ასეთი თქმულებებიც უნდა დავიყვანოთ ნადირთ „თვითშეწირვამდე“, მხოლოდ ყურადღების გამახვილებაა აუცილებელი ნადირთ მწყემსების არსზე; ისინი ხომ სულიერ, უზორცო ნადირთ მფარველ არსებებად არიან ნაგულისხმები. გადმოცემებში კი მათ ბედს სწორედ სულიერი არსებანი სწყვეტენ.

მაგალითი:

„ჩიხვებზე წასულან ორი ძმა. უფროსი ცალკე წავიდა და უმცროსი ცალკე. დაულამდა უფროს ძმას, შევიდა ეხში (გამოქვაბული) დაიწერა პირჯვარი და გამოქვაბულის ადგილის დედას სთხოვა დახმარება. დაიძინა. მძინარეს ესმის ვიღაცის ძახილი. გაიღვიძა:

ქორწილში მპატყებენ და შენც წამოდი, — უთხრა დევმა.

მონადირემ ჯერ უარი უთხრა, ბოლოს დათანხმდა. ქორწილში დევი არიგებს მონადირეს:

— რო დაგესხავენ, ღვინოს წამოარიგებენ, არ აილო, არც ჭამო. ჩამოარიგეს ჭიქები, მოვიდა ჯერი, არ გამოართვა.

— ორ-სამს მოჰკლავო.

ახლა მესამე, მეოთხე, მეხუთე... მეცხრე. არც მეცხრე გამოართვა — ცხრას მოჰკლავსო.

მეათე წყება რო ჩამორიგდა, „გამოართვიო“. — დევმა უთხრა და გამოართვა. მერე გაშალეს სუფრა. ცხრა ჩიხვი მორეკეს, დახოცეს, დაკაფეს, ჩაყარეს ქვაბშიც და მოხარშეს. დევმა უთხრა:

— ერთი გალო შეინახეო. არ ნახონ ისეო.

მონადირემ შეინახა ძვალი, დამალა.

დაამთავრეს პურის ჭამა. ჯოხი წამოჰკრეს, ძვლები მოკრიფეს.

1 თსუფა № 2200.

2 თსუფა № 2560; ბ. აბაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

3 П. Надеждиңи, Природа и люди на Кавказе и за Кавказом, СПб, 1969 г.

ჩიხვები ცოცხლად გამოდიან. მარა ერთი ძვალი დააკლდა (ჩიხვში რო უღევს) ჰოდა, გაუკეთეს ხის.

„აღე, აღე ხეკეპაო,  
ხისა გიზის ბეკეპაო, — უთხრეს“.

რო დაამთავრა ქორწილი, წამოვიდა სტუმარ-მასპინძელი მოვიდნენ გამოქვაბულში. გათენდა, ადგა მონადირე, წავიდა ჩიხვებზე სანადიროდ. ერთგან ნახა ცხრა ჩიხვი. ესროლა და ცხრავე მოკლა. მიიღეს სახლში, გაატყავეს. ერთს ხის ძვალი გამოაჩნდა. თურმე ისინი დაუხოცია, დევებმა რო შეულოცეს...“<sup>1</sup>

მონადირე ჰკლავს სწორედ იმ ჩიხვებს, რომლებიც იმ ლამეს „ნადირთა მწყემსებმა“ მიირთვეს ქორწილში, ამის დამამტკიცებლად ხის ბეჭიანი ჩიხვია; ე. ი. ჯერ სულიერმა არსებებმა გადაწყვიტეს ჩიხვის ბედი რომელი ჩიხვი „შეიწირონ“, ხოლო მეორე დილა ალთქმულის სისრულეში მოყვანას ღვთისაგან რჩეულ მონადირე ანდობენ.

ჩიხვზე მონადირის სიზმარეულ თქმულებას ვხვდებით აგრეთვე რაქულ გადმოცემებშიც.

„გამიგონია სიზმარივით ყოფილიყო ერთი თაზი ზონაშვილი. ის ყოფილიყო კაი განთქმული მონადირე. წასულა სანადიროდ და დაეპატონა ყე-ანგელოზებს. მოუკლავს ნადირი და ახლა შემოუყრია — ყე თავი, გამოქვაბულში. ცეცხლი დაანთეს და ნადირი მოხარშეს. ჰამის დროს ერთი ბეჭი ძალს გადაუგდო მონადირემ. ძალმა შეკმა — ანგელოზებმა ძელებს მოუყარეს თავი, ბეჭი ვერა ნახეს, არყის ბეჭი გაუკეთეს, „ხის ბეჭი“. „თაზის ბედიც გქონიაო“, — ანგელოზებმა უთხრეს. გაცოცხლებულა ნადირი და წასულა“, სწორედ ის ნადირი მოკლა თაზიმ.<sup>2</sup>

ერთ-ერთ ტექსტში ნადირთ მფარველები გარკვევით ამჟღავნებენ თავიანთ სურვილს, მისცენ თუ არა მონადირეს ჩიხვი მოსაკლავად, ანდა, რომელი ჩიხვი გაიმეტონ. მაგალითად:

„კლდეშ გაღასძახა კლდესაო  
— „ნაწუკა არი ჩენსაო“,  
ჩიხვსა გვთხოვს მეტად სუქანსა,  
თორემ არ შეება მკლესაო“.  
— წადი, მიეცი ი ჩიხვი,  
არყი რო უზის ბეკსაო“<sup>4</sup>

<sup>1</sup> თსუფა № 1218; ფ. არქივი 101.

<sup>2</sup> შ. ძიძიგური, ძივბანი ქართულ დიალექტოლოგიიდან, 1951 წ., გვ. 247.

<sup>3</sup> კლდე აქ ადგილის დედად უნდა ვიგულისხმოთ, ბევრ გადმოცემაში ჩიხვთა მფარველი ქალი, იმ ადგილის დედაშია გადაზრდილი, რომელ მთა-კლდეებზეც ჩიხვები იმყოფებიან.

<sup>4</sup> ფ. არქივი, 104, გვ. 22.

ზემოთ მოყვანილ ევროპელი მოგზაურის მონათხრობშიც ყუჩადღება უნდა მიეჭკეს ფრაზას, რომ ხარი ილორის სალოცავში თვითონ არ მიდის, რომ „წმინდა გიორგი თავის დღესასწაულზე... იქერს და ღამით ეკლესიაში ამწყვდევს“,<sup>1</sup> ე. ი. ხარი ძალით მიჰყავს წმ. გიორგის. ასეთი გადმოცემები ხშირია. მაგალითად, ერთ-ერთ გადმოცემაში მოთხრობილია, რომ სენანეთის ჯგრაგს (წმ. გიორგის) ილორის წმ. გიორგი სადღეობოდ უგზავნის ხარსო.

ხშირად ნადირთ პატრონები ცხოველებს დასასჯელად აგზავნიან გარკვეულ პიროვნებასთან — მოსაკლავად, მაგალითად:

„ავჯი მემედი საღამოთი ნადირობიდან ბრუნდებოდა. გზაში შეხედა ქაჩის ქალი, რომელიც წველიდა თხას. თხამ წინსი კრა ქოთანს და რძე დაღვარა. ქალმა დასწყევლა თხა: „ავჯი მემედის ტყვიამ გაგმიროსო...“

კიდევ:

ადილეური ზღაპრის გმირი, თაზი მისრუყი ჰყვება, როგორ წააწყდა ჭოგს, რომელსაც მოხუცი კაცი და ქალი წველიდნენ. ერთ-ერთი ნუკრი გააჯავრებს მწველელ ქალს. ნუკრს არ უნდა მოუგერისოს დედას, რომ მოწველონ. ქალი წყევლის: „თაზი მისრუყის ხელშიც ჩაეარდნილაო“. ამ დროს თაზი მისრუყი დაინახავს ნუკრს, ესერის და კლავს.

ნადირთა ბედს მფარველი ანგელოზები ჯერ სულიერ სამყაროში სწყვეტენ, რის მოწმენიც ზოგჯერ თვით მონადირეებიც ხდებიან; თქმულებებში ისიც გვხვდება, რომ ნადირთ მწყემსები მონადირის მოსაკლავად იმ ნადირს იმეტებენ, რომლის ცოდო-მადლიანი სულით წინაღამეს ივასშმეს.

შესაწირი ცხოველი ქართულ გადმოცემებში წმინდა ცხოველია. ქართული თქმულება-გადმოცემები ჩიხვს, შველს, ირემსა და სხვა ცხოველებს „მთის ანგელოზებს“ ან „კლდის ანგელოზებს“ უწოდებენ; ისინი ქართულ ზღაპრებსა და გადმოცემებში ხშირად ანგელოზის სახით ვლინდებიან. მაგ.: „მე ვარ შენი მფარველი ანგელოზი“, — ეუბნება ქაბუჯ-მონადირეს ჯეირანი.<sup>3</sup> ეს ცხოველები ხატისთვის უპირველესი შესაწირავები არიან. მონადირეც მხოლოდ „კლდის ანგელოზს“, ან მათ მიერ გამეტებულ, იმ ხანებში ღვთაებისათვის შესაწირად გამზადებულ ნადირს ჰკლავს, ნადირთ მწყემსების მიერ დაწყევლით გამომეტებაც, მფარველ ღვთაებისადმი შეწირვის მხოლოდ ერთ-ერთ ფორმად უნდა მივიღოთ. ცხოველი ამ

1 ელ. ვირსალაძე, სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 227.

2 Адигские сказки, Майкоп, 1957, გვ. 224.

3 აღ. დლონტი, ქართული ზღაპრები და ლეგენდები, 1948, გვ. 188.

შემთხვევაში თვით ანგელოზს უტოლდება და ანგელოზს „მოჰყავს“ შესაწირად.

ქართულ გადმოცემებშიც ნახსენები, შესაწირი ხარი, შესაწირი ანგელოზად უნდა მივიჩნიოთ. აღმოსავლეთში (სპარსეთი) ღვთაება ნითრაც ხარად იყო ცნობილი, რომელსაც იქერენ და ჰკლავენ.<sup>1</sup> ბერძნულმა მითოლოგიამაც იცის ნადირთა თვითშეწირვის მაგალითები. ა. ლენგის აზრით, შესაწირი ცხოველი ადრე თვით იყო ის ღვთაება, რომელსაც იგი ეწირება.

ასეთ შეხედულებას იზიარებს მკვლევარი ელ. ვირსალაძე.<sup>2</sup>

ზარის შეწირვის ფორმას ქართულ მითოლოგიაში საყურადღებო ადგილი უკავია.<sup>3</sup> ზეპირსიტყვიერების მასალები ანტიკური საქართველოდან შემორჩენილი მაგალითებითაც დასტურდება. კერძოდ, ე. წ. „კოლხურ დიდ დრაქმასა“ და „კოლხური დრაქმანზე“ გვხვდება დაჩოქილი ხარისთავიანი ადამიანის ფიგურა, ზოგჯერ ფულზე მხოლოდ ხარის თავია გამოსახული.<sup>4</sup> აღნიშნული მნატრობა საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იმ დროისათვის ხარის კულტი საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული.

სენათში ხარისთავიანი ნამცხვარი დიდი ღმერთის ემბლემად იყო მინიშნებული.<sup>5</sup> მ. ჩიქოვანი ხარს ქართველი ხალხის ტოტემად მიიჩნევს;<sup>6</sup> ქს. სიხარულიძე იზიარებს ამ აზრს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჩაწერილი ტექსტები გვაფიქრებინებს, რომ სიტყვა „ხარის“ ეპითეტის ქვეშ მითური გმირი ვიგულისხმობთ, რასაკვირველია, ღვთაებათა ანთროპომორფიზმის პერიოდის გაუღენით; მაგ.: „ხევში ზის იოსებაი, ბულა ბულენებს ხარიო“.<sup>7</sup>

საერთოდ ქართული (კავკასიური), მითური თქმულებების ხარი ძალიან ჰგავს მითურ კეთილ გმირს. იგი ჩადის ჭაბუკივით ქვესკნელში და უამრავ საქმეს აკეთებს, ან იქიდან ამოჰყავთ საგმირო საქმეებისათვის.<sup>8</sup>

ქართული გადმოცემებისა და ნუმისმატიკის მიხედვით თუ ვიმ-

1 Б р и к н е р. Страдающий бог и религия древнего мира, 1932 გვ. 33.

2 ელ. ვირსალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

3 მრავალი თქმულება გვხვდება ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ფრინველთა „თვითშეწირვის“ უნარზეც; მაგ., მაკალათია, ლეხურის ხეობა, 1964, გვ. 51.

4 დ. კაკანაძე, ქართული ნუმისმატიკა, თქ., 1969, № 3.

5 ვ. ბარდაველიძე, სენური ხალხური კალენდარი, გვ. 97.

6 მ. ჩიქოვანი, ქართული ზეპირსიტყვიერება, 1956, გვ. 268.

7 აკ. შანშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

8 Кавказский этнографический сборник, IV, 1972, გვ. 850;

ელ. ვირსალაძე, რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, 1949, გვ. 332, 340; თ. ოქროშიძე, ქართული ფოლკლორი, III, გვ. 150—151.

სჯელებთ, უდიდესი სიკეთეა (ღვთაებრიობა) „ხარული ლოცვა“ (ნუმიზმატიკა) და „თვითშეწირვა“ (ზეპირსიტყვიერება), ე. ი. თუ ხარის „თვითშეწირვა“ ღვთაებრივი უნარია, ყოველმა კეთილმორწმუნე ადამიანმა უნდა მიბაძოს ხარს (ღვთაებას).

ასეთ მსჯელობას შეეძლო მორწმუნე ადამიანი ხარსავით თვითშეწირვამდე მიეყვანა, რასაც სტრაბონის სიტყვით, ადგილი ჰქონია პირველი საუკუნის (ჩვ. წ.) საქართველოში.

მოვიყვანოთ ადამიანის ექსტაზური „თვითშეწირვის“ მაგალითი სტრაბონის საინტერესო მონათხრობიდან.

„აღბანელნი ღმერთებსავით თაყვანს სცემენ მზეს, ზევსს და მთვარეს, მეტადრე მთვარეს. მთვარის ტაძარი ივერიის მახლობლად მდებარეობს. მეფის შემდგომ უფრო პატივცემულ კაცად ის ითვლება. ვინც ტაძარს ემსახურება. იგი დიდსა და მჭიდროდ დასახლებულ ხატის მამულს განაგებს და ხატის ყმების უფროსად ითვლება, რომელთა შორის ბევრი ქადაგად დაეცემა და წინასწარმეტყველებს ხოლმე: იმას, ვინც მეტად ატაცებული ტყეებში მარტოკა დახეტილებს, ქურუმები დაიჭერენ, კისერზე ჯაჭვს დაადებენ და ერთი წლის განმავლობაში ზეარაკად კარგა ასუქებენ ხოლმე; მერე მას, მირონცხებულს სხვა საღმრთოებთან ერთად ღმერთს მსხვერპლად შესწირავენ. მსხვერპლად შეწირვა ამნაირად იციან: ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ჩვეულებრივ ლაშვრის საშუალებით იციან. ერთი კაცი, რომელსაც ამგვარი ლაშვარი აბარია. ხალხიდან გამოვა და ზერხიანად ლახვარს გვერდით შიგ გულში ჰკრავს. როცა ლახვარნაკრავი მსხვერპლი დაეცემა მიწაზე, ქურუმები სხვადასხვა ნიშნების მიხედვით მკითხაობენ და საჯაროდ ხმამალა აცხადებენ ხოლმე, როცა გვამს ერთს დანიშნულს ადგილას მიიტანენ, ყველანი თავიანთ თავის განსაწმენდად ფეხს დაადგამენ ხოლმე“.<sup>1</sup>

ივ. ჯავახიშვილი ფართოდ უკავშირებს ადამიანის შეწირვის აღნიშნულ მომენტს თეთრი გიორგის დღესასწაულს და სხვა რელიგიურ დღესასწაულებს და მათ შორის განსხვავება მინიმუმამდე დაჰყავს. წარმართული დროის ადამიანის შეწირვიდან, — აღნიშნავს მკვლევარი, — შემოგვრჩა მხოლოდ უღლიანი ჯაჭვით, სამლოცველოს ირგვლივ, ჩოქით სიარული, შემდეგ გასასვლელ კარებში დაწოლა, მლოცველთა ზედ ფეხით შედგომა და შესვლა.

მლოცველები, რომლებიც ფეხით სდგებიან კარებში მწოლარეთ, იწმინდებიან; თავიანთი ცოდვილი, მძიმე სხეულით ტკივილს აყენებენ ღვთის მონას, „ღვთის მონა“ კი, რაც უფრო მეტ ტკივილს გრძნობს, მით უფრო მეტ „სიამოვნებას“ განიცდის და რაც უფრო

<sup>1</sup> ციტირებულია ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960.



მეტ „სიამოვნებას“ გრძნობს კარებში მწოლარე, მით უფრო იწმინდება ფეხის დამბიჯებელი. გაგება ერთია — ადამიანი, რომელიც მას მეტ ტკივილს მიაყენებს, მეტად ცოდვიანია (მძიმეა) შეწირული ღვთის მონა კი ამ ცოდვებს, როგორც ჩანს, იტანს. ასეთი ტკივილებით გაწამებული, თვალცრემლიანი, ექსტაზში მყოფი, მფარველ ღვთაებას წარუდგება და სთხოვს მიუტევოს ზალხს ცოდვები.

ამ შემთხვევას ხარის „თვითშეწირვასთან“ პირდაპირ ვერ დავაკავშირებთ, რადგან ხარს ზატის საკურთხეველთან ზალხის, თემის ცოდვა-მადლით სავსე მიღის. ამ შემთხვევაში ხარი მისდაუნებურად „იტვირთება“ თემის, ოჯახის ფიქრებით, ისინი სხვა ზარებისაგან მიტომ ირჩევიან ფიზიკურად, რომ მათ „ნაწილიანობის“ ნიშნები აქვთ.<sup>1</sup> ხშირად ასეთი ხარი ნახირს გამოეყოფოდა და საკულტო ნიშისკენ გარბოდა. ზალხი მიდიოდა და გარკვეული რიტუალის ჩატარების შემდეგ სწირავდა ხატს.<sup>2</sup> როგორც ჩანს, ზალხის, თემის ცოდვა-მადლის „ასუტის“ ღვთაებასთან შესანდობლად მიტანის გზა (სხვადასხვა პერიოდში) სხვადასხვაა. ზალხიც თავიანთ ცოდვა-მადლის შედეგს დაკლულის „დატვირთული“ სხეულის საქციელით შკითხაობდა. ასევე შკითხაობდნენ მითრა-ხარის სხეულზე.

მონოლითური რელიგიებისათვის უცხო არ არის „თვითშეწირვის“ გზა; მაგალითისათვის თვით იესო ქრისტეს ცხოვრებაც საქმარისია. მოვიყვანოთ მარკოზის სახარებიდან ადგილები: ცნობილ გეტსიმანის ბაღში, იესო ქრისტე ამბობს, რომ: „მოიწია დასასრული, და მოვიდა უამი. აჰ, ესერა მიეცემის ძე კაცისა ხელთა ცოდვილთასა... აჰა, ესერა მიმცემელი ჩემი მოახლოებულ არს“ (მარკოზი 14, 41, 42). ამ სიტყვებიდან ჩანს, იესო ქრისტემ აღრევე იცოდა, რომ მას სიკვდილით დასჯიდნენ.

იესო ქრისტემ იერუსალიმში მისვლამდეც იცოდა, რომ მივიდოდა იერუსალიმში და მოჰკლავდნენ:

„აჰა, ესერა აღვალთ იერუსალემდ, და ძე კაცისა მიეცეს მღვდელთ მთავართა და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილით და მისცენ იგი წარმართთა:

და გვიცხავდნენ მას და ტანჯონ იგი და პნერწყვიდნენ მას და მოკლან იგი“... (მარკოზი 10, 33, 34).

იესო ქრისტემ იცის, რომ მას სიკვდილით დასჯიან; მიუხედავად ამისა, მაინც შედის ქალაქში. მრთვის ნათელია, რომ კაცის

---

<sup>1</sup> თვით შესაწირი (ზვარაკი) ცხოველი განსაკუთრებული ნიშნებით გამოირჩეოდა. მაგალითად, ახლად დაბადებულს კული ორად გაყოფილი აქვს, შუბლზე, ან წელზე გარკვეული ნიშნები ემჩნევა და სხვ.

<sup>2</sup> შეწირულ ხარს, არც ქურდი და არც მგელი არ ეკარებაო. „თვითშეწირვის“ უჩვეულო შემთხვევებს ვხვდებით ქ. ფრეზერის შრომებში.

ბედს უიმისოდ სწუვეტენ მალლად მდგომი სულიერი არსებანი, ამის მაგალითები ბიბლიაში უამრავია. მაგალითისათვის მოვიყვანოთ იესო ქრისტეს მოწაფეებთან საუბარი. იესო ქრისტეს მოწაფეები — იაკობ და იოანე — სთხოვენ, როცა იგი დიდების მწვერვალზე იქნება, მის მარჯვნივ და მარცხნივ დასხდნენ (მარკოზი 10, 37). იესო ქრისტე პასუხობს: „...დაჯდომა მარჯვენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემად, არამედ ვიეთა განმზადებულ არს“ (მარკოზი 10, 40). მასვე იმეორებს ლოცვის დროს ჯესთამანიის ბაღში. მან იცის, რომ უნდა მოჰკლან, ამიტომ „პრქუა მათ: მწუხარე არს სული ჩემი ვიდრე სიკვდილამდე.

და წარვიდა მცირედ და დაეარდა ქვეყანასა და ილოცვიდა: უკეთუ შესაძლებელი არს, რაითა თანე-წარჰხდეს უამი იგი მისგან.

და იტყოდა: აბბა მამაო, ყოველივე შესაძლებელ არც შენ მიერ თანაწარსვლად სასუმელი ესე ჩემგან, ზოლო არა რაი-იგი მე მნებავს, არამედ რაი შენ“ (მარკოზი 14, 35, 36). აქედან ჩანს, რომ იგი პირდაპირ სთხოვს მამა-ღმერთს: მე გთხოვ შეწყალებას ღმერთო ჩემო, მაგრამ შენ გააკეთე ისე, როგორც შენ გაქვს გადაწყვეტილი. იესო ქრისტეს მოქმედება ამ სიტყვების შემდეგ მიღებულია, როგორც „თვითშეწირვის“ კლასიკური მაგალითი: იგი ტირის, წუხს, რომ უნდა მოკვდეს, მაგრამ უკან არ იხევს და მისდევს მამა-ღმერთის მიერ განსაზღვრულ გზას. მან იცის მისი მტრების ყოველი ნაბიჯი. იგი ლოცვის შემდეგ მოწაფეებს ეუბნება:

„აღდგით წარვიდეთ ამიერ. აჰა ესერა მიმცემელი ჩემი მოაზლოებული არს. და მეყსეულად ვიდრე იგი იტყოდადა, მოვიდა იუდა ისკარიოტელი, ერთი ათორმეტთაგანი და მის თანა, ერთი მრავალი მახვილებითა და წათებითა... (მარკოზი 14, 42, 43). იესო ქრისტეს შეპყრობას წინააღმდეგობა გაუწია ერთ-ერთმა მისმა მოწაფემ, მაშინ იგი ეუბნება:

„...დადევ მახვილი ქარქაშსა! სასუმელი, რომელი მომცა მე მამამან, არა შევესუა იგი?“ (იოანე 18, 11).

სიტყვა „სასუმელით“ სიმბოლურად არის მითითებული მის ცხოვრება-ბედზე, რომელიც ზემოთ, მამის მიერაა გამზადებული.

როგორც ვნახეთ, „თვითშეწირვის“ საკითხი შესაწირის გარეშეა გადაწყვეტილი; ქრისტიანობამ მხოლოდ თავისი მონოლითური რელიგიის სისტემის ერთ-ერთ რგოლად მიიღო და აშკარად თქვა სახარებაში; ზოლო იესო ქრისტემ „სასუმელი“, რომელიც ზემოთ გაუმზადეს ექსტაზით კი არ „შესვა“, როგორც მას ქართულ გადმოცემაში ვხვდებით (სტრაბონის მაგალითი აღამიანის შეწირვაზე), არამედ შეგნებულად და სიფრთხილით მოქმედებდა, რათა ის, რაც გამზადებული იყო მამა-ღმერთისაგან მისთვის, არ უარეყო.

როგორც ვხედავთ, „თვითშეწირვის“ მსოფლიო მითოლოგიის კლასიკურ მომენტს, ქართული ზეპირსიტყვიერება უხსოვარი დრო-დან მკაცრად იცავს და თანმიმდევრულად გვაწვდის.

გადმოცემებში გვხვდება შემდეგი სტრიქონები, რომ „თვით-შეწირული“ ხარის ხორცს დადიანი, როგორც ნაკურთხ ხორცს, მე-ხობელ მთავრებს უგზავნის, დანარჩენს კი თავადთა შორის ანაწი-ლებს.<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ მრავალ გადმოცემაში შეწირული ხარის თუ ირმის ხორცს, როგორც წამალს, ისე ხმარობენ. „თვითშეწირუ-ლი“ ცხოველი იგივე ზეარაკია; ზეარაკის ხორცს კი ლეჩხუმში ნა-წილ-ნაწილ არიგებდნენ და მისი შემკმელიც უკვდავებას ეზიარე-ბოდა.<sup>2</sup>

ქრისტიანული მოძღვრებით, უპირველესი ზეარაკი, იესო ქრის-ტე, ასე მიმართავს თავის მოწაფეებს:

„და კამდეს რაი იგინი, მოილო იესო პური აკურთხა, განტეხა და მისცა მათ და პრქუა: მიიღეთ და კამეთ, რამეთუ ესე არს ხორცი ჩემი.

მოილო სასუმელი, კმადლობდა და მისცა მათ, და სუეს მისგან ყოველთა.

და რქუა მათ: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა სჯულისა, მრავალ-თათვის დათხეული“ (მარკოზი, 14, 22, 23, 24).

ახალმა მონოლითურმა რელიგიამ შემწირველი ზეარაკის სახე ოესო ქრისტეში წარმოსახა, ხოლო ზეარაკის ხორცი — ნაკურთხი წმალნი ღვინოდ და პურად.

ხალხი ხარს ეძახის სახელს „ხთისია“. შესაძლოა პირდაპირი გვაგებით ეს არ ჩანდეს, მაგრამ მისი მოვალეობა და თქმულება ამარ-თლებს შერქმეულ სახელს:

„ომამო, ხარო ხთისია,  
ჭერ რა დროს დავარდნისია,  
შენ გატყობ, უხნავს დამაგდებ,  
ჩამაგდებ ქალათთ პირშია“.<sup>3</sup>

ხოლო ლექსი „ორშაბათობით აშენდა“<sup>4</sup> შესანიშნავი სიმღერაა ხარის ბუნება-მოვალეობასა და საქმიანობაზე. აღნიშნულ ლექსში აშკარად ჩანს, რომ ხარი ღვთისაგან არის ბოძებული, იგი დედამი-წაზე ადამიანის დამკვიდრების აუცილებელი პირობაა. ადამიანის შენახვა ხარმა ითავა, რისთვისაც ღვთისაგან დალოცვილია.

1 დონ ჭუჭუბე შილანელი, წერილები საქართველოზე, 1964, გვ. 97.

2 თ. ოქროშიძე. ქართული ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟი (ხარი); ქართული ფოლკლორი, III, 1969, გვ. 140.

3 ხალხური სიბრძნე, ტ. IV, 1965, გვ. 54.

4 იქვე, გვ. 55.

თუ რა დიდი გავლენა ჰქონდა ხარს ადამიანებზე, ჩანს აპარულ გადმოცემაში.

„უწინ თურმე ზევით, მთაზე მიყავდათ საქონელი, მალა გორაკზე უნდა აეყვანათ, ერთ ადგილზე აიწიეს და წაიქცა ხარი, დაწვა, თქვეს: ეს ჯანსალი ხარია, ამას შეეძლო მთაზეც ასულიყო თავისუფლადო. მაგრამ აქ რომ დაწვა, ამ ადგილს დაეარქვით საყურბანე ადგილი (საყურბე, სადაც მსხვერპლს სწირავენ, — ჯ. ჩ.) დაერქვა და დარჩა“.<sup>1</sup>

ვ. ბარდაველიძის აზრით — ხარზე ყოველი გადმოცემა უშუალო კავშირშია ღვთაებასთან.<sup>2</sup> საქართველოში არსებობს გადმოცემა — თუ ხარი დაკვლის დროს არ წველობს, მაშინ შესაწირს ღმერთი იღებს. ძველი და ახალი ღმერთების (ფუსნასა და ჯგრაგის) შეჩიბრი სწორედ ხარების დაბმასთანაა დაკავშირებული. ჯგრაგის შემხულ აპეურებს ხარები ვერ წყვეტენ.<sup>3</sup>

ყოველდღიურად უყუღდაშის ჯგრაგს ილორის ხატისაგან ხარი მოსდიოდა. გათენდებოდა თუ არა დღეობის დღე, ხატის კარის წინ ეს ხარი იდგა და ელოდა როდის დაიკერდა მას ჯგრაგის მარე და შესწირაედა სალოცავს.<sup>4</sup> სვანეთში უამრავი დღეობა ატარებს ხარის სახელს. ასეთია: ხარობა, ხარის დღეობა, ხარების ლესკრობა, უფლის ხარის დაბადების დღეობა, ხბობა, ხბოს დღეობა და სხვ.<sup>5</sup>

მკვლევარ ა. სოხაძის გადმოცემით, სვანეთში ხარის ფამრავლების დღეობაც არსებობდა — ლილაშენე („თესლობა“).<sup>6</sup>

როგორც აღვნიშნეთ, ხარი ღვთაებათა საყვარელი ცხოველია, „ღვთისაგან ნაყურთხი“, ზმირად გვხვდება ქრისტიანულ სასწაულებშიც (მაგ., „წმ. გიორგის ცხოვრება). გადმოცემა ილორის წმ. გიორგის სალოცავში ხარის გამოჩენისა, მისი ხორცის წამლად ხმა-

1 ჯ. ჩხეიძე, შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აპარის ზეპირსიტყვიერებაში, 1961, გვ. 91.

2 ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 157.

3 იქვე, გვ. 157.

4 თ. ოქროშიძე, ქართული ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟები, ქართული ფოლკლორი, III, თბ., 1969, გვ. 134.

5 ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 157.

6 ა. სოხაძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მისი გადმონათობის ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1964, გვ. 20.

ახალ წელს ხართან გარკვეული რიტუალია დაკავშირებული. მაგ. ოჯახის ბედზე, როცა მეორე დღით, ახალ წელიწადს, მეკვლე მოუვთ, ხართ კვრი უნდა შეაგღონ ჭრებიდან სახლში, თუ წალმა მობრუნდა, კარგია, თუ უკულმა, ცუდი ნიშანია. მერე ზათლიღება დღეს, რომელიც კაი ხარია, მას გადაატენენ კისერზე, და შეკამენ (ალ. კყონია, სიტყვა კონა, 1912, გვ. 71).

რების შემთხვევები და სხვ. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ხარს ჩაქებზე აკრავენ სანთლებს, ანთებული სანთლებით ხარი თვითონ შიდის სალოცაეში და სხვ.

ქრისტიანობამდელი ქართული ღვთაებები (მზისა და ჰაერის კულტის პერიოდი) ძირითადად ძალით სჯობნიდნენ ბოროტ სულს; თუ ღვთაება (ხატი, ჯერისშვილი) ძლიერი იყო, ყმა ბედნიერად ცხოვრობდა. ძლიერი ხატის ყმას სიკვდილიც ერიდება.

„გადმუხედენ ფშაველთა,  
ყოიდეს როგორც იანი,  
ჩაველირე და ვერ ჩაველ,  
ხატი კყოლიყო ძრიალი“.<sup>1</sup>

ერთ-ერთ ფშაურ გადმოცემაში მოთხრობილია, თუ როგორ ეხმარება ხატი თავის ყმას, როგორ სჯობნის ღონით ბოროტი ძალა. დევმა ხატი „მკლავში გადახარა“ და მის იმედზე მყოფი ყმა გადაუყლაპა; ხმალა (ხატი) მაინც არ ეშვება, დევს უკან დასდევს. ხანდახან შეებმება ხოლმე, მაგრამ დევი ძლიერია და ვერაფერს აკლებს, ბოლოს კოპალას საჩუქარს აძლევს და მოაკვლევინებს.<sup>2</sup>

ამგვარად, ცხოველიდან მივედით ხატის ძალამდე, რომელსაც ბელელადაც იხსენიებენ. ბელელაცა და ბულაც დევის (ავი ძალის) სახელებითაც არის ცნობილი, ბულა<sup>3</sup> იგივე მამალი ხარი, ღვთის ცხოველად არის ცნობილი როგორც წარმართული, ისევე ეზოტერული ქრისტიანობით. ქართული სიტყვიერების ყურადღებით დაკვირვება კი სიტყვა „ხარს“ ექვის ქვეშ აყენებს, არის თუ არა იგი, მხოლოდ მამალი ძროხის სახელი(?), რადგან — ხარ ფუტე სხვა შინაარსის სიტყვებსაც აწარმოებს, მაგ.: გვხვდება სიტყვა „ხარა“ თოფის სახელადაც — „ხარიანი იგივეა, რაც თოფიანი“.<sup>3</sup>

რადგან თოფს „ხარა“ ჰქვია, ბუნებრივია, პირველ რიგში დავინტერესდებით, ხომ არა აქვს რაიმე საერთო ზემოთ აღნიშნულ სიტყვა „ხარ-თან“, რადგან ხარი ძლიერი ცხოველის სახელია. სავარაუდებელია, რომ აღნიშნული იარაღიც უნდა ეხმიანებოდეს ამ უნარს. ისიც ხომ ენერგიის მატარებელია? ხარა თოფი ცეცხლსასროლი იარაღია; იქნებ ვივარაუდოთ, რომ სწორედ „ცეცხლის“ სინონიმური განზოგადობაა მიზეზი სიტყვა „ხარას“ ცეცხლსასროლი იარაღის სახელად დამკვიდრებისა? მით უმეტეს, საბუთიანი

<sup>1</sup> ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961, გვ. 290.

<sup>2</sup> პ. უშიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, IV, 1964, გვ. 38.

<sup>3</sup> სტ. მენთეშაშვილი, ქიზიურის ლექსიკონი, თბ., 1943, გვ. 210.

<sup>4</sup> სიტყვა ბულა, შეიძლება შემდეგ მიემართა აღნიშნულ შინაარსს; ამით ხატის ძალას, მზისა და დევის სახელის ერთ გაგებაში აღქმას ხელი არ ეშლება.

ჩნდება ვარაუდი, როცა აღნიშნულ სიტყვას სხვა შემთხვევაშიც ასეთივე შინაარსით ვნახულობთ. მაგალითად, გვაქვს გამოცანა:

„ამოქროლდი, ქვენა ქარო, ხარა უნდა ვახარხარო,  
გამოვაცხო თბილი პური და ბავშვები გავახარო“<sup>1</sup> (ცეცხლი).  
გვაქვს გამოცანა:

„წითელის წიქარას ნაწოლზე ბალახნი არ ამოვლენო“<sup>2</sup> (ცეცხლი). კვლავ:

წიქარას ნაწოვარზე ბალახი აღარ ამოვა“<sup>3</sup> (ცეცხლი). წიქარას გურიში მხოლოდ წითელ ხარს უძახიან.

ი. მეგრელიძე ანალიზებს რა წიქარას (წი-ქარ-ა), ქ-ს უნაცვლებს ბგერა ხ-ს (დაჲ-დაჲ ქ-ხ) და იღებს წინარა-ს, რითაც ზღაპრულ კეთილ არსებას, ხარ წიქარას, აზოგადებს ხარის ზოგად სახელად.<sup>4</sup>

ჩინეთში, საგაზაფხულო ცერემონიალის დროს, სხვადასხვა ფერის ქაღალდებისაგან გაკეთებული „გაზაფხულის ხარი“ მიაქვთ მოსავლის მფარველი ღვთაების („შესაწირად“) პატივსაცემად. საკურთხეველთან ქაღალდის ხარს ნაწილებად ხევენ და ყველას თითო ნაქერი ერგება<sup>5</sup>.

აქ, „ცხოველი“ — ხარი კოსმიურ ძალთა სიმბოლოა, მისი გაკეთების და ურთიერთგანაწილების ცერემონიალი გაზაფხულის (სითბოს!) მოსვლის მიმანიშნებელია.

გილგამეშის ეპოსის მეექვსე დაფაზე მოთხრობილია, თუ როგორ სთხოვს მამა ანუ ქალღმერთი იშთარი ზეციერ ხარს, რომ მისი შეურაცხმყოფელი გილგამეში დასაჯოს.

მამა ანუ ქალღმერთს თხოვნას უსრულებს.

„შექმნა ზეციერი ხარი, ურუქს ჩამოგზავნა,  
მიადგა ეფრატს ზეციერი ხარი,  
მოსვა შვიდი ყლუპი — შრება მდინარე.  
ხარის სუნთქვაზე გაიღო ნაპრალო,  
ასი ურუქელი ნაპრალში ჩავარდა.  
მეორე სუნთქვაზე გაიღო ნაპრალო,  
ორასი ურუქელი ნაპრალში ჩავარდა.  
მესამე სუნთქვაზე გაიღო ნაპრალო,  
ენქიდუ ჩავარდა ნაპრალის გულში“.<sup>6</sup>

<sup>1</sup> ხალხური სიბრძნე, V, გვ. 497. უნდა ვივარაუდოთ, რომ ადრე კარგად ცნობილი სიტყვა ხარა, როგორც ცეცხლისა და ენერჯის მიმანიშნებელი სიტყვა გადაგვივიწყდა, ამიტომ მოხვდა ეს სტრიქონები გამოცანებს შორის.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 97.

<sup>3</sup> ქართულ ენათა ლექსიკონი, 1938, გვ. 20.

<sup>4</sup> И. Мегрелидзе, Животный мир в языке и фольклоре, Акад. Наук СССР, X, 1935, გვ. 281.

<sup>5</sup> А н и ч к о в, Весенние обряды песни на западе и у славян, т. II, გვ. 82. ციტირებულია ვ. კოტეტიშვილი, რჩ. ნაწერები, II, გვ. 30.

<sup>6</sup> გილგამეში, აქალღმერთის თარგმნა ზ. კიკნაძემ, 1963, გვ. 52.

აქაც ზეციური ხარი სიცხესთან არის დაკავშირებული.

ამავე დროს ხარა (ხარა ბერეზაითი) ძველ ჩრდილოეთ ირანელთა ღვთაება, კოსმიური ცეცხლი, ნათება, ძალაა.

არნ. ჩიქობავა სიტყვა „ბლუარის“, „სამხარის“ სინონიმად თვლის.<sup>1</sup> აქედან „ბლუარს“ უძველეს ტერმინად იღებს, რასაც ძველი ქართული ლიტერატურიდან მოყვანილი მაგალითებით ასაბუთებს. იკვლევს რა სიტყვა „ბლუარის“ ეტიმოლოგიას, მზის, ცეცხლის სახელამდე დადის. ცხადია, „სამხარსაც“ იგივე წარმომავლობა ექნება, რადგან შემდგომი პერიოდის ქართულ სიტყვიერებაში „ბლუარს“ სცვლის.<sup>2</sup> თუ არნ. ჩიქობავას მიერ გამოკვლეული სიტყვების ეტიმოლოგიას მივყავართ „ცხელამდე“, „მზემდე“, ჩვენი საკვლევი სიტყვა „ხარიც“ იქ იღებს სათავეს. ამავე დროს „ხარის“ უძველეს სახელად „ბულაური“ გვაქვს მითითებული.

ამრიგად, სიტყვა „ბელელა“ „ბულაურის“ სემანტიკური სახეობაა, ბელელაში მიწიერი კეთილი ძალები (სანოვაგე, თემის მადლი) იყრის თავს, მზის კულტის წინა პლანზე დამკვიდრების დროს უძველესი ქურუმები, მაგ.: ზარათუსტრა. საკვებში მზის კეთილ ძალებს ხედავდნენ.

მოყვანილი მასალა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ძველი ქართველები „ბელელს“ ენერგიაჲ, ცეცხლს (მზეს) ეძახდნენ, რაც შემდგომ სიტყვა „ხარმა“ შეცვალა. ხევსურეთში ხარის სახელად „ბელელა“ დღესაც გვხვდება. ხატის, ღვთისშვილის, მითური გმირის ძალა (ენერგია) ცეცხლში (ნათელში) იგულისხმება. მითური (კეთილი) გმირები და ღვთაებები ცეცხლით ბუგავენ ბოროტ ძალებს (კოპალა, პირიმზე და სხვ.).

ადრე სიტყვა „ხარი“ მსაზღვრელი იყო, როგორც „თბილი“, ცხელი, (თბილი ქუდი, ცხელი ღუმელი და სხვ.) მაგ.: „ხარირემი — ხარ-ირემი: ძლიერი — ბულა (მამალი) ირემს განსაზღვრავს. გვაქვს ხმლის სახელადაც „ხარის ფერცხალი“.<sup>3</sup> კარგი ვაჟაკის ეპითეტის გაგებითაც, მაგ.: „ქალს არვის წააყვანივნებს ზაზულიაი ხარიო“.<sup>4</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არნ. ჩიქობავა „სამხარს“ „ბლუარის“ სინონიმად თვლის. აქედან „ბლუარი“ შედარებით ადრეულ ლიტერატურულ წყაროებში გვხვდება.<sup>5</sup> რადგან „ბლუარი“ მზის სახელია, ასევე უნდა ვიგულისხმოდ „სამხარის“.

1 არნ. ჩიქობავა, ეტიმოლოგია ძველი ქართული ტერმინებისა „ბლუარი“, „სამხარი“, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, 1953, გვ. 17.

2 იქვე, გვ. 68.

3 ვაჟ-ფშაველას მცირე ლექსიკონი, 1969, გვ. 334.

4 იქვე, გვ. 734.

5 არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

სიტყვა სამხარი ნაწარმოები სიტყვაა, სადაც სა-თავსართია,<sup>1</sup> მხარ ძირი კი ჩვენთვის ნაცნობია, რომ არაფერი ვთქვათ — ხარ ძირზე, რომლის მითოლოგიურ დანიშნულებასაც შეეცხეთ, სიტყვა „მხარიც“ გვხვდება თავისებური შინაარსით. ქართულ მითოლოგიაში უცხო ქვასავით ზის „მხრიან“ — სულღუმზე პატარა გადმოცემა, რომელიც თამარ მეფესთან არის დაკავშირებული. ეს თქმულება ვა-ეა-ფშაველასაც ჩაუწერია.

თამარ მეფეს „...ვითომც ზამთრის მგზავნელი „მხრიანი“ სულღუმი და ვარსკვლავი ცისკარი ერთად ჰყოლია კოლოფში დამწყვდეულნი“. ერთხელ, როცა თამარ მეფე სხვაგან წასულა, მოსამსახურეს, რომელსაც არ სცოდნია, ყუთში რა იყო, გაუხსნია ყუთი, „მხრიანი — სულღუმი“, რომელიც ზამთარს აჩენს, ამოხტომია და მთებისაკენ გაფრენილა; ცისკარიც აფრენილა და ცაზე შემჯდარა. სულღუმი ყაზბეგის „გველის მთის“ ანუ არხოტის მთის „კრივი“, სადაც დაბანაკებულა... დედაკაცის ნატყვევარი ძალიან განრსხებული ყოფილა. რაკი ერთი განთავისუფლებულა, მაშინვე დაუჭყვილია, დაუწყვია ფრთების ტყლაშუნი. მზე გაუბრუნებია; აუცივებია, აუტეხნია ქარები, ღრუბლები გამოუსხამს და მთა-ბარი თოვლით გადაუღესია. თამარი ზაფხულის წასული ზამთარს მოსულა, სწყენია, მაგრამ რაღას უშველიდა?! მას აქეთ ცისკარი მნათობად არის ცაში, სულღუმი კი ბოროტი „მხრიანი“ დარ-ავდარს განაგებს და დრო-ჟამს აბრუნებს. გაზაფხულს — ზაფხულით აბერებს, ზაფხულს — შემოდგომით აქნობს: შემოდგომას ზამთრის თოვლ-ყინულით შეჰსუღრავს და სულს ამოაძრობს.<sup>2</sup>

სიტყვა „მხარი“ ღვთისშვილებთან კავშირში აღმოსავლეთ საქართველოს მთიულთა სადიდებელშია ნახსენები.

ღვთისშვილთა ჰყავის წმინდაი თამარი დედოფალია,  
ხმელეთ თავისად დაიგდო, იმდენი ჰქონდა ძალია.  
შუა ზღვას ჩადგა სამანი, სამანი რკინის სარია.  
პირდაპირ უდგა გორზედა დალი ლამარის ჭვარია,  
გვერდს უდგა ნისლის ფერაი, მტრედის ფერ ჰქონდა მხარია.  
ოქროს წყლის უნაგირ უდგა, ოქროს წყლის ლაგმის ტარია,  
წელსა ეტანა მათრახი შეიღ-კეცა, შვიდი მხარია,  
დიდებულ გამარჯებული, ძალიან არის ჩქარია,

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

<sup>2</sup> ვაეა-ფშაველა, ტ. IX, გვ. 150.

„მხრიანი“ — სულღუმი მონადირესთან ურთიერთობას ამეღვენებს, მონადირეს „ერთხელ კლდში ნაქდომი სულღუმი უნახავს და დაჰმეგობრებია და მთა-მყინვარის ბევრი საიდუმლო უსწავლებია (იქვე, გვ. 150).

<sup>3</sup> გ. თევდორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.



ლექსში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა ორგან არის ნახსენები, ერთგან:

გვერდს უდგა ნისლის ფერაი, მტრედის ფერ ჰქონდა მხარი ა“. მეორედ

„წელსა ეტანა მათრახი შეიდ-კეცა, შეიდი მხარი ა“.

პირველ შემთხვევაში თითქოს ჩვენთვის ნაცნობი შინაარსი აქვს „ნისლის ფერაი“ ცხენია და მას ჰქონია მხარი მტრედის ფერი. იმავე ლექსის შემდგომ სტრიქონში სიტყვა „მხარი“ სხვა მნიშვნელობითაა: მათრახი ჰქონია ღვთისშვილს „შეიდ-კეცა შეიდი მხარია“. „შეიდ-კეცა“ გასაგებია, მაგრამ „შეიდი-მხარია“ უცხოვრებელი ჩანს ტექსტში. ჩვენ რომ ვიცოდეთ სხვა წინადადებებში მისი შინაარსი, მხოლოდ აქ მოყვანილი ტექსტით აღიქმება, როგორც ძლიერი, სწრაფი, შიშის ზარის დამცემი, ტყვილის მიმყენებელი იარაღი, მაგრამ იმავე ლექსის წინა სტრიქონში „ნისლის ფერას“ (ცხენს). მხარი ჰქონია მტრედის ფერი. რატომ უნდა ჰქონოდა „ნისლის ფერას“ მაინცდამაინც მხარი მტრედისფერი და არ უნდა ჰქონოდა ამ ფერის სხეულის სხვა ნაწილი? ახსნა ერთი აქვს, სიტყვა „მხარი“ ძალაა, ამ შემთხვევაში, ცხენის, რომელიც ღვთის მიერ არის ბოძებული (ცხენი ძლიერია, მადლიანია, დალოცვილია). ასევე „მტრედისფერი მხარი“ მფარველი ღვთაების სიმბოლური სახედ დაგვრჩა. ვისაც იგი აქვს, მისი შინაგანი ძალა კეთილად არის ნაგულისხმევი. მეორე სტრიქონში მოყვანილი „შეიდ-კეცა“ მათრახიც მხარინია. მრისხანე იარაღითაც იგი კეთილ საქმეს ემსახურება. ბოროტებაზე დაკრული მათრახი მწარეა. იგი ბევრ შემთხვევაში შესაქებ ეპითეტამდეც არის დაყვანილი (გაგებული) მაგ:

„ვაჟი ჩვენს სოფელს ბევრია მხარით მფრინავ შევარდენიო.  
ბევრია სხვა სოფელშიაც ბავაზე დასაბმელია“.

ხევსური ქალიშვილი ასეთ ლექსს დამღერის თავის ძმობილს:

„აბეჩავ, ჩემო გარმონო, ნაოქის თავსო ცვრიანო,  
ღუშმანთ კარებზე შალაღებს ძმობილის ცხენის ღვრიანი.  
ცხენ უნდა გყავდეს, ძმობილო, იორლა გულით მხარიანი.  
ზედ ადგას კაზმულობაი ქრელი სრუ ნასველიანი“.

ნახმარი სიტყვები „გულით მხარიანი“ უნდა ავხსნათ, როგორც უშიშარი, ძლიერი, მადლიანი, გულთბილი, ცეცხლიანი.

იგი ბევრ ტექსტში გვხვდება სხვადასხვა შინაარსით; ზოგჯერ კი დღეისათვის ნაცნობი გაგება აქვს. მაგ:

„ყოილო მათა მშვენებათ, ვისი ეშხითა სკენებო?  
ვის გაუცინებ ნეტარა, მხარზე ვის დაუწევებო?“

## შემდეგ:

„ეს ლექსი დაუბარებავ, ქალო, შენს დაეწეებულსა,  
უცხო მხარეში ნამყოფსა, ფშვიდან გადავღებულსა“<sup>1</sup>.

ზოგ ლექსში კი სიტყვა შინაარსი სცილდება ღრეანდელ გაგებას და იბინდება. მაგ.:

„მინდორში ერთმა მეცხვარემ ნახა სიზმარი მხრიანი,  
არც-ვიც მე მომკლავ სიკვდილი, არ ვიცი ცხვარს მათ ზიანი“<sup>2</sup>.

არ შეიძლება მთქმელს სიტყვა „მხრიანი“ მთლად ცუდის (ავის) გაგებით ეხმარა, მთლად ცუდის სინონიმად წარმოედგინა. ხომ არ არის „მხრიანი“ ძლიერი, აუცილებლად ასახდენი სიზმარი, ადამიანების ძალღონეს რომ აღემატება ისეთი მოვლენის შიშისმიერული.

„ეგონა გავიზრდებოდი, გავერეოდი ხალხია,  
ის არ იცოდა ბეჩაემა, მწერალი ჰქონდა მხარია“<sup>3</sup>.

„მწერალი ჰქონდა მხარჩია“, ე. ი. ბედი მხრით მიჰყვებოდა. ამ შემთხვევაში იდიომურად უღერს; ვითომ ცუდი წერა-ბედი ჰქონიაო.

„არხორის ჰალას ჩაღიან, გულში აქვ ჩიხვებისაო,  
არხორის ჰალას ღილღებსა, ეშმაკი მაკყვა მხრითაო“<sup>4</sup>.

ღილღვლებმა მხრით (წერა-ბედით) ავი ძალები მოიყვანეს.

„საპირიქითოდ ტურჩამა, მაგრა გაბანდა ჭლანო,  
თქვა: შატილ უნდა მივიდა, წერილ მაქვს მისატანო.  
თავს ადგას უბედურება, მარჯვნივ აართვა მხარო,  
შატლით გამეშართა, იყვა შუადღის ხანო.  
ლურჯას შამახკრა მათრახი, ცხენმა გამახკრა ნალიო,  
სალაშქროს ჰალას შამავა, გამახანა გზანო,  
უშალეს არ ღაიშალა, არც აუქცია მხარო“<sup>5</sup>.

სიტყვა „მხარი“ ერთი მთქმელის მიერ ორი გაგებით არის ნახმარი: პირველ შემთხვევაში „მხარი აუთრთოლა“, მარჯვენა „მხრიდან კეთილი ძალები“ მოიცილა. მეორე შემთხვევაში კი „მხრის აქცევა“ გვერდის ავლათ უნდა მივიჩნიოთ.

ივსაქვს ტექსტი, საიდანაც შესაძლოა ვიფიქროთ, რომ მთქმელი ზედმიწევნით ხვდება, გრძნობს სიტყვა „მხრის“ აღრინდელ მნიშვნელობას. მაგ.:

„კვირავს გათენებადა მეტყვის საწყინო მხარიო“.

1 გ. თევდორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

2 ალ. ოჩიაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

3 თსუფა, № 3343.

4 ალ. ოჩიაური, ფშავ-ხევსურული პოეზია, 1970, გვ. 166.

5 ალ. ოჩიაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 166.

აქ საწყენს ეტყვის ადამიანის ბუნება, წინათგრძნობა, მაგრამ უფრო შორს რომ წავიდეთ, საწყენზე ანიშნებს თვით „მხარი“ — კეთილი ძალა, რომლის არსებობა ადამიანის სხეულის გარეშეც არის ნაგარაუდვეი.

მოყვანილი მაგალითების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სიტყვა „მხრიანი“ სულაც არ არის ისეთი საშიში (ბოროტი ძალა), როგორც მგოსანს ეგონა. თუ ჩვენს მსჯელობას გავყვებით, იგი კეთილი ძალის, ღვთაების ერთ-ერთი (უნარი) ეპითეტია. უნდა ვიფიქროთ, რომ თამარ მეფეს სამყაროს დრო-ჟამი ხელთ ეპყრა, ჩაკეტილი ჰყავდა, მხოლოდ მსახურის დაუდევრობით გაუფრინდა. მანამდე კი დრო-ჟამი არ არსებობდა. რელიგიის ისტორიაში ცნობილია თეოლოგთა აზრიც, რომ დრო-ჟამი გაჩნდა მაშინ, როცა ადამიანი შეიქმნა; უფრო სწორედ ადამ და ევას გამოძევების შემდეგ. ადამ და ევას სამოთხიდან გამოძევებაში ნაგულისხმევია, სულიერი სამყაროდან (სამოთხე) მიწაზე ჩამოსვლა, ადამიანის დაბადება, რაც დრო-ჟამის არსებობასაც ვარაუდობს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ აღნიშნული ლეგენდა საქართველოში თამარ მეფემდე არსებობდა.

---

## ზ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი

ღვთაება დალი და ღვთაება დილა

შქურნალი ქალღვთაების საკითხი

წმ. გიორგის ცხოვრების ზოგი სასწაულის ქართული (კავკასიური) პარალელური მასა და ივანე ქვაციხელის ლექს-თქმულებანი

ჩარჩი

საწესო ლექსი „ქალსა ეისმეს ერქვა შროშანაო“

სიმურის საკითხი ქართულ მითოლოგიაში

ფაშვის (ქუქის) ადგილი ქართულ მითოლოგიაში

ქურდობა-შეკობრობის კულტის საკითხი

ხარისა და ირმის კულტი საქართველოში

---

Бежан Георгиевич Абашидзе

### НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ МИФОЛОГИИ В УСТНОЙ ГРУЗИНСКОЙ СЛОВЕСНОСТИ

(На грузинском языке)

ИБ № 2301

გამომც. რედაქტორი ა. ეო რ დ ა ნ ი ა, მხატვარი თ. გ ე ლ ა შ ე ი ლ ი,  
მხატვ. რედაქტორი ნ. ვ ე კ უ ა, ტექნედაქტორი მ. ო ს ი ტ ა შ ე ი ლ ი  
უფრ. კორექტორი ნ. დ გ ე ბ უ ა ძ ე, კორექტორი მ. ლ ა შ ხ ი ა,  
გამომშვები ქ. ნ ი კ ო ლ ა შ ე ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 22/VII-83 წ. ხელმოწერილია დასაბუქლად 1.03.84.  
საბეჭდი ქალაქი № 2. ქალაქის ზომა 60X90<sup>1</sup>/<sub>16</sub>. საბეჭდი  
თაბახი 10,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9,25.  
უე 00528. ტირაჟი 2000. შუეკ. № 1042.

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.  
Издательство «Ганатლება», Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

1984

საქართველოს სსრ გამსახკომის, თბილისის № 4 სტამბა  
380060, მედქალაქის II კორპ.

Тбилисская типография № 4. Госкомиздата  
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.